ვლადიმერ წვერავა

საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში

ქუთაისი
2003

ნარკვევი ეძღვნება ქართული ეკლესიის ისტორიის ერთ საინტერესო საკითხს, კერძოდ მის სამისიონერო მოღვაწეობას XIX საუკუნეში. ამ დროს იგი რუსეთის სინოდს ემორჩილებოდა. ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა გაერუსებინა საქართველო და ამ მიზნის მისაღწევად ეკლესიასაც იყენებდა. რუსეთის მთავრობამ კავკასიაში თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკის რეალიზაციის დასაჩქარებლად თავდაპირველად დაარსა „ოსეთის სასულიერო კომისია", რომლის ბაზაზე XIX საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა „კავკასიაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება". მის მიზანს ძირითადად სამისიონერო საქმიანობა შეადგენდა. იგი აარსებდა სკოლებს, რომლებშიც აღზრდილი კადრები ცარიზმს უნდა დახმარებოდა კავკასიის დამორჩილებაში.

ნაშრომი თავის დროზე წარმატებით იქნა დაცული, როგორც საკანდიდატო დისერტაცია, ახლა კი მონოგრაფიის სახით ქვეყნდება. იგი განკუთვნილია ქართული ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორები: პეტრე ვაშრიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ალექსანდრე გენდიანიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: გერონტი გასვიანი, გიული ალასანია,
სერგო გარდოსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები

ISBN 99928-79-59-9

© ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

რედაქტორის წინათქმა

ქართული ქრისტიანული ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებით ძნელი ხანა 1811 წლიდან დაიწყო, როდესაც რუსმა ერთმორწმუნე დამპყრობლებმა უდიდესი მკრეხელობა ჩაიდინეს ხელყვეს მისი დამოუკიდებლობა ავტოკეფალია. ქართველი ხალხი ამას არასოდეს შერიგებია და მთელი საუკუნეების განმავლობაში თავდადებით იბრძოდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის, ასევე ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ძალზე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის თვითმწყსობის აღდგენა (1917 წლის 12 მარტი) წინ უსწრებდა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას (1918 წლის 26 მაისი). მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ ქართული ეკლესია კიდევ უფრო დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. უზარმაზარმა ათეისტურ-კომუნისტურ რუსულმა იმპერიამ საქართველო კვლავ დაიპყრო და ქრისტიანული ეკლესია სოციალისტური საზოგადოების პირველ ნომერ მტრად გამოაცხადა. დაიწყო ქრისტიანული სიწმინდეების ულმობელი განადგურება, სამღვდელოების და საერთო ქრისტიან მორწმუნეთა გაუგონარი დევნა-შევიწროება. მეფის რუსეთის ჯალათებმა ხიშტებით სიცოცხლეს გამოასალმეს დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსი, ქუთაისის ეპისკოპოსი დოსითეოს ქუთათელი (1820 წ.), ხოლო მათმა კომუნისტმა მემკვიდრეებმა ციხეში ჩასვეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია).

რუსებმა კათალიკოსის თანამდებობა გააუქმეს, ქართული ეკლესია იმპერიის სინოდს დაუქვემდებარეს და მას სათავეში ეგზარქოსი ჩაუყენეს. საეგზარქოსო რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო. უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული ეკლესია, სამღვდელოება.

წინამდებარე წიგნი ,,საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო საქმიანობა XIX საუკუნეში, რომლის ავტორია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ვლადიმერ წვერავა, საინტერესოდ მოგვითხრობს ქართული სამღვდელოების საუკეთესო ნაწილის მოღვაწეობაზე საქართველოს ცალკეულ რეგიონებში (სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა, საინგილო, სამცხე-ჯავახეთი, ხევსურეთი და სხვ.) ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად, ქართული ენისა და კულტურის დასაცავად, ქართული ეკლესიის სახის შესანარჩუნებლად. წიგნში მოხმობილია დიდძალი ფაქტობრივი მასალა, რომლებიც ადასტურებენ როგორ ცდილობდა საქართველოს საეგზარქოსო მეფის მთავრობის ასიმილატორულ-დიდმპყრობელური პოლიტიკის ერთგული გამტარებელი ყოფილიყო და ხშირად ამას ვერ ახერხებდა ქართული სამღვდელოების, შეიძლება გადაუკარბებლად ითქვას, გმირული, თავდადებული წინააღმდეგობის გამო.

ნაშრომში განსაკუთრებით ვრცლადაა განხილული რუსეთის მთავრობის მიერ თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის შექმნილი ,,კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების საქმიანობა''. რუსეთის მთავრობისა და ხსენებული ,,საზოგადოების'' საქმიანობა საქართველოს განაპირა მხარეებში აშკარად გამოკვეთილ ანტიქართულ ხასიათს ატარებდა - წერს ავტორი. რუსი მისიონერები იქ ისე მოქმედებდნენ თითქოს ეს რეგიონები საქართველოს, მისი კულტურისა და ეკლესიის შემადგენელი ნაწილი არ ყოფილიყოს. რუსეთის ეკლესიის მესვეურები ქართულ

ლესია-მონასტრებში საგულდაგულოდ ფხეკდნენ ქართულ ფრესკებს და წარწე-
ებს. ქართულ ხატებს ცვლიდნენ რუსულით, ეკლესიის კედლებს კირით ათეთ-
რებდნენ, ქართულ ეკლესია-მონასტრებთან აარსებდნენ რუს ბერთა სადგომებს, რათა მოსახლეობაში ქართული სული ჩაეკლათ. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ახალი ათონის მონასტერი. ცარიზმა იგი გადააქცია არა მარტო ქართული ეკლესიის, არამედ საერთოდ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ძლიერ კერად და საიმედო პლაცდარმად. ქართველი ხალხის ასიმილაციასა და გარუსებას ისახავდა მიზნად „საზოგადოების" ე.წ. კულტურტრეგერული მისია, კერძოდ მისი ცდა მეგრელების, სვანებისა და აფხაზებისთვის „აზბუკების" შემუშავება რუსული ანბანის მიხედვით, აგრეთვე ქრისტიანული რწმენის „აღდგენა-განმტკიცება" რუსული ღვთისმსახურების შემოღების გზით. რუსმა დამპყრობლებმა, როგორც სამართლიანად წერს ავტორი, ვერ შეძლეს თავისი მიზნის განხორციელება ქართველის გარუსება. ამაში გარკვეული როლი შეასრულა „საზოგადოებაში" მოღვაწე ქართველმა სამღვდელოებამ. ქართველი მისიონერები მკაცრი რეგლამენტაციისა და ზედამხედველობის პირობებშიც, ახერხებდნენ ქართული საქმის კეთებას, სერიოზულად უშლიდნენ ხელს ცარიზმის ვერაგული გეგმების განხორციელებას.

ნაშრომის ერთ-ერთ და უპირველეს ღირსებას მასში გამოყენებული წყაროების სიუხვე შეადგენს. ყოველი დებულება, ყოველი თეზა ავტორს დასაბუთებული აქვს დოკუმენტური მასალით. მან წყაროების გამოსავლენად ბეჯითად იმუშავა საქართველოს სიძველეთა საცავებში საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ქუთაისის სახელმწიფო-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში და სხვ. გამოავლინა და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანა საკვლევ თემასთან დაკავშირებული ბევრი ახალი, მანამდე უცნობი მასალა.

ვლადიმერ წვერავას ნაშრომი „საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო საქმიანობა XIX საუკუნეში" საყურადღებო მონოგრაფიაა, რომელიც მკითხველს მოუთხრობს მართლად, ობიექტურად და კვალიფიციურად ქართული ეკლესიის ისტორიის უაღრესად რთული, ძნელი, მაგრამ ამასთან ერთად საინტერესო ასწლოვანი პერიოდის შესახებ.

პეტრე ცაბრიძე
28 სექტემბერი, 2003 წელი

ავტორისაგან

ახალი ქართული-ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულის შესწავლას. ამ მხრივ ყურადღების მიღმა არც საქართველოს ეკლესიის ისტორია და მისი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული საქმიანობა უნდა დარჩეს.

დღეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია საზოგადოების განვითარების მთლიანობაში შესწავლა ეკლესიის ისტორიის გათვალისწინების გარეშე. საქართველოს ეკლესიის მრავალფეროვანი წარსული შესწავლის გარეშე სახელმწიფოს სამოქალაქო ისტორიას სრულყოფილად ვერ წარმოვიდგენთ.

თანამედროვე ისტორიოგრაფია მკვლევართა წინაშე აყენებს ახალ მოთხოვნებს - ღრმად და ობიექტურად იქნას შესწავლილი საქართველოს ეკლესიის (მათ შორის საეგზარქოსოს) როლი ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფო დაიპყრო და აქ რუსული მმართველობა დაამყარა, იგი ქართული ეკლესიის გარდაქმნას შეუდგა და გააუქმა ეკლესიის ავტოკეფალია და შემოიღო ეგზარქოსობა.

საქართველოს ეკლესიის რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა სასულიერო-სამისიონერო საქმიანობის გაძლიერებას საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მთიანეთის არაქრისტიან მოსახლეობასა და აგრეთვე იმ რაიონებში, სადაც მთავრობის აზრით სუსტი იყო მისი გავლენა.

საქართველოს მთიან რაიონებში და საერთოდ კავკასიის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების მიზნით, თავდაპირველად შეიქმნა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელიც ქართველი სასულიერო პირებით იყო დაკომპლექტებული, ხოლო შემდეგ მისი შემადგენლობა თანდათან შეიცვალა. უპირატესობა რუსი სამღვდელოების წარმომადგენლებს მიენიჭა. თუმცა ქართველთა მონაწილეობის გარეშე „კომისიის“ წარმატება გამორიცხული იყო, ეს კარგად ესმოდა უწმინდეს სინოდსაც კი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსეთმა დაამთავრა კავკასიის იარაღით დაპყრობა და შეუდგა ამ მხარის ასიმილაციას, მის წინაშე უფრო ფართო მასშტაბის ორგანიზაციის შექმნის საკითხი დადგა. ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის ინიციატივით და მას ეწოდა „კავკასიაში მართლმადიდებლური-ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება“. „ოსეთის კომისიის“ ბაზაზე შექმნილი ეს ორგანიზაცია ყოვლისმომცველი იყო და თავისი საქმიანობით ცდილობდა კავკასიის გადაქცევას რუსეთის იარაღად მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ორგანიზაციაში, ისევე როგორც „ოსეთის სასულიერო კომისიაში“,

მონაწილეობას იღებდნენ ქართველი სასულიერო და საერო პირები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ოსეთში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამ ,,საზოგადოებასთან" გახსნილ სკოლებში აღზრდილი კადრები ჩადგნენ თავიანთი ქვეყნის სამსახურში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოს ეკლესიის, კონკრეტულად საეგზარქოსოს ისტორიის შესწავლას სათანადო ყურადღება მიექცა და საინტერესო ნაშრომებიც გამოქვეყნდა, საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა სპეციალური კვლევის საგანი ჯერ არ ყოფილა, ამიტომ მისი შესწავლა შეავსებს იმ ხარვეზს, რაც ამ მხრივ არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

წინამდებარე ნაშრომს საკითხის სრულყოფილად და ყოველმხრივ გაშუქების პრეტენზია არა აქვს, მაგრამ ვიმედოვნებთ იგი მცირედით მაინც შეავსებს ამ პრობლემის შესწავლაში არსებულ დეფიციტს.

ნაშრომის მუშაობისას თავის დროზე ბევრმა პიროვნებამ აღმოგვიჩინა დახმარება, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებთ. ესენია: ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალური არქივის დირექტორი ბატონი მერაბ კეზევაძე და მისი თანამშრომლები; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი, პროფ. მიხეილ ნიკოლეიშვილი და ხელნაწერთა განყოფილების გამგე, ქალბატონი ციცინო მუმლაძე.

მადლობას ვწირავთ აგრეთვე მათ, რომლებმაც დისერტაციაზე მუშაობის დროს გაგვიწიეს ხელმძღვანელობა, ექსპერტს, რეცენზენტებს და სადისერტაციო საბჭოს წევრებს და მის თავჯდომარეს აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს.

ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ობიექტურ კრიტიკას და შენიშვნებს, გაითვალისწინებს მათ ამ საკითხზე შემდგომი მუშაობის პროცესში.

შესავალი

ქართული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულის შესწავლას. ამ მხრივ ყურადღების მიღმა არც საქართველოს ეკლესიის ისტორია და მისი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული საქმიანობა უნდა დარჩეს.

„ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ნებისმიერ ეტაპზე ქრისტიანულ სარწმუნოებას უაღრესად რთული, დროისათვის შესაფერისად საჭირო პოლიტიკურ-სამართლებრივი, კულტურულ-იდეოლოგიური ფუნქცია ეკისრებოდა, რაც მას კონკრეტულ სახეს აძლევდა და ჩამოყალიბებულ, დახვეწილ სტრუქტურას უქმნიდა“.[1]

საქართველოს ეკლესიის ფართო, მეცნიერული შესწავლა, როგორც მძლავრი ფეოდალური ორგანიზაციისა და შემდეგში უკვე, როგორც სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი და წარმართველი ძალისა, აუცილებელია და ეს აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. დღეს ფაქტობრივად შეუძლებელია საზოგადოების განვითარების მთლიანობაში შესწავლა ეკლესიის ისტორიის გათვალისწინების გარეშე. საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი წარსულის გაუთვალისწინებლად სახელმწიფოს სამოქალაქო ისტორიას სრულყოფილად ვერ წარმოვიდგენთ და ცხადია, დიდი შეცდომაა, როდესაც ვცდილობთ სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენები გავაშუქოთ საქართველოს ეკლესიის ისტორიისაგან დამოუკიდებლად.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს ეკლესია გამოდიოდა ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად, იდეოლოგიურად აერთიანებდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს, მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეჰქონდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებში, სათავეში ედგა ერის კულტურულ ცხოვრებას.

თანამედროვე ისტორიოგრაფია მკვლევართა წინაშე აყენებს ახალ მოთხოვნებს__ღრმად და ობიექტურად იქნას შესწავლილი საქართველოს ეკლესიის (მათ შორის საეგზარქოსოს) როლი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოს ისტორიაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ მისიას ასრულებდა და ასრულებს. იგი ქართველთა ფარი იყო

მრავალრიცხოვან დამპყრობთა წინააღმდეგ. ამიტომ ბუნებრივია, ვისაც სურდა ქართველთა ასიმილაცია, მოსპობა, ბრძოლას იწყებდა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ.

1801 წლის აქტმა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიამ, რუსეთის მიერ, გამუდმებული ომებით დაღლილ და ჯვარცმულ ერს, თითქოს მისცა ამოსუნთქვის საშუალება, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს რა ვერაგული ზრახვები ამოქმედებდა ერთმორწმუნე რუსეთს საქართველოს მიმართ, რომ იგი სრულებით არ აპირებდა შეესრულებინა ის ვალდებულებანი, რასაც „მეგობრობის ტრაქტატი" ითვალისწინებდა, უფრო მეტიც, ცარიზმის უკიდურესად რეაქციულმა პოლიტიკამ საქართველოს მიმართ, დღის წესრიგში ქართველი ერის სულიერი და შემდეგ კი მისი ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა. საფრთხე დაემუქრა ქართულ ენასა და მის უძველეს დამწერლობას, ყოველივე იმას, რაც ქართველი კაცის გენიასა და გამრჯე მარჯვენას შეუქმნია საუკუნეთა განმავლობაში.

საქართველოში არსებული სახელმწიფოებრივი წყობა და საეკლესიო მმართველობის სისტემა ცარიზმს ვერ გამოადგებოდა იმ პოლიტიკური მიზნების განხორციელებაში, რომელსაც ის საქართველოში ისახავდა; აქედან გამომდინარე, საქართველოში თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით, ცარიზმი შეუდგა სახელმწიფო და სასულიერო მმართველობის სისტემის რეორგანიზაციას, რომლის დროულად გატარებასაც პირველხარისხოვან სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ ღონისძიებით თვითმპყრობელობა საქართველოში ნერგავდა ქართველებისათვის უცხო სახელმწიფო სისტემას, რაც საბოლოო ანგარიშში ითვალისწინებდა ისეთი ბიუროკრატიული აპარატის შექმნას, რომელიც დააჩქარებდა საქრთველოს კოლონიად ქცევას და მისი ხალხის გარუსებას.

ცარიზმი თავის საგარეო პოლიტიკაში წარმატებით იყენებდა მართლმადიდებლური ეკლესიის შესაძლებლობებს, რომელსაც ევალებოდა მყარი იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში—მისი კოლონიური პოლიტიკის განსამტკიცებლად.

რუსეთის მთავრობა ფიქრობდა, რომ რუსეთის სინოდისათვის დაქვემდებარებულ საქართველოს ეკლესიას უნდა მოემზადებინა მტკიცე იდეოლოგიური საფუძველი ცარიზმის ბატონობისათვის საქართველოსა და კავკასიაში. ეკლესიის მსახურებს ევალებოდათ მოსახლეობაში გაევრცელებინათ აზრი, რომ მთავრობის პოლიტიკა საქართველოში ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაცვისა და კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული. მათვე ევალებოდათ მოსახლეობის აღზრდა რომანოვების სამეფო ტახტისა და არსებული პოლიტიკური რეჟიმის ერთგულების სულისკვეთებით. ასეთი საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტას კი მთავრობა ქართულ ეკლესიას ვერ

მიანდობდა, რადგან თვლიდა, რომ ის თავისი სტრუქტურითა და სასულიერო პირთა შემადგენლობით ამ საქმისათვის არ გამოადგებოდა. მთავრობამ დაიწყო მზადება საქართველოს ეკლესიის მმართველობის რეორგანიზაციისათვის.[3]

საქართველოში დამკვიდრებისთანავე ცარიზმი ცდილობდა, სასულიერო ცხოვრებაში მომხდარი ყოველგვარი წერილმანიც კი თავისი ავტორიტეტის ამაღლების სამსახურში ჩაეყენებინა. ამ მიზნით გამოიყენეს 1801 წელს პეტერბურგიდან თბილისში „სასწაულმოქმედი" ჯვრის (საუბარია ვახტანგ VI დროს წმ. ნინოს ჯვარზე, რომელიც ჯერ ანანურში გადამალეს, შემდეგ კი რუსეთში წაიღეს) გადმოსვენების ცერემონიალი. მას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. გენერალ კნორინგს ამის შესახებ პეტერბურგიდან მითითებებს აძლევდნენ, რომ ჯვრის გადმოსვენება, საქართველოს მკვიდრთა მიმართ, რუსეთის მეფის კეთილგანწყობისა და ზრუნვის საწინდარი უნდა გამხდარიყო. ამ დღესასწაულზე ქართველი ხალხისათვის საშუალება უნდა მიეცათ, რათა მას გამოემჟღავნებინა თავისი კეთილი გრძნობები და სიყვარული იმპერატორისადმი, იმ მამობრივი ზრუნვისა და სიყვარულის საპასუხოდ, რომელსაც ვითომდა ის (ე.ი. იმპერატორი ალექსანდრე I—ვ. წ.) იჩენდა ქართველთა მიმართ. ამასთანავე, ეს „დღესასწაული" უნდა გადაქცეულიყო რუსული თვითმპყრობელური პოლიტიკის ავტორიტეტის გასამტკიცებელ ფაქტად ქართველთა შორის, ამავე მიზნით ჯვრის სამშობლოში დაბრუნებას სასულიერო წოდების მიერ 1802 წელს ქართველთა რუსეთის ერთგულებაზე დაფიცების ტექსტში სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი. მანიფესტი სასულიერო პირებს უნდა წაეკითხათ საქართველოს ეპარქიების ეკლესია-მონასტრებში. ხალხისათვის მინიფესტის გაცნობა სასულიერო პირების მიერ მთავრობას მოსახერხებლად და სასურველად მიაჩნდა.[4] რადგან სწამდათ, რომ მანიფესტის გამოცხადება სასულიერო პირების მიერ ხალხისათვის უფრო დამაჯერებელი და ავტორიტეტული იქნებოდა. რუსული ხელისუფლება საქართველოში პირველი დღიდანვე შეეცადა სამღვდელოება თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. **მაგრამ ქართული სასულიერო წოდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თვითმპყრობელობას საქართველოში დაუხვდა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ოპოზიციურად განწყობილი სამღვდელოება,** რომელიც მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანი მხარეებისა, მოსახლეობაში დიდი გავლენით სარგებლობდა. მთავრობისათვის ნათელი იყო, რომ ქართველი სამღვდელოება უკმაყოფილო იყო ცარიზმის მიერ გატარებული ღონისძიებებით და ამიტომ იგი, მას არ გამოადგებოდა იმ პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის გატარებასაც ისახავდა მიზნად საქართველოში.

მთავრობამ დაიწყო მზადება საქართველოს ეკლესიის რეფორმისათვის, რომლის უპირველესი ღონისძიება უნდა ყოფილიყო სასულიერო დიკასტერიის დაარსება, საეკლესიო ქონების აღწერა და შემოსავლის დაზუსტება, სასულიერო

პირთა რაოდენობის დადგენა და სამრევლოების მოწესრიგება. ავტოკეფალიისა და კათალიკოსის თანამდებობის გაუქმება. სასულიერო განათლების ახლებური ორგანიზაცია და სხვ. რეფორმის გატარებისათვის საჭირო ყოველგვარი ცნობების შეგროვება და მისი პროექტის შედგენა დაევალა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ II, რომელსაც ჰპირდებოდნენ, რომ მისი ასეთი ღვაწლი უშედეგოდ არ ჩაივლიდა და სათანადოდ იქნებოდა შეფასებული პეტერბურგში.

საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეების მოწესრიგებასთან ერთად, სინოდი მოითხოვდა, აგრეთვე სასულიერო-სამისიონერო სამუშაოების გაშლას და გაფართოებას.

ცარიზმი აპირებდა საქართველოს ეკლესიის გარდაქმნას რუსული ეკლესიის ყაიდაზე. საქართველოს ეკლესიის მმართველობის წესი რუსულისაგან განსხვავდებოდა. მის სათავეში იდგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (უმეტეს შემთხვევაში ბაგრატიონთა საგვარეულოდან), რომელიც დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი... იგი ეკლესიას განაგებდა თავისი შეხედულებისამებრ და მეფე მის საქმეებში იშვიათად თუ ერეოდა. ქართული ეკლესია ეკონომიკურადაც დამოუკიდებელი იყო. რა თქმა უნდა ქართული ეკლესიის ასეთი სახით არსებობა რუსეთის ცარიზმს არ აწყობდა. ამიტომ აღნიშნული რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, როგორც უკვე ითქვა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია იყო.

საეკლესიო რეფორმა ითვალისწინებდა სასულიერო დიკასტერიის მოწყობას, რომლის მოღვაწეობაზედაც (რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ) თვითმპყრობელობა დიდ იმედებს ამყარებდა. მისი შექმნით უნდა დაწყებულიყო ქართლ-კახეთის საეკლესიო საქმეების მოწესრიგება, რომელიც მანამდე (ცარიზმის მოხელეების აზრით—ვ.წ.) ძალზე ქაოსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დიკასტერიას უნდა ეხელმძღვანელა საეკლესიო საქმეების მოწესრიგებასთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის. იგი სათავეში უნდა ჩადგომოდა სასულიერო-სამისიონერო სამუშაოებსა და სასულიერო განათლებას. პირველ რიგში საჭირო იყო სასულიერო პირთა ზუსტი რაოდენობის დადგენა, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდი იყო საქართველოში. სასულიერო პირთა რაოდენობის ზრდას, როგორც ამას რუსი მოხელეები აღნიშნავდნენ, ხელს უწყობდა ქიროტონიის არსებული წესი, რომლის ძალითაც ყველა ეპისკოპოსს შეეძლო დაინტერესებული პირის მღვდლად კურთხევა.

ზრუნავდა რა სასულიერო უწყების ქონების დაზუსტებაზე, მთავრობას განზრახული ჰქონდა მისი გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავდა საქართველოს ეკლესიის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოსპობასა და სახელმწიფოებისადმი მის სრულ დამორჩილებას. დაპირებების მიხედვით საეკლესიო ქონების ერთი ნაწილი ახალგაზრდა სასუ-

ლიერო პირების აღზრდა-განათლებისათვის იქნებოდა გამოყენებული. დიკასტერიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო თვითმპყრობელობის ერთგული სასულიერო პირების აღზრდა, რისთვისაც მთავრობა თბილისში სასულიერო სემინარიას აარსებდა.

სასულიერო სემინარიის დაარსებით მთავრობა აპირებდა მოემზადებინა მონარქისტულ-კლერიკალური იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდა სასულიერო წოდება, რომელიც მთავრობის პოლიტიკის ერთგული იქნებოდა. აქვე აღიზრდებოდნენ სასულიერო მისიონერებიც, რომელთა საქმიანობაზე დიდად იყო დამოკიდებული კავკასიის მთიან რაიონებში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენა-გავრცელება და აქ (კავკასიაში–ვ.წ.) რუსეთის ავტორიტეტის განმტკიცება.

რეფორმა, მართალია ეხებოდა ცხოვრების ყველა მხარეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ითვალისწინებდა სასულიერო წოდების განაწყენებას, მათი უფლებების შელახვას. მისი ძირითადი მიზანი იყო ეკლესიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამორჩილებასთან ერთად, სასულიერო პირების გულის მოგება, მათი სახით ერთგული მსახურების გაჩენა.

1810 წლის 3 მარტს კათოლიკოსი ანტონ მეორე ვითომდა საქართველოს საქმეების მოწესრიგების მიზნით, თითქმის ძალით პეტერბურგში გაიწვიეს. ერთი წლის შემდეგ სინოდის ობერ-პროკურორ გოლიცინისაგან მოვიდა შეტყობინება, რომელშიაც ანტონ II სამშობლოში დაბრუნების დაგვიანების მიზეზად, მისი ავადმყოფობა იყო დასახელებული.

ანტონ II-ის პეტერბურგში გაწვევის შემდეგ საქართველოში დიკასტერიის მეთაურად, როგორც ეს იყო ნავარაუდევი, ვარლამ ერისთავი დანიშნეს და მას საქართველოს ეგზარქოსის ტიტული ებოძა. მას დაევალა რეფორმის განხორციელება. ვარლამმა საქართველოს მთავარმართებელ ტორმასოვს წარუდგინა საეკლესიო რეფორმის პროექტი, რომელიც მთავარმართებლის რეკომენდაციით, თითქმის უცვლელად დაამტკიცა რუსეთის წმინდა სინოდმა 1811 წლის 30 ივლისს.

საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალობა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ გაუქმდა ივერიის უძველესი საკათოლიკოსო. ისმება კითხვა, რომელიც ყველაზე მტკივნეულია: ჰქონდა თუ არა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას ამის უფლება. მართალია ჩვენს საკვლევ თემაში არ შემოდის ამ თემის კვლევა, მაგრამ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ.

რა თქმა უნდა არა. რუსეთის სინოდმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით დაარღვია 30-ე და 35-ე მუხლი მოციქულთა კანონებისა, ასევე ანტიოქიის კრების 22-ე კანონი, რომლის მიხედვით რუსეთის ეკლესიას არ შეეძლო მასზე უძველეს საქართველოს ეკლესიაზე თავისი უფლება განეხორციელებინა. ამისთვის საჭირო იყო ერთის მხრივ თვით ქართველი

ხალხის მიერ მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიის უარყოფა, ხოლო მეორეს მხრივ მსოფლიო კრების გადაწყვეტილება. რუსეთის ეკლესიამ კი არაკანონიერი გზით, თვითნებურად გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

სასულიერო დიკასტერიამ საქართველოში 1814 წლამდე იარსება, ვიდრე მის ნაცვლად აქ დაარსდებოდა საქართველო-იმერეთის უწმიდესი მმართველობითი სინოდის კანტორა. მიუხედავად იმისა, რომ ვარლამი ენერგიულად ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკლესიის საქმეებს, თვითმპყრობელობას ქართველის ამ თანამდებობაზე დატოვება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა და 1817 წელს ვარლამიც გაიწვიეს რუსეთში. მის ადგილზე კი დაინიშნა თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821წწ). ამ დროიდან საქართველოში ეგზარქოსებად მხოლოდ რუსი ეროვნების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ.

ჩამოსული მღვდელმთავრები გამოირჩეოდნენ თვითმპყრობელობისადმი დიდი ერთგულებითა და მკაცრი ხასიათით, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ საქართველოში რუსული პოლიტიკის დასამკვიდრებლად. გამოგზავნილი ეგზარქოსების სამოქმედო პროგრამა კარგად იყო ჩამოყალიბებული შავრაზმელ მღვდელ ვოსტორგოვის სიტყვაში: „საქართველოს ეგზარქოსს.... ამბობდა იგი, უპირველეს ყოვლისა უნდა ახსოვდეს, რომ ვალდებულია მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ქართველის გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე"[9]. ეგზარქოსები, რომ თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ (რომელიც რუსეთის ცარიზმა დააკისრა მათ საქართველოს მიმართ) დადასტურდა იმ ფაქტებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში რუსეთის ბატონობის დრო-ჟამს.

ანალოგიური ღონისძიებები გატარდა დასავლეთ საქართველოშიც. 1819 წელს იმერეთში არსებული ეპარქიები გაერთიანდა და შეიქმნა ერთი იმერეთის ეპარქია. ცალკე დაარსდა ოსეთის განსაკუთრებული ეპარქია, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა „ოსეთის სასულიერო კომისიას".

ეგზარქოსი ამცირებდა სამღვდელოების რაოდენობასა და ეკლესიებს. სასულიერო პირების დიდი რაოდენობა შტატგარეშე რჩებოდა. სამღვდელოება მტრულად შეხვდა მთავრობის ამ ღონისძიებას. ეკლესია-მონასტრების მამულების და შემოსავლის აღწერა-დაზუსტების საქმეში ეგზარქოსი (თ. რუსანოვი–ვ.წ.) ისე დაურიდებლად მოქმედებდა, რომ მის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა 1819 წელს გამოიწვია აჯანყება, რომელიც მთელს იმერეთსა, გურია-სამეგრელოს და რაჭას მოედო.[10]

საქართველოს ეკლესიის რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა სასულიერო-სამისიონერო სამუშაოების გაძლიერებას, საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მთიანეთის არაქრისტიან მოსახლეობაში, აგრეთვე იმ რაიონებში, სადაც მთავრობის აზრით სუსტი იყო მისი გავლენა.

რუსეთის ეკლესია ყოველთვის თვლიდა თავის მოვალეობად არა მარტო მართლმადიდებელი მოსახლეობის ცხოვრებისათვის ეხელმძღვანელა, არამედ მართლმადიდებლობა დაენერგა არაქრისტიანულ მოსახლეობაში. როგორც რუსეთის იმპერიის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. თავის პოზიციას ეკლესია ხსნიდა იმით, რომ თითქოსდა მართლმადიდებლურ-ქრისტიანული მოძღვრება უპირატესობით სარგებლობდა „უსჯულოთა" რელიგიებთან—პროტესტანტიზმი, კათოლიციზმი, იუდაიზმი, მუსლიმანიზმი, ბუდიზმი და აგრეთვე სხვადასხვა სექტანტობათან შედარებით.

მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გაშალა ფართომასშტაბიანი სამისიონერო საქმიანობა. ამ მიზნისათვის მან შექმნა საშინაო და საგარეო მისიები.

მისიონერებმა თავიანთი მუშაობა „უსჯულოთა" ესე იგი არამართლმადიდებელი ქრისტიანების წინააღმდეგ გაშალეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რუსეთის საზღვრებს გარეთ. მთელი თავისი ენერგია და მგზნებარება (მიზანმიმართულება) მიმართა ქვეყნის შიგნით სექტანტებისა და ძველი სარწმუნოების მიმდევართა წინააღმდეგ. უწმიდესი სინოდის მიერ შემუშავებულ იქნა შინაგანაწესი, ყველა „საძმოებისა" და მისიონერული ორგანიზაციებისა, რომლებიც რუსეთის ცარიზმს ემსახურებოდნენ. ტარდებოდა ადგილობრივი და საერთორუსული ყრილობები და კრებები, რომლებზედაც ყველა სახის მუშაობის მეთოდებს არჩევდნენ და ინსტრუქციებს ურიგებდნენ მისიონერებს მოსახლეობაში სამუშაოდ.

საქართველოსა (იგულისხმება ზოგიერთი კუთხე და არა მთლიანად საქართველო) თდა საერთოდ კავკასიის მთელი მოსახლეობის გაქრისტიანების მიზნით, თავდაპირველად შეიქმნა „ოსეთის სასულიერო კომისია", რომელიც ქართველი სასულიერო პირებით იყო დაკომპლექტებული, ხოლო შემდეგ მისი შემადგენლობა თანდათან შეიცვალა. უპირატესობა რუსი სამღვდელოების წარმომადგენლებს მიენიჭა (ამაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი) თუმცა ქართველთა მონაწილეობის გარეშე „კომისიის" წარმატება გამორიცხული იყო, ეს კარგად ესმოდა უწმიდეს სინოდსაც კი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსეთმა დაამთავრა კავკასიის იარაღით დაპყრობა და შეუდგა ამ მხარის ასიმილაციას. მის წინაშე უფრო ფართო მნიშვნელობის ორგანიზაციის შექმნის საკითხი დაისვა. ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა კიდევაც მეფისნაცვალ ბარიატინსკის ინიციატივით. მას ეწოდა „კავკასიაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება". „ოსეთის სასულიერო კომისიის" ბაზაზე შექმნილი ეს ორგანიზაცია ყოვლისმომცველი იყო და თავისი საქმიანობით ცდილობდა კავკასიის გადაქცევას რუსეთის იარაღად მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ორგანიზაციაში, ისევე როგორც „ოსეთის კომისიაში", მონაწილეობას იღებდნენ ქართველი სასულიერო პირები თუ საერონი, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს

ქრისტიანული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამ „საზოგადოებასთან" გახსნილ სკოლებში აღზრდილი კადრები შემდეგ ჩადგნენ ქვეყნის სამსახურში, როგორც საერო ისე სასულიერო დარგში.

საქართველოს საეგზარქოსოს, რუსეთის თვითმპყრობელურ სისტემაში საეკლესიო, პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაჭრა ევალებოდა. მას „ასათვისებელი რეგიონის" მოსახლეობაში სამისიონერო საქმიანობით ცარიზმის პოლიტიკური ადგილები უნდა დაეცვა, საქართველოს ეკლესია თავისებურ მონარქისტულ კათედრად უნდა ექცია, საიდანაც რუსული სასულიერო ფენა თვითმპყრობელობის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდას გასწევდა. ისე, რომ მოსახლეობაში სახელმწიფო წყობისა და ეროვნულ-სოციალური ურთიერთობის საწინააღმდეგო აზრი არ გაეღვივებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოს ეკლესიის, კონკრეტულად საეგზარქოსოს, ისტორიის შესწავლას სათანადო ყურადღება მიექცა და საინტერესო ნაშრომებიც გამოქვეყნდა, საეგზარქოსოს სამისიონერო საქმიანობა სპეციალური კვლევის საგანი ჯერ არ ყოფილა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ნაწილობრივ მაინც, შეავსოს ქართული ისტორიოგრაფიის ეს სარვეზი და წარმოაჩინოს საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობის აშკარა და ფარული მიზნები, მისი ობიექტური შედეგები და როლი XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში, ხაზი გაუსვას საეგზარქოსოს სამისიონერო საქმიანობაში ქართველი სამღვდელოების წარმომადგენელთა მონაწილეობის მოტივებსა და მიზანდასახულობას, მათ მისწრაფებას__მისიონერის მაღალი მოვალეობა გამოეყენებინათ კავკასიის ხალხებთან საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ-სარწმუნოებრივი კავშირების გასამტკიცებლად, ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ზრდისათვის და ამით ხელი შეეწყოთ საეკლესიო დამოუკიდებლობის__ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის დაჩქარებისათვის.

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა საქართველოსა და კავკასიაში. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ცარიზმმა საქართველოს ანექსიასთან ერთად ხელყო მისი ეკლესიის დამოუკიდებლობა__გააუქმა საპატრიარქო და შექმნა საეგზარქოსო და მას პოლიტიკური ამოცანები დაუსახა__ეკლესიას მონაწილეობა უნდა მიეღო კავკასიაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებაში. ამ მიზნით იხსნებოდა სასულიერო სასწავლებლები, განახლებულ იქნა „ოსეთის სასულიერო კომისია", რომელსაც ცარიზმმა შედარებით ძლიერი მატერიალური ბაზა შეუქმნა. მაგრამ კავკასიაში ცარიზმის აგრესიული გეგმების განხორციელების გამო საჭირო გახდა ამ სახის უფრო ფართო და მძლავრი ორგანიზაციის შექმნა. მეფისნაცვალმა კავკასიაში ალ. ბარიატინსკიმ დააყენა საკითხი „ოსეთის სასულიერო კომისიის" ბაზაზე შექმნილიყო „კავკასიაში მართლმადიდებელ ქრის-

ტიანობის აღმდგენელი საზოგადოება", რომლის უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენა, გავრცელება და განმტკიცება. საქმე იმაშია, რომ კავკასიის ბევრ რეგიონში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს მთიან ადგილებში ქრისტიანობის პოზიციები შესუსტდა. ფეხი მოიკიდა და გაძლიერდა ისლამი, ნაწილობრივ წარმართობა. „ოსეთის სასულიერო კომისია" და შემდეგ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" მიზნად ისახავდნენ ქრისტიანობის აღდგენას და განმტკიცებას. ამის გაკეთება კი ქართველთა მონაწილეობის გარეშე არ გამოვიდოდა და ცარიზმიც ფართოდ იყენებდა ქართველებს სამისიონერო საქმიანობაში. ქართველ მისიონერებს კი სულ სხვა მიზნები ჰქონდათ__სამსახური გაეწიათ სამშობლოსათვის, ხელი შეეწყოთ ქართველი ხალხის და კავკასიის ხალხების (ოსების, ჩეჩნების, ინგუშების, ჩერქეზების და სხვ.) შეკავშირებასა და გაერთიანებისათვის, კავკასიის ხალხებში ქართული კულტურის გავრცელება-დამკვიდრებისათვის.

საარქივო მასალებისა და საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე წარმოვადგენთ დასახელებული სასულიერო ორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობას, ვაჩვენებთ ცარიზმის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც რუსეთის სამეფო კარმა დაუსახა სინოდსა და საეგზარქოსოს. მათი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად უბანს__სამისიონერო მოღვაწეობა შეადგენდა. ცნობილია, რომ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატურის პერიოდში მკვლევარს ანგარიში უნდა გაეწია წინასწარ შემუშავებული სქემებისათვის და ამის მიხედვით გაეშუქებია საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის საკვანძო პრობლემები. კერძოდ ოფიციალური ხელისუფლება ისტორიკოსებისაგან მოითხოვდა ეჩვენებია ეკლესიის „რეაქციული" როლი. ეს გარემოებაც აძლიერებს ინტერესს საქართველოს ეკლესიის, კონკრეტულად საეგზარქოსოს ისტორიისადმი საჭირო ხდება ბევრი საკითხი ახლებურად იქნას შესწავლილი და გააზრებული.

საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობის ცოდნა გარკვეულ სამსახურს გაუწევს ახალი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს და ქართული ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

ნაშრომი ეყრდნობა საკვლევი თემის შესახებ არსებულ ლიტერატურას, ხოლო წყაროთმცოდნეობითი ბაზაა როგორც გამოქვეყნებული, ასევე საქართველოს სიძველეთსაცავებში, ჩვენს მიერ გამოვლენილი და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილი დოკუმენტები და მასალები.

წყაროები__საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებული წყაროებიდან ყველაზე მდიდარი მასალები დაცულია თვით საეგზარქოსოს მიერ განხორციელებულ ცალკეულ გამოცემებში, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში", „კავკასიაში ქრისტიანობის აღ-

მდგენელი საზოგადოების“ ყოველწლიურ ანგარიშებში[13] და ამ „საზოგადოების“ არსებობიდან 50 წლისთავთან დაკავშირებულ საიუბილეო კრებულში.[14] მათში, რუსული ეკლესიის ხელმძღვანელობის თვალთახედვით, მოთხრობილი და წარმოჩენილია „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებების საგანმანათლებლო-სამისიონერო მოღვაწეობა, მათი როლი ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-რესტავრაციის საქმეში. საიუბილეო კრებულში „საზოგადოების“ მიერ განვლილი მთელი გზაა ასახული და უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი.

საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო საქმიანობის ოფიციალური მიზნებისა და ამოცანების (რაც ხშირად დაცილებული იყო ნამდვილს) გასააზრებლად საინტერესოა „საზოგადოების წესდება, რომელიც საერთაშორისო და პოლიტიკური ვითარების ცვლილებებთან ერთად, რამდენჯერმე შეიცვალა.

საყურადღებოა და ჩვენი საკვლევი თემისათვის ანგარიშგასაწევ ცნობებს შეიცავს საქართველოს საეგზარქოსოსთან მოქმედი სამისიონერო, სასულიერო-საგანმანათლებლო „ძმობის“ მოღვაწეობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომელთა ერთი ნაწილი თავმოყრილია ამ „ძმობისადმი“ მიძღვნილ გამოცემაში, რომელიც 1907 წელს დაიბეჭდა[15].

უფრო ადრეულ (XVIII ს) საქართველოს ეკლესიის სამისიონერო მუშაობის შესახებ განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი დოკუმენტებია გამოქვეყნებული „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ირგვლივ. ყველა ეს მასალა ჩვენს მიერ გამოყენებულია და სათანადოდ დამოწმებული.

მართლმადიდებლური ეკლესიისა და საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობაზე დიდძალ ფაქტობრივ მასალას გვაწვდის ოსეთში და რუსეთში გამოცემული კრებულები: „материалы по историй Осетий в XVIII В“-ორ ტომად;[16] „Русско-Осетинское отношение в XVIII В“--ორ ტომად;[17] „Хрестоматия по йстории Осетий“[18] და სხვ.

მართალია საქართველოს საეგზარქოსოს, კონკრეტულად, მისი სამისიონერო საქმიანობის შესახებ, არსებული მასალების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია და მეცნიერულ მიმოქცევაშია, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და ამიტომ გამოვლენასა და შესწავლას მოითხოვს. ჩვენ შევეცადეთ ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაო ჩაგვეტარებია საქართველოს სიძველეთსაცავებში. მოგვეძია, შეგვეკრიბა და გაგვეანალიზებია ისეთი საბუთები, რომლებიც ნათელს მოჰფენდა ჯერ რუსული ეკლესიის („ოსეთის სასულიერო კომისის“ არსებობის დროს), ხოლო შემდეგ საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკურ მიზნებს, რომელიც რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული და ქრისტიანობის აღდგენა, გავრცელება-განმტკიცებაზე ზრუნვაში პოულობდა გარეგნულ გამოხატულებას, აჩვენებდა პირდაპირ კავშირს ცარიზმის დაპყრობით, კოლონიურ პოლიტიკასა და საქართველოს საეგზარქოსოს სამოქმე-

დო ზონის რეგიონებში, ძირითადად ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი რაიონების მოსახლეობაში ქრისტიანული იდეების პროპაგანდას შორის. გამოგვეყო და წარმოგვეჩინა ის მასალები, რომლებიც დოკუმენტურად, კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდობით აჩვენებდა, როგორც „ოსეთის სასულიერო კომისიაში“ ასევე საქართველოს საგზარჩოსოს სამისიონერო საქმიანობაში ქართველი სამღვდელოების საკმაოდ აქტიური მონაწილეობის ნამდვილ არსს, მის უდიდეს მნიშვნელობას კავკასიაში ქართული ენისა და კულტურის გავრცელების, ქართველ და კავკასიის ხალხებს შორის ეკონომიკური პოლიტიკური და კულტურული ურთიერთკავშირის განმტკიცების საქმეში.

ასეთი მიზანდასახულობით, ჩვენს მიერ გულდასმით იქნა შესწავლილ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის შემდეგი ფონდები: კავკასიის მთავარმართებლის კანცელარია (ფ.12), კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია (ფ.13), საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარია (ფ. 488), საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა (ფ. 489) „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება (ფ. 493), საქართველოს ეგზარქატის „მაცნეს“ რედაქცია (ფ. 503).

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდები: იმერეთის ეპარქიის კანცელარია (ფ. 21) იმერეთის სინოდალური კანტორა (ფ. 26) და სხვ.

დასახელებულ ფონდებში დაცული საბუთები საშუალებას გვაძლევენ დაწვრილებით შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ცარიზმის და სინოდის ფარული, დაპყრობითი და შოვინისტური მიზნები კავკასიის მიმართ, რაც გარეგნულად ქრისტიანობის მშვიდობიანი, ქადაგების სახეს ატარებდა. ამ თვალსაზრისით დიდძალი დოკუმენტური მასალების (ბრძანებები, განკარგულებები, ანგარიშები, ცალკეულ რეგიონებთან და სინოდთან მიმოწერა და ა.შ.) შემცველია საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის ფონდი.

საქართველოს საეგზარქოსოს საგანმანათლებლო პოლიტიკის (რაც სამისიონერო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო) შესასწავლად პირველხარისხოვანი მონაცემებია დაცული თბილისის სასულიერო სემინარიის (ფ. 440) და „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სკოლების ინსპექციის კანცელარიის (ფ. 433) ფონდებში. ისინი კონკრეტულ საგულისხმო ფაქტებს გვაწვდიან ოფიციალური ხელისუფლების და მის სამსახურში მყოფი სასწავლებლების ანტიეროვნულ საგანმანათლებლო პოლიტიკაზე, მოსწავლე, ახალგაზრდობის და პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგების განწყობილებაზე.

ჩვენი საკვლევი თემისათვის ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს თვალსაჩინო საერო და საეკლესიო მოღვაწეთა პირადი ფონდები. მათ შორის უნდა დავასახელოთ კირიონ საძაგლიშვილის (ფ. 1458). ლეონიდ ოქროპირიძის (ფ. 1456) პოლიექტო კარბელაშვილის (ფ. 1461) დაცულია საქართველოს ცენტრა-

ლურ საისტორიო არქივში. კ. ცინცაძის (ფ. 495) კ. საძაგლიშვილის (ფ. 493, 494) და სხვების კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.

პირველწყაროს ხასიათის ბევრ მასალას შეიცავს ხელისუფლების ოფიციალური პერიოდული გამოცემები: „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე" (1841-1901) „მწყემსი" (1889-1910) „ჯვარი ვაზისა" (1906) და სხვ. მათში თავმოყრილია მონაცემები__საყურადღებო ფაქტები საეგზარქოსოს სასულიერო უწყებათა მიერ სამისიონერო მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ. აქვეა, აგრეთვე, ამავე საკითხზე ოფიციალური ხასიათის დოკუმენტები.

საკითხის ისტორიოგრაფია

XIX საუკუნის საქართველოს ეკლესიისა და საეგზარქოსოს ისტორიის შესწავლა დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში იგი მნიშვნელოვნად შეფერხდა. მარქსისტული იდეოლოგია, რომელმაც გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა, ოფიციალური ისტორიოგრაფიისაგან მოითხოვდა საზოგადოებრივ განვითარების პროცესში ეკლესიის „რეაქციული" როლის ჩვენებას. საეკლესიო-სასულიერო პრობლემებზე წერა, ფაქტობრივად ტაბუდადებული იყო, ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა, სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიისა და საეგზარქოსოს ისტორია სრულიად შეუსწავლელია. გამოქვეყნებულია ცალკეული ნაშრომები, გამოკვლევები, საეკურნალო და სხვა სახის მეცნიერული ხასიათის სტატიები, რომლებიც საქართველოს ეკლესიის და საეგზარქოსოს ისტორიის ამა თუ იმ პრობლემას აშუქებენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს საეგზარქატოს ისტორიას იკვლევენ: ქართველი, რუსი, ოსი და სხვ. ეროვნების მეცნიერები (საქართველოს საგზარქოსოს სამოქმედო რეგიონი მოიცავდა საკუთრივ საქართველოს ტერიტორიას, ნაწილობრივ სომხეთს, ჩრდ. კავკასიის ტერიტორიას). ქართული და რუსული ეკლესიების სამისიონერო საქმიანობის ისტორიიდან შედარებით უკეთესად არის შესწავლილი „ოსეთის სასულიერო კომისიის" (1743-1860) მოღვაწეობა. ამ „კომისიით", დიდი ხანია დაინტერესებული არიან ქართველი მეცნიერები. რადგან მის შექმნასა და მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველები (როგორც საერო ისე სასულიერო პირები).

ერთ-ერთი პირველი ქართველი მკვლევარი, რომელიც XVIII-XIX საუკუნეებში კავკასიაში მართლმადიდებლური ეკლესიის სამისიონერო საქმიანობის ისტორიით დაინტერესდა მ. იღურიძე იყო. მან XIX საუკუნის 80-იან წლებში ჟურნალში „Пастырь" გამოაქვეყნა ამ საკითხისადმი მიძღვნილი ვრცელი ნარკვევი (შეიძლება ითქვას ნარკვევების სერიალი), რომელშიც მი-

მოხილულია მისიონერთაგან გაწეული შრომა კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის, გავრცელებისა და განმტკიცების მიზნით.

XVIII საუკუნის ქართველი მისიონერების და „ოსეთის სასულიერო კომისიის" ქართველ თანამშრომელთა დამსახურების შესახებ, კავკასიაში ქრისტიანობის ქადაგებისა და დამკვიდრების საქმეში, ბევრი საინტერესო მოსაზრება აქვთ გამოთქმული ქართული ეკლესიის ისტორიის ცნობილ მკვლევარებს: მ. კელენჯერიძეს,[20] ეპისკოპოს კირიონს,[21] ზ. ჭიჭინაძეს,[22] ევ. ნიკოლაძეს[23] და სხვ.

თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწე და მკვლევარი-ეპისკოპოსი კირიონი თავის ნარკვევში, რომელიც 1901 წელს გამოქვეყნდა საქართველოს საეგზარქოსოს „სასულიერო მაცნეში" მოგვითხრობდა ქართული ეკლესიის როლზე კავკასიაში ქრისტიანობის გარცელების საქმეში IV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე, ყურადღებას ამახვილებდა „ოსეთის სასულიერო კომისიის" მუშაობაში ქართველი სამღვდელოების წარმომადგენელთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ იგი ხელს უწყობდა საქართველოს კულტურული კავშირების განმტკიცებას ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან.

ეპისკოპოს კირიონის მეორე ნარკვევი, რომელიც 1903 წელს დაიბეჭდა კრებულში „весь кавказ " მიძღვნილია „ოსეთის სასულიერო კომისიის" მიერ XIX საუკუნის პირველ მესამედში აფხაზეთში ჩატარებული სამისიონერო ხასიათის სამუშაოებისადმი, რასაც, ძირითადად, სამეგრელოს ეპარქიის ქართველი სასულიერო პირები ეწეოდნენ. რაც შეეხება ეპისკოპოს კირიონის ნაშრომს „Краткий очерк Грузинской церкви и Эгзархата в XIX столетии" ეს არის პირველი სერიოზული ცდა მონოგრაფიულად იქნას წარმოდგენილი საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია, დღიდან მისი შექმნისა საუკუნის ბოლომდე.

ეპისკოპოს კირიონის მიერ ამ მიმართულებით დაწყებული საქმე, თუ შეიძლება ასე ითქვას, გააგრძელა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, მკვლევარმა და პედაგოგმა მ. კელენჯერიძემ. მის წიგნში „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია", რომელიც 1918 წელს გამოიცა ქუთაისში, სათანადო ყურადღება ექცევა ქართველ მისიონერთა მოღვაწეობას ადრეული პერიოდიდან XVIII საუკუნის ჩათვლით არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და ჩრდ. კავკასიაში.

XII-XIII საუკუნეების ქართველი მისიონერების საქმიანობასა და „ოსეთის სასულიერო კომისიის" დიდ მნიშვნელობაზე საქართველო-ოსეთის სარწმუნოებრივ-კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში, მრავალრიცხოვან ფაქტებზე დაყრდნობით წარმოაჩენდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძე. მართალია მკვლევარის ზოგიერთი მოსაზრება, ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მიღწევების შუქზე, შეიძლება გადასასინჯი იყოს, მაგრამ თავისი დროისათვის

მათ დადებითი როლი შეასრულეს ქართული ეკლესიის ისტორიისადმი ჩვენი საზოგადოების ინტერესის გაღვივებაში.

„ოსეთის სასულიერო კომისიის" ისტორიის ცალკეული საკითხებია განხილული ვ. მაჭარაძის,[24] ბ. ანდრონიკაშვილის[25], ა. ბენდიანიშვილის[26], ფრ. სიხარულიძის[27] და სხვ:. ნაშრომებში. ეს უკანასკნელი თავის გამოკვლევაში „მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან" ახლადგამოვლენილი საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე განიხილავს მოსკოვში ქართველთა დასახლების, ჩამოყალიბების დროსა და პირობებს, აღწერს ქართველთა საეკლესიო-იდეურ ცხოვრებას, ახალი უცნობი დოკუმენტების გამოყენებით აშუქებს „ოსეთის სასულიერო კომისიაში" და საერთოდ XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში, ქართველთა მოღვაწეობას სამისიონერო სარბიელზე.

საქართველოს ეკლესიის, კონკრეტულად საეგზარქოსოს, ეკონომიკურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, მის მიერ გატარებულ ღონისძიებას საეკლესიო-სასულიერო განათლებისა და სასულიერო-სამისიონერო სფეროში, სპეციალურად სწავლობს მკვლევარი მ. ხუციშვილი. მის სქელტანიან მონოგრაფიაში „საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში",[28] მართალია, გათვალისწინებულია ოფიციალური ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიისადმი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთლიანობაში, ქართული ეკლესიის ახალი და უახლესი ისტორიის შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტია თავმოყრილი და მეცნიერულად გაანალიზებული. მ. ხუციშვილმა[29] ცალკე ნაშრომი მიუძღვნა საკითხს რა როლს ასრულებდა საქართველოს საეგზარქოსო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებაში. ნაშრომი გაჯერებულია ახლადმოპოვებული საარქივო მასალებით, როგორც „ოსეთის სასულიერო კომისიის" ასევე, „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" შესახებ.

„ოსეთის სასულიერო კომისიაზე" ვრცლადაა საუბარი გ. თოგოშვილის მონოგრაფიაში[30], რომელიც საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიას ეხება. ავტორი განიხილავს რა ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობებს კულტურულ სფეროში, ცხადია გვერდს ვერ უვლის „ოსეთის სასულიერო კომისიის" მუშაობას ამ მიმართულებით, ქართველ სასულიერო თუ საერო პირთა დამსახურებას ამ დარგში, მაგრამ შეინიშნება ქართველთა როლის შეუფასებლობის ცდა, რამაც ქართველ ისტორიკოსთა მხრიდან სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია. გ. თოგოშვილი საგანგებოდ ჩერდება ოსური ანბანის შექმნის ისტორიაზე, აღნიშნავს იმ წვლილს, რაც ამ საქმეში მიუძღვით გაიოზ რექტორსა და იოანე იალღუზიძეს რომელიც მისი აზრით, ეროვნებით ოსია და განათლება საქართველოში აქვს მიღებული.

გაიოზ რექტორს ეძღვნება ბ. დარჩიას სპეციალური მონოგრაფია[31], რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის მოღვაწეობას „ოსეთის სასულიერო

კომისიაში". ამ ნაშრომში გაიოზი წარმოჩენილია, როგორც თვალსაჩინო პედაგოგი და სასულიერო მოღვაწე.

ოსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის შესწავლის პროცესში მკვლევარი ტ. სარიშვილი[32] ყურადღებას ამახვილებს „ოსეთის სასულიერო კომისიისა" და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ქართველი თანამშრომლების პედაგოგიურ მუშაობაზე ოს მოსახლეობაში, მათ დამსახურებაზე ოსეთში ქრისტიანობისა და ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში.

საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიას მიეძღვნა მკვლევარ ჭ. პავლიაშვილის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა 1995 წელს „საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში"[33]. ნაშრომში განსაზღვრულია საეგზარქოსოს ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის საეკლესიო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, წარმოჩენილია საეგზარქოსოს პოლიტიკა საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მიმართ, ქართველი სამღვდელოების ადგილი და როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ვრცლადაა განხილული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საქართველოს ეკლესიის ბრძოლის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. ნაჩვენებია, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრობლემის შემადგენელი ნაწილი იყო.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობა რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების პერიოდში. ქართველი სამღვდელოების აქტიური მოღვაწეობა ეროვნული კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეში, შესწავლილია საეგზარქოსოს მიერ გაწეული მუშაობა რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებს შორის არსებულ პერიოდში.

მრავალრიცხოვან მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიის მმართველობის, საეკლესიო-სასულიერო განათლებისა და სასულიერო-სამისიონერო სფეროში გატარებული ღონისძიებების მიზნები და ამოცანები.

პროფ. ა. ბენდიანიშვილის ფუნდამენტალურ მონოგრაფიაში „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ."[34] ნათლადაა წარმოჩენილი ქართული ეკლესიის როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა განხილულია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლასთან მჭიდრო კავშირში. ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს ქართველი სამღვდელოების დიდ წვლილს ეროვნული თვითგამორკვევის საქმეში.

ჩვენ საკელევ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება პროფ. გ. გასვიანის რამდენიმე შრომა, რომელთაგან გამოვყოფთ სქელტანიან მონოგრაფიას „დასავლეთ

საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან".[35] მასში გაშუქებულია დასავლეთ საქართველოს მთიანეთის შუა საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის საკითხები, კერძოდ სვანეთის საზოგადოების სოციალური შემადგენლობა, საბატონო და საეკლესიო მიწათმფლობელობის ფორმები, საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათი, ცარიზმის მიერ სვანეთის დაპყრობა და სამთავროს გაუქმება. ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს სვანეთში სამისიონერო საქმიანობას და სვანეთის ეკლესიის მდგომარეობის ჩვენებას.

მკვლევარ ი. ბექირიშვილის ნაშრომში „ქრისტიანობა აჭარაში"[36], რომელიც რამდენჯერმე გამოიცა თავმოყრილია უხვი და მრავალფეროვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ლიტერატურულ-ტოპონიმიკური მასალები ქრისტიანობის გავრცელებაზე აჭარაში. ავტორი ვრცლად მოგვითხრობს ისლამის გავრცელების წინააღმდეგ ქრისტიანობის, ქართველობის, ეროვნული ტრადიციების აჭარის მოსახლეობის თავდადებული ბრძოლის შესახებ. ავტორი შედარებით მოკლედ ეხება „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მიერ აჭარაში გატარებულ ღონისძიებებს.

აჭარაში „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" საქმიანობა, შედარებით, ვრცლადაა ასახული მკვლევარების ვ. ტარტარაშვილისა[37] და შ. მეგრელაძის[38] შრომებში. ვ. ტარტარაშვილი მდიდარ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკასთან კავშირში განიხილავს „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" საქმიანობას აჭარაში. ხოლო შ. მეგრელაძე პირველწყაროების გამოყენებით, მოგვითხრობს ამ რეგიონში „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" განყოფილების დაარსებასა და მის პირველ ნაბიჯებზე.

საინგილოში საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო საქმიანობა საფუძვლიანადაა წარმოდგენილი პროფ. მ. დუმბაძის ცნობილ მონოგრაფიაში[39] საქართველოს ამ უძველესი მხარის შესახებ. აღმოსავლეთ კახეთის-საინგილოს ისტორიის საერთო ფონზე, ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს ამ რეგიონის მოსახლეობის გმირულ ბრძოლაზე მაჰმადიანობის წინააღმდეგ, როგორ იცავდა იგი დედაენას, ქრისტიანობას, ადათ-ჩვეულებსა და ტრადიციებს. ავტორს ნაჩვენები აქვს XIX ს. პირველ ნახევარში საინგილოში ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელებისათვის ცარიზმის მიერ გატარებული ღონისძიებანი, მათი მიზნები და ობიექტური შედეგები.

საინგილოში „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მოღვაწეობას ეხება ვ. ტარტარაშვილის რამდენიმე ნარკვევი[40], რომლებშიც ავტორი, მეცნიერული კეთილსინდისიერებით გადმოსცემს ამ რეგიონში არსებულ მეტად რთულ სასულიერო-სარწმუნოებრივ ვითარების სურათს. ვ. ტარტარაშვილი განსაკუთრებით ვრცლად მოგვითხრობს ცნობილი მოღვაწისა და მისიონერის ტ. ივანიცკის (ინგილოს) მოღვაწეობის შესახებ.

საინტერესოა, გ. ჩანგაშვილის გეოგრაფიულ-ისტორიული ნარკვევი საინგილოზე[41]. მასში ავტორი მიმოიხილავს საინგილოს საზღვრებს, გეოგრაფიულ თავისებურებებს, ისტორიის ძირითად ეტაპებს, ირანის, თურქეთის, დაღესტანის და სხვათა დამოკიდებულებას ამ მხარისადმი. ნაჩვენებია როგორ მოწყდა იგი საქართველოს და ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური ერთეული საინგილო, როგორ მოექცა მაჰმადიანობის გავლენის ქვეშ. ნაშრომში საკმაო მასალაა მოტანილი რუსეთის მიერ საინგილოს დაპყრობასა და აქ მის საეკლესიო-კოლონიზატორულ, სამისიონერო პოლიტიკაზე.

როცა საინგილოზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით ისეთ საინტერესო გამოკვლევას, როგორიცაა პროფ. თ. პაპუაშვილის „ჭარ-ბელაქანი".[42] მასში მკვლევარი მდიდარი საარქივო მონაცემებით განიხილავს ჭარ-ბელაქნის (საინგილოს) ისტორიის ძირითად საკითხებს დაწვრილებით ჩერდება XIX საუკუნის პირველ მესამედში საინგილოში ქრისტიანთა მდგომარეობასა და ქართველი ბერების თავდადებულ სამისიონერო მუშაობაზე.

სამხრეთ საქართველოს, კერძოდ სამცხე-ჯავახეთის საეკლესიო ცხოვრების ნათელი სურათია მოცემული პროფ. შ. ლომსაძის ფუნდამენტალურ მონოგრაფიაში „სამცხე-ჯავახეთი"[43]. საარქივო მასალებისა და ნარატიული წყაროების გამოყენებით, მკვლევარი მოგვითხრობს რა მდგომარეობაში იმყოფებოდა მართლმადიდებელი ეკლესია ამ რეგიონში, რა დღეში ჩააგდო იგი თურქეთის დაპყრობითმა პოლიტიკამ. სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მას გრიგორიანული ეკლესია, რომელიც დაბეჯითებით ცდილობდა მთელი სამცხე-ჯავახეთის გასომხებას. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სომხურ ეკლესიას ზურგს უმაგრებდა ცარიზმი, რომელმაც პასკევიჩის პროექტის მიხედვით 1828-1829წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ გათავისუფლებულ ქართული მიწებიდან მასობრივად აყარა მაჰმადიანი-ქართველი მოსახლეობა და სომხები ჩამოასახლა.

საქართველოს მთიანეთში თუშ-ფშავ-ხევსურეთში მართლმადიდებლური ეკლესიის სამისიონერო საქმიანობის ისტორიაზე მუშაობდნენ: ს. მაკალათია[44], ვ. ელანიძე,[45] აბ. შავხელიშვილი[46] და სხვ.

ჩრდ. კავკასიაში ქართველთა საეკლესიო-სამისიონერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეხება არაერთი მეცნიერული გამოკვლევა, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროფ.. ზ. ანჩაბაძის რედაქტორობით გამოცემული ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები.[47] მასში დიდძალი პირველწყაროებისა და არსებული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების სურათი, გაშუქებულია ჩრდ. კავკასიაში რუსული მმართველობის შემოღების, მხარის კოლონიზაციის, მუჰაჯირობის, საადგილმამულო ურთიერთობების, საგლეხო რეფორმის, სოციალური და ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის

საკითხები. „ნარკვევებ'ში" ვრცლადაა განხილული ქართული ეკლესიის დამსახურება ამ რეგიონში. ქრისტიანობის გავრცელებისა და კავკასიის ხალხებთან საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა განმტკიცების საქმეში.

ჩრდ. კავკასიაში ქართველთა, მათ შორის სასულიერო პირთა მოღვაწეობას ეხება პროფ. შ. ხანთაძის ნარკვევი „ქართველი მოღვაწეები ჩრდ. კავკასიაში XVIII ს."[48]

მართლმადიდებლური ეკლესიის სამისიონერო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს შეადგენდა აფხაზეთი. ამიტომ სავსებით გასაგებია ისტორიკოსთა დაინტერესება აფხაზეთში ქრისტიანობის ისტორიის საკითხებით. ამ საკითხზე ერთ-ერთი უახლოესი გამოკვლევის ავტორია გ. როგავა[49]. მის ნაშრომში „რელიგია და ეკლესია აფხაზებში", პირველად ქართულ ენაზე განხილულია აფხაზებში რელიგიური შეხედულებების განვითარების ძირითადი ეტაპები. ნაჩვენებია აფხაზეთში წარმართული რწმენის თავისებურებანი, გაანალიზებულია აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების ისტორიული პირობები. აფხაზთა დაბრუნება წარმართობაზე, ისლამის შემოტევა და ქრისტიანობის დასუსტება XVI-XVIII ს.ს. XIX ს-ში „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მიერ გატარებული ღონისძიებანი, ცარიზმის შოვინისტური, აშკარად გამოკვეთილი ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკა საქართველოს ამ ძირძველ და განუყოფელ მხარეში. ჩვენი საკვლევი თემისათვის საინტერესო საკითხებია განხილული გ. როგავას მეორე მონოგრაფიაში „საქართველოს ეკლესიის ისტორია".

საყურადღებოა ქალბატონ ნ. გულუას გამოკვლევა (საკანდიდატო დისერტაცია) „აფხაზეთი--XIX საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდულ გამოცემებში"[50]. მასში აფხაზეთის ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად, სათანადო ყურადღება ეთმობა „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების" სამისიონერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო, სასულიერო-საგანმანათლებლო საქმიანობა განხილულია მთელ რიგ შრომებში. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ტრ. რუხაძის[51] „ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში", მისივე „ცარიზმი და ხალხთა განათლება საქართველოში 1801-1917წ.წ." ნ. პაპავას „სასულიერო განათლება საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარში (1864-1900 წწ.)[52] ტ. სარიშვილის[53] „სახალხო განათლების საკითხები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე", მისივე „ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა 1801-1921 წწ.", გ. თავზიშვილის[54] „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801-1870 წწ) და სხვ.

საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებს ეხებიან თავიანთ შრომებში: თ. ბოცვაძე[55], მ. ცინცაძე[56], ზ. ვანეევი[57], გ. ძიძარია[58] და სხვ.

სამიოდე წლის წინ გამოვიდა ვ. თორაძისა და ნ. თორაძის მონოგრაფია „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია__XIX-XX საუკუნეებში“[59], რომელიც მეცნიერული თვალსაზრისით ბევრ ლაფსუსსა და ხარვეზს შეიცავს, თუნდაც ჩვენ საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

ჩვენ საკვლევ თემასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, ქართული ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, ქალბატონ ბაბილინა ლომინაძის შრომები, რომლებშიც მრავალრიცხოვან პირველწყაროებზე დაყრდნობით განიხილავს საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობის ამა თუ იმ მხარეს, წარმოაჩენს თვითმპყრობელობისა და მისი საეკლესიო უწყების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სარწმუნოებრივ მიზნებს საქართველოს მიმართ.

1995 წელს ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდთან არსებულმა გამომცემლობა „კანდელმა“ დასტამბა ფრანგული ენიდან ნათარგმნი, 1910 წელს რომში გამოცემული მიხეილ თამარაშვილის „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“[60] (რედაქტორები: ზაზა ალექსიძე და ჯუმბერ ოდიშელი). მ. თამარაშვილის აღნიშნულ შრომას, მიუხედავად იმისა, რომ იგი მეორე გამოცემაა, ქართველი მკითხველის უმრავლესობა პირველად ეცნობა, რადგან ნაშრომის უცხოურ ენაზე არსებობამ და რაც მთავარია, მისმა ბიბლიოგრაფიულმა იშვიათობამ განაპირობა, ის, რომ იგი მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი.

და რაც მთავარია ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევით დაინტერესებული პირი გვერდს ვერ აუვლის ამ ფუნდამენტურ გამოკვლევა-ნაშრომს და ჩვენს შემთხვევაშიც ასეა.

ოსი ისტორიკოსებიდან, რომლებიც ჩვენ საკვლევ თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობდნენ, შეიძლება დავასახელოთ მ. ბლიევი[61], ბ. ბიგულაევი[62], გუგკაევი[63], ტოტოევი[64], სკიტსკი[65], ბუშუევი[66], და სხვ. მათგან უნდა გამოვყოთ მ. ბლიევი, რომლის მონოგრაფია „Осетинское посольство в Петербурге 1749-1755 гг“, რომელიც XVIII ს. პირველ ნახევარში ოსეთ-რუსეთის ურთიერთობის ისტორიას ეხება და რომელშიც აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რა როლი შეასრულა „ოსეთის სასულიერო კომისიამ“ ამ ურთიერთობათა განვითარებასა და განმტკიცებაში. ავტორი, მდიდარ საარქივო მასალებზე დაყრდნობით დაწვრილებით მოგვითხრობს როგორ მომზადდა ელჩობა, როგორ შეირჩა მისი შემადგენლობა რუსეთისადმი დამოკიდებულების

ნიშნის მიხედვით, „ოსეთის სასულიერო კომისიის" ხელმძღვანელ პახუმის დამსახურება. ოსეთ-რუსეთის სასულიერო და კულტურული კავშირების განმტკიცების საქმეში, მის წინააღმდეგ მოწყობილი ინტრიგების შესახებ.

საყურადღებოა ბ. ბიგულაევის მონოგრაფია ოსური დამწერლობის შესახებ. ავტორის აზრით__ოსური დამწერლობის ანბანის შემქმნელები არიან__გაიოზ რექტორი და იოანე იალღუზიძე. ვიდრე დასახელებული პირები ოსურ ანბანს შექმნიდნენ „ოსეთის სასულიერო კომისიის" წევრები ოს ახალგაზრდობას ქართული ანბანის__ნუსხა-ხუცურის გამოყენებით ასწავლიდნენ. გაიოზ რექტორმა, მთავრობის დავალებით ოსური ანბანი შექმნა. მან ქართულ ასოებს რუსული ასოგრამები დაამატა და ასე დაიბეჭდა პირველი ოსური წიგნი.

ოსური ანბანი, რომ „ოსეთის სასულიერო კომისიის" ხელმძღვანელის__ეპისკოპოს გაიოზისა და მისი თანამშრომლების (ი. იალღუზიძე და სხვ.) მიერ იქნა შედგენილი, ამაში ეჭვი არავის ეპარება და საკამათოც არაა, მაგრამ ზოგი მკვლევარი მაინც ცდილობს მიჩქმალოს ქართველთა დამსახურება და წინ წამოსწიოს XIX საუკუნის პირველი მესამედისა და შემდეგი პერიოდის რუსი მეცნიერების__შეგრენის, შიფრენის, უსლარის და სხვათა სახელები. ტოტოევი, სკიტსკი, ბუშუევი და სხვ. ცდილობენ „დაასაბუთონ", რომ ოსური ანბანი რუსული გრაფემა-გრაფემების გამოყენებით ზემოთ დასახელებულმა მეცნიერებმა შეადგინეს. მათ შრომებში აშკარად სჩანს ტენდენცია დაამცირონ ქართველთა როლი ოსური ანბანის შექმნის საქმეში.

კავკასიაში მართლმადიდებლური ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობის ისტორიის რუსი მკვლევარებიდან უნდა დავასახელოთ ე. გრეკულოვი[67], ტიტოვი[68], ლარინა[69] და სხვები. მათგან გრეკულოვმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა რუსეთის ეკლესიას XVIII-XIX საუკუნეების ისტორიას, რომელშიც საკმაოდ დაწვრილებით არის საუბარი „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებაზე". განსაკუთრებით კულტურის სფეროში, მათ მიერ გაწეულ მუშაობაზე.

რუსული ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობას ეხება კრებული[70], რომელშიც ცალკე ნაშრომი მოგვითხრობს ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობაზე „განაპირა მხარეებში (ციმბირი, ვოლგისპირეთი და ა.შ.) მათ შორის მოკლედ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" შესახებ.

რუსეთის ეკლესიის როლზე, კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებასა და გავრცელების საქმეში მოკლედ მოგვითხრობს ვ. ტიტოვის საინტერესო შრომა მართლმადიდებლობის შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს პერიოდულ პრესაში („დროება", „ივერია", „კვალი", „ცნობის ფურცელი", „მოგზაური", „კავკაზ" „ტიფლისკი ლისტოკ" და სხვ.) გამოქვეყნებული წერილები, სტატიები, კორესპოდენციები, რომლებიც „ოსეთის სასულიერო კომისიის" და „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" და მათში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთა მუშაობას ეხება ქრისტიანობის აღდგენისა და გავრცელების დარგში.

თავი პირველი

საქართველო XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში

§1. „ოსეთის სასულიერო კომისია". შექმნა და მისი მოღვაწეობა.

კავკასიაში რუსეთისა და ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში. მეტოქეები სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ღონისძიებებთან ერთად, ფართოდ იყენებდნენ ბრძოლის იდეოლოგიურ საშუალებებსაც, რასაც ემსახურებოდა ამ მხარეში მათი სარწმუნოებრივი პოლიტიკაც, კავკასიის მოსახლეობის არა მარტო ეთნიკური, არამედ რელიგიური სიჭრელე ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა პოლიტიკური ინტრიგებისათვის. კავკასიაში მტრულ-მოყვრული ურთიერთობებით საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ქრისტიანები და მაჰმადიანები (ძირითადად მიურიდიზმის მიმდევრები), ირან-ოსმალეთის აგრესიის შედეგად გამაჰმადიანებული ქრისტიანები. აღსანიშნავია ისიც, რომ მთიანეთში საკმაოდ ძლიერი იყო წარმართობის გადმონაშთები.

რუსეთის ცარიზმი თავის დაპყრობით პოლიტიკას კავკასიაში მაჰმადიანური შემოტევისაგან ქრისტიანული მოსახლეობის დაცვის ლოზუნგით ნიღბავდა. კავკასიის ქრისტიანული ხალხები გარკვეული დროის მანძილზე ერთმორწმუნე რუსეთში მართლაც ხედავდნენ თავიანთ საიმედო დამცველს ამ მიმართულებით აქტიურად მოქმედებდა ქრისტიანული ეკლესია. ცარიზმის მიერ დაპყრობილი ხალხების რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულებაზე დაფიცება ხდებოდა სამღვდელოების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით.

თავის მხრივ ირან-ოსმალეთის მმართველი წრეები კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობას მოუწოდებდნენ გაერთიანებულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. სამივე აგრესორის (ირანი, ოსმალეთი და რუსეთი) დაპყრობით გეგმებში უპირველესი ადგილი ეჭირა საქართველოში გაბატონების საკითხს.

კავკასიის ხალხებს შორის თავისი სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო რუსეთის ცარიზმმა თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო

ოსეთს (მასზე გადიოდა რუსეთიდან ამიერკავკასიისაკენ მიმავალი უახლოესი გზა), ოსეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, ქართული ეკლესიის აქტიური სამისიონერო მოღვაწეობის შედეგად. მე-13 მე-14 საუკუნეებამდე ქრისტიანული იყო.

1743 წელს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა შექმნა „ოსთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო მისია"—„ოსეთის სასულიერო კომისია", ეს იყო ცარიზმის პირდაპირი პასუხი კავკასიაში ანტირუსული მაჰმადიანური პროპაგანდის გაძლიერებაზე.

სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ჯეროვნად არაა შესწავლილი „ოსეთის სასულიერო კომისიის" მრავალმხრივი საქმიანობის ამსახველი მასალები, რომლებიც სხვადასხვა სიძველეთსაცავებშია გაფანტული. მათი თავმოყრა და გაანალიზება ქართული ისტორიოგრაფიის ამოცანაა, რადგან „ოსეთის კომისიაში" წამყვან ძალას ქართველები წარმოადგენენ.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართველებსა და ოსებს მრავალი საუკუნის წინათ გარკვეული ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ. ბუნებით ლამაზი, მდიდარი და კულტურულად ძლიერი საქართველო უძველესი დროიდანვე იქცევდა, როგორც მეზობელი, ასევე შორეული ქვეყნების ყურადღებას. საქართველოსადმი განსაკუთრებით დიდ დაინტერესებას იჩენდნენ კავკასიის მთის ხალხები.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია აგრეთვე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე და მის გარეთაც ქართული კულტურა დიდი წარმატებით ვრცელდებოდა. ეკლესია-მონასტრებზე, ფეოდალურ ციხესიმაგრეებსა და სხვა ნაგებობებზე დაცული ძველი ქართული წარწერები, სიგელ-გუჯრები, მხატვრულ-კერამიკული ნაკეთობანი და სხვა ძეგლები აშკარად მოწმობენ ქართული კულტურის უდიდეს გავლენას, მის როლს სხვადასხვა ეროვნებათა და ხალხთა კულტურულ განვითარებაში. როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე „ოსეთში სხვადასხვა ძველნი ნაშთებიც მრავლად არის ნაშენნი. უმეტესად ქართველ მეფეთაგან გაკეთებული კოშკნი, ეკლესია-მონასტრები. ბევრს ქართული მინაწერიც აქვს, ბევრი შემუსვრილ არს მტერთაგან".

ფაქტია, რომ ქართველებსა და ოსებს საერთო სარწმუნოება, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის იდეა და კულტურული ერთობის მნიშვნელობის შეგნებისაკენ მისწრაფება აკავშირებდათ.

ქრისტიანობის გავრცელებამ ქართლში და არა მარტო ქართლში, საერთოდ საქართველოში ხელი შეუწყო საეკლესიო ქრისტიანული კულტურისა და სწავლა-განათლების ახალ სარწმუნოებრივ საფუძველზე გაშლას.

VIII-IX საუკუნეებში ქართული ლიტერატურა მრავალფეროვანი გახდა, ქართული კულტურა საქართველოს ფარგლებს გასცდა. ჯერ კიდევ IX საუკუნეში, როგორც ქართლში ისე ტაო-კლარჯეთში, ქართული ენა იყო მწერ-

ლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. მაგრამ, ამასთან ერთად, „ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც, პირველ რიგში ჩერქეზებსა და ალანებში"[5].

ქართული კულტურის შესწავლას დაეწაფა არა მარტო ქართველი მოსახლეობა, არამედ ჩერქეზები, ოსები და მთის სხვა ხალხები ჩრდ. კავკასიისა.

XI-XII საუკუნეებში ქართული კულტურის სხივები საქართველოს ფარგლებს იქითაც სწვდებოდა. ისმოდა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ".[6]

დავით აღმაშენებლის ხანაში საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული გავლენა მეზობელ და მახლობლად მდებარე სახელმწიფოებსა და ქვეყნებზე თვალსაჩინოდ გაიზარდა.

კავკასიის ხალხთა შორის მეგობრული კავშირისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის დარგში დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში მიღწეული წარმატებანი, გიორგი III-სა და თამარის მეფობის ხანაში კიდევ უფრო განმტკიცდა.

მას შემდეგ, რაც კავკასიამ მონგოლთა შემოსევები განიცადა, ბევრს სხვა ქვეყანასთან ერთად, ოსეთის სამეფოც დასუსტდა. თვით ოსები მონღოლებმა ძალზე შეავიწროვეს. ვახუშტის გადმოცემით: „...შემდგომად ჩინგიზ ჯენთა მოსვლისა, ბათო ჯენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა, ხოლო ოვსნი შემოილტოდნენ კავკასიათა შინა"[7]... ოსეთში შინაური არეულობა და ქიშპობა გაძლიერდა.

XIII საუკუნის დამლევის და XIV საუკუნის დასაწყისში შინაგანი მტრობისა და ქიშპობის გაძლიერებამ საქართველოს სამეფო დაასუსტა, რასაც შედეგად მოჰყვა ოსთა მომძლავრება და მათი თანდათანობით ჩამოსვლა ქვეყანაში ჯერ მოწყალების სახით, ხოლო შემდეგ როცა ფეხი მოიკიდეს დაიწყეს ქართველთა შევიწროვება და მონღოლთა სამსახურში შესვლა საპოლიციო რაზმების სახით. ვიდრე გიორგი ბრწყინვალემ არ გარეკა ოსები საქართველოს ფარგლებს გარეთ. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ტ. სარიშვილსა[8] და გ. თოგოშვილს[9] იმაში თითქოს ამ პერიოდში ქართველებსა და ოსებს შორის მეგობრულ-კულტურული ურთიერთობა გრძელდებოდა და ადგილი არ ჰქონდა ზემოთ მოტანილ ამბებს.

იყო შემთხვევები, როცა ირან-თურქეთის დამპყრობლებისა და ადგილობრივ ამხედრებული ზოგიერთი თავაშვებული მებატონის წინააღმდეგ, ქართველი მეფეები ოსებში თავიანთ დამხმარე ძალას პოულობდნენ, ხოლო სამაგიეროდ ისინი ფულად გასამრჯელოს, საქართველოს ქალაქებში „თავისუფლად" მგზავრობისა და ვაჭრობის უფლებას, „აზნაურის წოდებას", სიგელებსა და სხვ. საჩუქრებს იღებდნენ.[10] ქართველებსა და ოსებს შორის ამგვარი კავშირის განმტკიცების იარაღად გამოყენებული იყო ქრისტიანული რელიგია-ქართველი

მეფეები ოსეთში აგებდნენ ქართული სტილის ეკლესია-მონასტრებს, აწარმოებდნენ წინათ დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას. აძლიერებდნენ ეკლესიის მსახურთა მისიონერულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რაც თავის მხრივ გარკვეულ გამოხატულებას პოულობდა ქართველთა და ოსთა კულტურულ ურთიერთობაში, ენისა და მეტყველების ურთიერთზეგავლენასა და განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ XVI-XVII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიელ ოსებზე ქართველთა პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენა ოსმალეთის მიერ მაჰმადიანობის გავრცელების შედეგად საკმაოდ შესუსტდა. კავშირი მათ შორის საბოლოოდ მაინც არ გაწყვეტილა. საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, იგი მკვეთრად გამოხატულ კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობაში და ოს ხალხზე ქართული კულტურის გარკვეულ ზეგავლენაში მეღავნდებოდა. ქართველი მწიგნობრის გადმოცემით 1640 წელს თეიმურაზ კახთა მეფემ, რომელმაც დროებით ოსეთს შეაფარა თავი „...შეადგინა ოსთა ძეთა დასი და მათ მიუჩინა წერა-კითხვის მასწავლებელნი, რომელთაც ოსეთში გახსნეს სკოლები[11].

საქართველოს კულტურულ-სამეურნეო აღორძინება თვალსაჩინოდ წარმოჩნდა XVIII საუკუნის დასაწყისიდანვე. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისათვის ეს სანეტარო პროცესი ხანმოკლე აღმოჩნდა. ქართველ პოლიტიკოსთა სწრაფვამ დიდი მიზნებისაკენ მალე უფსკრულის პირას დააყენა საქართველო.

კავკასიის პროგრესული საზოგადოების გაერთიანების დიდი საქმის გამარჯვებამდე მისაყვანად საქართველოს ძალები არ ეყო. ყველაფრიდან ჩანდა, რომ უმოკავშიროდ ჩვენი სამშობლოს მეთაურობით კავკასიის წინაშე მდგარი ამოცანები იმხანად წარმატებით ვერ გადაწყდებოდა ამის მიუხედავად, ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწეები არ ეხსნებოდნენ ოდინდელ საქართველოს რესტავრაციას.[12]

ჩვენი სამშობლოს წარმატებულმა ხანმოკლე აღორძინებამ. საუკუნეების მანძილზე ერთმორწმუნე რუსეთიდან და ევროპის სხვა სახელმწიფოებთან მრავალმხრივი ურთიერთობის გაღრმავებამ ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილში ქართველთა მეთაურობის ოდინდელი ერთიანი კავკასიის აღდგენის იდეა გააცოცხლა.

რუსეთის დახმარებით ლეკთა თარეშების აღკვეთისა და ტყვეებით ვაჭრობის მოსპობის იმედები დიდი იყო. საქართველოს უშუალოდ დამეზობლებული ხალხებიდან მხოლოდ რუსები ებრძოდნენ ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობას და რუსეთის ხელისუფალთა მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად არაერთი დაკარგული ქართველი დაუბრუნდა სამშობლოს. დავით გურამიშვილის ტრაგიკული ისტორიაც ხომ ამის მაგალითია[13]. გარეგნულად რუსეთი ასეთად ჩანდა, სინამდვილეში კი მას სხვა ზრახვები ჰქონდა, რომელიც მან 1801 წლის

აქტით დაამტკიცა (გამოამჟღავნა).

თუ სამხრეთით და აღმოსავლეთით ქართველთა წინსვლას ხელს უშლიდა ზღუდედ აღმართული მაჰმადიანური სამყარო, იმიერკავკასიის სხვადასხვა რეგიონში რკალის გარღვევასა და ქართველთა ძველისძველ განსახლებათა აღორძინებას თითქოს საიმედო პირი უჩანდა.

ქართველი ხელისუფალნი რუსეთთან ურთიერთობაში დიდ ყურადღებას უთმობდნენ კავკასიასა და საერთოდ, მთიელთა საკითხს. 1667 წელს მოსკოვში მყოფი ქართველი მიტროპოლიტი ეპიფანე რუსეთის დიპლომატთა ყურადღებას კვლავ დაჟინებით ჩაჩნეთზე მიაქცევდა.

არჩილი, ალექსანდრე ბატონიშვილი და სხვ. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ოსთა სხვადასხვა თემისა და ყაბარდო-ჩერქეზეთის სამთავროების რუსეთის სახელმწიფოსთან დასაკავშირებლად.

არჩილ მეფე წლების მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ოსეთში (თუკი დვალეთს მივიჩნევთ სამხრეთ ოსეთად, ვ. წ.), ყაბარდო-ჩერქეზეთში. მისი მეცადინეობით ჩერქეზთა ბატონის ყილჩიყო ბაყიშვილის სახლის შვილი რუსუდანი ქართლის სამეფოს დედოფალი გახდა. ალექსანდრე ბატონიშვილმა სამშობლოში გამგზავრების წინ მოსკოვში მონათლა სიყრმის მეგობარი, ძმადნაფიცი ოსი წარჩინებული ანალუკი და მას იოთამი დაარქვა.[14]

ოსთა მიერ ქართული ენის ცოდნა გარკვეულ ფარგლებში ქართული დამწერლობის ცოდნასაც გულისხმობდა, მთელი საქმიანი მიმოწერა ქართლის და იმერეთის მმართველი წრეებისა ოსებთან თუ პირიქით, ქართულ ენაზე წარმოებდა.

ქართლის პოლიტიკურ მესვეურთა ნაბიჯები ოსთა თავის გავლენის ორბიტაში მოსაქცევად უეჭველად უნდა გულისხმობდეს მათ შორის გარკვეულ სამისიონერო მოღვაწეობასაც. ჩვენს ხელთ არსებული მასალები არ იძლევა საშუალებას თვალი გავადევნოთ ამ მოღვაწეობის პროცესს და თავისებურებებს XVIII საუკუნემდე; XVIII საუკუნისათვის კი უკვე ასეთი საქმიანობის შესახებ პირდაპირი მითითებანი გვაქვს. ვახუშტი აღნიშნავდა, რომ ოსთა შორის არიან ქრისტიანები რომელთაც ნათლისღება ქართლსა და რაჭაში აქვთ მიღებული.[13] ამის გარდა ცნობილია, რომ ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთში გახიზნულ სასულიერო პირებს შორის ბევრს სცოდნია ოსური ენა და ამდენად მოულოდნელი არაა ის ფაქტი, რომ ოსთა შორის ქრისტიანობის მასობრივი გავრცელებისათვის სპეციალური სასულიერო კომისიის შექმნის იდეა მათ წამოაყენეს.[16]

1722 წლის 28 სექტემბერს პეტრე I ვახტანგ VI-ს წერდა ქართველების დარუბანდსა და შემახაში დასასახლებლად მიზიდვაზე. დიდი იმედებითა და სამომავლო გეგმებით გაემგზავრა ემიგრაციაში ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი

ამალით.

იმიერკავკასიაში გადასვლისთანავე თვალსაჩინო ქართველმა სასულიერო პირებმა გამოაცოცხლეს ამ მხარეში მისიონერული მოღვაწეობის ტრადიცია. მანგლელმა ეპისკოპოსმა იოსებმა (სააკაძემ) თავის სამოღვაწეოდ დაღესტანი აირჩია და მის მიერ გამოცოცხლებულ ქართულ საქმეს ზურგი რუსეთის სამხედრო, სასულიერო უწყებათა ქმედითი დახმარებით გაუმაგრა. რუსეთისაგან ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერით იმედმოცემულმა თავდადებულმა ქართველმა იდეურმა მოღვაწემ დარუბანდში ქართული მონასტერი ააშენა და თანამემამულეთა მრავალრიცხოვანი მრევლი შეკრიბა.[17]

თავის მხრივ, პეტერბურგში პირველი ჩასვლისთანავე ვახტანგ VI-მ რუსეთის საიმპერატორო კარს ყურადღება მიაქცევინა ჩრდილოეთ კავკასიის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ადგილებში ციხეთა ჩადგმის აუცილებლობაზე. თითქოს ქართველ პოლიტიკოსთა გაბედულ გეგმებს ხორცი ესხმებოდა.

ქართველი მიტროპოლიტი იოანე მანგლელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დერბენტში დაფუძნდა. ამ დროს ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის მიწერ-მოწერა ჰქონდათ კასპიის ზღვის სანაპიროზე ერთობლივი ლაშქრობის შესახებ და ორივემ მალე აღიარა იოანეს ღვაწლის ფასი და ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინეს. მანაც აქ[18] ეკლესიები აღაშენა ღვთისმშობლის მიძინებისა და წმ. ეკატერინეს სახელზე.

ბაქარ ვახტანგის-ძემ რადგან საქართველოს განთავისუფლების საკითხი დროებით გადაიდო, ფართო მოღვაწეობა გააჩაღა უპირველესად იმიერკავკასიაში დასაყრდენის განსამტკიცებლად. ბაქარი უფრო შორს იხედებოდა. მან ჩერქეზი და ოსი წარჩინებულები წარუდგინა იმპერატორს. ქართველი მეფის შუამდგომლობის საფძველზე, ჩერქეზთა და ოსთა წარმომადგენლების თხოვნას რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეები ყურადღებით მოეკიდნენ. იმ დროს ჩერქეზმა თავკაცებმაც აღუთქვეს მოფიქრებულ ქრისტიანულ სამისიონერო ორგანიზაციისადმი ადგილებზე ხელშეწყობა-დახმარება.[19]

რადგან ოსეთის კომისიის შექმნის ინიციატორები ქართველი სასულიერო პირები იყვნენ და პირველ ხანებში იგივე ქართველები ეწეოდნენ სამისიონერო საქმიანობას ოსთა შორის, როგორც ქართული ასევე ოსურ ენებზე. საერთოდ მიგვაჩნია მათ საქმიანობაზე დაწვრილებით შევჩერდეთ.

XVIII საუკუნეში რუსეთის ცარიზმი უშუალოდ მოადგა კავკასიის მთებს. ამიერკავკასიასთან დასაკავშირებლად რუსეთს უხდებოდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან (მაგალითად ოსებთან) ურთიერთობის დამყარება საუღელტეხილო გზების გამოყენების მიზნით. ქრისტიანული რელიგია ოსებს ამ დროისათვის უკვე დავიწყებული ჰქონდათ. მათში ქრისტიანობის აღდგენას კი ხელი უნდა შეეწყო რუსეთთან მათი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, საქართველოსთან რუსეთის დაკავშირებისათვის. საქართველოს „გამოხსნის და აღდგომის“

იდეის ერთგული ქართველი მოღვაწეები ითვალისწინებდნენ ოსთა გაქრისტიანების დადებით შედეგებს მტრულ გარემოცვაში მყოფი თავის ქვეყნის რუსეთთან დაახლოების საქმეში და ამ მიმართულებით გარკვეულ ღონისძიებათა გატარებას შეუდგნენ.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთი დიდ ყურადღებას უთმობდა „შაკი ზღვის“ საკითხს. შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება ნაკარნახევი იყო იმით, რომ რუსეთის მემამულეთა ეკონომიკური ინტერესი დაკმაყოფილებულიყო. რუსეთის საგარეო პოლიტიკის სამხრეთული მიზნების განხორციელებაში მთავარი ადგილი კავკასიას ეკავა. რუსეთის ჩანაფიქრს წინ წაწეულიყო კავკასიაში, საერთოდ სამხრეთში, წინ აღუდგნენ სპარსეთი, თურქეთი და ყირიმის სახანო. მეთვრამეტე საუკუნის 20-40-იან წლებში რუსეთი სამხრეთსა და კავკასიაში ეწეოდა შეუპოვარ ბრძოლას თურქეთთან და ყირიმელ თათრებთან. ყველაზე დიდ კონფლიქტად ამ დროისათვის ითვლებოდა რუსეთ-თურქეთის ომი 1735-1739 წლებში. ამ ომმა რუსეთი ვერ გააძლიერა ჩრდ. კავკასიაში, პირიქით მისი პოზიციები შესუსტებულ იქნა.[20] ბელგრადის საზავო ხელშეკრულებამ, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ყაბარდო და მისი მიმდებარე ტერიტორიები (რაიონები) ნეიტრალურ ზონად გამოაცხადა. ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ არც ერთ მხარეს არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო, ჩრდ. კავკასიის ხალხთა საქმეებში. ბელგრადის საზავო ხელშეკრულებამ გააძნელა რუსეთის წინსვლა სამხრეთით. აგრძელებდა რა მის მიერ აღებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რუსეთის მთავრობა ახლადშექმნილ ვითარებაში იძულებული გახდა ამ მხარეში საიდუმლოდ, თურქეთისა და ყირიმის სახანოსაგან მალულად ემოქმედა.

XVIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში სპარსეთი კავკასიის დამორჩილებას შეეცადა, სპარსეთის შაჰი ნადირი, რომელმაც დაიმორჩილა ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი, ჩრდილოეთ კაკასიისა და სამხრეთ რუსეთის რაიონების დაპყრობასაც ფიქრობდა. მას აქეზებდა საფრანგეთი და შვეცია, რომლებიც რუსეთის მოწინააღმდეგენი იყვნენ. ასეთი ვითარების გამო რუსეთმა ჩრდ. კავკასიაში თავდაცვითი ღონისძიებანი განახორციელა. გააძლიერა ყიზლარის სიმაგრე და დაარღვია ბელგრადის შეთანხმება—მიმართა რა ყაბარდოს ერთობლივი თავდაცვისათვის ეზრუნათ. ამ ღონისძიების წყალობით და იმით, რომ ჩრდ. კავკასიის ხალხები მზად იყვნენ ებრძოლათ ნებისმიერი აგრესორის წინააღმდეგ. სპარსეთის საფრთხე მოისპო. ამით ისარგებლა რუსეთმა და შეეცადა მეგობრობის ნიღბით შემოეღწია ჩრდ. კავკასიაში და მტკიცედ დამკვიდრებულიყო აქ. აი, ასეთ პირობებში, ქართველმა მოღვაწეებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ მომენტით და 1742 წლის ნოემბერში, მოსკოვში მყოფმა ქართველმა მღვდელმთავრებმა (რომლებიც ვახტანგ VI-ს ამალას ჩამოყვნენ რუსეთში), მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის წინამძღვარმა არქიეპისკოპოსმა ნი-

კოლოზმა[21] და არქიეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა[22] რუსეთის იმპერატორს წარუდგინეს მოხსენება ოსეთში შერჯული ქრისტიანობის აღსადგენად ქართველი სასულიერო პირების გაგზავნის მიზანშეწონილობის შესახებ. ისინი მოახსენებდნენ, რომ ყიზლართან ახლოს ცხოვრობენ ოსები, რომლებიც 200 ათას სულს[23] შეადგენენ, რომ ისინი ადრე მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და ქართველ მეფეებს ემორჩილებოდნენ. მათი ქრისტიანობის მაჩვენებელია ქვითკირით ნაგები ეკლესიების ნაშთები. ისინი ახლაც იცავენ მარხვას და ამჟღავნებენ დიდ სურვილს დაუბრუნდნენ ქრისტიანობას.[24]

ქართველი სასულიერო პირები არწმუნებდნენ რუსეთის იმპერატორს, რომ ოსები პოლიტიკურად დამოუკიდებლები იყვნენ და რუსეთის ხაზით იქ სამისიონერო მუშაობის წარმოება საგარეო პოლიტიკურ გართულებებს არ გამოიწვევდა. განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს ოსეთში წიაღისეულ სიმდიდრეებს—ოქროსა და ვერცხლის, აგრეთვე სხვა მინერალების შემცველი მადნების არსებობას. ოსები თავის ქვეყანაში ქრისტიან ხალხთა გარდა არავის შეუშვებენო. ამ ცნობებით მათ სურდათ რუსეთის პოლიტიკური წრეების ინტერესები გაემახვილებინათ ოსებისადმი და ქართველი სასულიერო პირებისათვის მიენდოთ სამისიონერო მუშაობის წარმოება მათ შორის ამ სამღვდელო პირებმა ეს საქმე იციანო[25] და მოკლე ხანში ამ ხალხს ქრისტიანობის მეშვეობით რუსეთის იმპერატორის ქვეშემვრდომებად აქცევენო.[26]

ქართველ მღვდელმთავართა 1742 წლის ნოემბერს წარდგენილი ეს მოხსენება გახდა მიჯნა. საიდანაც რუსეთის მთავრობის წინაშე უშუალოდ დაისვა ოსეთის საკითხი. 1739 წლის ბელგრადის ზავით ორ ქვეყანას შორის, რუსეთსა და თურქეთს შორის ბარიერად-ნეიტრალურ ზონად ყაბარდო გამოცხადდა. რამდენადაც ოსეთი ნომინალურად ყაბარდოზე დამოკიდებულ ქვეყანად ითვლებოდა, ისიც ნეიტრალურ ზონაში მოჰყვა. ასეთ პირობებში რუსეთის მთავრობა, თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით, თავს იკავებდა ოსეთში უშუალო საქმიანობის გაჩაღებისაგან და გადაწყვიტა ქართველი სამღვდელოების ხელით გაეკეთებია ოსთა გაქრისტიანების საქმე.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ოსმალეთი მაჰმადიანობის გაძლიერებულ პროპაგანდას ეწეოდა. ეს გარემოება საფრთხეს უქმნიდა ამ მხარეში რუსეთის პოზიციებს და აძნელებდა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობას მათ შორის კორდონის აღმართვით. რუსეთს გადახვეწილ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს ამ საშიში შედეგების თავიდან ასაცდენად საჭიროდ მიუჩნევიათ კონტრპროპაგანდის წარმოება ჩრდ კავკასიის ხალხებში ქრისტიანობის ქადაგების დროშით. თავის ამ განზრახვას ისინი ისტორიულ დასაბუთებას აძლევდნენ—ოსთა ადრინდელ ქრისტიანობასა და მის საქართველოს გავლენაში ყოფნას წარსულში. გარდა ამისა ქართველი პოლიტიკური და სასულიერო მოღვაწენი ცდილობდნენ რუსეთი დაეინტერესებინათ ოსეთით იმდენად, რამ-

ჯერადაც ოსეთიდან ერთი ხელის გაწვდენა იყო საჭირო და საქართველოც აქვე იყო. რუსეთი, რომელიც ნეიტრალიტეტს დაარღვევდა საომარ კონფლიქტში იქნებოდა მაჰმადიანებთან და საქართველოს საკითხიც დადებითად გადაიჭრებოდა, რადგან რუსულ იარაღს წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა. ასე ფიქრობდნენ ისინი იმ დროისათვის და ამ წამოწყებას—ქრისტიანობის აღდგენას ოსეთში, მხარს უჭერდნენ.

რუსეთის მთავრობა დადებითად მოეკიდა ოსთა გაქრისტიანების წარდგენილ გეგმას. მან შეისწავლა ოსეთის პოლიტიკური მდგომარეობა. ბუნება, იქ ქრისტიანობის ქადაგების მოსალოდნელი პოლიტიკური შედეგები, მხოლოდ ამის შემდეგ განუცხადა სენატმა თანხმობა სინოდს, რომ ქართველი მისიონერები გაიგზავნონ ოსთა შორის ქრისტიანობის საქადაგებლად. რათა თურქეთსა და სპარსეთთან ურთიერთობა არ გაემწვავებინათ, გადაწყვეტილ იქნა კომისიაში რუსი სასულიერო თუ საერო პირი არ ყოფილიყო, არც ინსტრუქციები მიეცათ მათთვის.

რუსეთის ეს სიფრთხილე აიხსნება იმით, რომ თურქეთი და სპარსეთი თვალყურს ადევნებდნენ რუსეთის პოლიტიკას და ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მისთვის დამკვიდრებულიყო კავკასიაში. კომისიის მხოლოდ ქართველი სასულიერო პირების დაკომპლექტებით რუსეთის მთავრობა ცდილობდა გაეფანტა თურქეთ-სპარსეთის ეჭვები მისდამი, ხოლო კომისიის საქმიანობა წარმოეჩინა ქართველ მისიონერების კერძო ინიციატივად.[27]

პოლიტიკური ხასიათის ამ მოსაზრების გარდა რუსეთის მთავრობა მკვლევარ შ. ხანთაძის სამართლიანი აზრით, ანგარიშს უწევდა საკითხის პრაქტიკულ მხარესაც, მისთვის ცნობილი იყო, რომ ქართველები ოსეთში განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდნენ და რომ ოსები „К Грузинам от большой части по закону склонны" ქართველ სასულიერო მოღვაწეთადმი ოსთა ეს კეთილგანწყობილება საგარეო საქმეთა კოლეგიას საფუძველს აძლევდა ისინი მცველთა გარეშე გაეგზავნა ოსეთში საქადაგებლად.[28]

ასეთი მისიონერული კომისიის ჩამოყალიბება დაევალა სინოდს, რომელიც შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. სინოდმა ქართველთა შორის დაიწყო ძებნა იმ სასულიერო პირებისა, რომელიც მას ამ საქმიანობისათვის გამოადგებოდა, სათავეში ჩაუდგებოდა კომისიას და გაემგზავრებოდა ოსეთში საქადაგებლად. მალე მოძებნილ იქნენ ის პირები, რომლებიც თავად თაობდნენ ამ საქმეს და ინიციატორებიც იყვნენ.

1744 წელს დაზუსტდა „ოსეთის სასულიერო კომისიის" შემადგენლობა. ქართველ არქიეპისკოპოსების და არქიმანდრიტ ნიკოლოზის წარდგენით კომისიაში შევიდნენ: არქიმანდრიტი პახუმი (გვარად წერეთელი), იღუმენები: ქრისტეფორე (დავით გურამიშვილის ძმა) და ნიკოლოზი; ყაზანის ეპარქიაში მოსამსახურე დეკანოზი გიორგი დავიდოვი, არქიელი ბატონიშვილ ბაქარის ამალი-

დან ივანე სემენოვი, მნათე გიორგი ბორისოვი; ყველა ესენი ქართველები იყვნენ (გვარები რუსულადაა გადაკეთებული და ხშირად მათი ნამდვილი გვარების გარკვევა ძნელი ხდება) ყველა ამათ წლიური ჯამაგირი და ულუფა დაენიშნათ, საეკლესიო სამსახური და სასულიერო წიგნები ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო.

კომისიის წევრებთან კავშირის დასამყარებლად ყიზლარში სადაც მათ, ძირითადად უნდა ეცხოვრათ, ქალაქის კომენდანტმა მეკავშირის სპეციალური შტატი გამოყო. მოვალეობის შესრულება დაევალა ქართველ პრაპორჩიკს ანდრია ბიბილურს, რომელიც სპეციალურად ვორონეჟიდან მოიწვიეს.

1745 წლის 7 თებერვალს ქართველი საეკლესიო პირები მიწვეულ იქნენ სინოდის შეკრებაზე. აქ მათ გააცნეს რუსეთის მთავრობის ბრძანებულებანი და სინოდის „გადაწყვეტილება", რომელიც ეხებოდა მათ მიზანს ოსეთში. ამ განკარგულების ძალით სასულიერო მისიას ევალებოდა: გაექრისტიანებინა ოსები, დაეთანხმებინათ ისინი რუსეთთან კავშირზე, ხოლო თუკი შეიქმნებოდა ხელსაყრელი მდგომარეობა ეთხოვათ რუსეთისათვის ქვეშევრდომობაში შესვლა. ამას გარდა სენატის განკარგულებით „ოსეთის კომისია" ვალდებული იყო პირდაპირი კავშირი დაემყარებინა რუსეთის მთავრობასა და ოსეთის ზედაფენების წარმომადგენლებთან. და თუ ისინი სურვილს განაცხადებდნენ მოსკოვში ან პეტერბურგში წასვლისა არ დააბრკოლონ და ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათ გამგზავრებას რუსეთში.[7]

სინოდში მიღებისას „სასულიერო კომისიის" წევრებს გადასცეს აგრეთვე სარეკომენდაციო წერილები რუსეთის მთავრობიდან, ყაბარდოს მფლობელთა სახელზე. ამ სარეკომენდაციო წერილში რუსეთის მთავრობა მიმართავდა ყაბარდოს და ჩეჩნეთის გავლენიან პირებს, რათა ყოველგვარი ხელშეწყობა აღმოეჩინათ ქართველი სასულიერო პირებისათვის და ხელი არ შეეშალათ მათ ტერიტორიაზე მგზავრობისას.

„ოსეთის სასულიერო კომისია", რომელიც სინოდთან შეიქმნა, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 1745 წლის გაზაფხულზე, მოსკოვიდან ყიზლარს ჩავიდა. აპრილში კომისიის წევრები ასტრახანიდან გავიდნენ და მაისში უკვე ყიზლარს შეჭმნეს დასყრდენი ოსეთში დიდი საგანმანათლებლო მოღვაწეობის ჩასატარებლად.

1745 წლის 15 მაისს ქართველი სასულიერო პირები ყაბარდოს თავად ალდიგირეი გილიაჭსანოვის თანხლებით შევიდნენ დიგორის ხეობაში. აქედან დაიწყეს მათ სამისიონერო საქმიანობა და ოსეთის გაცნობა. დიგორის ხეობაში ისინი იმყოფებოდნენ ორი თვის მანძილზე. დიგორის შემდეგ მისიონერები გაემგზავრნენ ოსეთის სხვადასხვა ხეობებში, სადაც ისინი ძირითადად დაკავებულნი იყვნენ „ოსთა გაქრისტიანებით". მაგრამ ამასთან ერთად გულმოდგინედ სწავლობდნენ ოსთა ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს და სხვადასხვა

მხარეებს ოსთა შინაგანი ცხოვრებისა. როგორც რუსეთის მთავრობა წერდა „კომისიას" სენატის ან სინოდისათვის სისტემატურად უნდა მიეწოდებინა ანგარიშებში თავისი საქმიანობის შესახებ, განსაკუთრებით ოსეთის პოლიტიკური მდგომარეობისა, მისი შინაგან წყობასა და მდგომარეობაზე. ასრულებდა რა ამ მოთხოვნას „ოსეთის სასულიერო კომისიამ" 1745 წლის 12 ივლისს სინოდს წარუდგინა გაწეული მუშაობის ყოვლისმომცეველი მოხსენება-ანგარიში. დღეისათვის ეს ანგარიში ითვლებოდა „ოსეთის კომისიის" პირველ წერილობით დოკუმენტად, რომელშიც ასახულია სოციალური და სამეურნეო ცხოვრება XVIII საუკუნეში. ის ყურადღებას იმსახურებს არა მარტო როგორც „ოსეთის სასულიერო მისიის" საქმიანობის ამსახველი არამედ იმითაც, რომ იგი ოსეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის საინტერესო წყაროა.

სამისიონერო მოღვაწეობისათვის გამზადებულ მოსკოვში მყოფ ქართველ სასულიერო პირებს ახლა ოფიციალურად მიეცათ ნება თავიანთი მრავალწლოვანი სამწერლო და საგამომცემლო მოღვაწეობის შედეგად შექმნილი პროდუქცია უშიშრად გადაეტანათ სახელმწიფო ტრანსპორტით და მრავლად მიეწოდებინათ, როგორც მოსაქცევ იმიერკავკასიის მკვიდრთათვის, ისე თანამემამულეებისათვის საკუთრივ საქართველოში (იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, ქართლში, კახეთში). „ოსეთის სასულიერო კომისიის" წევრებმა მალე დაამყარეს მჭიდრო კონტაქტები ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო სახლებთან, საეკლესიო მოღვაწეებთან.

1745 წლის 12 ივლისის „მოხსენებითი ბარათი" არ ყოფილა ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც რუსეთის მთავრობას წარედგინა. ამ წელს „კომისიის" მიერ სენატს, სინოდს და საგარეო საქმეთა კოლეგიას რეგულარულად მიეწოდებოდა ცნობები თავისი საქმიანობის შესახებ, საერთოდ ოსეთში არსებულ მდგომარეობაზე. ჩანს რომ სასულიერო პირები ოსეთში აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ, ამყარებდნენ კავშირებს ოსეთის ზედაფენის გავლენიან ფეოდალებთან, სწავლობდნენ ოსთა ყოფა-ცხოვრებას, დიდ ყურადღებას უთმობდნენ ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას. თავიანთი მისიონერული მოღვაწეობის პირველ წელს მისიონერებმა უკვე გააქრისტიანეს ფეოდალთა გარკვეული გვარები, ხოლო დაბალი ფენიდან __300 კაცი. მოსახლეობის ყურადღება, რომ მიექციათ მონათლულებს საჩუქრებს ურიგებდნენ: „სარკეებს, მაკრატლებს, ტილოებს, აძლევდნენ ფულსაც კი, მაგრამ მხოლოდ საჩუქრების მიცემა არ იყო მისიონერთა წარმატების მიზეზი. ოს-ფეოდალთა გარკვეული ჯგუფები დაინტერესებული იყვნენ რუსეთთან კავშირით, რათა განთავისუფლებულიყვნენ ყაბარდოელ ფეოდალთა ზეგავლენიდან. ამასთან ერთად გაქრისტიანებით, ისინი თავისუფლდებოდნენ ყირიმის სახანოსაგან, სპარსეთისა და თურქეთის დამოკიდებულებისაგან.

1745 წლის მანძილზე ოს წარმომადგენლებს არაერთხელ აღუძრავთ კომი-

სიის წევრებთან საუბრისას რუსეთ-ოსეთის მოლაპარაკებების, რუსეთთან ოსეთის შეერთების საკითხი. ოსეთში მზადყოფნას აცხადებენ წასულიყვნენ პეტერბურგში და ეთხოვათ რუსეთის მთავრობისათვის მიეღოთ ისინი მფარველობაში, ოსებისათვის მიეცათ ნება მთიანი რაიონებიდან ჩამოსულიყვნენ ჩრდ. კავკასიის ბარში და იქ დასახლებულიყვნენ.

მთავრობა ამ მიწერ-მოწერის დროს შიშით შეახსენებდა „კომისიას", რომ საჭირო იყო სიფრთხილის დაცვა. რუსეთს, ცხადია, არ სურდა ბელგრადის 1739 წლის საზავო ხელშეკრულების დამრღვევის როლში გამოსულიყო. რადგან ოსეთის გავლენიან ფეოდალთა გარკვეულ ნაწილს სურვილი ჰქონდა შესულიყო რუსთა მფარველობაში, კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო ამ მისწრაფებისათვის, რათა ოსეთი დაახლოებოდა რუსეთს და მფარველობა ეთხოვა მისთვის. გადამწყვეტი გარდატეხა მთავრობის ფრთხილ მოქმედებაში მოხდა მას შემდეგ, როცა „ოსეთის კომისიამ" მათ აცნობა, რომ ოსეთის ხეობათა მამასახლისები მოდიოდნენ რუსეთის იმპერატორისა და სენატის წინაშე წარსადგომად, რათა მონათლულიყვნენ და „საიდუმლოებებზეც" ესაუბრათ და არა მარტო საიდუმლოებებზე.

იმდენად მაინტრიგებლად ჟღერდა მთავრობისათვის ოს მამასახლისთა განაცხადი „о секретах" რომ პეტერბურგში სასწრაფოდ გამოიძახეს „ოსეთის სასულიერო კომისიის" ერთ-ერთი წევრი დეკანოზი (იეროდიაკონი) ეფრემი.

ეფრემმა სენატს მოახსენა ყაბარდო-ოსეთის დამოკიდებულებაზე, მისიონერული საქმიანობის შესახებ. აღწერა დაწვრილებით კომუნიკაციები, რომლითაც უკავშირდებოდნენ ოსეთს. ეფრემმა თავის მოხსენებაში დიდი ყურადღება დაუთმო ოსეთის ბუნებრივ სიმდიდრეებს, ოსეთის შინაგან წყობილებას, მან მთავრობას მოახსენებაში მოუთხრო იმაზე, რომ ოსები ითხოვდნენ მოლაპარაკების დაწყებას რუსეთ-ოსეთის ურთიერთობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რათა რუსეთს მფარველობაში მიეღო ოსეთი.

ეფრემისაგან მიწოდებული დაწვრილებითი ინფორმაციის შემდეგ, მთავრობის უმაღლესმა დაწესებულებებმა: სენატმა, სინოდმა და საგარეო საქმეთა კოლეგიამ, კიდევ უფრო აქტიურად დაიწყეს ოსეთთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესწავლა.

მთავრობამ ახალი დავალებებით აღჭურვა მისიონერები ოსეთში. ეფრემს კი თან მოჰქონდა სხვადასხვა სახის ინსტრუქციები მათთვის. მათში მთავრობა რეკომენდაციას იძლეოდა საეკლესიო პირების თავიანთი მოღვაწეობისას ემოქმედათ ადგილობრივი პირობების, ოსთა ადათების, ტრადიციების და ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით. მთავრობა წინადადებას იძლეოდა „კომისიაში", რაც შეიძლება სწრაფად ჩაერთოდ ის პირები, რომლებსაც განათლება საქართველოში ჰქონდა მიღებული და შეეძლოთ ოსურ ენაზე გადაეთარგმნათ

და ესაუბრათ საეკლესიო ხასიათის წიგნებზე, თან ეფრემს მისცეს ფული და ნივთები, რომლებიც განკუთვნილი იყო ოსი მოსახლეობისათვის საჩუქრების სახით.

1746 წლის შემოდგომაზე რუსეთის მთავრობასთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ოსეთში დაიწყო მზადება პეტერბურში გასამგზავრებლად. განისაზღვრა საელჩოს შემადგენლობა. მასში მონაწილეობას იღებდა ყველა ოსური საზოგადოების (ხეობათა) წარმომადგენლები. რუსეთის მთავრობა ინფორმირებული იქნა წინასწარ იმის შესახებ, რომ მალე ოსეთის ელჩიონი პეტერბურგისაკენ გამოემგზავრება.

მართალია, ელჩობის შემადგენლობა შეიკრიბა, მაგრამ გამგზავრება გადაიდო. ამაში დამნაშავე იყო „ოსეთის სასულიერო კომისიის" ხელმძღვანელი პახუმი. საქმე იმაშია, რომ სენატის გადაწყვეტილებით, ყიზლარიდან ელჩები ჯარისკაცთა თანხლებით ა. ბიბილურს უნდა გამოეცილებინა. ამას კი პახუმი უარყოფითად შეხვდა, რადგან თავად სურდა თან ხლებოდა ელჩობას. პახუმმა სენატი დაარწმუნა იმაში, რომ მას ჩაეყვანა ელჩობა პეტერბურგში. ამ მიწერ-მოწერაში დრო გაჭიანურდა, რამაც ოსები შეაეშვა. მათ მოითხოვეს სწრაფი გამგზავრება რათა ადგილზე (პეტერბურგში) გადაეწყვიტათ მფარველობაში შესვლა.

ამასობაში თვით „ოსეთის სასულიერო კომისიის" შიგნით მოხდა უთანხმოება. კომისის წევრებმა პახუმი დაასმინეს რუსეთის მთავრობაში, თითქოსდა იგი ღალატობდა რუსეთის ინტერესებს ოსეთში საქართველოს სასარგებლოდ (ოსებს ნათლავდა და აფიცებდა ქართველი მეფეების სასარგებლოდ და მათ ქვეშევრდომობაში შეჰყავდა).

პირველი რიგის ამოცანად ამიტომ მთავრობამ დაისახა გაერკვია სასულიერო პირთა როლი ოსეთში, რუსეთის პოლიტიკის გატარების საქმეში.

„ოსეთის კომისიის" საქმიანობის ის მხარე, რომ მას საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებისათვის ხელი შეეწყო, არანაკლებ აინტერესებდა საქართველოს მმართველ წრეებსაც. საფიქრებელია, რომ ქართველ სასულიერო მოღვაწეთა ზემოაღნიშნული იდეის შემუშავებაში ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც გარკვეული მონაწილეობა მიეღოთ. ვახტანგ VI-ს ამალის წევრებს, რომელთაგანაც „ოსეთის კომისიის" შტატი შედგა, სამშობლოსთან საბოლოოდ კავშირი არ გაუწყვეტიათ და თვალყურს ადევნებდნენ მოვლენათა განვითარებას. მათ შორის პატრიოტულად განწყობილ პირებს სამშობლოს ბედის შემსუბუქებისათვის უნდა ეზრუნათ და ამ მიზნით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაფართოებას ცდილობდნენ. ასეთმა ინტერესებმა ამოატივტივეს ოსები საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობათა ჰორიზონტზე.

ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი მიესალმნენ ამ ფაქტს. XVIII საუკუნის ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი აღნიშნავს, თუ რა დიდი ინტერესით შეეგებნენ ქართლ-კახეთის საერო და საეკლესიო წრეები ოსეთში ქრისტიანული რელიგიის გამავრცელებელი კომისიის ორგანიზაციას პაპუნას ცნობით, „ოსეთის კომისიის" ერთ-ერთი წევრი თბილისში ჩამოვიდა და ქართლის მეფე თეიმურაზ II-ს ეახლა, „მეფე თეიმურაზ, ვითა მოისმინა ბერისა მიერ ესე ამბავი ქრისტიანობისა: ...ფრიადსა სიხარულსა მიეცა აგრეთვე პატრიარქმა ანტონმა განაძლიერეს ბერი, ნუგეში სცეს ფრიად და კვალადვე წარავლინეს კავკასსა შინა".[32]

ამრიგად ჩვენი აზრით სამისიონერო და საგანმანათლებლო მიზნებით შექმნილი "ოსეთის სასულიერო კომისია" მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის იარაღი არ ყოფილა. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთკავშირისადმი სწრაფვის ტენდენცია **ამ „კომისიას" ორივე ქვეყნის საერთო პოლიტიკური იარაღის სახეს აძლევდა.** ქართველი პოლიტიკოსები, ჩანს, ცდილან იგი წმინდა ქართული მიზნებისთვისაც გამოეყენებინათ რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გვერდის ავლით. მხედველობაში გვაქვს „ოსეთის კომისიის" წევრთა შორის უთანხმოების წარმოშობა და მისი მიზეზი რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.

როგორც ვთქვით პახუმსა და „კომისიის" ზოგიერთ სხვა წევრებს ბრალი დასდეს იმაში, რომ ისინი რუსეთის ინტერესს არ იცავდნენ, მათ სენატსა და სინოდში უჩივლეს, რომ ისინი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებთან, ოსების მათ ქვეშევრდომობაში მოქცევის შესახებ. ამ მიზნით მან (პახუმმა__ვ. წ.) ამ ქვეყნის მეფეებს ჯარი სთხოვა.[33] მომჩივნებმა (მახათელაშვილებმა და ბიბილურმა) პახუმს ბრალდება ვერ დაუმტკიცეს.

მთავრობამ დაიწყო გამოძიება საიდუმლოდ რათა გაერკვია სინამდვილე, თან იგი შიშობდა, რომ „კომისიის" წევრების უსაფუძვლო დაკავება-დაპატიმრება გამოიწვევდა ოსთა მხრიდან შეშფოთება-უნდობლობას რუსეთისადმი. ამ მიზნით ასტრახანის გუბერნატორმა (რომელსაც დავალებული ჰქონდა საქმის გამოძიება) ბრილკინმა ასტრახანის ეპისკოპოსთან ერთად დაიწყო გამოძიება და გამოიძახეს, ერთ-ერთი წევრი „კომისიისა" ბერო (ბორისი) და დაკითხეს. მან უარყო „კომისიისა" და პახუმისადმი წაყენებული ბრალდებები და უსაფუძვლო და პახუმთან პირადი ინტერესების გამო გამოწვეულ დასმენად დაამტკიცა. შემდეგ დაკითხეს თვით „მისიის" ხელმძღვანელი პახუმი. პახუმისა და ბეროს პასუხები დაემთხვა ერთმანეთს. მიუხედავად ამისა არქიმანდრიტ პახუმის ქმედებებში ბევრი ისეთი რამ იყო რაც გუბერნატორის შეშფოთებას იწვევდა. მან პახუმი უკან დააბრუნა და თხოვა მოემზადებინა ოსთა ელჩობა პეტერბურგში გამოსამგზავრებლად, რომელსაც თავად უნდა ჩადგომოდა სათავეში. ყოველივე ეს გუბერნატორმა სენატს გააგებინა და თან პახუმზე „საიდუმლო მეთვალყუ-

რეობის" დაწესებას ითხოვდა, რომ გაუგებრობა თავიდან აეცილებინათ.

მთავრობა ცდილობდა ამ დასმენებისა და გამოძიების შემდეგ შეექმნა „ოსეთის ახალი სასულიერო კომისია", რომლის წევრები ძველისაგან განსხვავებით იქნებოდნენ რუსეთის "верными и надёжными" а в "учений-достаточно искусснымии". ახლად შექმნილი კომისია მთავრობის გეგმით, გარკვეულ დრომდე უნდა დაკავებულიყო მხოლოდ და მხოლოდ სამისიონერო მუშაობით, ხოლო შემდეგ, როდესაც ამისათვის ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნებოდა, მას უნდა ეთამაშა მთავარი და გადამწყვეტი როლი, რათა ოსი მოსახლეობა რუსეთის ქვეშევრდომობაში უმტკივნეულოდ შესულიყო.

ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე არ დავიწყებთ იმ წვრილმანებსა და პერიპეტიებზე საუბარს, რომელიც ოსთა ელჩობის გამგზავრებას და შექმნას მოჰყვა. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ოსთა ელჩობის გამზავრებას და საელჩოს პეტერბურგში დაარსებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის „ოსეთის სასულიერო კომისიას", რომლის შემადგენლობა ქართული იყო.

მთავრობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქმის გაჭიანურება გამოიწვევდა ოსეთ-რუსეთის ურთიერთობის გაუარესებას და გადაწყვიტეს მოლაპარაკება დაწყებულიყო. ამ მიზნით 1749 წლის მაისში გამოიცა იმპერატორის ბრძანებულება, რომელიც მთავრობას ავალებდა დაეწყოთ მოლაპარაკება ოსეთთან. ელჩობა მიწვეულ იქნა პეტერბურგში. ბრძანების თანახმად ყიზლარიდან მოსკოვამდე ელჩობა უნდა გამოეცილებინა თავად პახუმს. (მოსკოვში ფიქრობდნენ პახუმის დაკავებას საქმის ბოლომდე მისაყვანად, რათა გაერკვიათ პახუმმა უღალატა თუ არა რუსეთის ინტერესებს ოსეთში). აპრილის ბოლოს ყიზლარიდან ელჩობის შესახვედრად გაგზავნილი იქნა მცველი რაზმი. რათა ოსი ელჩები დაეცვათ ყაბარდოელი ფეოდალთა თავდასხმებისაგან, რომელნიც იმუქრებოდნენ, რომ არ გაატარებდნენ ელჩობას მათ ტერიტორიაზე, რუსეთისაკენ.

1749 წლის 25 სექტემბერს ოსურ სოფელ ზრამაგიდან, კაზაკთა ცხენოსანი რაზმის თანხლებით რუსეთში ხუთი ოსი მამასახლისი და არქიმანდრიტი პახუმი გაემგზავრნენ. ოსეთის საელჩოს შემადგენლობაში შედიოდნენ ალაგირელი, ქურთათელი და დიგორელი მამასახლისები: ზურაბ ეგოროვი (ელიხანოვი) ელჩობის ხელმძღვანელი სოფელ ზრამაგას მცხოვრები; ელისეი ლუკიჩი შვილი ხეთაგათისა, მცხოვრები ქვემო ზაქაში; პატერმირზა (ოსურად ბატირი) დავითის ძე ქუთათი სოფელ ძივგისის მხცოვრები. სოზრუკო და ყაზი ბადელიდზევი სტირ-დიგორიდან. ყოველ ელჩს ჰყავდა თავისი მოსამსახურე დაბალი წრიდან. მოსამსახურე არ ჰყავდა მხოლოდ ზურაბ ელიხანოვს (ეგოროვს), რომელმაც გადაწყვიტა ამ ძნელ გზაზე წამოეყვანა შვილი კანამაკა (რომელიც პეტერბურგში მოინათლა და დაარქვეს დიმიტრი). ყველა ესენი იყვნენ ფეოდალური ოსეთის ცნობილი გვარების წარმომადგენლები. ოსთა ელჩობას რუსეთის ყველა ქალაქში საპატიო და საზეიმო შეხვედრებს უწყობდნენ. ჩვენს

მიზანს არ შეადგენს ელჩობის შემდგომი ბედისა და ისტორიის კვლევა, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ პახუმმა თავი გაიმართლა და მთავრობის ხელახალი ნდობა მოიპოვა. ამის დასტურია ის რომ იგი „ოსეთის სასულიერო კომისიაში" ხელახლა დააბრუნეს და ხელმძღვანელად დატოვეს ძველებურად.

1752 წლის 1 თებერვალს ელჩობამ დატოვა რუსეთის დედაქალაქი და სამშობლოში გამოემგზავრა პახუმთან ერთად ელჩობის ყველა წევრი აღრიან გაზაფხულზე უკვე სამშობლოში იყო.

სენატმა ოსეთში გარდაცვლილი პრაპორშიკ ანდრია ბიბილურის მაგივრად გერასიმე ჩიკვაიძე მიავლინა, რომელიც ქართველ ჰუსართა პოლკში მსახურობდა. იგი ცვნეს ღირსეულად და დააჯილდოვეს ფულით და მორიგი სამხედრო ჩინით. ამასთან ერთად მას ევალებოდა თარჯიმნობაც.[32]

1759 წელს ყაბარდოელმა ფეოდალებმა გაძარცევს პახუმი და პირადი ქრნების გარდა წაართვეს ის ფულიც (800 თუმანი), რომელიც საქართველოდან ტყვების გამოსასყიდათ ჰქონია მიღებული.[33] პახუმი დიდი ნდობით სარგებლობდა საქართველოში და ქართველ ტყვეთა გამოსყიდვის საქმესაც ემსახურებოდა ჩრდ. კავკასიაში . ესეც ერთგვარი სამსახური იყო ქართველობისათვის.

„ოსეთის კომისიის" აქტიური წევრი იყო არქიმანდრიტი გრიგოლი, გვარად რომანიშვილი. ის „კომისიაში" მუშაობდა 1745 წლიდან. ჯერ დიაკვნის თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ კი იღუმენად პახუმის გარდაცვალების შემდეგ იგი არქიმანდრიტად დაინიშნა 1764 წელს. გრიგოლი რუსეთის მთავრობამ გამოიჯნა ქართული სამეფო-სამთავროებთან კავშირურთიერთობის განსამტკიცებლად. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის წინ იგი სპეციალური მისიით წარგზავნილ იქნა საქართელოში, რათა გაერკვია თურქთა წინააღმდეგ ომში ქართველი მეფეების მონაწილეობის საკითხი. გრიგოლი ყიზლარიდან წამოსულ ქართველთა ჯგუფს მიეკედლა და ჩამოვიდა ერეკლე II-სთან. ერეკლემ მას გამცილებლები გააყოლა და იმერეთის მეფე სოლომონ I-თან გაისტუმრა. "Как Ираклии, так и Соломон приняли Архимандрита весьма ласково и первой подарил ему сто рублей" იმერეთიდან გრიგოლი გურიაში გაემგზავრა სადაც 1768 წლის 1 თებერვალს თურქების აგენტებმა მოჰკლეს. მისი მხლებლები სოლომონ I გამოისყიდა.[34]

1768 წლის 15 ივლის გენერალი პოტაპოვი მთავრობას ატყობინებდა. ყიზლარში ჩამოვიდა გრიგოლ არქიმანდრიტის ძმა დიაკონი სტეფანე „ნიკოლაევი", რომელიც მასთან ერთად იყო იმერეთში; დიაკონმა თქვა, რომ არქიმანდრიტი სოლომონ მეფემ კარგად მიიღო, ორი კვირა თავისთან ამყოფა, შემდეგ არქიმანდრიტი თავად გურიელთან გაემგზავრა, რისთვის არ ვიცით. იქ ერთერთ სახლში დაგვაბინავეს, რომელიც ბაღებში იდგა სოფლიდან ერთი ვერსის მანძილზე. შუაღამისას თავს დაგვესხნენ „თათრები" არქიმანდრიტი მოკლეს,

გაძარცვეს და ამალის წევრები დაგვატყვევეს. მე ტყეში გავიქეცი და ამით ვეშველე თავს. ყიზლარის კომენდანტს აინტერესებდა გრიგოლ არქიმანდრიტის სოლომონ მეფესთან მოლაპარაკების შედეგები, მაგრამ სტეფანეს ამის შესახებ არაფერი სცოდნია.

სტეფანეს უთქვამს: მხოლოდ ისღა ვიცი, იმერეთიდან თბილისში, რომ დავბრუნდი იქ შევხვდი არქიმანდრიტის ამალის წევრს დეკანოზ პართენს, რომელიც ტყეობიდან გამოესყიდათ; მან მითხრა, რომ სოლომონ მეფის ბრძანება მივიღე, ნათესავების მონახულების შემდეგ მასთან გამოვცხადდე და წერილები ჩავიბარო; შემდეგ ყიზლარში გამოვემგზავრებიო. უფრო ადრე ყიზლარში სხვა ცნობა მიუღიათ, რომელიც არსებითად იმეორებდა ზემოაღნიშნულს.[37]

„ოსეთის სასულიერო კომისიის" წევრებმა ხელი შეუწყვეს რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ტოტლებენის მეათურობით საქართველოში გადმოსვლას. კორპუს თარჯიმნობდა და მეგზურებად გამოყვნენ ივანე ფიცხელაური და ნიკოლოზი (გვარი უცნობია) ამათ მოაგვარეს დარიალის გზის გასწვრივ მცხოვრები ოსი ფეოდალებისაგან მძევლების აყვანისა და გზის უვნებლობაზე ფიცის დადების საქმე.[38]

„ოსეთის სასულიერო კომისიამ" ქართული შემადგენლობით 1771 წლადე იარსება. თუკი არ ჩავთვლით იმას, რომ პახუმის შემდეგ რუსი იღუმენი გრიგოლი ჩაუყენეს სათავეში, მაგრამ იგი მალე შეცვალეს ქართველი არქიმანდრიტით პორფირეთი. ამის შემდეგ (1771 წ.) „ოსეთის სასულიერო კომისია" სხვა სახეს ღებულობს. მას სათავეში ჩაუდგა რუსი სამღდელო პირი, ღვთის მეტყველი ტვერის გუბერნიიდან __ათანასე ლებედევი. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა კომისიას ქმედითი დახმარებას უწევდა საქმე წინ ნელა მიდიოდა. პახუმის, გრიგოლისა და პორფირეს დროს „კომისიამ" სულ გააქრისტიანა ორივე სქესის 2142 ოსი და ინგუში. მათ შორის პახუმის ხელმძღვანელობით 1745-1764 წლებში 2085 კაცი, ხოლო გრიგოლისა და პორფირეს დროს მხოლოდ 57, ასეთი იყო კომისიის დაახლოებითი საქმიანობის სურათი ლებედევის დანიშნამდე.[39]

რატომ მოხდა რომ ქართველი სასულიერო პირები შეცვალეს რუსებით, ჩვენის აზრით იმიტომ, რომ სინოდი უკმაყოფილო იყო „კომისიის" მუშაობით. ამის მიზეზი იყო ჯერ ერთი ის, რომ მისიის წევრთა შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, **მეორეც პეტერბურგში ღრმად სწამდათ, რომ მისიონერები ოსებს ქართველ მეფეთა ერთგულებაზე აფიცებდნენ (პახუმის მაგალითიც კმარა), და რომ იქ ისინი საერთოდ ქართულ საქმეს აკეთებდნენ.** ამიტომ სინოდმა მიზანშეწონილად ჩათვალა ქართველთა მაგიერ ოსეთში რუსი სასულიერო მისიონერები გაეგზავნა. ახლა რუსეთი უკვე აღარ ერიდებოდა თურქეთს. ქართველი მისიონერები რუსებს დაუმორჩილა (ისინი რომლებიც ჯერხნობით

დარჩნენ „კომისიაში"). გარდა ამისა რუსი მისიონერები მატერიალურად გაცილებით უკეთესად უზრუნველყოფილი იყვნენ. სინოდის მითითებით ქრისტიანობის გავრცელება უნდა დაწყებულიყო რუსეთის იმპერიის მეზობელ ხალხებში და შემდეგ მათივე დახმარებით თანდათანობით გაფართოებულიყო. მისიის მუშაობაში ნაკლად ცარიზმი სთვლიდა იმას, რომ ქრისტიანობის ქადაგების შემდეგ სამღვდელო პირები ადგილზე არ რჩებოდნენ, არ შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, არ იქმნებოდა სამრევლოები, რასაც ხელი უნდა შეეწყო სარწმუნოების დამკვიდრების და შემდგომი განმტკიცებისათვის. ქრისტიანობის გარვცელებას დაბრკოლებას უქმნიდნენ ადგილბრივი სასულიერო პირები (მოლები, ყადები და სხვ). გაძარცვის შიშით მისიონერები დასახლებული ხეობების სიღრმეში ვერ შედიოდნენ, რაც აგრეთვე ხელს უშლიდა ქრისტიანობის სწრაფად და ფართო მასებში გავრცელებას. მიუხედავად ასეთი ნაკლოვანებებისა ცარიზმი დიდად აფასებდა იმ შესაძლებლობებს, რომელიც შეეძლო გაეკეთებინა ქრისტიანობის გავრცელებას კავკასიის ათვისებაში „სასულიერო კომისიის" მუშაობის უკეთ წარმართვისათვის, 1771 წელს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიამ განიხილა „კომისიის" მუშაობის საკითხი და მისი გაუმჯობესების მიზნით დასახა კონკრეტული ღონისძიებები. კომისიის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ასტრახანის ეპისკოპოსს, რომელსაც მისცეს დაწვრილებითი ინსტრუქციები კომისიის შემდგომ მუშაობაზე, ხოლო „კომისიას" როგორც აღვნიშნეთ, ტვერელი ათანასე ლებედევი ჩაუყენეს. ინსტრუქცია__მისიონერებისაგან მოითხოვდა წინდახედულ-დაკვირვებით მუშაობას და აფრთხილებდა მათ, რომ ძალდატანებითი მეთოდები არ გამოეყენებინათ. სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად, მისიონერებს ადგილობრივი მოსახლეობა უნდა დაეფიცებინათ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. მისიონერების ვალი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის შთაეგონებინათ ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობა მაჰმადიანობასთან შედარებით და მაშასადამე რუსეთის ქვეშევრდომობაში მათი შესვლის უპირატესობა. მათ მკაცრად მიუთითეს, ემოქმედა პირადი ინიციატივითა და სახელმწიფოებრივი დავალება სრული საიდუმლოებით დაეცვათ.[40]

კავკასიის მთიანეთის მაჰმადიან მოსახლეობაში ქრისტიანული სასულიერო მისიის დაარსება, რუსეთის მონარქიის აღმოსავლეთისაკენ შორს გამიზნულ პოლიტიკას ემსახურებოდა. ოსთა გაქრისტიანებით მეფის მთავრობა ერთგულ მოკავშირეს იძენდა კავკასიაში და კერძოდ, საქართველოსაკენ მომავალი სტრატეგიული მნიშვნელობის გზაზე. ახლად მონათლულებს ევალებოდათ, ამიერკავკასიისაკენ მომავალი ერთადერთი სამხედრო მნიშვნელობის გზის შეკეთება. ფოსტის და შიკრიკთა უხიფათო გატარება. ახორციელებდა რა აღნიშნული ღონისძიებებს, ცარიზმი შორს იყო იმ აზრისაგან, რომ ასეთი საპასუხისმგებლო და საჭირო საქმის ბოლომდე მისაყვანად მხოლოდ ქრისტიანული

ჯვარის ძალითა და „ძლიერებით“ ემოქმედა, მისიონერებს ევალებოდათ ადგილობრივი გავლენიანი პირების და „რიგითი“ მოსახლეობის მოსყიდვა-მოქრთამვა, რისთვისაც სახელმწიფო საჭირო თანხებს გამოყოფდა.[41]

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ მუშაობა შეიძლება გავყოთ ორ პერიოდად: პირველი 1743-1799 წლები და მეორე 1814-1860 წლები. თავის მხრივ „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ისტორიის პირველი პერიოდი ორ ქვეპერიოდად უნდა დავყოთ: პირველი--1743-1771 წლები, როცა კომისია მთლიანად დაკომპლექტებულია ქართველი სასულიერო პირებით. მას შეიძლება „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ისტორიის ქართული პერიოდი ვუწოდოთ, და მეორე 1771 წლიდან, როცა მას სათავეში რუსი სამღვდელო პირი (ლებედევი) ჩაუდგა და მოღვაწეთა აბსოლიტური უმეტესობა რუსებია. საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრებამ გარკვეულ წილად ხელი შეუწყო და დადებითად იმოქმედა „ოსეთის კომისიის“ შემდგომ მუშაობაზე. ცარიზმი ახლა აღარ ერიდებოდა თურქეთ-სპარსეთის წყენინებას და უფრო გაბედულად დაიწყო მთიანეთის მოსახლეობის დამორჩილება, როგორც იარაღით ასევე სარწმუნოების საშუალებითაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქართული შემადგენლობით კომისიამ იარსება 1771 წლამდე, სანამ მას სათავეში რუსი სამღვდელო პირები არ ჩაუყენეს. პირველად მასში „შავი სამღვდელოების“ წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო 1752 წლიდან კომისიის შტატს დაემატა 5 საეკლესიო პირი „თეთრი სამღვდელოებიდან“. ლებედევის განკარგულებაში კომისიაში შეყვანილი იქნა 2 რუსი და 2 ქართველი მღვდელი. ორი რუსი და ერთი ქართველი დიაკვანი, ხუთი მედავითნე, აქედან ორი ქართველი. საშტატო მომარაგება „კომისიისა“ გაზრდილი იყო წინა „კომისიასთან“ შედარებით. მთავარმღვდელს ეძლეოდა 300 მან. და 20 ჩარექი ფქვილი, მღვდლებს 150 მანეთი და 10 ჩარექი ფქვილი, დიაკვანს 100 მან, და 8 ჩარექი ფქვილი, თარჯიმანს 250 მან. და ფქვილის მაგივრად ერთი ჩარექზე ეძლეოდა 1 მან. და 20 კაპ. ამის გარდა ხალათები, ჯვრებისა და სხვა საჩუქრებისათვის, რომელთაც ახლადმონათლულებს ურიგებდნენ გამოყოფილი იყო 200 მანეთი. მამასახლისთა და წარჩინებულთა მოსაქრთამავად 100 მანეთი იყო გამოყოფილი. 30 მანეთი კანცელარიისათვის. მისიის ხელმძღვანელს, დიაკვნებსა და მედავითნეებს უნდა ეცხოვრათ მოზდოკში. დროდადრო უნდა შეემოწმებინათ მჭადაგებლები ოსეთში. მისიას მზრუნველობისა და კონტროლის ქვეშ, გადაეცა მოზდოკში 1764 წელს დაარსებული სკოლა, რომელშიც ახლადმონათლულ მთიელთა შვილებს ასწავლიდნენ. დანარჩენი წევრები „კომისიისა“ მუდმივად უნდა ყოფილიყვნენ ოსეთში. „კომისია“ მთელი თავისი შემადგენლობით ემორჩილებოდა ასტრახანის ეპისკოპოსს. ლებედევს ევალებოდა ახალგაქრისტიანებულთა მდგომარეობის შესახებ სინოდში ყოველ ექვს თვეში მოხსენება გაეგზავნა. „კომისიას“ ინსტრუქციის

სახით ევალებოდა ჯერ გაექრისტიანებინა, მოენათლა რუსეთის საზღვართან ახლოს მყოფი მთიელები, ხოლო შემდეგ მათი დახმარებით თანდათან შესულიყო მის სიღრმეში[42] ინსტრუქცია მისიონერებს, როგორც აღვნიშნეთ, უკრძალავდა ძალდატანებას, როცა რომელიმე მთიელის სახლში მივიდოდა მქადაგებელი-მისიონერი. მას სახლის პატრონისათვის უნდა ეკითხა რელიგიის შესახებ და თუ ის თანახმა იქნებოდა დაეწყოთ საუბარი ღმერთზე, ამის შემდეგ უნდა წარმართულიყო საუბარი. მისიონერს ინსტრუქცია ავალდებულებდა ქრისტიანული მოძღვრების ელემენტებზე ესაუბრათ მასთან. ეს იყო 1771 წლამდე, სანამ რუსეთმა საბოლოოდ არ გაიმარჯვა და თურქეთის უკვე აღარ ეშინოდა. მთავრობის მხრიდან კომისიისადმი მიცემული ინსტრუქციები, ყურადღების გამახვილება და იმედები, რომელიც მას ჰქონდა დამყარებული მათზე არ გამართლდა, რადგან კომისიამ 1771 წლიდან 1799 წლამდე სულ მონათლა 6059 სული ორივე სქესისა. მართალია წინა ქართულ „კომისიასთან" შედარებით, სამჯერ მეტი მონათლეს, მაგრამ იმ „კომისიას" ამდენი ყურადღება და მატერიალური მხარდაჭერა რომ ჰქონოდა იგი უფრო მეტს გააკეთებდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „ქართულმა კომისიამ" ყამირზე პირველი ზოლი-ხნული გაავლო და ესეც ართულებდა საქმეს. ლებედევის ხელმძღვანელობით კი ისინი გაკვალულ გზას გაჰყვნენ. ლებედევის „კომისიის" მატერიალური უზრუნველყოფა მოზდოკის კომენდანტს ჰქონდა დავალებული, რაც კარგად არ იყო ორგანიზებული. (პროტოპოპი) ლებედევი 1776 წელს მთავრობის წინაშე ჩიოდა რომ მას მოზდოკის კომენდანტი ვერ უზრუნველყოფს მატერიალურად, რაც მისიონერთა უკმაყოფილებას იწვევს და მათ საქმიანობაზე ღრმა კვალს ამჩნევსო.[43]

რა თქმა უნდა ესეც ხელს უწყობდა იმას, რომ მისიას ისეთი წარმატება არ ჰქონდა, როგორსაც ელოდნენ მისგან.

წარუმატებლობის მიზეზი უნდა ვეძიოთ აგრეთვე იმაში, რომ მათ ეკლესიები და სკოლები მასობრივად არ ჰქონდათ გახსნილი, მოზდოკის სკოლის მუშაობაც შეფერხდა, რადგან იქ რუსული ენის შესწავლა დაიწყეს. რომელიც ძნელად ასათვისებელი იყო მთიელებისათვის, ხოლო ქართულ ენაზე როცა მიდიოდა სწავლება, იგი თითქმის მეორე მშობლიური ენა იყო მთიელებისათვის, მათ თავიანთი შვილები სკოლიდან გაიყვანეს. 1776 წელს ლებედევი მოახსენებდა მთავრობას, რომ სკოლის საქმე უკან და უკან მიდის, ხოლო მოსწავლეების ადგილზე ცხოვრებისა და სწავლებისათვის ადგილობრივმა მთავრობამ გამოყო: "чёрная и тесная изба".[44]

მომდევნო წელს სკოლა აღსდგა და გააგრძელა თავისი საქმიანობა. ვიდრე ოსეთის სასულიერო კომისია არ გაუქმდა (XVIII ს. ბოლოს.). სკოლაში ასწავლიდნენ რუსულ გრამატიკას, ოსურ ენას, რათა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თავიანთ მშობლიურ მხარეში დახმარებოდნენ მთავრობას ცა-

რიზმის პოლიტიკის გატარებაში. არასრული მონაცემებით სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 6-დან 48-მდე მერყეობდა. ამ სკოლის წარჩინებულები იგზავნებოდნენ ასტრახანის სასულიერო სემინარიაში სწავლების შემდგომი დასრულებისათვის. მოიტანა თუ არა რაიმე სარგებლობა ხსენებულმა სკოლამ არ სჩანს. არ დასტურდება ის, რომ ამ სკოლის აღზრდილები მისიონერებად მსახურობდნენ.

„ოსეთის კომისიის" მუშაობის მეორე ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ეკლესიების მშენებლობას. ქართველთა მონაწილეობით არსებულ „ოსეთის სასულიერო კომისიას" კი გათვალისწინებული ჰქონდა ოსეთში ხუთი ეკლესია აეშენებინა. ეს ვერ განხორციელდა მაშინაც კი როცა 70-იან წლებში „კომისიას" სათავეში რუსი მისიონერები ჩაუყენეს. მათ არ აღუდგენიათ ოსეთში არსებული დანგრეული ეკლესია-მონასტრები, სამლოცველოებიც კი.[45] 1785 წლამდე აშენებული იქნა მხოლოდ და მხოლოდ ერთი სამლოცველო და ეკლესია მდინარე ბაისუს ნაპირას ქისტი მოსახლეობისათვის. ახლად მონათლულებს უფლება ეძლეოდათ სალოცავად ყიზლარისა და მოზდოკის ეკლესია-მონასტრებში წასულიყვნენ. აი ასეთ მდგომარეობაში მყოფი საიმედო ქრისტიანებად ითვლებოდნენ ის მონათლულები, რომლებიც მოზდოკსა და ყიზლარში, ან მათ ახლოს ცხოვრობდნენ. ხოლო ისინი, რომლებიც შორს, აულებსა და მთის სიღრმეში ცხოვრობდნენ, როგორც კი მოინათლებოდნენ "Оставались в прежнем своём положении"[46]. წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო, ის რომ რუსი მისიონერები საეკლესიო ღვთისმსახურებას ოსეთში აწარმოებდნენ საეკლესიო-სლავიანურ ენაზე, რაც სრულიად გაუგებარი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მართალია თარჯიმანი თარგმნიდა, მაგრამ მსმენელები ნახევარს ვერ გებულობდნენ, ოსებს სათანადოდ ვერ უხსნიდნენ საეკლესიო ღვთისმსახურების დედააზრს და იმას თუ რა უპირატესობა ჰქონდა ქრისტიანობას სხვა რელიგიასთან შედარებით. ამიტომ იყო, რომ ოსთა უმრავლესობა ინათლებოდა არა გულით, არამედ შემთხვევით, ანდა იმისათვის, რომ მატერიალური დაჯილდოება მიეღო. მისიონერები თავის დროზე ვერ ღებულობდნენ საჭირო ფულს. ამას ემატებოდა ისიც, რომ ასტრახან, ყიზლარ-მოზდოკის სამოქალაქო ხელისუფლება მათ საქმიანობაში ერეოდა, რაც კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას.

იღებდა რა მხედველობაში ყოველივე ამას, მთავრობა ცდილობდა „ოსეთის სასულიერო კომისიის" მუშაობა უფრო ქმედითი, ინტენსიური და შედეგიანი გაეხადა. ყველაფერ ამას სჭირდებოდა დაფინანსება, რასაც მთავრობა რეგულარულად ვერ ახერხებდა, რადგან ამ დროს მას ომი ჰქონდა თურქეთთან და შვეციასთან. ყოველივე ეს მთავრობამ კარგად იცოდა და ცდილობდა საქმე იმით გამოესწორებინა, რომ ახალი შტატი დაუმატა და დააწესა ვიკარის

ადგილი მოზდოკში, რომელიც ასტრახანის ეპარქიაში შედიოდა.[47] ამ ბრძანებულების ძალით 1793 წლის 12 მაისს მოზდოკისა და მაღჟარის ვიკარ ეპისკოპოსად დანიშნეს არქიმანდრიტი გაიოზი, წარმოშობით ქართველი. სინოდი, როგორც ადრე ახლაც ისე მოიქცა--ახალი ეპისკოპოსი ინსტრუქციებით „დაბომბეს". მას შეახსენებდნენ, რომ 1771 წლის სინოდის ინსტრუქციებით ეხელმძღვანელა. საჭიროების შემთხვევაში სინოდი საქმის კურსში ჩაეყენებინა და ემოქმედა ისე, როგორც ამას თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ ქრისტიანობის სწრაფი გავრცელებისათვის ოსეთში. მას უფლება მიეცა „კომისია" თავისი შეხედულებების მიხედვით დაეკომპლექტებინა. საჭიროების შემთხვევაში დაეარსებინა სკოლები და თვითონ აერჩია საუკეთესო მასწავლებლები. წარჩინებული კურსდამთავრებულები სასწავლებლად ასტრახანში გაეგზავნა და მათთვის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიეცა სასულიერო წოდება და სამსახური ოსეთში. შეძლებისდაგვარად ემოქმედნა ძველად არსებული ეკლესია-მონატრებისა და სამლოცველოების აღსადგენად. აეშენებინა ახალი ეკლესიები. „სასულიერო კომისიას" მუშაობისათვის უნდა დაეხარჯა მოზდოკის ეპარქიისათვის გამოყოფილი თანხის ნაწილი. ამ ინსტრუქციის საფუძველზე გაიოზმა შეამცირა არქიეპისკოპოსების და სასულიერო კონსისტორიის წარმომადგენელთა რიცხვი, გამონთავისუფლებული თანხა კი მისიონერებს დაახარჯა. ყოველივე ამას გაიოზი აკეთებდა კრუტიცკის ეპარქიის (Крутицкой епархии) გაუქმების ხარჯზე. ამგვარი მაგალითით მთავრობამ შექმნა ახალი ეპარქია, რომელსაც სათავეში ჩაუყენა კაცი, რომელმაც იცოდა მრავალი ენა (მათ შორის ოსურიც), ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-ჩვეულებები, წესები და ამ მხარეს კარგად იცნობდა. ამით მთავრობა და უწმინდესი სინოდი ცდილობდნენ წინ წაეწიათ „ოსეთის სასულიერო კომისიის" საქმე და მისი ავტორიტეტი ადგილობრივ მოსახლეობაში გაეზარდათ.

გაიოზი ცდილობდა თავის ეპარქიაში მყოფი სასულიერო პირთა განათლების დონე აემაღლებინა, რადგან „კომისიაშიც" იყვნენ ისეთებიც, რომელთა განათლების დონე იმ დროის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. უნდა იქნეს მხედველობაში გათვალისწინებული ისიც, რომ ჩრდ. კავკასიაში მხოლოდ ერთი სკოლა არსებობდა, რომელსაც დიდი წარმატება არ ჰქონია. XVIIIს-ის ბოლოს ჩრდ. კავკასიელთათვის არსებობდა მხოლოდ ერთი ასტრახანის სასულიერო სასწავლებელი-სემინარია, ისიც მხოლოდ წარჩინებულთათვის, მაგრამ მშობლებს უჭირდათ შვილების იქ გაშვება შორი მანძილისა და ჰავის გამო. ყოველივე ეს კარგად გაიაზრა გაიოზმა და შეეცადა არსებულ სკოლაში სწავლება უმაღლეს დონეზე დაეყენებინა თუნდაც იმ აზრით, რომ მღვდლებს საფუძვლიანი პირველდაწყებითი განათლება მაინც მიეღოთ.

1797 წელს გაიოზმა გენერალ გუდოვიჩის დახმარებით ააშენა მამაკაცთა მაცხოვრის-ფერისცვალების მონასტერი, მდ. თერგის სანაპიროსთან. ამ მონას-

ტერში ბავშვებისათვის უნდა ესწავლებინათ „Закону Божию и мастерствамь". გაიოზმა ამ მონასტერს სხვა დატვირთვაც მისცა. აქ უნდა მოემზადებინათ მისიონერები მთელი ჩრდ. კავკასიისათვის. იმავე 1797 წელს დაარსდა მიძინების ქალთა მონასტერი. ეს მონასტერი შემდეგნაირად აშენდა. როცა გაიოზი მოზდოკში იმყოფებოდა, კავკასიის მთებიდან ჩამოვიდა თერგის ხაზზე დასასახლებად ოსთა ჯგუფი. მათ თან მრიტანეს ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ხალხური გადმოცემით მრავალ სასწაულს ახდენდა. ლეგენდა ამ ხატის არსებობას მიაწერს თამარ მეფეს, რომელმაც ერთგულებისათვის და გაქრისტიანებისათვის ოსებს ეს ხატი აჩუქა. ხატი იმყოფებოდა ქურთათის ხეობაში. გადმოცემის მიხედვით ხატი რამდენჯერმე გაძარცვეს და ცეცხლს მისცეს. გაიოზმა მათი თხოვნით იქვე ააგო სამლოცველო. მაგრამ შემდეგ ოსებმა, კაზაკებმა და სხვა მთიელებმა იმ ადგილას, სადაც სამლოცველო იდგა, ხატის პატივსაცემად დედაღვთისმშობლის სახელზე ტაძარი ააშენეს. 1799 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულებით მოზდოკის ეპარქია გაუქმდა და იგი შეუერთდა ასტრახანისას. გაიოზი კი გადაყვანილ იქნა ახლადგახსნილი სარატოვისა და პენზის ეპისკოპოსად. მოზდოკის ეპარქიის გაუქმება გამოწვეული იყო იმით, რომ არ არსებობდა სამრევლოები და ეკლესია-მონასტრების საჭირო რაოდენობა, ხოლო ეპარქიებიც გუბერნიების მასშტაბით უნდა შექმნილიყო. ამას გარდა მთიელები სანდონი არ იყვნენ, ისინი ერთმანეთს თავს ესხმოდნენ. სასულიერო პირები თავიანთ სიცოცხლეს საფრთხის წინაშე აყენებდნენ. მათ საფრთხე ერთი მხრივ ინგუშების, მეორე მხრივ ყაბარდოელი ფეოდალების თავდასხმებით იყო გაზრიდილი ოსეთში. ამგვარად სასულიერო მისიამ თხუთმეტი წლით შეწყვიტა არსებობა.[48] სანამ არ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები და სასულიერო მისია არ დაარსდა თბილისში. მკვლევარ გ. თოგოშვილს „ოსეთის სასულიერო კომისიის" საქმიანობის შეწყვეტის თარიღად მიაჩნია 1792 წელი[49], რასაც ვერ დავეთანხმებით. მკვლევარი მ. ილურიძე[50] თვლის; რომ ეს მოხდა 1799 წელს, რაც ჩვენი აზრით უფრო სწორია.

როგორც უკვე ავღნიშნეთ „ოსეთის სასულიერო კომისიის" მუშაობაში ორი პერიოდი გამოიყოფა: ერთი დაარსებიდან 1799 წლამდე და მეორე 1814 წლიდან 1860 წლამდე, როცა შეწყვეტილი საქმიანობა „ოსეთის სასულიერო კომისიისა" ხელახლა იქნა აღდგენილი და მას სათავეში ისევ ქართველი საეკლესიო პირი ჩაუყენეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მეფის რუსეთმა დაარღვია რა თავისი ვალდებულებანი.[51] დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო და მოახდინა მისი ანექსია. ქართველი ხალხი მომხდარ ფაქტს არ შერიგებია. იგი აჯანყებას აჯანყებებზე აწყობდა, მაგრამ ძალა ალმართს ხნავდა და მარცხდებოდა. მიუხედავად ამისა ემზადებოდა ხელახალი აჯანყებისათვის, რათა აღედგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. ამ პერიოდში ცარიზმს „ოსეთის სასულიერო კომისიის" აღსადგენად არ ეცალა. იგი

იღწვოდა იმისათვის, რათა ქართველები დაეწყნარებინა და რუსული მმართველობისათვის შეერიგებინა. ამ მიზნით ცარიზმი არანაირ საშუალებებს არ ერიდებოდა. ქართველებთან ერთად ოსებიც ჯანყდებოდნენ, რადგან მათ, ქართველებთან ერთად, უყურებდნენ, როგორც „აზიელებს"-- „ტუზემცებს", გაუნათლებლებს, რომელთაც რუსეთის სიკეთისა არ ესმოდათ, ამიტომ მათ დასაშოშმინებლად მათრახსა და ძალას მიმართავდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ოსეთის დასაწყნარებლად აქ ჯარით იმყოფებოდა სიმონოვიჩი.[52]

„კომისიამ" დროებით შეწყვიტა არსებობა. კავკასიის მთავარი ქედის ორივე მხარეს უკმაყოფილება იყო, რუსული მმართველობისადმი. მიუხედავად ამისა მაინც იყო შემთხვევები, როცა მოსახლეობა ითხოვდა გაქრისტიანებას. 1802 წელს გენერალი ლაზარევი მთავარმართებელ კნორინგს ატყობინებდა, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი ითხოვდა გაქრისტიანებას, რაც შედეგი იყო ქართველი აზნაურის ივანე იაღლუზიძის გულისხმიერი მიდგომისა ამ საქმისადმი (ი. იაღლუზიძის შესახებ ჩვენ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ). იმავე წელს ი. იაღლუზიძემ შეატყობინა უფროსობას--რუსულ ხელისუფლებას, რომ ოსეთის ზარას ხეობის მცხოვრებნი ითხოვენ მღვდელს, მაგრამ იმ დროისათვის აჯანყებისა და შაჟი ჰირის გამო ვერ მოხერხდა მღვდლის გაგზავნა. გრაფ გუდოვიჩის მმართველობისას თხოვნა განმეორდა. 1807 წელს ვლადიკავკაზის კომენდანტი იველიჩევი უპატაკებდა გენერალ ბულგაკოვს, რომ "Кабанский"-ს „მამასახლისი" მურზა-ბეგ ტულატოვმა ორჯერ შეახსენა მას, რომ ხელქვეით მყოფი ხალხი ითხოვდა მონათვლას, რადგან მათ დავიწყებული ჰქონდათ ქრისტიანული სარწმუნოება მღვდლის არყოლის გამო. მურზა-ბეგი ითხოვდა მღვდელს, რომელსაც შეეძლებოდა ოსურად ეწარმოებინა საღვთისმეტყველო-სარიტუალო წესები, მაგრამ რამდენად გულწრფელი იყო მურზა-ბეგის განცხადება ძნელია ამის დადგენა, რადგან, ყოველ აჯანყება-ამბოხში იგი ერთ-ერთ ხელმძღვანელთაგანი იყო. ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ამით იგი მატერიალურ დაჯილდოებას ელოდა.[53] 1808 წელს კომენდანტი იველიჩევი აუწყებდა გუდოვიჩს, რომ ოსებს, რომლებიც თაგაურის ხეობიდან გამოვიდნენ და დასახლდნენ ვლადიკავკაზის სიმაგრესთან, აქვთ სურვილი მიიღონ მართლმადიდებლობა, მათგან 42 სული უკვე გაქრისტიანდა. 1809 წელს იველიჩევი ატყობინებდა ახლა უკვე ახალ მთავარმართებელ ტორმასოვს, რომ მამასახლისები ალაგირისა და ქურთათის ხეობის დასახლებებისა, მივიდნენ რა მასთან ციხე-სიმაგრეში განაცხადეს, რომ ისინი რიცხვით არიან 3 ათასი კომლი და ითხოვენ მონათვლას.

ამგვარად, მართალია 1799 წლიდან 1814 წლამდე არა ერთმა მთიელმა მიმართა მთავრობას მონათვლის შესახებ, მაგრამ მას ძალა არ ყოფნიდა ორ ფრონტზე ებრძოლა, ჯერ ერთი აჯანყებული მთიელები დაეწყნარებინა, ხოლო მეორე მხრივ მათში ქრისტიანობა ექადაგა. მთავრობა ცდილობდა ჯერ დაე-

მორჩილებინა ამბოხებულნი, ამ მხარეში სამოქალაქო წესრიგი დაემყარებინა შემდეგ კი აღედგინა „ოსეთის სასულიერო კომისია". ეს განახორციელა კიდეც 1814 წელს. მას სათავეში ჩაუყენა არქიეპისკოპოსი თელაკისა და საქართველო-კავკასიის დოსითეოსი (ფიცხელაური).

დოსითეოსი ოსთა შორის ცოდნის გავრცელებისათვის თვალსაჩინო მუშაობას ეწეოდა, როცა იგი იკორთის არქიმანდრიტად მუშაობდა 1797 წელს 18 თებერვალს საქართველოს პატრიარქი, ერეკლე მეორის ვაჟი ანტონ მეორე კათოლიკოსი ხოფის არქიმანდრიტს (ეს ეკლესია ახალგორშია ქსნის საერისთაოში), დოსითეოს ფიცხელაურს არქიმანდრიტად კურთხევასთან დაკავშირებით ავალებდა ეკლესიისა და სწავლა-განათლების საქმის განახლებას,[54] ხოლო 4 წლის შემდეგ 1801 წლის 14 თებერვალს დავით ბატონიშვილმა დოსითეოს ფიცხელაურს უბოძა იკორთის დეკანოზობა და დაავალა ყველა ზომა მიეღო საეკლესიო საგანმანათლებლო საქმის განახლებისათვის.[55]

როცა დამოკიდებულება კავკასიაში სამოსარი მოქმედებანი (ასე თქვიდა ცარიზმი) და მთიელები ასე თუ ისე მორჩილებაში იქნენ მოყვანილნი, მთავრობამ გადაწყვიტა ძველად არსებული „ოსეთის სასულიერო კომისიის" აღდგენა, რადგან ახლადდაპყრობილი მთიელები შეიძლება ხელახლა დასამორჩილებელნი გამხდარიყვნენ.

ჯერ კიდევ 1811 წელს მთავარმართებელი ტორმასოვი წერდა გოლიცინს (რომელიც სინოდის ობერ-პროკურორი იყო), რომ იმპერატორისათვის წარედგინა პატაკი, რომელშიც ითხოვდა ნებართვას კომისიის ხელახალი აღდგენისათვის. რათა მთიელები არ მოჰყოლოდნენ მაჰმადიანური სარწმუნოების გავლენის ქვეშ. იმპერატორმა რეზოლუცია დაადო ტორმასოვის პატაკს, რომლის მიხედვითაც უნდა მოეძებნათ მართლმადიდებლური სარწმუნოების გამოცდილი მისიონერები. ამ საქმის გაძღოლა დაავალეს არქიმანდრიტ დოსითეოსს, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა. არქიმანდრიტი დოსითეოსი ახლოს იცნობდა ოსთა ადათ-ჩვევებს, წესებს, ყოფა-ცხოვრებას. მან მალე დააკმაყოფილა გოლიცინის თხოვნა გაეცნო მისთვის ოსთა მდგომარეობა და საერთოდ მიაწოდა ცნობები ოსეთის შესახებ. დოსითეოსმა მოკლედ აღუწერა ოსეთის თანამედროვე მდგომარეობა. ამასთან ერთად დოსითეოსი გოლიცინს თავაზობდა კონკრეტულ წინადადებას პირველ რიგში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. დოსითეოსი აგრეთვე მოითხოვდა, რომ ქართველ მემამულეებს ჩამორთმეოდათ ის მთიელები, რომლებიც მათ 1801 წლის აქტის შემდეგ მიიღეს. სამაგიეროდ მათთვის ფულადი ჯილდო მიეცათ ამისათვის 10000 მანეთი უნდა გამოყოფილიყო. დოსითეოსი მიუთითებდა აგრეთვე იმაზე, რომ უნდა გამოეფხენებინათ ქართველებიც. რომლებთაც საკმაო ავტორიტეტი გააჩნდათ ოს მოსახლეობაში. თუნდაც რად ღირდა ივანე იალღუზიძე. ხოლო მისი შრომის დაჯილდოებისათვის დოსითეოსი ითხოვდა 400 მანეთის მიცემას.

მისიაში მუშაობისათვის დოსითეოსი ითხოვდა მემამულე ნიკოლოზ ფიცხელაურს, გლახა ფიცხელაურს, გაბრიელ ფიცხელაურს, ზურაბ ფურცელაძეს და იორამ ჩერქეზიშვილს, რომლებიც ოსთა მეზობლად ცხოვრობდნენ და თავიანთი მოურაობის დროს ცდილობდნენ მათ მონათვლას და ქრისტიანობის გავრცელებას ამ მხარეში. დასახელებული მემამულეებიდან პირველი ორი უნდა დაჯილდოებულიყო მაიორის ჩინით და 400 მანეთით, სამი კი—კაპიტნის ჩინით და 300-300 მანეთით და ყველა ესენი ი. იალღუზიძის დამხმარეები უნდა ყოფილიყვნენ. ხოლო ისინი, ვისაც ჯერ კიდევ არ სწამდათ ქრისტეს მოძღვრება, უნდა დაეჯილდოებინათ ფულით, რომ ერწმუნათ ქრისტესი (ე.ი. მოესყიდათ—ვ. წ.). მათთვის დოსითეოსი ითხოვდა წლიურად 5000 მანეთს, ამ მემამულეებთან უნდა ყოფილიყო დამხმარედ მღვდლები, რომელთაც ისინი ჩათვლიდნენ საჭიროდ და ღირსეულად სცნობდნენ სამისიონერო საქმიანობისათვის. ამგვარად დოსითეოსის გაანგარიშებით „კომისიის" ხელახლა ასაღორძინებლად და ღირსეული მუშაობისათვის ყოველწლიწად საჭირო იქნებოდა 17 ათასი მანეთი.

განიხილა რა დოსითეოსის მოხსენებითი ბარათი თავადი გოლიცინი უარყოფითად შეხვდა დოსითეოსის წინადადების იმ მოსაზრებასაც, რომელიც შეიცავდა მოთხოვნას ოსი გლეხები, გაენთავისუფლებინათ ქართველი მებატონეებისაგან. როგორც ცნობილია ქართულ-მიწა-წყალზე ბევრი ოსი ცხოვრობდა (სუბიექტურ-ობიექტური მიზეზების გამო). ესენი იყვნენ არაგვის, ქსნის, ლიახვის და ნარის ხეობის ოსები (თუ არ ჩავთვლით ლეხურის ხეობის ოსებსაც). ყველა ესენი ემორჩილებოდნენ ქართველ მეფეებს. მაგრამ 1806 წლისათვის ციციანოვის შუამდგომლობით გადავიდნენ ქსნის ერისთავთა განკარგულებაში[3] ოსი გლეხების გათავისუფლება გამოიწვევდა მებატონეების განაწყენებას, რომლებიც ისედაც მზად იყვნენ აჯანყებულიყვნენ, რაც შეეხება ზემოთჩამოთვლილი აზნაურ-მემამულეების გამოყენებას სამისიონერო საქმიანობისათვის, ესეც დოსითეოსის მხრიდან პირადი შეხედულებით ახსნა გოლიცინმა. გოლიცინმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ზემოთჩამოთვლილი აზნაურებიდან პირველი მისი ძმა იყო, ხოლო დანარჩენები ნათესავები. შეიტანა რა ეჭვი დოსითეოსის გეგმებში, გოლიცინი არ დათანხმდა „კომისიისათვის" ამდენი თანხის გამოყოფას. იგი ასეთ ღონისძიებას (მოესყიდათ ზედაფენები) თვლიდა ზედმეტად. დოსითეოსის მოხსენებითი ბარათი შენიშვნებით გოლიცინმა ტორმასოვს გამოუგზავნა. პირველი პუნქტთან დაკავშირებით ტორმასოვი ამბობდა, რომ ბამულების წართმევა არ შეიძლება ერისთავებისათვის (რადგან ოსები დიდი რაოდენობით მათ მამულებში—ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ) მათი ნება-სურვილის (ნებართვის) გარეშეო. 1812 წელს ტორმასოვმა დატოვა საქართველო, ხოლო მის ადგილას მარკიზ პაულიჩი იქნა დანიშნული, რომელმაც გოლიცინს არსებითად ვერაფერი უპასუხა. ამ საკითხთან დაკავში-

რებით იგი აჯანყების ჩახშობა-ჩაქრობით (იგულისხმება კახეთის 1812-1813 წწ. აჯანყება) იყო დაკავებული. ამას დაემატა მთის აჯანყება საერთოდ და ნაპოლეონის შეჩრა რუსეთში.

1814 წლისათვის, როცა კავკასიის მთიელები დააწყნარეს, ალექსანდრე I-მა გადაწყვიტა მეტად არ შეეწუხებინა კავკასიის მთავარმართებელი. მან გოლიცინს უბრძანა პირადად ენახა და მოთათბირებოდა პეტერბურგში მყოფ ტორმასოვსა და პაულიჩს. რომელთაც უნდა განესაზღვრათ ქსნის ერისთავთა დაჯილდოება, როგორც აღნიშნული იყო დოსითეოსის მოხსენებით ბარათში. 1814წლის 31 აგვისტოს ეს რესკრიპტი ახალ მთავარმართებელ გენერალ რტიშჩევს ცხოვრებაში არ გაუტარებია. რადგან იგი თვლიდა, რომ ქსნის ერისთავებისათვის ამ მამულების წაგვრა (მაგრამ სხვა მამულების მიცემა, ან ერთდროული ფულადი დაჯილდოებით) გამოიწვევდა არა მარტო ერისთავების, არამედ სხვა მემამულეთა უკმაყოფილებასაც, რომელთაც ჰქონდათ ოსეთის სხვადასხვა ხეობებში სამფლობელოები. ამიტომ რტიშჩევი აყოვნებდა ამ განკარგულების ცხოვრებაში გატარებას.

ამ ასეთ მდგომარეობაში 1814 წლის 30 აგვისტოს განკარგულებით აღდგენილი იქნა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელსაც თავისი სამისიონერო საქმიანობა კავკასიის მთიელ მოსახლეობაში უნდა დაეწყო სამხრეთიდან. უწმიდესმა სინოდმა უმაღლესი ბრძანებულების გათვალისწინებით არქიმანდრიტ დოსითეოსს უბოძა თელავისა და საქართველო-კავკასიის არქიეპისკოპოსის ტიტული. მას წელიწადში „ოსეთის კომისიისათვის“ გამოუყვეს 14750 მანეთი. ცოტა მოგვიანებით ეს თანხა გაიზარდა დამატებით 700 მანეთით. გარდა აღნიშნულისა 1816 წელს სახელმწიფო ხაზინამ ერთდროულად გაიღო 52823 მან, ხოლო 1825 წელს კავკასიის მთიანეთის ეკლესიის მშენებლობისათვის მისცეს 49000 მანეთი ვერცხლით. გარდა აღნიშნული თანხისა „მისიას“ დოტაციის სახით საქართველოს ეკლესიის სხვადასხვა შემოსავლიდან დამატებით აძლევდნენ 1250 მანეთს.[58] ასი მცველი კაზაკი და 30 გლეხი მომსახურეობისათვის. 1814 წ. 15 სექტემბრის განკარგულებით „კომისია“ აღჭურვეს იმ ვალდებულებით, რომლითაც აღჭურვილი იყო მოზდოკში არსებული ყოფილი „კომისია“. მას მისცეს იმგვარი ინსტრუქციები, როგორც წინა „კომისიას“. თავდაპირველად დასითეოსის „კომისიაში“ იყო ერთი არქიმანდრიტი, ერთი იღუმენი, ოთხი მღვდელ-მონაზონი, ორი დეკანოზი, ხოლო „თეთრი სამღვდელოებიდან“ ორი მღვდელი, ერთი დიაკვანი და რვა მოძღვარი, აგრეთვე კაზაკთა ასეულის მეთაურად უნდა ყოფილიყო ქართველ მემამულეთა წრიდან. მიწერ-მოწერისათვის „კომისიაში“ უნდა ყოფილიყო მდივანი, ერთი თარჯიმანი და ორი მწერალი.[59] დოსითეოსის რეზიდენციად კახეთში თელავი, ქართლში კი ანანური განისაზღვრა. ცენტრად კი თბილისი. კერძოდ ავლაბარი. 1815 წლის 24 მაისს დოსითეოსი უკვე პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა, ხოლო 1817

წლის სექტემბრის თვისათვის, როცა კომისია უშუალოდ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაექვემდებარა, მას უკვე მონათლული ჰყავდა 6059 სული.[60]

დოსითეოსი ძლიერ დაუპირისპირდა ქსნის ერისთავებს და საერო ხელისუფლებას. იმისათვის, რომ ოსთა გაქრისტიანების საქმე გაეადვილებინათ, მათ პირდებოდნენ, რომ მებატონეთაგან გაათავისუფლებდნენ და სახაზინო გლეხებად ჩაირიცხებიან. ეს იდეა ოსთა შორის ძალიან პოპულარული იყო.

დოსითეოსის ამ საქმიანობას წინ აღუდგნენ ადგილობრივი მებატონეები და ხელისუფლება, რომლებიც მოითხოვდნენ მისგან ნუ ერევით სამოქალაქო საქმეებშიო. ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ იგი გადააყენეს და კომისია ეგზარქოსს თეოფილაქტეს დაუქვემდებარეს.

ეგზარქოსს თეოფილაქტეს დროს მისიის მუშაობა შედარებით გამოცოცხლება დაეწყო. როგორც ადრე ახლა თვითმპყრობელობა უხვად არიგებდა ქრთამებს. გავლენიანი პირების მოსასყიდად. აღნიშნული დროისათვის „ოსეთის სასულიერო კომისიის" მღვდლებს ხელფასის სახით ეძლეოდა 13250 მანეთი. ოსეთის მამასახლისების საჩუქრებისათვის და მათ „მოსაალერსებლად"—1500 მან, ჯვრების, სახალათე ტილოების და სხვადასხვა წერილმანი ხარჯებისათვის 3000 მან. სულ 17750 მანეთი. აქვე იყო კვების ხარჯებიც გათვალისწინებული იმ ახლადმონათლულთათვის, რომლებიც თბილისში სხვადასხვა საჩივრებისათვის ჩამოდიოდნენ საქმის გასარჩევად.[61]

თეოფილაქტეს განკარგულებით იმ რაიონის ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელზედაც ვრცელდებოდა თბილისში არსებული „სასულიერო კომისიის" გავლენა ევალებოდათ დაუყოვნებლივ გაეცათ პასუხი ახლადმონათლულთა საჩივრებზე და არ გაეჭიანურებინათ მათი საქმეების განხილვა, თეოფილაქტე ითხოვდა, რომ ახლადმონათლულთა საჩივრები დროულად ყოფილიყო განხილული და უმეტეს შემთხვევაში მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. როგორც ადრე, ახლაც გაქრისტიანებულ ოსებს უფლება ეძლეოდათ სურვილებისამებრ აერჩიათ დასახლების ადგილი[62] ეგზარქოსის მითითებით, ხელისუფლების სათანადო ორგანოებს თვალყური უნდა ედევნებინათ, რათა არავის შეევიწროებინა ახლადმონათლულები.

თეოფილაქტეს ცნობით „სასულიერო კომისიამ" 1817 წლის სექტემბრიდან 1820 წლის 10 მაისამდე წარმართობიდან და მაჰმადიანობიდან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია 28592 სული ოსი და 3405 ხევსური, სულიანად კი 31,997 სული ორივე სქესისა და 130 ოჯახი უდი. 1820-1822 წლებში 13442 ოსი, 821 უდი, 186 ქისტი, 668 ინგუში, ხოლო 1815-1825 წლებში ქრისტიანობა მიიღო 58228 კაცმა.[63]

სარწმუნოების გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის ადგილებზე შენდებოდა ეკლესიები და იქმნებოდა სამრევლოები. მითითებულ წლებში აღნიშ-

ნულ რაიონებში შეიქმნა 67 სამრევლო. თუ საქართველოს ბარის რაიონებში ეკლესიები და მის მსახურთა შენახვა მოსახლეობას ეკისრებოდა აქ გამონაკლისის შემთხვევის გარდა, ეკლესიებსა და სასულიერო პირთა შენახვა მთავრობის ხარჯზე იყო.[54] გასაგებია, რომ განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობდა ქრისტიანობის გავრცელება იმ რაიონებში, რომლებიც ძველთაგანვე საქართველოს ეკუთვნოდა და ხდებოდა ქართული ქრისტიანობის აღდგენა და არა ახლად გავრცელება; რადგანაც ამ რაიონში ქრისტიანობას უძველესი დროიდან ქართველი სასულიერო პირები ავრცელებდნენ.[55]

სარწმუნოების დასამკვიდრებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესიების მშენებლობას, 10 წლის განმავლობაში მთიანეთში აგებულ იქნა 28 ჭვის და 16 ხის ეკლესია, რომლის მშენებლობაზედაც სახელმწიფომ დახარჯა 6500 მანეთი. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მთიანეთში 6 სასულიერო სასწავლებელი დაარსეს „მისიის" ხარჯზე. სადაც 107 ბავშვი იღებდა სასულიერო განათლებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობდნენ ისეთი სასულიერო პირები, რომელთაც ხშირად თვითონ აკლდათ სათანადო მომზადება. მიუხედავად ამისა, სასწავლებლებმა მაინც სერიოზული როლი შეასრულეს მთიანეთის მოსახლეობას შორის ქრისტიანული იდეოლოგიის გავრცელებაში.[56]

თეოფილაქტე მთიელ ოსთა გასაქრისტიანებლად იყენებდა დეკანოზებს: ნიკოლოზ სამარღანოვს, იოსებ ელიოზისძეს, პეტრე ავალიანს, ბესარიონ ილურიძეს, ათანასე მაჭავარიანს, გიორგი ამირიძეს, ზაქარია მამაცევს, იაკობ ლომოუროვს, ალექსანდრეს (შემდეგში დავით გარეჯის უდაბნოს არქიმანდრიტს ანტონის), მღვდლებს გაბრიელ საძაგლიშვილს და იაკობ ზამთარაულს. ამათი დამსახურება ოსთა გაქრისტიანების საქმეში სათანადო ჯილდოებით აღინიშნა. საერო პირთაგან მათი ხელშეწყობა დავალებული ჰქონდათ ქართველ თავადებს: ოს-აზნაურ-სტარშინებს (მამასახლისებს). ქართველი თავადები ჩინებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს.ოსი მამასახლისები და აზნაურები კი ოქროს და ვერცხლის მედლებით. 1822 წლის 1 იანვრიდან „ოსეთის სასულიერო კომისიას" მიტროპოლიტი საქართველოს ეგზარქოსი იონა უდგება სათავეში. „კომისია" მისიონერული საქმიანობის სფეროს აფართოებს აფხაზეთისა და ჭარის ოლქში (დაღესტანი), რომელიც იმ დროს დასახლებული იყო ძირითადად ქართველებით__ინგილოებით და ემორჩილებოდნენ კახის სულთანს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ მხარეში დიდი იყო მაჰმადიანთა წინააღმდეგობა, ქრისტიანობის გავრცელების საქმეში „კომისიამ" დიდ წარმატებას ვერ მიაღწია.

აფხაზეთში ეგზარქოს იონას დროს მისიონერული ქადაგების შედეგად ქრისტიანული სარწმუნოებაზე მონათლული იქნა მხოლოდ 216 აფხაზი. ზაქათალას ოლქში რამდენიმე ინგილო. მაგრამ შემდგომ დროს წარმატებები უფრო საფუძვლიანი იყო.

იონას ეგზარქოსობის დროს ჩატარებული იქნა რევიზია „ოსეთის სასულიერო კომისიისა". რევიზია ჩაატარა დეკანოზ ნიკოლოზ სამარღანოვმა, რომელმაც ეგზარქოს წარუდგინა ანგარიში რევიზიისა, რომლიდანაც ჩანს, რომ ეკლესიები უკვე აშენებულია და იქ მიმაგრებული სამღვდელოება კეთილსინდისიერად ართმევს თავს მოვალეობას და თანდათანობით მეტი მთიელი ეტანება ქრისტეს სჯულს.

19 საუკუნის 30-იან წლებში, მისიის მოთხოვნები და შესაძლებლობები იზრდება. მისი საქმიანობა არ განისაზღვრება მარტო ეკლესიების მშენებლობით. აქვე მთიელ მოსახლეობაში არსდება სკოლები. სკოლები იხსნება სამრევლოებში. სადაც ბავშვებს, თვით მღვდელები ასწავლიან რომელთაც არც თუ ბევრი დრო დარჩებათ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების შემდეგ, ემასწავლებლათ, ამას ემატება ისიც, რომ სამრევლო მღვდლები და საერთოდ სასულიერო პირები ნაკლებ განათლებულნი იყვნენ, უარყოფითად მოქმედებდა ბავშვთა განვითარებაზე. მიუხედავად ამისა ამ სკოლაში დიდი დატვირთვა ჰქონდათ დაკისრებული მისიონერების აღზრდის საქმეში, რადგან ამ სკოლაში მთიელთა შვილები სწავლობდნენ და მათი დახმარებით და მეშვეობით, მათ მშობლებზე ზემოქმედებდნენ, რათა გაექრისტიანებინათ ისინი, რაც უმსუბუქებდა მისიონერებს მთიელებს შორის გაევრცელებინა ქრისტიანობა. XIX ს-ის 50-იანი წლებისათვის ოსეთში სამრევლო სკოლა იყო ექვსი, მათში 107 მოსწავლე სწავლობდა.

„ოსეთის სასულიერო კომისია", ასევე ზრუნავდა ახლადშემოერთებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაზე, რომლებიც ადრე ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ დროთა სიავის გამო თანდათან გამაჰმადიანდნენ. „კომისია" ცდილობდა ხელახლა მოექცია ისინი ქრისტიანობაზე. მაგრამ აქ დიდ წარმატებას მან ვერ მიაღწია, რასაც თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ აქ ქართველ მაჰმადიანებს ადგილებიდან ჰყრიდნენ თითქოსდა მათი არასაიმედობის გამო და ასახლებდნენ, ან თურქეთში, ან საქართველოს სხვა კუთხეში და არა მშობლიურ მხარეში. ამან გამოიწვია ამ მხარეში არაქართველი მოსახლეობის მატება ქართველთა ხარჯზე (რადგან მთავრობა მათ ასახლებდა სანდოობის თვალსაზრისით) და ამ მხარის დაკარგვის საშიშროება დგას დღეისათვის. ამ მხარის გაქრისტიანებისა და „მისიონერულ" საქმიანობაზე ჩვენ საუბარი გვექნება ქვემოთ სხვა თავში უფრო ვრცლად. ისევე, როგორც აფხაზეთის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით 19 საუკუნის 30-იანი წლებიდან.

§2. „ოსეთის სასულიერო კომისიის" სასულიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა

საქართველოში სასულიერო განათლების ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა IV საუკუნეში, ხოლო X-XIII საუკუნეებში იგი თავისი განვითარების არნახულ სიმაღლეზე ავიდა, რასაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გაძლიერებამ.

XIII-XIV საუკუნეებში სასკოლო განათლება საგრძნობლად შეფერხდა, მაგრამ სულ არ ჩამკვდარა. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავის წიაღში მაინც გამოძებნა ძალები, რითაც სიცოცხლე გაუხანგრძლივა გადაშენების გზაზე დამდგარ სწავლა-განათლების საქმეს. ეკლესია-მონასტრებთან და საეპისკოპოსო კათედრებთან კვლავ განაგრძობდნენ არსებობას სკოლები.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აღორძინება, რომელიც XVIII ს-ის დასაწყისში ძლიერდება, როცა ამ საქმეს ვახტანგ VI უდგება სათავეში. ვახტანგს დამხმარედ მხარში ედგნენ სულხან-საბა ორბელიანი, ონანა ქობულაშვილი, გივი თუმანიშვილი, დომენტი ბაგრატიონი (კათოლიკოსი), ვახუშტი და სხვ. შეიქმნა „სწავლულ კაცთა კომისია". ქართლში დაიწყო ეკონომიკურ სოციალურ-კულტურული აღმავლობის ხანა. რასაც ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური გაძლიერებაც უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ ქართველთათვის დროთა სიავის გამო პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა. ქართველებმა იმედის თვალი ჩრდილოეთს მიაპყრეს. კერძოდ პეტრე პირველს, რომელზეც მთელი თავისი იმედები ააგეს. პეტრემ ვერ გაამართლა ეს იმედები, პირიქით, მან ქართველები მოატყუა და თან რუსეთში მიიპატიჟა. **ვახტანგი დიდ ამალასთან ერთად წავიდა მოსკოვს. ამალაში იყო საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო და სასულიერო მოღვაწეთა დიდი და განათლებული ჯგუფი. ქვეყანა შეიძლება ითქვას სულიერი და ინტელექტუალური ძალისაგან დაიცალა. მათ თავიანთი ძალა, ენერგია და შემოქმედება რუსეთში განაგრძეს და ამ ქვეყანას მოახმარეს.** მაგრამ იყო ქართველთა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელთაც არ დავიწყნიათ სამშობლო და მასზე ფიქრობდნენ. ამის შედეგი იყო ის, რომ მათ წინადადებით მიმართეს რუსთა ხელისუფლებას ოსეთში შეექმნათ „სასულიერო მისია" ქართველთა მონაწილეობით (მასზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი). უნდა ითქვას ერთი, რომ „კომისიამ" გარკვეული როლი შეასრულა ქართველი და ოსი ხალხების კულტურულ დაახლოებაში. განსაკუთრებით ოსეთის კულტურულ გამოღვიძებასა და აღორძინებაში. დიდი იყო ქართველთა კულტურულ-სამისიონერო და სასულიერო ღვაწლი ოსებისადმი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოსთათვის ანბანის შექმნა (გაიოზი, იალღუზიძე, დვალიშვილი).

XVIII საუკუნის ოსეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაში რისთვისაც იღწვოდა, „ოსეთის სასულიერო კომისია" უაღრესად დიდი როლი შეასრულეს საქართველოს სასულიერო წრეებმა (პირებმა). ქრისტიანობის გავრცელებას კავკასიის მთიელთა შორის ის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მას შედეგად მოსდევდა დამწერლობის, საეკლესიო ხუროთმოძღვრების საწყისების განსაზღვრული ზომით გავრცელება ამ ხალხებში. ქართული კულტურის, ქართული ენის გავლენა ოსებზე აისახა ქართული ლექსიკის, არაქარ-

თული წარმოშობის სიტყვების ქართული ენის მეშვეობით ოსური ენის ლექსიკაში შეღწევით, ცნობილ მეცნიერებს, ოსური ენის გამოჩენილ მკვლევარებს პროფ. ვ. აბაევს და გ. ახვლედიანს ამ დებულების დამადასტურებლად თავიანთ ნაშრომებში მოტანილი აქვთ ქართულ ენაზე ოსური ენის გავლენის მრავალი მაგალითიც.[1]

დიდი იყო „სასულიერო კომისიის" დამსახურება ოს ხალხში ქართული დამწერლობის გავრცელებაში. საქმე ის იყო, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით (რომელთა შესახებ ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი). მათ ქართული საეკლესიო წიგნები უნდა ჰქონოდათ და ქართულ და ოსურ ენებზე ემოღვაწათ. კომისიას მიაჩნდა, რომ ქრისტიანობის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად საჭირო იყო ადგილობრივი სასულიერო კადრის შექმნა. ამ მიზნით „კომისიის" წევრებს აჰყავდათ ოსი ბავშვები და თავის ხარჯზე ასწავლიდნენ. თვით „კომისიის" ხელმძღვანელს პახუმს ორი ოსი ბავშვისთვის უსწავლებია წერა-კითხვა, ხოლო იღუმენ გრიგოლს სამი ბავშვისთვის. ამათგან ერთი მღვდლადაც უკურთხებიათ და ოსეთში გაუგზავნიათ. პახუმი სინოდს ატყობინებდა, რომ მის მიერ ქართულ დამწერლობაზე აღზრდილი ოსები „ В Крещение своего народа великие вспомоществование чинят"[2].

უფრო მნიშვნელოვანი იყო ქართველ მისიონერთა ზრუნვა ოსეთის მოსახლეობაში განათლების შეტანისათვის. 1751 წელს არქიმანდრიტმა პახუმმა სინოდის წინაშე დააყენა საკითხი ოსებისათვის სკოლის გახსნის შესახებ. სინოდმა უპასუხა, რომ „сие дело, зело нужное" ოღონდ ურჩიეს თავი შეეკავებინა სკოლის გახსნისაგან, ვიდრე შეისწავლიდა სკოლის შენახვის ფინანსურ მხარეს, დაარსების ადგილს, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემადგენლობის საკითხს, ოსთა დამოკიდებულებას სკოლაში თავის ბავშვების ნებაყოფლობით შეყვანისადმი.[3]

სინოდის დავალების პასუხად 1753 წელს პახუმმა სკოლის გახსნის შესახებ დაწვრილებითი პროექტი წარადგინა. პროექტით ნავარაუდევი იყო სკოლის გახსნა ქურთათის ხეობაში, ხაზინის ხარჯზე 30 მოსწავლისათვის. სწავლება ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო, ამასთან ერთად 1746 წლიდან, სინოდისავე დავალებით, „კომისიის" წევრები ქართულიდან ოსურ ენაზე, ქართული შრიფტის საფუძველზე, საეკლესიო ხასიათის წიგნების თარგმნას შეუდგნენ. პახუმი წერდა, რომ ამ დროისათვის (1753 წ) „Не которые уже стихи из божественных писаний нами на Осетинский язык и переведены". პახუმი დარწმუნებული იყო, რომ ოსები ნებაყოფლობით მისცემდნენ თავიანთ ბავშვებს სასწავლებლად.

პახუმის ცდების მიუხედავად ქურთათში სკოლის გახსნა ვერ მოხერხდა. რუსეთის მთავრობა ყოყმანობდა, არ ჩქარობდა სკოლის გახსნას და მხოლოდ 1764 წელს გახსნა სკოლა ახლად დაარსებულ ციხე-სიმაგრე მოზდოკში. ეს იყო

პირველი სკოლა ოსი ხალხის ისტორიაში, რომლის გახსნის ინიციატივა ქართველ სამღვდელო პირთაგან მომდინარეობდა. რუსეთის მთავრობა ცდილობდა სკოლაში ოსთა სოციალური ზედაფენების წარმომადგენლები მიეზიდა და მათი სახით თავისი პოლიტიკის ერთგული დამცველები და გამტარებლები მოემზადებინა. 1766 წელს ჯიზლარის კომენდანტი, რომელსაც ოფიციალურად ევალებოდა ამ საქმეების ხელმძღვანელობა, მოახსენებდა ცენტრს, რომ სკოლაში ნარელ, მამისონელ და ზახელ „მამასახლისთა" ოთხი ბავშვია ჩარიცხული და მიღებული ღონისძიებანი „Содержать их во всяком и лучшем довольствий, дабы тем возбудить и в простых желание на отдачу своих детей."[4]

უფრო კონკრეტულ სურათს მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობისას იძლევა 1767 წლის სკოლის უწყისი. აქ ამ წელს სწავლობდა შემდეგი „მამასახლისთა" შვილები: დიგორიდან თეოფანე ყარაბუგაევი, რომლის მამას 20 ოჯახი ეკუთვნოდა; მამისონის ხეობიდან ივანე ელიხანოვი, რომლის მამა ეგორ ელიხანოვი იმყოფებოდა ოსთა პირველ ელჩობის შემადგენლობაში პეტერბურგში; ნარის ხეობიდან სამი მცირეწლოვანი ხეთაგურთა გვარეულობიდან[5] და ბოლოს ზახის ხეობიდან ანდრია ბიტაროვი, რომლის მამაც მამასახლისი იყო.[6] უწყისში აღნიშნულია აგრეთვე რომ მოსწავლეთა მამები „მამასახლისები" („სტარშინები") ქართლის და იმერეთის მეფეებიდან ყოველწლიურად ღებულობდნენ დახმარებას, რაც მამათა მაღალ წარმომავლობაზე მიუთითებს. სკოლასთან არსებობდა დახურული პანსიონატი, რომელშიც მოსწავლეები ხაზინის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ, მამასახლისთა შვილებს თვეში 4 მანეთს, ხოლო „უბრალოთა"—„ღარიბთა"—შვილებს 2 მანეთი ეძლეოდათ.

სკოლის პირველი მასწავლებელი იყო ქართველი დიაკვანი რომანოვი (რომანიშვილი). მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ერთადერთი იყო მთელ ოსეთში და შეიძლება ითქვას მთელ ჩრდ. კავკასიაშიც, რომ იგი სასულიერო ხასიათის იყო, მოსწავლეთა მცირე რაოდენობით, სწავლების არასრულყოფილი მეთოდებით და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებით, მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ოსური კულტურის ახალ, აღმავალ გზაზე შეჯნებისათვის. მას თან მოჰქონდა დამწერლობის ცოდნის დანერგვა ადგილობრივ მოსახლეობაში.

„ოსეთის სასულიერო კომისიის" წინაშე დაისვა ქართული ენიდან ოსურზე სასულიერო ხასიათის წიგნების თარგმნის ამოცანა. 1747-1753 წლებში იღუმენმა გრიგოლმა ზოგიერთი ქართული სასულიერო წიგნები ოსურ ენაზე გადათარგმნა კიდეც ქართული საეკლესიო ანბანის (ხუცურის) საფუძველზე. ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი აღნიშნავდა, რომ ერეკლე II-ს მეფობაში ქართული საეკლესიო ანბანით ოსურ ენაზე გამოიცა სასულიერო წიგნები და რომ მას საკუთარი თვალით უნახავს 1753 წელს დაბეჭდილი ასეთი წიგნი.

რუსეთის მთავრობა რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომამდე თავს

ჩაეყენებდა „ოსეთის კომისიის“ საქმიანობისაგან განზე მდგარად. 1771 წლიდან კი თურქეთთან ომში მოპოვებული წარმატებათა შედეგად რუსეთმა ხელი აიღო ჩრდ. კავკასიაში თავისი საქმიანობის შენიღბვის პოლიტიკაზე და **„ოსეთის კომისია“ ოფიციალურად თავის კავკასიური პოლიტიკის იარაღად გაიხადა.** მან „კომისიაში“ რუსი სამღვდელო პირები შეიყვანა და განკარგულება გასცა ოსურ ენაზე სასულიერო წიგნების თარგმნა-გამოცემას ქართულის ნაცვლად რუსული ანბანი დასდებოდა საფუძვლად.

როგორც ავღნიშნეთ, ქართულიდან ოსურ ენაზე სასულიერო წიგნების თარგმნის საქმეს აგრძელებდა მოზდოკის ეპისკოპოსი გაიოზი. იგი როგორც დიდაქტიკოსი, ცდილობდა ახლად დაარსებული სკოლისა და აღსაზრდელებისათვის ძლიერი პედაგოგები შეერჩია. სწორედ ასეთთა კატეგორიას ეკუთვნოდა მოსკოვის სლავიანურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის კურსდამთავრებული, ზეპირსიტყვიერებისა და რუსული გრამატიკის მასწავლებელი იოანე ჭილაშვილი და ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების დიდი მცოდნე მიხეილ სამსონოვი. სწორედ ასეთი მომზადებული კადრების საშუალებით ცდილობდა გაიოზი მიეზიდა სასაწავლებლის კედლებში მთიელთა ბავშვები. გაიოზის მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეკავა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმის გაუმჯობესებას ოსეთში. მის მიერ კურირებულ **სკოლაში აღიზარდა მთელი თაობა მთიელი ქრისტიანებისა, რომელთაც შემდგომ გარკვეული მისიონერული როლი შეასრულეს ჩრდ. კავკასიის ხალხებს შორის ქრისტიანული იდეების ქადაგებაში.**

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წიგნი სასულიერო ხასიათისა იყო, მას ოსი ხალხის კულტურის ისტორიაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. XIX ს. ცნობილმა ოსმა პუბლიცისტმა გ. ცაგალოვმა მას სამართლიანად უწოდა „первенец Осетинской книжной литературы“. ეს იყო საფუძვლის ჩაყრა ოსური დამწერლობისათვის რუსული გრაფიკის ბაზაზე. მართალია, ამ ახალ მოვლენას წინ უსწრებდა ქართული კულტურისა და გრაფემის ბაზაზე ოსური დამწერლობის შექმნის ცდები, მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში, როცა რუსეთი ძლევამოსილად მოიწევდა კავკასიაში დასამკვიდრებლად, ოსური დამწერლობის რუსული გრაფიკის ბაზაზე შექმნას პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა. ამ მოვლენას ოსური მასების საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრორუსული მიმართულებაც ედვა საფუძვლად და რუსეთის სათანადო წრეებში ამ ორიენტაციის განმტკიცების საშუალებად იყო მიჩნეული. ასეა ეს ფაქტი შეფასებული გ. თოგოშვილის დასახელებულ წიგნში.

„ოსეთის კომისიის“ საქმიანობის ზოგიერთი მომენტის ასეთი მოკლე მიმოხილვის შემდეგ ზედმეტი არ იქნება ვაჩვენოთ ქართული ენისა და დამწერლობის, ქართული კულტურის ბაზაზე აღზრდილი და ამ კულტურის ასპა-

რეზზე მოღვაწე ოსები. XVIII ს. ცნობილია ოსყოფილი[8] პართენი, ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის შესანიშნავი მცოდნე. ეს ის პართენია რომლის გადაბირებასაც უშედეგოდ ცდილობდა „ოსეთის სასულიერო კომისია". იკორთის ტაძრის 1761 წლის ხელნაწერში პართენი ამ ტაძრის არქიმანდრიტად იხსენიება: „ღ(მერთ)ო შ(ეიწყალ)ე ც(ოდვილ)ი არქიმანდრიტი (იკორთისა) პართენ ოს-ყოფილი ქ(რისტ)ე აქეთ ჩღBა (1761)[9]. იკორთა ქსნის საერისთაოს გვერდისძირულ სამფლობელოში მდებარეობდა, სადაც ქართული და ოსური მოსახლეობა შერეულად ცხოვრობდა, პოლიტიკური მოსაზრებებით აქაური არქიმანდრიტი ხშირად ოსთა წრიდან ინიშნებოდა.[10]

არქიმანდრიტმა პახუმმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე ოს ბავშვს ასწავლა წერა-კითხვა. ერთი მათგანი, ქურთათელი ბახტა, ქრისტიანობაში ბაგრატი, იმდენად დახელოვნდა, რომ ქართული წიგნების გადმოწერას მიჰყო ხელი და ლექსების წერაშიც ვარჯიშობდა. მის მიერ გადაწერილი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს (1760 წ) აქვს შემდეგი მინაწერი: „ლექსიკონისა ამის პირველად გარდმომწერელი ოსის შვილი გვრივიძე, ბახტა ყოფილი, ბაგრატ, გევედრები მ{რვალითა გულითა უფალნო: უკეთუ შეცდომილი რამე იხილოთ, ნუ მწყევთ და თუ უკეთუ თქვენდა არად დასაკლის იყოს, შენდობის წყალობას ვითხოვ, ხოლო აღიწერა წელსა ჩღB, მაისის გ''.. იმავე ფურცლის მეორე გვერდზე არის საანდერძო ლექსი:

„მამამან პახუმ აღმზარდა, სულით არს განათლულია,
ოსნი მიწოდნენ ბახთასა, ბაგრატ ვარ მონათლულია,
ბაზაზაშვილი გვრივიძე, სოფლით ვარ ქურთაულია;
წიგნი და კითხვა მასწავლა, წერა თან შენართულია..."[11]

ოსეთში ქრისტიანული რელიგიის დანერგვის გარდა საფილოფოსო ცოდნის, მწერლობისა და კულტურის გავრცელების საქმეში საკმაო წვლილი შეიტანეს აგრეთვე ანტონ კათალიკოსის აღზრდილმა ოსმა ყოფილმა ნეოფიტემ და იოანე წილკნელ ეპისკოპოსმა ქარუმიძემ, რომელიც, როგორც ცნობილია „...აღიზარდა გარეჯის მონასტერსა შინა სიყრმითაგან და ისწავა მუნ ფილოსოფია და სხვანი სწავლანი, იყო მშვენიერი მოუბარი და... მცოდნე, ამან აღზარდა რამდენიმე მოწაფენი და მათ შორის იოანე ოსყოფილი, რომელმაც მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენათა ზედა კონდაკი და ლოცვანი და მრავალნიცა დაიმოწაფნა".[12]

ოსეთის კოლონიზაციის დაჩქარებისათვის მეფის თვითმპყრობელობა სკოლებისა და ეკლესიების ქსელის გაშლას აჩქარებდა. კავკასიის მთის ხალხთა

დაპყრობის პოლიტიკა ოსეთის ზედაფენებზე დაყრდნობით სკოლების გამოყენების გზით ხორციელდებოდა.

XIX ს. 30-40-იან წლებში მთის ხალხები და კერძოდ, ოსები სწავლა-განათლებისადმი საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენდნენ. ისინი ხშირად მიმართავდნენ კავკასიის მთავარმართებელს ოსეთში სკოლების გახსნის შესახებ, მაგრამ მათ თხოვნას უმეტეს შემთხვევაში გვერდს უვლიდნენ.

1834 წელს მთავარმართებელი როზენი სამხედრო მინისტრს ა. ჩერნიშევს აცნობებდა „საკუთრივ ოსების საზოგადოებათა სურვილზე, რომ მათ ჰქონდეთ სასწავლებლები ბავშვთა გასანათლებლად.“[13] იგივე როზენის მიმართვიდან ირკვევა, რომ ოსეთიდან და კავკასიის მთიელთა სხვა მცხოვრებლებიდან მთელი საზოგადოება შუამდგომლობდა. მღვდლების და მასწავლებლების გაგზავნის მაგიერ ოსებს მთავრობის მიერ ბოქაულები და ყაზახთა რაზმები ეგზავნებოდა.

XIX საუკუნის 30-40-იან წლებში ცარიზმი თავისი მიზნების განსახორციელებლად ოსეთში ხსნიდა მისიონერთა სკოლებს, ხელს უწყობდა სამხედრო და სამოქალაქო სასწავლებლების ქსელის ერთგვარ გაფართოებას, რათა მთის ხალხებში ჰყოლოდა ცოტა თუ ბევრად განათლებულნი „მსახურნი ეკლესიისა“, ჩინოვნიკები, სოფლის მწერლები, მასწავლებლები, სამხედრო პირები და წვრილი მოხელეები.

„ამიერკავკასიის“ და საერთოდ კავკასიის „მცირე ერების“ სწავლა-განათლებისაკენ ლტოლვის „სურვილთა დაკმაყოფილებისა“ და აღნიშნული მხარის მართველობის რეორგანიზაციისათვის 1840-1841 წლებში სენატორ განის ხელმძღვანელობით შეიქმნა, სახელმწიფო საბჭოს კომისია, რომელმაც „სახალხო სკოლების შესახებ“ 1841 წ. მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა: „ამიერკავკასიის მხარის მცხოვრებთა სურვილი მოაწყონ თავიანთი ბავშვებისათვის სკოლები იმდენად დიდია, რომ შორეული მთიელებიც კი ისეთები, როგორებიც არიან ჭარის ლეკები და ოსები, გამუდმებით სთხოვენ ამის შესახებ მმართველობას. ვცნობდით რა სასარგებლოდ და საჭიროდ, რამდენადაც შეიძლებოდა ხელი შეგვეწყო განათლებისაკენ ამიერკავკასიელთა ასეთ ლტოლვისათვის, ჩვენ მივიღეთ ზომები ბავშვთა მოსათავსებლად სამრევლო სკოლებში“.[14]

ოსეთში წერა-კითხვისა და ელემენტარული ცოდნის გავრცელების საქმეში XIX ს. 40-50-იან წლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ვლადიკავკავის ოსური სასულიერო სასწავლებელი (1836 წ. სექტემბერში გაიხსნა). რომელშიც დასაწყისშივე 34 მოსწავლიდან 33 ოსი ირიცხებოდა. სწავლება ამ სკოლაში რუსულ და ოსურ ენაზე წარმოებდა. სხვა მისიონერული სკოლებთან ერთად. ეს სასწავლებელიც მთის მოსახლეობაში ცარიზმის პოლიტიკის განხორციელების მიზნებს ემსახურებოდა. საქართველოს ეგზარქოსის აზრით, ზემოაღნიშნული სასწავლებლის ძირითად მიზანს შეადგენდა მოემზადებინა „ოსეთის

მრევლისათვის განათლებული საეკლესიო მღვდელ-მსახურნი".[13]

„ოსეთის სასულიერო კომისიის" ინიციატივით გახსნილი ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებელი ოსეთის მისიონერთა და მამასახლისთა შვილებს ამზადებდა. ეს სკოლა 1863 წლამდე არსებობდა. მისი დაარსების ინიციატორი იყო საქართველოს ეგზარქოსი ევგენი. ამ სკოლის ზედამხედველად მუშაობდა შიო დვალიშვილი.

ვლადიკავკაზის ოსური სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულები მიდიოდნენ სხვა ქალაქებში და იქ აგრძელებდნენ სწავლას. 1848 წელს სასწავლებლის ინსპექტორმა მღვდელმა კოლიევმა, რომელმაც პირველმა დაამთავრა (1845 წ.) თბილისის სასულიერო სემინარია ოსთაგან, ვლადიკავკაზის სამხედრო ოლქის უფროსს წარუდგინა შვიდი მოსწავლის სია უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში გასაგზავნად. ამათგან ერთი—ჟუსკაევი თბილისის სასულიერო სემინარიაში გაიგზავნა. დამთავრების შემდეგ ისინი ბრუნდებოდნენ სამშობლოში და ნაწილობრივ სასულიერო უწყებაში, ნაწილობრივ კი სასწავლო დაწესებულებებში მუშაობდნენ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსეთისათვის საქართველოს კულტურული მნიშვნელობა კვლავ დიდი იყო. შემთხვევითი არაა, რომ თბილისში სწავლა დამთავრებულმა ოსებმა დიდი როლი ითამაშეს ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში.

XIX ს. დამდეგის ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობის საჩვენებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იოანე იალღუზიძის საქმიანობას-მოღვაწეობას. მასზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს.[14] იოანე 1775 წელს დაბადებულა. ერეკლე II-ს ბრძანებით იგი იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტთან სწავლობდა წერა-კითხვას, აქედან კი დავით-გარეჯის წინამძღვარს იოანე ქარუმიძეს ჩააბარეს სიტყვიერების შესასწავლად. იოანემ აქ გაასრულა სწავლება.

ი. იალღუზიძე ადრევე შეუდგა ქართული ხელნაწერი წიგნების გადაწერას. წიგნებზე მინაწერიდან კარგად ჩანს, რომ იოანე კეთილსინდისიერად ეკიდებოდა თავის საქმეს და დიდ პასუხისმგებლობას უწევდა თავის თავს წიგნების გადაწერის საქმეში. იოანე კარგი კალიგრაფი, რომ ყოფილა ჩანს იმ წიგნების სიიდან, რომელიც მას გადაუწერია.

ი. იალღუზიძე აღმზრდელი ყოფილა იოანე ბაგრატიონის ვაჟის გრიგოლის. გრიგოლის ხელნაწერ ფოლიანტში აღმოჩნდა იალღუზიძის ორი ლექსი, მიძღვნილი იოანეს მეუღლე ქეთევანისადმი უფრო მნიშვნელოვანია იოანეს ორიგინალურ პოეტურ ნაწარმოებთაგან მის მიერ ქართულ ენაზე შესრულებული პოემა „ალღუზიანი", რომელიც ოსთა ლეგენდარული მეფის ალღუზონის ლაშქრობებსა და საქმიანობას ეხება. პოემის შინაარსის გადმოცემას და გარჩევას ჩვენ არ შევუდგებით, რადგან ჩვენი საკვლევი თემა ამას მიზნად არ

ისახავს, ამ შემთხვევაში ავღნიშნავთ იმ ფაქტს, რომ იოანემ ქართულ ენაზე პოეტური ნაწარმოებები შექმნა, რომელშიც აისახა ოსური ხასიათები, ოსთა ყოფისა და ზნე-ჩვეულებების სურათები. პოემა მრავალჯერ იქნა გამოცემული[17].

იალღუზიძის საქმიანობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ოსური კულტურის განვითარებისათვის იმ დროიდან, რა დროიდანაც მან მუშაობა დაიწყო „ოსეთის სასულიერო კომისიაში" მთარგმნელად. „კომისია" 1814-15 წლებში აღადგინეს და იგი იმ დროიდანვე მუშაობდა აქ. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა დოსითეოსი იოანე იალღუზიძის კომისიაში მონაწილეობის მიღებას.

იოანე თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა, რისთვისაც საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტეს წარდგინებით 1821 წ. 3 სექტ. „საგუბერნიო მდივნის" ჩინი მიიღო.

1820 წლის თებერვალში იალღუზიძე დაინიშნა ოსური და ქართული ენების მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში იმ ოსი მოსწავლეებისათვის, რომელთა გაგზავნა დასრულების შემდეგ ნავარაუდევი იყო ოსეთში.

სემინარიაში მუშაობის პერიოდში მან ჯათლად იგრძნო ოსური დამწერლობის შექმნის აუცილებლობა, ამიტომაც მაშინვე დაუწყია სათანადო მუშაობა ოსური ანბანის შექმნისათვის. მართალია 1798 წელს რუსული საეკლესიო დამწერლობის ბაზაზე მოზდოკის ეპისკოპოსის გაიოზის მიერ ოსი მღვდლის პავლე გენცაუროვის დახმარებით გამოცემული იქნა ოსური ანბანი და პირველდაწყებითი საკითხავი წიგნი, მაგრამ იგი არასრულყოფილი იყო და ფართოდ ვერ გაიდგა ფესვები.

1820 წელს მაისში იალღუზიძე საქართველოს ეგზარქოსს მოახსენებდა რომ დიდი ხანია სურდა ოსთათვის სასწავლო და სასულიერო წიგნები ეთარგმნა, მაგრამ არც წამქეზებელი ჰყავდა და არც საიმისო სახსრები ჰქონდა. თქვენი დავალებით განაგრძობდა იგი,–ვთარგმნე ცისკრის და მწუხრის ლოცვანი,მოკლე კატეხიზისი, ქრისტიანული ზნეთსწავლულები, რომლებიც დაიბეჭდა ქართულად და ოსურად ქართული საეკლესიო ანბანის საფუძველზე. შემდეგ ვთარგმნე თქვენი დავალებით საღვთისმეტყველო ლიტურგია.[18]

დასასრულ იგი მოახსენებდა ეგზარქოსს, რომ შეადგინა ოსური ანბანი, რომელიც 37 ნიშნისაგან (ლიტერისაგან) შედგება საიდანაც 30 ქართულია, ხუთი ახლად შექმნილი ორი კი რუსული ანბანიდანაა შემოტანილი. იალღუზიძე ითხოვს, რომ დაიბეჭდოს ეს ანბანი, რათა ოს ახალგაზრდობას საშუალება ჰქონდეს მშობლიურ ენაზე ისწავლოს.

იალღუზიძემ ოსური ანბანის ორი ვარიანტი შეადგინა ერთი ხუცური მწერლობის საფუძველზე მეორე კი მხედრულის. ხუცურის საფუძველზე საეკლესიო წიგნები უნდა თარგმნილიყო, მხედრულის საფუძველზე კი საერო.

გაიოზის ანბანთან შედარებით იალღუზიძის ანბანში არ იყო არც დიაკრიტიული ნიშნები,არც შედგენილი ასოები.მასში ყველა ბგერა ერთი ნიშნით არის გამოხატული.

1821 წ. იალღუზიძემ თავის მიერვე შედგენილი შრიფტის საფუძველზე გამოსცა თბილისში ოსური ანბანი. იგი ხუცურის საფუძველზეა შედგენილი და მიზნად ისახავდა ოსი ახალგაზრდობისათვის თავის ენაზე წერა–კითხვის შესწავლის საშუალება მიეცა.[19]

1823 წელს იოანემ დაამთავრა სახარების თარგმნა და სთხოვა ეგზარქოსს იოანეს, საშუალება მიეცა ქართულისა და ოსურის კარგად მცოდნე ოსთა მეშვეობით შეემოწმებინა თარგმნის სისწორე. ეგზარქოსმა მოიწონა ეს წინადადება და დაავალა შალვა ერისთავს, მოეწვია ქართულის კარგი მცოდნე ქრისტიანი ოსი და მასთან ერთად მოესმინა სახარების ტექსტი. ერისთავი გ. ბიბილოვთან ერთად გაჰყვა იალღუზიძეს პატარა ლიახვის სათავეში მცხოვრებ ოსებთან და იქ ზონკარში, ლეკოვანში, წიფარში შემდეგნაირად შეამოწმეს მისი თარგმნის სისწორე. გ. ბიბილოვი კითხულობდა ქართულ ტექსტს,თვითონ–ოსურს, შალვა ერისთავი კი ამას რუსული სახარებით ამოწმებდა.[20] შემოწმების შემდეგ სახარების ეს თარგმანი ეგზარქოსმა გაგზავნა უწმინდეს სინოდში. იქ გადაწყდა, რომ მოსკოვში იგი ორი ათასიანი ტირაჟით დაებეჭდათ.მაგრამ რაღაც მიზეზის გამო სახარების ოსური იალღუზიძის ეს თარგმანი არ დაბეჭდილა.

იალღუზიძის შედგენილმა ოსურმა ანბანმა, მართალია საბოლოოდ ვერ მოიკიდა ფეხი ოსეთში, რაც ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო. მაგრამ ეს იოანეს შემოქმედების კულტურულ–ისტორიულ მნიშვნელობას ჩრდილს ვერ აყენებს. **როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი ოსური ანბანის ბედი. მისი ანბანითა და ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოებებით იწყება ოსური დამწერლობის ნამდვილი ისტორია.**

ასე,რომ ი. იალღუზიძე წარმოგვიდგება XIX-ს პირველი მესამედის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ მოღვაწედ. ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილმა იოანემ დიდი ღვაწლი დასდო ოსური კულტურის განვითარებას–ოსური დამწერლობის განვითარებას, ბეჭდითი ლიტერატურის შექმნას, წერა–კითხვის მცოდნე ოსთა რიცხვის ზრდას.

დაწყებული XIX ს. 20-იანი წლებიდან წყაროებში ხშირად ვხვდებით ცნობებს იმის შესახებ, რომ ოსეთის სამრევლოს მღვდლები შინაური წესით ასწავლიან ბავშვებს წერა-კითხვას ოსურ, ქართულ და იშვიათად, რუსულ ენებზე. ჩნდება აგრეთვე ცნობები გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში, აგრეთვე სხვა სასწავლო დაწესებულებებში ოსი ახალგაზრდობის სწავლის შესახებ.[21]

1846 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ხუთი ოსი სწავლობდა.

სემინარიის გამგეობამ ეგზარქოსს მიმართა ამ მოსწავლეთა შესანახად თანხების დაშვების შესახებ. ესენი იყვნენ ბართლომე ტუგანოვი, გიორგი კანდემიროვი, პეტრე ჯიკაშვილი, ნიკოლოზ კუნდუხოვი და ვასილ ცორაევი. ეს უკანასკნელი ამ დროს უკვე მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. მაგრამ სემინარიის ხელმძღვანელობამ აუნაზღაურა გზისა და ეკიპირების ხარჯები. 1848 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში კვლავ ხუთი ოსი მოსწავლეა დასახელებული.[22]

1847 წელს „ოსეთის სასულიერო კომისიის" კანცელარიამ ეგზარქატს მიაწოდა ცნობა, ოსეთის სკოლების (სასულიერო-სამრევლო) შესახებ. ეს სკოლები შემდეგ ეკლესიებსა და სამრევლოებთან არსებობდნენ: 1) არდონის წმ. გიორგის ეკლესიასთან 23 მოსწავლით; 2) ყობა-ყაყადურის სამრევლოში 4 მოსწავლით; 3) წინსოფლის წმ. გიორგის ეკლესიასთან 6 მოსწავლით; 4) ნარის წმ. გიორგის ეკლესიასთან 4 მოსწავლით. 5) ჯავის ღვთისმშობლის ეკლესიათან 6 მოსწავლე; 6) ხაჩირაანთკარის წმ. გიორგის ეკლესიათან 10 მოსწავლით.[23] (უნდა აღინიშნოს ის გარემოება რომ ზოგიერთი დასახელებული სოფელი და სკოლა ქართულ მიწა-წყალზე იყო, მაგრამ მას მიიჩნევდნენ სამხ. ოსეთად და ამას თავის დამსახურებად მიითვლიდა „ოსეთის სასულიერო კომისია").

ქართველ მოღვაწეთაგან ოსი ხალხის სწავლა-განათლების, წიგნიერების გავრცელების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვლადიკავკავის ოსური სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს, ქართულ-რუსული და ოსურის საუკეთესო მცოდნეს შიო დვალიშვილს.[24] იგი ოსურ ენას ასწავლიდა 1836 წელს დაარსებულ ზემოთ აღნიშნულ სასწავლებელში, სადაც დასაწყისში 34 მოსწავლიდან 33 ოსი იყო. უკვე ვთქვით, რომ ოსური დამწერლობა XIX ს. 20-იანი წლებიდან ქართული გრაფემის ბაზაზე შეიქმნა. თვით საეკლესიო-სამრევლო სკოლებშიც ოსურთან ერთად, ქართული ენა ისწავლებოდა. ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის შესაბამისად. შიო დვალიშვილის--ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს--1836 წელს განკარგულება მიეცა „обучение детей горцев Грузинским буквам как вовсе ненужное, совершенно отменить.[25] მან როგორც ოსურის კარგმა მცოდნემ დავალება მიიღო ოსური სახელმძღვანელოების ხელახლა სათარგმნელად გამოეყენებინა შეგრენის მიერ რუსული გრაფემის საფუძველზე შედგენილი ოსური ანბანი. შიო დვალიშვილმა, მართლაც, მრავალი სასულიერო წიგნი და სახელმძღვანელო თარგმნა ოსურ ენაზე. იგი XIX ს. 40-50 წლებში ჩრდ. კავკასიაში ნაყოფიერ საგანმანათლებლო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა.

XIX ს.-ის 50-60-იანი წლების ოსეთში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო მღვდელ ალექსი კოლიევის (1823-1866წწ) საქმიანობა. მან ხომ ერთ-ერთმა

პირველმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და დაინიშნა ვლადიკავკავის ოსური სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად და მეოთხე კლასის მასწავლებლად. შემდეგში კი ამ სასწავლებლის ზედამხედველი გახდა. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქალთა განათლებას ოსეთში. 1862 წელს მის მიერ დაარსებულ ქალთა კერძო სკოლაში 20 ოსი გოგონა სწავლობდა, 1863 წელს კი უკვე 23 მოსწავლე. ამ სკოლის ბაზაზე 1865 წელს ჩამოყალიბდა ვლადიკავკავის ოს ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი პანსიონით. ალ. კოლიევი ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც.[26]

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ოსური კულტურის სარბიელზე მოღვაწე XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლის დანიელ ჭონქაძის საქმიანობა.

დანიელ ჭონქაძის მამა ჩრდ. ოსეთში გადასახლდა, რადგან „ოსეთის სასულიერო კომისიაში" მსახურობდა, კონფლიქტის ნიადაგზე იგი მოკლეს. დანიელმა სრულყოფილად შეისწავლა ოსური ენა. დაამთავრა რა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსი 1851 წელს დაიწყო ოსური ენის მასწავლებლობა სტავროპოლის სემინარიაში, 1855 წელს თბილისში დაბრუნდა და სასულიერო სემინარიაში ოსურ ენას ასწავლიდა იგი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა და რამდენიმე წიგნი თარგმნა ქართულიდან ოსურ ენაზე.

დანიელ ჭონქაძემ საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის დავალებით დაიწყო მასალების შეკრება რუსულ-ოსური ლექსიკონის შესადგენად, მაგრამ მისი დასრულება არ დასცალდა. მანვე დიდი ამაგი დასდო ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებას. ვ. ცორაევთან ერთად მის მიერ შეკრებილი მასალები, შიფნერმა 1868 წელს გამოსცა პეტერბურგში.[27]

1860 წელს არქიმანდრიტი იოსები კავკასიის მარცხენა ფრთის ჯარების სარდალს წერდა, რომ მან შიფნერის გრამატიკის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი და რომ ოსთა შორის არიან. პირები, რომელთაც საკმაო განათლება აქვთ, გრამატიკულად იციან ოსური და რუსული და შეუძლიათ ეროვნული ნაციონალური განათლების საქმეში მოეხმარონ თანამემამულეებს. ესენი არიან მღვდლები: კოლიევი და სუხიევი, დიაკვანი ალაჯიკოვი, მასწავლებლები ჟუსკაევი, კარაევი, კანტემიროვი, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მდივანი მჭედლოვი (მჭედლიშვილი). თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ჭონქაძე და სხვ. ამათგან ზოგი ახლაც ეწევა საეკლესიო წიგნების თარგმნას ოსურ ენაზე.[28]

ამგვარად, კავკასიის მთიანეთში XVIII საუკუნის ბოლოს და XIXს. დასაწყისში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადგილობრივი ახალი ინტელიგენცია, რომელიც თავის გავლენას აძლიერებდა მაჰმადიანურ მოსახლეობაზე და ამით ამცირებდა მათ რუსული კულტურის ელემენტების უცხოობისა და თურქეთისადმი სიმპათიის გრძნობებს. ისინი პირადი მაგალითით ცდილობდნენ მაჰმადიან ოსთა დარწმუნებას ქრისტიანული სარწმუნოებისა და განათლების

მიღების აუცილებლობაში.

„ოსეთის სასულიერო კომისიის" მიერ გაწეული მუშაობა რუსეთის ცარიზმს არ აკმაყოფილებდა. მას სურდა უფრო მასშტაბური ყოფილიყო მის მიერ გაწეული მუშაობა. თავდაპირველად „ოსეთის კომისიაში" როგორც აღინიშნა მონაწილეობდნენ ქართველი სასულიერო პირები, რომლებიც ოსებს ქართულ ენაზე უთარგმნიდნენ და ასწავლიდნენ სახარებას და სხვ. წიგნებს. მას შემდეგ რაც რუსეთმა თურქეთი აშკარად დაჯაბნა, უკვე არ ერიდებოდა მის გაღიზიანებას. „კომისიის" შემადგენლობაც შეცვალა რუსი სასულიერო პირებით. ქართველთა მიერ შედგენილი ანბანიც მან რუსული გრაფემებით შეაცვლევინა გაიოზ რექტორს (როცა იგი მოზდოკის და მადჟარის ეპისკოპოსი იყო და უშუალოდ ხელმძღვანელობდა „ოსეთის სასულიერო კომისიას"), ხოლო იალღუზიძის მიერ ოსთათვის შედგენილი ქართული ასოებით შედგენილი ანბანი, შემდეგ შეცვალა რუსული შეგრენის შედგენილი გრაფემით. რითაც ცდილობდა ოსების კოლონიზაციის საქმის წარმატებით დამთავრებას.

„ოსეთის კომისიის" საქმიანობის ყველაზე დადებითი შედეგი ის იყო, რომ ხელს უწყობდა თუნდაც წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებას სამრევლო სკოლების გახსნის გზით, რომლებსაც, შედარებით, განათლებული მღვდლები, დიაკვნები და მედავითნენი ხელმძღვანელობდნენ.

„ოსეთის კომისიის" მიერ გახსნილი სკოლების შესახებ, როცა ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პროგრესული იდეის ავტორები ქართველი მოღვაწენი იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სასულიერო პირები იყვნენ და მათი მოღვაწეობა, ოსთა გაქრისტიანება-განათლებისათვის გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, მას ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, ობიექტურად, პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სკოლაში აღზრდილმა ოსებმა დაასრულეს რა სწავლა სხვა სასწავლებლებში, XIX საუკუნეში დადებითი როლი შეასრულეს ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, **რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული კულტურა და დამწერლობა კვლავ, ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა, ოსური კულტურისა და დამწერლობის განვითარებაზე. საქართველოს კულტურის ცენტრებში შეიქმნა, აღიზარდა და გამოიჭედა ოსი ინტელიგენციის ის კადრები რომელთაც ფაქტიურად საფუძველი დაუდეს ოსური წიგნური კულტურის, ოსური ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას.**

როგორც უკვე აღინიშნა „კომისიის" საგანმანათლებლო-სამისიონერო ფუნქციების გარდა, ერთ-ერთი ძირითად ფუნქციად მაინც პოლიტიკური ამოცანა ეკისრებოდა. XVIII საუკუნე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაფართოების პერიოდი იყო. რუსეთის მთავრობის ანგარიშით მას ხელი უნდა

შეეწყო ჩრდილო კავკასიაში მის გავლენის განმტკიცებისათვის. მას შემდეგ, რაც რუსეთმა 1801 წლის აქტით ფეხი მოიკიდა საქართველოში და გაიფართოვა თავისი სამფლობელოები (ე.ი. კოლონიები) და XIX ს. შუა ხანებში დაამთავრა კავკასიის იარაღით დაპყრობა და საჭირო იყო ამ მხარის საბოლოო გარუსება და კოლონიზაციის დაჩქარება „ოსეთის სასულიერო კომისიის" არსებობას საფრთხე დაემუქრა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ საჭირო იყო უფრო დიდი მასშტაბები, ამას მოჰყვა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" შექმნა. აქვე უნდა აღინიშნოს; რომ „ოსეთის სასულიერო კომისიას" დიდი წარმატება ხვდება, როცა მასში ქართველები მონაწილეობდნენ და თანაც პირველი ხნული ყამირზე მათ გაავლეს. „კომისიის" წარმატება დიდი იყო ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლოში, შიდა ქართლში), სადაც ოსები დიდი რაოდენობით ჩამოსახლებული იყვნენ და ქართულ გარემოში აღზრდილი და ქართულ კულტურას ნაზიარები.

თავი მეორე

საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში

§1. „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" შექმნა

პეტრე პირველის რეფორმებმა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთი ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. რუსეთმა მოიპოვა გასასვლელი ბალტიის ზღვაზე. შავი ზღვა ისევ თურქეთის „ტბად" რჩებოდა. შავ ზღვაზე გასასვლელი და კავკასიის დამორჩილება XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთის საგარეო პოლიტიკას ძირითად ლაიტმოტივად გასდევდა. კავკასიისათვის ბრძოლას დასჭირდა არა ერთი ბრძოლის გადატანა თურქეთთან, რომელიც რუსეთისათვის არც თუ ისე წარუმატებლად მიმდინარეობდა. ვიდრე რუსეთი ფეხს მოიკიდებდა კავკასიაში. კერძოდ კი საქართველოში, იგი ცდილობდა არ გაეღიზიანებინა თურქეთი და მასთან კონფლიქტს ერიდებოდა. საქართველომ ადრე დაამყარა ურთიერთობა რუსეთთან და ერთმორწმუნეობის იმედით ფიქრობდა მისგან დახმარება მიეღო. ქართული სამეფო-სამთავროების მხრიდან არა ერთმა ელჩობამ რუსეთში უშედეგოდ ჩაიარა. მაგრამ მაჰმადიანური რკალისაგან გარშემორტყმულმა საქართველომ (იგულისხმება თითოეული სამეფო-სამთავრო) იმედის თვალით დაუწყო კვლავ რუსეთს ყურება. პეტრე პირველისაგან მოტყუებულმა ვახტანგ მეექვსემ ქვეყანა გაჭირვებაში დატოვა და მოსკოვს დიდი ამალით მიაშურა. ამალაში ყველა სფეროს წარმომადგენელი იმყოფებოდა. ვახტანგმა სამშობლო დიდი ხნის მანძილზე დატოვა განიარაღებული (იგულისხმება ინტელექტუალური მხარე) იგი იმედოვნებდა რომ მოკავშირე და ქრისტიანული ქვეყანა-რუსეთის იმპერია, საქართველოს არ დატოვებდა განსაცდელში. მაგრამ შედეგი ცნობილია. რუსეთში მოღვაწე ქართველმა სასულიერო და კულტურულმა მოღვაწეებმა სცადეს რუსეთი კავკასიით დაეინტერესებინათ და თურქეთთან კონფლიქტში ჩაეთრიათ. ამ მიზნით მათ მთავრობას მიაწოდეს აზრი, რომ ოსეთი, რომელიც საქართველოს მეზობლად ცხოვრობს ადრე ქრისტიანული ქვეყანა იყო,,ახლა კი იქ „ურჯულოება" მძლავრობს და ეს ქვეყანა არავის ეკუთვნის. მართლაც 1739 წლის ბელგრადის ზავით ყაბარდო ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, ხოლო რაკი ოსეთი ყაბარდოზე დამოკიდებული იყო იგიც ნეიტრალურად ითვლებოდა, ქართველი

პოლიტიკური და სასულიერო მოღვაწეები ცდილობდნენ რუსეთი რაც შეიძლება საქართველოსთან ახლოს მოეყვანათ, ხოლო ოსეთიდან ერთი ხელის გაწვდენა იყო და ქართველთა სანუკვარი ოცნება ახდებოდა, რადგან რუსეთი აიმედებდა ქართველ სახელმწიფოს მესვეურებს. სინამდვილეში კი რუსეთი დაინტერესებული იყო კავკასიით, მაგრამ რაკი მას სამხედრო და პოლიტიკური სიძლიერე არ აძლევდა საშუალებას იარაღის ძალით შეესრულებია თავისი მიზნები, მან ამისათვის ქართველები გამოიყენა. ამის დადასტურებაა „ოსეთის სასულიერო კომისიის" თავდაპირველი პერიოდი მუშაობისა და შემდგომი საქმიანობაც, რადგან „კომისიას" ქართველთა მონაწილეობის გარეშე არაფერი გამოსდიოდა. საერთოდ ქართველთა „ღვაწლზე" ამ „კომისიაში" მათ როლსა და დამსახურებაზე ჩვენ არ შევჩერდებით რადგან წინა თავში ვისაუბრეთ.

XIXს-ის I ნახევარში რუსეთმა დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო, ამას მოჰყვა იმერეთის სამეფოს გაუქმება და კავკასიაში არსებული სახანოებისა და სასულთნოების დამორჩილებაც. რუსეთის წინააღმდეგ არა ერთი ომი თუ აჯანყება იქნა წამოწყებული, რომელშიც რუსეთი გამარჯვებული გამოდიოდა. 25 წელზე მეტი ხანს გაგრძელდა კავკასიის მთიელი ხალხის ბრძოლა რუსთა წინააღმდეგ შამილის მეთაურობით, რომელიც ასევე რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსათვის. (ამ ომში ქართველებიც მრავლად იღებდნენ მონაწილეობას). რუსეთმა კავკასიის იარაღით დაპყრობა შეძლო. ახლა საჭირო იყო მოსახლეობის დამორჩილება და ასიმილირება ისე, რომ კავკასია რუსეთის „ორგანულ" შემადგენელ ნაწილად გადაქცეულიყო. ეს ყველაზე ადრე დაინახა კავკასიის იმდროინდელმა მეფისნაცვალმა ალ. ბარიატინსკიმ. რომელმაც გადაწყვიტა „ოსეთის სასულიერო კომისიის" მაგივრად ახალი უფრო მძლავრი, მასშტაბური და მოქნილი „ორგანიზაციის" შექმნა, რომელიც საქართველოში და მთლიანად კავკასიაში, თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი აქტიური გამტარებელი უნდა ყოფილიყო. ამ „ორგანიზაციის"–„საზოგადოების" შექმნა, მიზნად ისახავდა ქრისტიანული სარწმუნოების ინტენსიურ გავრცელებას კავკასიაში, რაც ხელს შეუწყობდა აქ მთავრობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. ამით მთავრობა აპირებდა იმ ნაკლოვანებების გამოსწორებასაც, რომელიც თავის მუშაობაში გააჩნდა „ოსეთის სასულიერო კომისიას". როგორც „ოსეთის კომისიის" ასევე „საზოგადოების" მიზანი იყო კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებით ხელი შეეწყო ამ მხარის რუსეთთან რაც შეიძლება სწრაფად დაახლოებას როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მიუხედავად მთავრობის მიერ გაწეული დიდი ხარჯებისა, „ოსეთის სასულიერო კომისიამ" მთლიანად მაინც ვერ გაამართლა თვითმპყრობელობის იმედები. ამიტომ სათანადო ორგანოებში შეიქმნა აზრი მისი რეორგანიზაციის შესახებ.

ხელისუფალთა აზრით, ახლად დაპყრობილი და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესული რაიონების მოსახლეობის შემომტკიცების საქმეში სამღვდელოებას დიდი როლის შესრულება შეეძლო. ცარიზმი თვლიდა, რომ მას ყურადღება უნდა გაემახვილებინა არა მარტო საერო ხელისუფლების ღონისძიებებზე, არამედ სასულიერო პირების მიერ თავიანთი მოვალეობის ზუსტ შესრულებაზე. სარწმუნეობრივი ზემოქმედება მთავრობას მიაჩნდა ადამიანთა გონებაზე მოქმედების ერთ-ერთი ეფექტურ საშუალებად.

„საზოგადოების" მიზნები და მუშაობის ძირითადი პრინციპები ბევრად არ განსხვავდებოდა „კომისიის" მიერ გადასაწყვეტ ამოცანებისაგან. შეიცვალა მხოლოდ ზოგიერთი მუხლი. მაგალითად წესდების მეოთხე მუხლი ახალი განმარტებით, მისიის მუშაობის პირველ ეტაპზე მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევდა ქართველი ეროვნების სასულიერო პირების მონაწილეობას; მაგრამ, რადგანაც მათ რუს სასულიერო პირებთან შედარებით, მთავრობის აზრით განათლების დაბალი დონე ჰქონდათ, იმუშავებდნენ მანამ, სანამ „საზოგადოება" განათლებულ მისიონერებს მიიღებდა, ახალი წესდების პროექტში ყურადღებას იქცევდა XV მუხლი, სადაც განმარტებული იყო ის მეთოდები და ხერხები, რითაც მისიონერებს უნდა ეხელმძღვანელათ თავიანთ მუშაობაში.

„ოსეთის სასულიერო კომისიის" მუშაობის დროს ოსთა სოფლის მამასახლისებსა და გავლენიან პირებს ფულით და საუკეთესო მიწებით ასაჩუქრებდნენ. გარდა ამისა აძლევდნენ სხვადასხვა შეღავათებსაც. ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც საჩუქრების მიღების შემდეგ ისინი ისევე ძველ სარწმუნოებას უბრუნდებოდნენ, მონაწილეობას ღებულობდნენ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში და სხვ. ახალი დებულებით მამასახლისების და მემამულეების დაჯილდოება მისიონერებს აღარ შეეძლოთ სანამ არ იქმნებოდა ამაზე მთავრობის განკარგულება, ან თანხმობა. საჩუქრების გაცემამდე საჭირო იყო მთავრობისათვის აზრის გაგება იმის შესახებ, თუ რამდენად სანდო იყო დასახელებული პიროვნება და რა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა მთავრობასთან. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ მოსახლეობის გაქრისტიანებაზე ხარჯებს ძირითადად იღებდა მთავრობა და არა ეკლესია, რადგანაც სარწმუნოების მიღების შემდეგ ისინი სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდნენ.

„საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი, მეფისნაცვალი ბარიატინსკი ასაბუთებდა რა მისი დაარსების აუცილებლობას, წერდა მთიანეთში მოსახლე ტომები: (მას მხედველობაში ჰყავდა ხევსურები და ოსები) ნეიტრალურნი იყვნენ და ჯერჯერობით არ თანაუგრძნობდნენ არც ქრისტიანობას და არც მაჰმადის სარწმუნოებას. ამიტომ ახლად დაარსებულ „საზოგადოებას" პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაემახვილებინა ძირითადად ამ ხალხზე. მით უმეტეს, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ზოგ მათგანს ქონდა და აქვს

რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ოსები და ხევსურები ფლობენ საქართველოს სამხედრო გზას, ერთნი დასავლეთიდან, მეორენი კი აღმოსავლეთიდან და ეს გზები მხოლოდ იმიტომ რჩებიან ჩვენს უდაო მფლობელობაში (ბატონობაში); რომ გადის იმ ხალხების მიწაზე, რომლებიც ჩვენი მტრები ჯერ არ გამხდარანო". ამიტომაც მას საჭიროდ მიაჩნდა რაც შეიძლებოდა სწრაფად სამისიონერო სამუშაოების გაშლა" თუნდაც მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობის გამო. მეფისნაცვალი ითხოვდა დაეჩქარებინათ აქ ეკლესიების აღდგენა, აშენება, გაეხსნათ სასულიერო სასწავლებლები და სხვ. „ამ სასწავლებლების შექმნა არის მართლმადიდებლური სახელმწიფოს ვალი, საქმე ეხება საკითხს, რომლის მიმართ რუსეთს არ შეუძლია დარჩეს გულგრილი–განმარტავდა მეფისნაცვალი.[3]

თვითმპყრობელობას იმედი ჰქონდა, რომ ახალი „საზოგადოება" არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კავკასიით. მისი შექმნის ინიციატორები იმედოვნებდნენ რომ „დროთა განმავლობაში მას შეეძლო თავისი მოღვაწეობა გაევრცელებინა აღმოსავლეთით".

მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის პროექტით უნდა დაარსებულიყო „სასულიერო საძმო", როგორც ადრე შუა საუკუნეებში არსებობდნენ ნახევრად რაინდული, ნახევრად სასულიერო საძმოების მსგავსი, რომელიც თავის წინაშე დაისახავდა ამოცანას გაევრცელებინა ქრისტიანობა წარმართთა შორის. მაგრამ, როგორც საძმოს წევრები ადრე ხმლითა და ქადაგებით იბრძოდნენ ახლა შექმნილ სიტუაციაში საძმოს ბარიატინსკის აზრით უნდა ეხელმძღვანელა სხვა თანამედროვე პრინციპებით და ეს პრინციპები მოცემული იყო პროექტში, რომელიც მან „კავკასიის კომიტეტს" გაუზავნა, განსახილველად.

მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის მიმართვის საფუძველზე „კავკასიის კომიტეტმა" განიხილა „საზოგადოების" დაარსების საკითხი და თავის გადაწყვეტილებაში ამის თაობაზე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოების დაარსება კავკასიაში. მაგრამ მან თხოვნა გაუგზავნა სინოდის ობერ-პროკურორს, გაეცნო პროექტი სინოდის წევრებისათვის და თავისი მოსაზრება ეცნობებია „კავკასიის კომიტეტისათვის" თუ რა სახსრებით აპირებდა იგი ახლად შექმნილი საზოგადოებისათვის დახმარების გაწევას და რას თვლიდა საჭიროდ მოცემული მომენტისათვის კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად. „კომიტეტმა" გამოიტანა დადგენილება ამ ახალი „საზოგადოების" მხარდასაჭერად პეტერბურგში დაეარსებინა მსგავსი საზოგადოება, რომელიც მთელს იმპერიაში შესძლებდა შემოწირულობათა ორგანიზებას.[4]

უწმინდესმა სინოდმა 1858 წლის 20 თებერვალს უპასუხა „კავკასიის კომიტეტის" წინადადებას წერილობით, რომელშიც იგი იწონებდა ამ ნაბიჯს და

თვლიდა, რომ ახალ ორგანიზაციას წინამორბედის ბედი რომ არ გაეზიარებინა საჭირო იყო მისი მატერიალური უზრუნველყოფა, ხოლო თვითონ ყოველნაირად გვერდში დაუდგებოდა მას.

„კავკასიის კომიტეტმა“ მეფისნაცვალს უკანვე დაუბრუნა პროექტი, რათა დაეზუსტებინა მას ყოველივე და სრულყოფილი ვარიანტი წარედგინა განსახილველად. მეფის-ნაცვალმა კომიტეტს პროექტი თავისი შესწორებებით 1858 წლის აგვისტოს თვეში გაუგზავნა. მეფისნაცვალი ითხოვდა, რომ პეტერბურგის მაგივრად „საზოგადოების“ ადგილსამყოფელი თბილისში ყოფილიყო. შორი მანძილიდან ძნელი იქნებოდა მისი მართვა ადგილზე წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად, სანამ პეტერბურგში გაიგებდნენ და გადაწყვიტავდნენ, მანამ შეიძლება პრობლემას უარყოფითი შედეგი ჰქონოდა საქმისათვის.

უმაღლესი ბრძანებულებით ხელმწიფე იმპერატორის და უმაღლესი მფარველის ხელმწიფე დედოფლის მარია ალექსანდრეს-ასულის მფარველობით თბილისში არსდება „მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება კავკასიაში“.

ნამდვილი წევრის წოდება ენიჭებოდა, მას ვინც ყოველწლიურად შეიტანდა საწევროს, რომელიც „საზოგადოების“ წესდებით იყო გათვალისწინებული „საზოგადოების“ წევრებისათვის წესდებდა ოთხი ხარისხის განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ეფუძნებოდა ყოველწლიურ შესატანს.

„საზოგადოების“ წევრი ამგვარად იქნება არა საიდუმლოდ, არამედ ცნობილი ყველასათვის, რომელიც ემსახურება ღმერთს და წმინდა ჯვარს.

ითვალისწინებდა რა „ოსეთის სასულიერო კომისიაში“ არსებულ ნაკლოვანებებს, რაც გამოიხატებოდა კადრების არასწორად შერჩევასა და მათ განაწილებაში, მთავრობა ცდილობდა მის დაკომპლექტებას, კარგად მომზადებული განათლებული სასულიერო პირებით. მისიონერების შერჩევა უნდა მომხდარიყო მათი პოლიტიკური და ზნეობრივი ნიშნების მიხედვით. პირველ რიგში საჭიროდ მიაჩნდათ მისიონერებად ისეთი პირების შერჩევა-მომზადება, რომლებმაც განათლება მიიღეს რუსეთის სასწავლებლებში და რუსული ორიენტაციისანი უნდა ყოფილიყვნენ. სამისიონერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მისიონერებს უნდა ემსახურათ „საზოგადოებაში“ არა ნაკლებ ხუთი წლისა. მათთვის შექმნილი იყო სწავლისა და ცხოვრების კარგი პირობები, რათა სხვებსაც თავიანთი შვილები იქ მიეყვანათ. „საზოგადოება“ ზრუნავდა მისიონერთა დაცვაზე იმ უსიამოვნებისაგან, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მთაში მათი მუშაობის დროს. მისიონერს შეუბღალავ ქრისტიანულ ზნეობასთან ერთად, ფართო სასულიერო და ზოგადი განათლება უნდა ჰქონოდა. მისიონერი ვალდებული იყო განსწავლული ყოფილიყო იმ ხალხისა და მხარის ისტორიაში, სადაც მათ მოუხდებოდათ მოღვაწეობა. „მისიის“ წევრებს ევალებოდათ მედიცინის ელემენტარული საკითხების ცოდნა, რაც

გაზრდიდა მათ ავტორიტეტს მთიელებში, რომლებიც დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ მკურნალებს. მისიონერებად შერჩევის დროს უპირატესობა ეძლეოდათ რუსი ეროვნების სასულიერო პირებს.

სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად ყველა მისიონერი ვალდებული იყო განემტკიცებინა და დაეცვა როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების ინტერესები. ეგზარქოსი მიუთითებდა, რომ მათ თავიანთ ქადაგებებში არ გაეკიცხათ არსებული წყობა. პოლიტიკური რეჟიმი, არ შეხებოდნენ კერძო საკუთრებას, ვისიც არ უნდა ყოფილიყო ისა, ხელისუფლება თვალყურს ადევნებდა მისიონერთა ყოველდღიურ საქმიანობას და იმას, თუ როგორი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდნენ ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში.

მეფის მთავრობა დიდ იმედებს ამყარებდა საზოგადოების კარგ მუშაობაზე და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ამ საქმეში არ დაეშვა თუნდაც მცირე შეცდომა.

კავკასიის მთიელთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა. რელიგიურ მისიას ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად მოხერხებულად უნდა შეეთავსებინა პოლიტიკური მიზნებიც. ხელისუფლება თვლიდა, რომ მთიანეთის მოსახლეობა, რომელიც უკვე კარგა ხანია იმყოფებოდა რუსეთის ბატონობის ქვეშ, უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ნაწილობრივ ემორჩილებოდა სახელმწიფოს და მაშასადამე, მათი განათლება, ქრისტიანული მოძღვრებით მიზნად ისახავდა მათი დაახლოებას რუსეთთან, ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნევდა, რომ ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად მათ მიეღოთ ისეთი ცოდნაც, რაც მოსახლეობას შეუქმნიდა ჰეშმარიტ წარმოდგენას იმ სახელმწიფოზე, რომელსაც ისინი უახლოვდებოდნენ, რომლის შემადგენლობაშიც მომავალში უნდა შესულიყვნენ. ამიტომ, მისიონერები ვალდებულნი იყვნენ მდაბიო ხალხისათვის გასაგები ენითა და ცოცხალი მაგალითებით დაერწმუნებინათ მოსახლეობა რუსეთის ჰეშმარიტ დიდებაში, მის ძლიერებაში.

სულიერი მოძღვრის მთელი ცოდნა იქეთკენ უნდა წარმართულიყო, რომ ახლად მონათლულები დაეახლოვებინა რუსულ წეს-ჩვეულებებთან, დაერწმუნებინა მათდამი კეთილგანწყობილებაში.

„საზოგადოების" წესდების და მისი სრულყოფისათვის საქმიანობაში გავიდა ორი წელი. მასში მონაწილეობას იღებდა უწმინდესი სინოდიც: მიტროპოლიტები-ნოვგოროდისა და პეტერბურგისა ისიდორე და მოსკოვისა ფილარეტი, საქართველოს ეგზარქოსი ევსევი (1855 1 მარტი—1877 წ 8 დეკემბერი) სტატსმდივანი გრაფი დ. ბლუდოვი ადგილობრივი სასულიერო და საერო მოხელენი, მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ პირთა შრომა დამთავრდა წარმატებით. 9 ივნისს 1860 წლისა „ცარსკოე სელოში" სიგელს

ხელი მოეწერა იმპერატორ ალექსანდრე II-ს მიერ მეფისნაცვალ ბარიატინსკის სახელზე.

უმაღლესი ბრძანებით ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა „საზოგადოების" წესდება, რომლის მფარველად დედოფალი ითვლებოდა, ხოლო ადგილსამყოფელად თბილისი განისაზღვრა. „საზოგადოების" წევრის წოდება ენიჭებოდა მას, რომელიც შეწირავდა ყოველწლიურად ფულად სახსარს, „საზოგადოების" საკეთილდღეოდ. განსხვავებული შენატანისათვის (შემოწირულობა) დაწესებული იქნა ოთხი ხარისხის განმასხვავებელი ნიშანი.

„საზოგადოება" არსდებოდა ქრისტიანობის გავრცელებისა და აღდგენისათვის კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში. საქართველოში იყო ისტორიული კუთხეები, სადაც ძნელბედობის გამო ქრისტიანობა მისუსტებული იყო, ზოგში კი საერთოდ მაჰმადიანობა და წარმართობა მძლავრობდა. რუსეთი შეუდგა საქართველოს კოლონიზაციას. მას ამ საქმეში, როგორც ვიცით უნდა დახმარებოდა ეკლესია, ხოლო ეკლესიის დასახმარებლად შეიქმნა ზემოთხსენებული „საზოგადოება", რომლის წესდებაში ხმამაღლა და სახალხოდ იყო ნათქვამი, რომ „საზოგადოება" იმოღვაწებდა იქ, სადაც ადრე ქრისტიანობა არსებობდა-ყვაოდა. საქართველოს მხარე-კუთხეებში (აფხაზეთი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა) და იქ სადაც ადრე ქართველთა მონაწილეობით იგი გავრცელებული იყო (ჩრდ. კავკასია) და აგრეთვე იქ სადაც ფეხი მოკიდებული ჰქონდა ნახევრად ქრისტიანობას, ნახევრად წარმართობას (თუშ-ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი და ნაწილობრივ აფხაზეთი, რადგან აფხაზები ნაწილობრივ მაჰმადიანებიც იყვნენ). ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ რუსეთმა შეიერთა რა საქართველო (თითქოსდა საქართველოს ოკუპაცია არ მომხდარიყოს) ვალდებულება აიღო თავის თავზე მიეხედა ამ ზემოთჩამოთვლილი ხალხებისათვის, რადგან საქართველო დაიცალა სისხლისაგან და მას არ შეეძლო აქ ქრისტიანობის საქმეების გაძღოლა და მათთვის მზრუნველობის გაწევა. რომ რუსეთი ქრისტესმიერ ძმებსა და დებს ვერ დატოვებდა „უღმერთოთა" ხელში და ამგვარად თავისთავზე იღებდა ყველა ამ პასუხისმგებლობას. ცარიზმი ასე ამგვარად ცდილობდა თავისი კოლონიური პოლიტიკის შენიღბვას.

„საზოგადოების" სრული ამოქმედებისათვის საჭირო იყო დროებითი კომიტეტის შექმნა, რომელსაც სრული უფლება ექნებოდა იმ დრომდე, ვიდრე მუდმივ კომიტეტს არ აირჩევდნენ საზოგადოების ნამდვილი წევრები.

„საზოგადოების" ჩამოყალიბებამდე შექმნილ დროებითი კომიტეტში უნდა შესულიყვნენ მეფისნაცვალი, როგორც კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს. ეგზარქოსი, როგორც მოადგილე თავმჯდომარისა, საბჭოს წევრი (ალბათ მეფისნაცვლის საბჭოსი, რადგან აქ არ წერია რომელი საბჭოსი--ვ.წ.) საიდუმლო მრჩეველი ფადეევი და ნამდვილი „სტატს-სოვეტნიკი" ინსარსკი, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა კომიტეტის საქმის წარმოებისათვის.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ შექმნის შემდეგ, „ოსეთის სასულიერო კომისია“ კარგავდა თავის მნიშვნელობას და ამიტომ „კავკასიის კომიტეტმა“ მიიღო გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და აღნიშნულ „საზოგადოებასთან“ შეერთების შესახებ. ახალი სასულიერო „საზოგადოების“ შექმნას აჩქარებდა ის გარემოებაც, რომ XIX ს. 60-იანი წლებში დაიწყო კავკასიის მოიანეთის მუსულმანთა შორის ხელახალი განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამის გამო ის მაჰმადიანები, რომელთაც ცოტა ხნის წინ მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება, მასობრივად სტოვებდნენ მას, იხევ ძველ სარწმუნოებას უბრუნდებოდნენ. ეს პროცესი ძალიან აფიქრებდა და აღელვებდა თვითმპყრობელობას, რადგანაც მას შეეძლო მიემხრო სხვებიც. მიურიდიზმის გავლენა დღითიდღე იზრდებოდა ოსებს შორისაც, რომლებსაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ ეკავათ საქართველოსაკენ მიმავალი სტრატეგიული გზა. შეშფოთებული ალ. ბარიატინსკი მიმართავს „კავკასიის კომიტეტს“, რათა უკანასკნელმა მიიღოს გადამჭრელი ზომები ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის კავკასიელ მთიელთა შორის. იგი მიუთითებდა რომ ამ მხარეში დაწყებული განმანთავისუფლებელი მოძრაობის შედეგად, ქრისტიანობა ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორც საქართველოს რუსეთთან შეერთებამდეო. მეფისნაცვალი მოითხოვდა ანტირუსული მოძრაობის ზრდისათვის დაეპირისპირებინათ კონტრღონისძიება რათა შეეჩერებინათ მტრის[10] წარმატება. მეფისნაცვლის აზრით საჭირო იყო ეფიქრათ იმაზე, რომ ქრისტიანული სარწმუნოების შესუსტებით ადგილობრივ მოსახლეობაში, მეფის რუსეთის ჯარს ბრძოლით მოუხდებოდა გზის გაკაფვა ოსთა შო-რის, ისევე, როგორც დაღესტანში, რადგანაც ამ დროისათვის მუსულმანობა კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობისათვის ეროვნული ბრძოლის სიმბოლოდ იქცა და მიმართული იყო რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ადგილობრივი მოსახლეობა იღებდა და უბრუნდებოდა რა მუსულმანობას მტრულად იმსჭვალებოდა რუსეთის მთავრობისა და ყოველგვარი რუსულისადმი, და რადგანაც „რწმენასთან“ ბრძოლა შეიძლებოად მხოლოდ „რწმენით“ ცარიზმი საჭიროდ თვლიდა სასულიერო საქმეების მოწესრიგებას, რაც პირველ რიგში უნდა გამოხატულიყო სამისიონერო საქმეების მოწესრიგებაში.“

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ კუთვნილი თანხა, რომელიც დარჩა მისი გაუქმების შემდეგ მთლიანად გადადიოდა საზოგადოების განკარგულებაში. ეს თანხა შეადგენდა 2 31 172 მანეთს. ახლად დაარსებულ „საზოგადოებას“ შეფობას უწევდა და მფარველობდა იმპერატორის მეუღლე, რომელმაც მას შესწირა 119738 მან. „საზოგადოებისათვის“ საჭირო ფონდის შექმნის მიზნით, იმპერიის ყველა ეკლესიაში დადგეს ყუთაბები, პირველი შეგროვების დროს

„საზოგადოებამ" მიიღო 31876 მან. საწევრო გადასახადი მუდმივი წევრებისაგან შეადგენდა 7799 მან. შემოწირულობანი სხვადასხვა პირებისაგან 2837 მან. ასეთი ღონისძიებების გატარების შედეგად სულ მოკლე ხანში „საზოგადოება" გახდა საკმაოდ დიდ თანხის მფლობელი. 1863-1909 წლებში „საზოგადოების" სახელზე შეიტანეს 1475482 მანეთი[12] გარდა აღნიშნულისა და 50 წლის განმავლობაში ბანკი ყოველწლიურად უხდიდა განსაზღვრულ თანხას. ამიერკავკასიაში „საზოგადოებას" გამოეყო ასი ათასი, ხოლო ყიზლარში 30 ათასი დესეტინა მიწა. თუმცა ყიზლარის მიწები, როგორც „საზოგადოებისათვის" გამოუყენებელი და მწირი 1885 წელს სახელმწიფომ შეისყიდა და მის ნაცვლად მას ყოველწლიურად 25 ათასი მანეთი გამოუყო მთავრობამ აღნიშნულ „მისიას" არ გადაახდევინა ის ვალი, რომელიც „ოსეთის სასულიერო კომისიას" გააჩნდა. მან თავის დროზე უარი სთქვა 30 ათას, ხოლო 1885 წელს 99334 მანეთზე.[13]

მიიღო რა დამტკიცება ხელმწიფე-იმპერატორისაგან და ამასთან ერთად საჭირო მატერიალური ფულადი სახსრები, რათა მასზე დაკისრებული მიზნები და ამოცანები შეესრულებინა დაუბრკოლებლივ, დროებითი კომიტეტი, რომელიც მეფისნაცვლის მთვარ-სამმართველოსთან ჩამოყალიბდა, შეუდგა მუშაობას. საქართველოს ეგზარქოსს ევსევის წინადადებით კომიტეტმა დაადგინა: 1) გაეზარდათ ხელფასები ყველა იმ საეკლესიო პირისათვის, რომლებიც მთის სამრევლოებში მსახურობდნენ; 2) შედგომოდნენ სახარების თარგმნას მთის ხალხთა ენებზე; 3) გაეხსნათ აფახაზეთსა და ჭარ-ბელაქნის ოლქში თითო სამრევლო სკოლა თითოეული 60 მოსწავლეზე გაანგარიშებული, 4) დაეწესებინათ და განესაზღვრათ თბილისის სასულიერო სემინარიაში სტიპენდია რამდენიმე მოსწავლისათვის რომლებიც მიიღებდნენ სამისიონერო განათლებას; 5) აეგოთ ეკლესია ზაქათლის ოლქში ინგილოებისათვის; 6) სოფ. ბეჩოში სვანეთში ახლადმონათლულთათვის აეშენებინათ ეკლესია, რათა მიეზიდათ მოსანათლავად მათი მეზობელი ყარაჩაელები. 7) სოფ. იფარში (სვანეთი). აღედგინათ ეკლესია იქ სადაც ადრე სვანეთის მთავრების დადეშქელიანთა რეზიდენცია იმყოფებოდა; 8) აღედგინათ ძველი ეკლესია ოსეთში აულ ზრუგში. ნარ-მამისონის ხეობაში, რომელიც თამარ მეფის დროს იქნა აშენებული ყველა ეს ღონისძიება თავის დროზე იქნა შესრულებული[14].

„საზოგადოებამ" კიდევ უფრო წარმატებით განაგრძო თავისი საქმიანობა, როცა 1865 წლის 29 იანვრის ბრძანებულებით წესდებამ ცვლილებები განიცადა. „საზოგადოება" უნდა ემართა საბჭოს მეფისნაცვლის თავმჯდომარეობით და ეგზარქოსის მოადგილეობით, საბჭოს 6 ნამდვილი წევრი უნდა ჰყოლოდა, რომელსაც თავჯდომარე ნიშნავდა. ამ ახალი წესდებით „საზოგადოების" წევრები ოთხ თანრიგად დაიყვნენ, რომელთაც ყოველწლიურად შეჰქონდათ შემოწირულობანი: პირველი თანრიგის მიხედვით წევრს შეჰქონდა 500 მან, 2-ე

თანრიგოსანს--250 მან, 3-ე თანრიგოსანს--100 მან და 4-ე თანრიგოსანს 20 მან.[15]

„საზოგადოება" პირველ წლებში მთავარ ყურადღებას უთმობდა მთის სამღვდელოებისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ახალი ეკლესიების--მშენებლობას და ძველის აღდგენას. ამარაგებდა ეკლესიებს საჭირო ნივთებით. მთიელთათვის მშობლიურ ენაზე საეკლესიო წიგნების თარგმნას და ა.შ. მაგრამ „საზოგადოება" და მთავრობა მალე მივიდნენ იმ დასვნამდე, რომ მარტო ამ ღონისძიებებით „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება კავკასიაში" წინ ვერ წავიდოდა და 1863 წ. მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ საჭიროდ ჩათვალა სკოლები გაეხსნათ, რათა მოზარდ თაობაზე უფრო ქმედითი ზემოქმედება მოეხდინათ. სკოლებზე კონტროლის დაწესების მიზნით შემოღებულ იქნა მთავარი ინსპექტორის თანამდებობა.

ალ. ბარიატინსკიმ წესდების დამტკიცების შემდეგ იმპერატორს წარუდგინა „საზოგადოების" წევრის ნიშანთა ნახატების პროექტი. ამავდროულად მან დახმარებისათვის მიმართა სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს თავად გ. გაგარინს; რათა შეედგინა „საზოგადოების" წევრთა დიპლომების მაკეტი. 1860 წლის 25 დეკემბერს ნიშანთა სურათები მოწონებულ იქნა იმპერატორის მიერ. ნიშანი წმ. ნინოს ჯვრის გამოსახვით წარმოადგენდა პირველი ხარისხის ჯვარს, რომელიც „საზოგადოების" საპატიო წევრებს ეძლეოდათ. მეორე ხარისხის, „საზოგადოების" ნამდვილ წევრებს. მესამე ხარისხის, „საზოგადოების" წევრთანამშრომლებს, მეოთხე ხარისხის „საზოგადოების" ქომაგ-გულშემატკივრებს. ჯვრის უკანა მხარეს სლავური შრიფტით ეწერა „მოციქულთა სწორი--ნინო განმანათლებელი". ნიშნები უპირველეს ყოვლისა დამზადდა პირველი ხარისხისა 50 ცალი; მეორე ხარისხისა 100 ცალი, მესამე ხარსიხისა 200 ცალი და მეოთხე ხარსხისა 1000 ცალი.[16]

„საზოგადოებას" თავჯდომარეობდნენ 1860-1862 წლებში მეფისნაცვალი კავკასიაში თავადი ალ. ბარიატინსკი, 1863-1882 წწ_მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი; 1882-1886 მთავარმართებელი ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი; „საზოგადოების" გარდაქმნის შემდეგ მას ეგზარქოსები თავჯდომარეობდნენ 1885 წ. 29 სექ. 1887 წ. 29 სექ-მდე საქართველოს ეგზარქოსი პავლე; 1887--1892 წწ. ეგზარქოსი პალადი, 1892-1898 წწ საქართველოს ეგზარქოსი, ხოლო შემდეგ მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმირი; 21 თებერვლიდან ეგზარქოსი, ხოლო შემდეგ კიევის მიტროპოლიტი ფლაბიანე; 1901 წლიდან ეგზარქოსი ალექსი 1905-1906 წწ. ეგზარქოსი, ხოლო შემდეგ ვლადიმირის მიტროპოლიტი ნიკოლოზი; 1906-1908 წწ. ეგზარქოსი ნიკონი; 1908 წ. 28 მაისიდან საეგზარქოსოს დროებით მოვალეობის შემსრულებელი იყო ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი.[17]

„საზოგადოების" წლების მანძილზე ვიცე-თავჯდომარეობდნენ: 1860-1877

წლებში ეგზარქოსი ევსევი; 1877-1882 წლებში ეგზარქოსი იოანიკე; 1882-1885 წლებში ეგზარქოსი პავლე, ხოლო 1885 წელს, როცა „საზოგადოება" გარდაიქმნა მისი უდიდებულესობის სასახლის კამერ-იუნკერი მ. სმირნოვი; 1886-1890 წწ. „ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი" მ. პოლიაკოვი; 1891-1896 წწ. კი კავკასიის სამოქალაქო საქმეების მმართველის თანაშემწე გრაფი ი. ტატიშჩევი; 1897-1905 წწ აგრეთვე სამოქალაქო საქმეების თანაშემწე ინფანტერიის გენერალი ა. ფრეზე. 1905 წლის 16 ივლისიდან მეფისნაცვლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ი. მალამა; 1907 წლის 13 თებერვლიდან გრაფინია ელ. ვორონცოვ-დაშკოვი; 1910 წელს კი „საზოგადოების" საბჭოს თავჯდომარეობს არქიეპისკოპოსი ეგზარქოსი ინოკენტი. საბჭოს წევრები ყოველთვის ექვსი იყო.

„საზოგადოება" ამავე დროს აარსებდა სასულიერო სასწავლებლებს,:. „საზოგადოების" მიერ აშენებული სასწ ავლებლების რაოდენობა 1864-1871 წლებში მერყეობდა 35-40 შორის, რომლებშიაც 1155 ბავშვი სწავლობდა 1870 წელს ასეთივე ტიპის სკოლების მშენებლობაზე „საზოგადოებამ" დახარჯა 33316 მანეთი. „საზოგადოებამ" განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქალთა განათლების საკითხს, რომელსაც როგორც მომავალი დედებსა და ოჯახის დიასახლისებს ქრისტიანობის გავრცელებასა და დამკვიდრებაში დიდი როლი ეკისრებოდათ. ამ დროისათვის „საზოგადოებას" ჰქონდა ქალთა სამი სკოლა. სპეციალური მითითებით ამ სასწავლებლებში პირველ რიგში იღებდნენ: აფხაზებს, ოსებს, ფშაველებს, ხევსურებს, თუშებს, ე.ი. იმ ხალხის წარმომადგენლებს, რომლებზედაც ვრცელდებოდა „საზოგადოების" გავლენა.[18]

ცარიზმი თავის კოლონიური მიზნების დროულ განხორციელებისათვის კავკასიაში ითხოვდა ადგილობრივ საერო და სასულიერო ხელისუფალთა შეთანხმებულ მოქმედებას. მთავრობა მოითხოვდა, რომ ორივე მხარეს გამოენახა ახალი, უფრო ქმედითი საშუალებანი, რათა დაეჩქარებინათ ადგილობრივი მოსახლეობის მთლიანი შერწყმა იმპერიასთან საერო ხელისუფალნი ვალდებულნი იყვნენ შეეგროვებინათ ცნობები ადგილობრივ მცხოვრებთა გავლენიან პირებზე, რომელთა გამოყენებასაც მთავრობა საჭიროდ ჩათვლიდა. სასულიერო მისიონერებს ხელთ უნდა ჰქონოდათ ცნობები „მისიის" სამოქმედო რაიონის სულიერ განწყობილებაზე, მათ ზნე-ჩვეულებებზე, მათს დამოკიდებულებაზე მთავრობასთან, დამყარებულ რეჟიმთან და ა.შ. „საზოგადოებას" განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია ადგილობრივი მოსახლეობის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის, ეკლესია-მონასტრების აღდგენა, მშენებლობის, სასულიერო ლიტერატურის თარგმნას, კავკასიის ხალხთა ენებზე (რისთვისაც ზოგჯერ საჭირო ხდებოდა ამ ხალხების ერთი ნაწილისათვის ანბანის შექმნა, შედგენა) სასულიერო სასწავლებლების გახსნის, რუსული ენის მცოდნე კადრების აღზრდის, ხალხთა განათლებისა და მათ შორის ქრისტიანული იდეების ქადაგებისათვის. „საზოგადოების" საქმიანობის ოპერა-

ტიულად წარმართვის მიზნით შეიქმნა განყოფილებები: ვლადიკავკაზში, სამეგრელო-გურიაში, სვანეთსა და აფხაზეთში, მოზდოკსა და პიატიგორსკში და თუშ-ფშავ-ხევსურეთში.[19]

§2 საქართველოს საეგზარქოსოს საქმისიონერო მოღვაწეობა აფხაზეთში

თუ როგორ ცდილობდა რუსეთის მეფის ხელისუფლება საქართველოში „ქრისტესადმი წმინდა რწმენის დაცვას და მართლმადიდებლობის აღდგენას იქ, სადაც ის შეირყა" ნამდვილად თუ რა განზრახვა ჰქონდა მას და რა მეთოდებითა და საშუალებებით ცდილობდა იგი მის განხორციელებას,[1] აშკარად სჩანს საქართველოს ისეთი კუთხის მაგალითზე, როგორიცაა აფხაზეთი[2].

მთავრობის ყურადღების ცენტრში იდგა სამისიონერო სამუშაოების გაფართოების საკითხი. რუსეთის უწმინდესი სინოდი სამართლიანად, თვლიდა, რომ ქრისტიანობის გავრცელებას აფხაზთა შორის დიდი ტრადიციები ჰქონდა ქართველებისა და ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი გავლენის გამო.

XIX საუკუნის 30-იან წლებში აფხაზეთში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ეკლესია მოქმედებდა და ისიც აფხაზეთის მთავრის შერვაშიძის საზაფხულო რეზიდენცია ლიხნში. 1831 წელს ნიკოლოზ I ბრძანებით შეიქმნა აფხაზეთის ეპარქია. ამ მხარეში მისიონერული საქმიანობის გასაშლელად. მაგრამ აფხაზეთის მთავრის მოთხოვნას იქ ეპისკოპოსად ანტონ დადიანი დაენიშნათ, რომელიც იმავდროულად ცაგერის მონასტერში იღუმენად იყო, უარით უპასუხეს, რადგან აფხაზეთში იმ დროს ეკლესია და მრევლი ძალიან ცოტა იყო. იმავდროულად საეგზარქოსომ აფხაზეთში მისიონერული საქმიანობისათვის სამეგრელოს ეპარქიიდან მღვდლები გაგზავნა.

1831 წელს, როგორც ავღნიშნეთ, დაარსდა ცალკე ეპარქია, მაგრამ ნამდვილი ხელმძღვანელი ეპისკოპოსი მან 20 წლის შემდეგ მიიღო. მანამდე კი საეგზარქოსომ სამისიონერო საქმიანობის წასამართავად აფხაზეთის მთავრის თანხმობით სამეგრელოდან აფხაზეთში გაგზავნა მღვდლები ისევე, როგორც ეს გაკეთდა სამურზაყანოში.

ღმრთის საქმის სადიდებლად აფხაზეთ-სამურზაყანოში მივლინებულ იქნენ შემდეგი მისიონერები: 1) მღვდელი ვასილ კუცია, ერთი დიაკვნით სოფელ ოქუმში; 2) საბა თოფურია დიაკვნით__გალში; 3) ნიკოლოზ კუპრავა, დავით სვანიძე და მიხეილ გაგუა ნაბაკევოს დასახლებაში; 4) მარკ შინია და მარკ არყანია საბერიოსა და ლაჭარის დასახლებაში; 5) დავით ანთელავა სოფ. დიხაზურგაში; 6) იესე ხოჭოლავა განარჯი-მუხურში (Ганарджи-Мухури); 7) პეტრე ჟღენტი-ილორში; 8) იესე მიქაბერიძე „ბლაღოჩინის" ხარისხით სოფ.

დარჩენაში. ანტონს მიტროპოლიტ დავითის ბრძანებით ცაგერის მონასტრიდან გამოუყვეს იღუმენები: დავით ახვლედიანი და თეოფანე გაბუნია. მღვდლები გიორგი ბერიძე, ანდრია გელოვანი, დიაკვნები პავლე დეკანოზოვი (დეკანოზიშვილი) და ვასილ ნემსაძე.[3]

1833 წლის 22 ივლისს ანტონმა შეატყობინა ეგზარქოს მოსეს, რომ მან გადააბარა საქმეები დროებით შემცვლელს გიორგის და რომ მზად არის თავისი გუნდით აფხაზეთში გასამგზავრებლად. მაგრამ მთავრობამ მთავრისაგან მიიღო შეტყობინება, რომ ჩერქეზების მოსალოდნელი თავდასხმების გამო მიზანშეწონილად არ მიაჩნდა „მისიის" გაგზავნა. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ლევან დადიანი აცხადებდა რომ სამურზაყანო ოდიშის სამფლობელო იყო და თუ „მისიას" სამურზაყანოში მისი გამგებლობის ქვეშ დატოვებდნენ თვითონაც შეუწყობდა ხელს მისიონერთა საქმიანობას.

ამრიგად 1831-1834 წლებში მისიონერული მოღვაწეობა აფხაზეთში, რომლის მიზანიც იყო იქ ქრისტიანობის აღდგენა, რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო ვერ გაიშალა.

აფხაზ თავადთა ერთი ნაწილი, თავის მხრივ, თვითონ ცდილობდა საკუთარი ძალებით აეგო ეკლესიები. თავადის ქალმა კესარია შერვაშიძემ სოფ. კვიტოულში 1834 წელს ააშენა ეკლესია. ალ. შერვაშიძემ 1845 წელს სოფ. აცში, მიხეილ შერვაშიძემ იმავე წელს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ააშენა სოფ. მაზუხში, ხოლო კიზილმეკ ანჩაბაძემ—ასევე წმ. გიორგის ეკლესია ააშენა სოფ. ფოქვეშში.

„ოსეთის სასულიერო კომისიის" ინიციატივით აფხაზეთის სხვადასხვა სოფლებში აიგო ხის და ქვის ეკლესიები და დაიგზავნენ მღვდლები. ეკლესიები გაიხსნა სოფ. ეშკეთში—ღვთისმშობლის სახელობის (1836 წ), ტამიშში წმ. ნიკოლოზის (იმავე წელს), შუაწყალში ანუ აძიუბჟაში-ღვთისმშობლის შობის (ასევე 1836 წ), XIX ს. 30-50-იან წლებში, „ოსეთის სასულიერო კომისიის" მიერ აფხაზეთში აშენებულ იქნა სულ 13, ხოლო სამურზაყანოში 16 ეკლესია.[4]

XIX ს. 60-იანი წლების აფხაზები იქ მოღვაწე მღვდელი დიმიტრი მარღანიას, მისიონერ ტ. ივანიცკის და „ქრ. აღმ. საზოგადოების" მიმომხილველ იერომონა ჭ. ა. პლატონოვის დახასიათებით იყოფოდნენ ორ დიდ ჯგუფად: ქრისტიანებად და მაჰ-მადიანებად ანუ მუსლიმანებად. აფხაზი ქრისტიანები იყოფოდნენ ასევე ორ ჯგუფად-პირველს მიეკუთვნებოდნენ კოდორის რეგიონში მცხოვრებლები, რომლებიც იცნობდნენ და იცავდნენ კიდევაც ქრისტიანული რწმენის წესებს, რაც გამოწვეული იყო სამურზაყანოს მეგრელებთან მათი სიახლოვით. მეორე ჯგუფს შეადგენდნენ გუდაუთის რეგიონის ქრისტიანი აფხაზები, რომლებიც ეკლესიისაგან განდგომის გზაზე იყო შემდგარი, ერთდაიმავე დროს ისინი ქრისტიანებიც იყვნენ, წარმართებიც და მუსულმანებიც. მათ ჰქონდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამსახოვანი რელიგია—წარმარ-

თობის, ქრისტიანობის და მაჰმადიანობის ნარევი, მათი კონგლომერატი. მიაჩნდათ რა თავიანთი თავი ქრისტიანებად, სწამდათ იესო ქრისტე, ღვთისმშობელი მარიამი, წმინდა ხატები და ეკლესია, იმავე დროს აღიარებდნენ მაჰმადს, ყურანს, მეჩეთსა და მოლას. ქრისტეშობას, აღდგომას, მარიამობას ისინი მასიურად დადიოდნენ ეკლესიებში და ზეიმობდნენ ქრისტიანულად, ანთებდნენ სანთლებს ეკლესიებში და თავიანთ სახლებში, კურთხევას იღებდნენ მღვდლებისაგან და უწოდებდნენ მათ სულიერ მამებს. იმავე დროს მიმართავდნენ მოლებს ლოცვების დასაწერად, ავადმყოფობისა და ცოფის მოსარჩენად. მოლებს იწვევდნენ შინ მიცვალებულთა გასაპატიოსნებლად, ზოგიერთი ქრისტიანი აფხაზი მონაწილეობდა ბაირამობის დღესასწაულებში, ცოდვად არ თვლიდნენ მოუნათლავი მაჰმადიანი ქალის შერთვას ან მოუნათლავ ჰაბუკზე გათხოვებას. ცნობდნენ რა საეკლესიო საიდუმლოებებს: ზიარებას, კურთხევას, ჯვრისწერას, როგორც ღმერთის მიერ დაწესებულს, ქრისტიანი აფხაზები არ ცდილობდნენ დაქორწინებისას აუცილებლად ჯვარი დაეწერათ ეკლესიაში. ასევე მოუნათლავად სტოვებდნენ ხშირად თავიანთ შვილებს. მარხვას, აღსარებასა და ზიარებას არ მიიჩნევდნენ სავალდებულოდ[3].

მაჰმადიანი აფხაზები ასევე იყოფოდნენ ორ ჯგუფად__პირველს მიეკუთვნებოდნენ ის აფხაზები, რომლებშიც უკვე დამკვიდრებული იყო, ეს რწმენა, ხოლო მეორე ჯგუფს ის აფხაზები, რომლებიც ჯერ კიდევ ნაკლებად იყვნენ ისლამის მორწმუნენი.

პირველი ჯგუფის მაჰმადიანი აფხაზები ასრულებდნენ წინდაცვეთის ჩვეულებებს, მათ ჰყავდათ თვითმარქვია მოლები, იცავდნენ რამაზანის მარხვას, ფიცს სდებდნენ ყურანის წინაშე, მიცვალებულებს ასაფლავებდნენ მაჰმადიანური წესით, მაგრამ ამასთანავე, არ იცავდნენ მუსულმანისათვის ზოგიერთ აუცილებელ წესს: დღეში ხუთჯერ ლოცვას, განბანვას, მექაში გამგზავრებას და მისთანანი__აფხაზ მაჰმადიანთა აზრით ამ წესების გარეშეც შეიძლებოდა ნამდვილ მაჰმადიანად ყოფნა.

მეორე ჯგუფის წარმომადგენლები ნაკლებად ფანატიკოსები იყვნენ, ქრისტიანების მიმართ არ იყვნენ მტრულად განწყობილნი ისინი ნაკლებად იცნობდნენ მაჰმადიანურ მოძღვრებას, მათ მხრივ ისლამისადმი რწმენა გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, რომ სხვა მუსულმანებთან ერთად იცავდნენ რამაზანს, დღესასწაულობდნენ მარიამობას, იწვევდნენ მოლებს მიცვალებულთა დასაფლავებისას. ამასთანავე პატივს სცემდნენ, ზოგჯერ კიდევაც მონაწილეობდნენ ქრისტიანულ დღესასწაულებში, როგორიცაა: აღდგომა, ქრისტეშობა, მარიამობა, გიორგობა, თაფჟანს სცემდნენ ეკლესიებსა და ხატებს, ხმარობდნენ ცვილის სანთლებს, აღდგომაზე კვერცხებს ღებავდნენ წითლად, მიცვალებულთა ხსენებისას ღვინოს ასხამდნენ პურზე და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქრისტიანი და მაჰმადიანი აფხაზები

ერთი-მეორის გვერდით ცხოვრობდნენ ერთ სოფელში თუ ქალაქში და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მათ შორის არ არსებობდა არავითარი კონფლიქტი, კიდევ მეტი, არსებობდა ისეთი ოჯახებიც, რომლის ზოგიერთი წევრი ქრისტიანი იყო, ზოგიერთი კი მუსულმანი და ეს არავითარ გავლენას არ ახდენდა აფხაზური ოჯახის ტრადიციულ სიმტკიცეზე, რაც დღესაც მისაბაძია ბევრი სხვა ხალხის წარმომადგენლებისათვის.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თურქეთიდან ჩამოსული მოლები, რომლებიც ქრისტიან აფხაზთა შორის ჩასახლდნენ, ძლიერ გავლენას ახდენდნენ მათ ქრისტიანულ, ჯერ კიდევ განუმტკიცებელ რწმენაზე და მათ ისლამისკენ ეწეოდნენ. აფხაზთა შორის მუსულმანობის პროპაგანდას დიდი წარმატება ჰქონდა და ბევრი ქრისტიანი აფხაზი მუსულმანი ხდებოდა. ბევრ მოლას არავითარი რელიგიული განათლება არ ჰქონია ისლამში, მაგრამ ფანატიზმით მათ თავიანთ მხარეზე გადაჰყავდათ არაერთი ქრისტიანი აფხაზი. ისლამის ბუდეს აფხაზეთში წარმოადგენდა ორი დიდი სოფელი--აცი და დურიფში გუდაუთის რეგიონში და სოფ. ჯგერდა ოჩამჩირის რეგიონში. ამავე დროს მაჰმადიანი აფხაზები ცხოვრობდნენ სხვა სოფლებშიც: აჭანდრაში, ყულანურხვაში, ზვანდრიფში, ეშერაში, ჭლოუში, ათარაში, გუფსა და ზოგიერთ სხვ. თემში.[8]

ყოველივე ზემოაღნიშნული ძალზე ართულებდა აფხაზთა შორის მისიონერულ საქმიანობას. ამას ზედ ერთვოდა ისეთი სიძნელეები, როგორიცაა მისიონერთა და სამღვდელო კადრების სიმცირე XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის აფხაზი სამღვდელო პირები თითქმის არ იყვნენ. ამიტომ საჭირო იყო მათი იქ გაგზავნა საქართველოს სხვა კუთხეებიდან იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემებით აფხაზთა რაოდენობა შეადგენდა სულ 37396 სულს, მათ შორის მაჰმადიანი კი მხოლოდ 8278 იყო, მაგრამ ეს ციფრი არაა ზუსტი, მასში არ იგულისხმება ქრისტიანობიდან ისლამზე გადასული აფხაზები. მათი რაოდენობა კი საკმაოდ დიდი იყო.[9]

1851 წელს მეფისნაცვალმა ვორონცოვმა მოიწონა ქრისტიანული მისიის შექმნის იდეა აფხაზეთში, რის აუცილებლობაზეც უფრო ადრე პეტერბურგი მიუთითებდა. აფხაზთა შორის „სასულიერო მისიის" შექმნას და ქრისტიანობის გავრცელებას მთავრობა დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა. მეფისნაცვალს ქრისტიანობის გავრცელება მისიონერთა საშუალებით იმდენად საპასუხისმგებლო და სასიკეთო ამოცანად მიაჩნდა (როგორც ქრისტიანობის გავრცელების, ასევე პოლიტიკური მიზნებისათვისაც), რომ ამ საქმეში მცირეოდენი რისკის გაწევაც კი საზიანო შეიძლება ყოფილიყო. ამიტომაც მ. ვორონცოვი ობერ-პროკურორს სთხოვდა, ნება დაერთო საქართველოს ეგზარქოსისათვის შეერჩია მისიონერები ქართველთაგან; მისივე აზრით, გამორიცხული არ იყო მისიონერების დანიშვნა რუსი ეროვნების სასულიერო პირებიდანაც, თუ

ეგზარქოსი საამისოდ ჯელა საჭირო პირობას დაინახავდა[10].

მთავრობა, როგორც სხვაგან აქაც არ ერიდებოდა გავლენიანი პირების მოსყიდვასა და გულის მოგებას. აფხაზეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელად მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნდა აფხაზეთის მთავრის შერვაშიძის კარის მოძღვრის-გერმანეს დანიშვნა. ამ აქტით სურდათ, როგორც მთავრის გულის მოგება ასევე მისი ავტორიტეტის გამოყენება, როგორც ქრისტიანობის გავრცელებაში, ასევე რუსული ორიენტაციის გაზრდისათვის. მეფისნაცვალი დაჟინებით მოითხოვდა გერმანეს (გოგოლაშვილი) დანიშვნას და კიდეც დაინიშნა 1857 წლამდე. 1857-1862 წწ აფხაზეთის ეპარქიას გერონტი (პაპალაშვილი) 1862-1869 წწ ალექსანდრე (ოქროპირიძე) მართავდნენ, ხოლო 1869 წელს აფხაზეთის ეპარქია შეუერთდა იმერეთის ეპარქიას, რომლის შემადგენლობაში 1885 წლამდე იყო. ეპისკოპოსი კი გაბრიელი იყო და მიაჩნდა, რომ ამ საქმის თუნდაც დროებით გადადება და შეყოვნება ცუდ შედეგს მოუტანდა სახელმწიფოსაც პოლიტიკური თვალსაზრისით და მართლმადიდებლური საქმიანობის კეთილად დაგვირგვინებასაც.[11] მთავრობის ასეთი მისწრაფებით იყო გამოწვეული ის გარემოებაც, რომ სასულიერო მისიონერები ცდილობდნენ გავლენიანი პირების მოსყიდვასაც კი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდულ გამოცემაში დიდი გულისტკივილით აღნიშნავდნენ „რომ ძველად მართლმადიდებლური სარწმუნეობის მოსახლეობა აფხაზეთში გამუსლიმანებულა". ამ მოვლენას იმით ხსნიდნენ, რომ „როცა აფხაზეთი საქართველოს მფლობელობაში იყო, იქ ქრისტიანობა დომინირებდა, მაგრამ საქართველოს სამეფოს რამდენიმე ნაწილად დაყოფის შემდგომ აქ ქრისტიანობა მაჰმადის სჯულით შეცვლილა. ახლა უნდა ვთქვათ, რომ თუმცა იგინი აფხაზეთში, ირიცხვიან ქრისტიანებად, მაგრამ მაჰმადის სარწმუნოების წესი ჯერ იმათში არ ამოკვეთილა."[12]

წარმატებით მიმდინარეობდა ეკლესია-მონასტრების აღდგენა და მშენებლობა. 1869 წელს განახლებული იქნა ბიჭვინთის ეკლესია. იმავე წელს გაიხსნა ეკლესია სოფელ დურიფშში, 1870 წელს სოფ. მუგუძირხვაში, ამაღლების-ჭლოუში, პეტრე-პავლეს-გუფში, წმ. მოციქულების--ტყვარჩელში, 1876 წელს ღვთისმშობლისა--ეშკეთში, 1878 წ. ამაღლებისა ჯგერდაში, 1879 წელს ამაღლებისა--ოჩამჩირეში. 80-90-იან წლებში აფხაზეთში აშენდა ამაღლების ეკლესია (1882 წ) აჭანდრაში, წმ. გიორგის (1890) სოფ. ფოქვეშში. 1896 წელს „ქრისტ. აღმ. საზოგადოების" დაქვემდებარებაში იყო აფხაზეთის სულ 21 ეკლესია, რომელშიც მღვდლებად მუშაობდნენ: ბესარიონ ჟორდანია, ფადეი ურიდია, იონა წივწივაძე, გიორგი ჭირაქაძე, ნიკოლოზ კირთაძე, იოსებ ლაკირბაია, დიმიტრი ხოჭოლავა, კონსტანტინე თოფურიძე, ეფრემ ცხაკაია, თედორე ცხაკაია, ნიკოლოზ საჯაია, სერაპიონ ჩხეიძე, ვასილ მაქაცარია, იესე ჟორდანია, ბარნაბა ფანცულაია, გაბრიელ რომანოვი, ლავრენტი სალაია,

ივანე კერესელიძე, პორფირე ახალაია, იოსებ ორიძე, მედავითნეებიც ასევე გამოუკლებლივ ქართველები იყვნენ.[13]

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთში გაბრიელის სამისიონერო მოღვაწეობას. ეპისკოპოსი გაბრიელი თავის ქადაგებებში აფხაზთა შორის, არწმუნებდა რა მათ ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობაში... კიდევ უფრო ვრცლად და დამაჯერებლად უსაბუთებდა, რომ მათთვის აუცილებელია ქრისტიანად მოქცევა, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც, მთავრობა ახლადმონათლულებს სხვადასხვა შეღავათებთან ერთად, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი აფხაზებს ანთავისუფლებდა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან „დღეს მართლმადიდებელ აფხაზთა და მათ სამღვდელოთა სასიხარულოდ უნდა გამოვუცხადოთ, რომ ახლად მონათლულნი აფხაზნი სალდათად არ გაიყვანებიანო", წერდა ჟურნალი „მწყემსი" 1890 წელს[14].

გაბრიელ ეპისკოპოსს ბრწყინვალედ ჰქონდა ათვისებული ადამიანთა სულის ფლობის ხელოვნება. გაეცნო რა ღრმად ადგილობრივი მცხოვრებლების ხასიათებსა და ჩვეულებს იგი ძალიან ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ დაადგა მათი გაქრისტიანების გზას.

ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა მისმა აპოსტოლარულმა შრომებმა. გაბრიელი სამისიონერო საქმიანობას ძალზედ სერიოზულად და ამასთან ერთად განსხვავებულადაც უყურებდა, ვიდრე „ოსეთის მისიონერული კომისიის" წევრები. მას სწამდა, რომ მუსლიმანის მხოლოდ ქრისტიანულად მონათლა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მის ჭეშმარიტ მოქცევას ქრისტიანულ მოძღვრებაზე. ადამიანის ჭეშმარიტი მოქცევისათვის საჭირო იყო დრო და სათანადო ქადაგებანი. მისი აზრით ახალთან შეგუება, შერწყმა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან იგი არსებულის უარყოფას მოითხოვს. ძველის უარყოფა მისი დათმობა დაკავშირებულია შინაგან ბრძოლასთან. აირჩია რა თავის სამისიონერო მოღვაწეობაში სწორი გეზი გაბრიელმა დიდ წარმატებებს მიაღწია. იგი ფრთხილი, მომთმენი, ქადაგების დროს ლაპარაკობდა გულში ჩამწვდომი სიტყვებით უბრალოდ ყველასათვის გასაგები ენით. დამაჯერებლად ახდენდა მოყვანილი ფაქტების არგუმენტირებას.[15]

მაგალითის მიმცემი იყო მისი პირადი ცხოვრება და საქმიანობა. იგი გაურბოდა ოფიციალურ საზეიმო შეხვედრებს სამეფო კარის ადმინისტრაციულ აპარატთან და თანამდებობის პირებთან. მოგზაურობაში არ ახლდა არავითარი დაცვა. არ უჯარდა საეკლესიო ეკიპაჟი. იგი არ ერიდებოდა მაღალ მთებს, ძნელ უხერხულ ბილიკებს, უშიშრად იკვლევდა გზას ცხენით ძნელად მისასვლელ სოფლებში, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება უფსკრულში გადაჩეხილიყო.

ასეთი თვისებების გამო აღიარა იგი სვანეთის მოსახლეობამაც თავის

განმანათლებლად.ანალოგიური ხერხებითა და მოქმედებით აღადგინა აფხაზეთში გაბრიელმა საქრისტიანო საწმყოსო და საფუძველი მოუმზადა საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას სოხუმში, გამოაცოცხლა და აღადგინა ძველი ბიჭვინთა, სული შთაბერა მრავალ დანგრეულ და უპატრონო ეკლესიას. 1869 წლიდან 1885 წლამდე ეწეოდა იგი სამისიონერო საქმიანობას აფხაზეთში, სანამ იქ არ დაარსდა ცალკე საეპისკოპოსო კათედრა.

1868-1875 წლებში გაბრიელი ყოველწლიურად ესტუმრებოდა აფხაზეთსა და სამურზაყანოს. მართალია მან აფხაზური ენა არ იცოდა და თარჯიმნით სარგებლობდა, მაგრამ მისი მგზნებარე ქადაგება და კეთილმოსურნეობითი დამოკიდებულება დიდად მოსწონდათ აფხაზებს. მოსწონდათ აგრეთვე მისი დიდი გულმოდგინება აღდგენის, აშენების და სათანადოდ მართვის საქმეში.[16]

· გაბრიელი ხშირად მოგზაურობდა აფაზეთში. ერთ-ერთ ასეთ მოგზაურობას იხსენებს დეკანოზი იოსებ წერეთელი. „1875 წელს გაბრიელს ვახლდი აფხაზეთში. მაისი იყო. ფოთიდან ბიჭვინთაში გადავედით. იქიდან ხმელეთით ცხენდაცხენ გამოვყევით აფხაზეთ-სამურზაყანოს. ბიჭვინთაში რუსის ბერები იდგნენ. აქ გაბრიელი მეორე დღეს სოხუმის ოლქის უფროსის გენერალ გეიმანის თანხლებით სოფლების დასათვალიერებლად გაემგზავრა. ყველგან ხალხი გვხვდებოდა. ქადაგებდა, ბევრი ინათლებოდა. თარჯიმანი იყო მღვდელი ივანე გეგია, აფხაზი, საუცხოოდ თარგმნიდა. გეგია რუსეთ-ოსმალოს ომის დროს მოიკლა ღალატით აფხაზთაგან. სოფ. ჯგერდეში, სადაც 300 კომლი მოუნათლავი აფხაზი ესახლა, ერთი უსიამოვნება შეგვხვდა, მღვდლისას დავბინავდით. ჩვენთან იყო აფხაზეთის მისიონერი__ბლაღოჩინი დეკანოზი დავით მაჭავარიანი. გენერალი გეიმანი ახლო სოფელში დაბინავდა. შუა ღამე იყო. ატყდა საშინელი ხმაურობა. ჩვენს ბინას შემოერტყა 300 შეიარაღებული აფხაზი. ჩვენ შევშინდით. გაბრიელი გვამხნევებდა. გამოვიდა აივანზე და დაუწყო ხალხს დამშვიდება; არ ცხრებოდნენ და ყვიროდნენ არ გვინდა ქრისტიანობა, მოგვშორდით თუ არა ამოგხოცავთო. მოჰყვა თოფის სროლა. თოფის ხმაზე გენერალი გეიმანიც მოვიდა (თანმხლები რაზმით). აფხაზები ჯერ არც ამას შეუშინდნენ, მარა ბოლოს დიდი თათბირის შემდეგ დაშოშმინდნენ. მეორე დღეს მეტი ხალხი მოვიდა. გაბრიელმა სიტყვაში მათი წარსული დაასურათა. ყურანი, რომელიც კარგად ჰქონდა შესწავლილი ქრისტეს სახარებას შეადარა. ბევრი მოინათლა. სამი დღე დავრჩით აქა, წასვლაზე გეიმანმა გაბრიელს უზანგი დაუჭირა და ხალხს უთხრა: „ხომ ხედავთ, მე გენერალი ვარ და როგორ პატივს ვცემ ამ წმინდა კაცს. თქვენც უნდა გაუგონოთ მას, ეს ხელმწიფისაგან არის გამოგზავნილი". აფხაზეთში გაბრიელი რევიზიის ანგარიშს თვითონ სწერდა.[17]

აფხაზეთსა და სამურზაყანოში ქრისტიანული ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობაზე საუბრის დროს გაბრიელთან ერთად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას დეკანოზ დავით მაჭავარიანის ღვაწლი.

1850 წელს, როცა დეკანოზი დ. მაჭავარიანი ეწვია სამურზაყანოს, ქრისტიანული რწმენა აქ ძალზე შერყეული იყო. თავისი საქმიანობა დეკანოზმა იმითი დაიწყო, რომ შეისწავლა ადგილობრივ მკვიდრთა ენა და წეს-ჩვეულებანი. ყოველივე ამან მას დიდი პოპულარობა და სიყვარული მოუტანა მოსახლეობის ფენაში, რამაც თავის მხრივ დიდად შეუწყო ხელი მის მისიონერულ მოღვაწეობას. მისმა საქმიანობამ სულ მალე შედეგი გამოიღო. 10-15 წელიწადში შერყეული ქრისტეს სჯული სრულიად აღსდგა მთელ სამურზაყანოში განახლდა და კეთილმოეწყო ეკლესიები, მისი უშუალო ინიციატივით გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები.

დავით მაჭავარიანის შემდგომი მისიონერული საქმიანობა გრძელდება აფხაზეთში 1869 წლიდან, სადაც იგი გაბრიელის მიერ მისიონერად დაინიშნა. აქ გაიშალა მისთვის ფართო ასპარეზი მისიონერული საქმიანობისათვის. მას დიდ დახმარებას უწევენ საეკლესიო თანამოღვაწეები: იერომონაზონები ბესარიონ დგებუა და ათანასე ჟორდანია. ისინი მუდამ აფხაზთა შორის ტრიალებდნენ, უკითხავდნენ და ასწავლიდნენ მათ წმინდა სახარებას. აძლევდნენ სასარგებლო რჩევებსა და სნეულთ ამარაგებდნენ წამლებით. უნდა აღინიშნოს, რომ დავით მაჭავარიანმა ამ ორ სასულიერო მოღვაწეს სამისიონერო უბნები გამოუყო. ბესარიონი ბზიფის უბანში მოღვაწეობდა, ხოლო ათანასე--კოდორისაში აფხაზეთში სხვა მისიონერებიც მოღვაწეობდნენ, მაგრამ მათ შორის თავიანთი სახარებისეული სათნოებით, ცხოვრების წმინდა ქრისტიანული წესით გამოირჩეოდა ეს ორი ბერი--ბესარიონი და ათანასე. მათ ადგილობრივი მოსახლეობის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. მათმა დაუღალავმა შრომამ სათანადო ნაყოფი გამოიღო--აფხაზები ჯგუფურად 100-300 კაცი ერთად ინათლებოდნენ და ქრისტიანული ეკლესიის მრევლი ხდებოდნენ.

აფხაზთა სარწმუნოებრივ შეხედულებებზე და მათ შორის გაშლილ მისიონერულ საქმიანობაზე ძალზე უარყოფითი გავლენა მოახდინა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა, რომლის დროსაც თურქებმა აფხაზეთში დაწვეს-დაანგრიეს 16 ეკლესია. ამ ომში აფხაზთა ერთი ნაწილი, რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკით უკმაყოფილო, თურქებს თანაუგრძნობდა და კიდევაც აშკარად ეხმარებოდა მათ. მეფის რუსეთმა ეს გარემოება აფხაზთა მიწების ხელში ჩაგდების საბაბად გამოიყენა და თავისი კოლონიალური პოლიტიკით აიძულა 30000-მდე აფხაზი სამშობლოს გასცლოდა და თურქეთში გადახვეწილიყო. ათასობით ჰექტარი მათი ნაყოფიერი მიწები მეფის მთავრობამ თავის ერთგულ რუს ოფიცრებს აჩუქა. მართალია თურქეთში გაქცეული აფხაზების თითქმის ნახევარი (15000-მდე სული) დროთა განმავლობაში კვლავ სამშობლოში დაბრუნდა.[18] მაგრამ მათ განწყობა რუსების მიმართ აშკარად მტრული იყო, რის გამოც მეფის ხელისუფლებამ 1880 წელს მათ აუკრძალა

სამკილომეტრიან ზღვისპირა ზოლში დასახლება. მთელი აფხაზი ხალხი გამოცხადდა „დამნაშავე ხალხად" და „დროებითმაცხოვრებლად" მთავრობა მათ არ ენდობოდა და ამის გამო აფხაზები მეფის არმიაში არ მიჰყავდათ.[19]

დამპყრობელი რუსეთის მართლმადიდებლურ ქრისტიანობას თურქეთიდან აფხაზეთში ჩამოსული თვითმარქვია მოლები ისლამს უპირისპირებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები ამ სარწმუნოებაზე გადაეყვანათ. განსაკუთრებით ეს შეიმჩნეოდა გუდაუთისა და ოჩამჩირის რეგიონში მოსახლე აფხაზთა შორის.[20]

აფხაზთა შორის აქტიურ პროთურქულ დ პროისლამურ პროპაგანდას ეწეოდნენ არა მარტო ფანატიკოსი მოლები, არამედ თურქეთიდან წლების შემდეგ უკანმობრუნებული აფხაზები, რომლებმაც თან ჩამოიტანეს ისლამური რწმენა და ანტიქრისტიანული განწყობა. ამას ზედ ერთვოდა აფხაზების აშკარა სიძულვილი დამპყრობელი მეფის ხელისუფლების მიმართ, რასაც ისინი არც კი მოელოდნენ. ასე მაგალითად, დურიფშელმა სვიმონ თარკილმა თავისი და თანასოფლელების განწყობილება მისიონერ ტ. ივანიცკის ასე გაუმჟღავნა: „მართალია ჩვენ ვცხოვრობთ რუსულ სახელმწიფოში, მაგრამ გულით ვეკუთვნით თურქეთის სულთანს."[21]

ზემოაღნიშნული გარემოება, რასაკვირველია, დიდად ართულებდა აფხაზთა შორის მისიონერულ მოღვაწეობას.

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, ეპისკოპოსი გაბრიელი კვლავ დიდ საგანმანათლებლო და სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა აფხაზთა შორის და ყოველნაირად ცდილობდა ქრისტიანულ რწმენას გადამცდართა კვლავ მობრუნებას: შენდებოდა ახალი ეკლესიები, იქმნებოდა ახალი სამრევლოები. მას მხარში ედგნენ აფხაზეთში მოღვაწე ქართველი მღვდლები, რომლებიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ, მაშინ აფხაზებს ორიოდეს გარდა, ჯერ კიდევ არ ჰყავდათ საკუთარი ეროვნების სასულიერო პირები ქართველი სამღდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი ღვთისმსახურების გარდა აფხაზეთში მაშინ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც, ეწეოდა. თითქმის ყველა ეკლესიასთან გახსნილი იყო სამრევლო სკოლა. პირველი ასეთი სკოლა გაიხსნა ახალი ათონის სიმონკანანელის მონასტერთან 1876 წ. უფრო მოგვიანებით საეკლესიო-სამრევლო სკოლები გაიხსნა: ლიხნში, მოქვში, საბერიოში, გალში, ფოქვეშში და სხვაგან, რომლებშიაც მასწავლებლობდნენ დომენტი პარკაია, იოსებ ლაკირბაია, ანტიფო ბაბილუა, იესე ქორდანია, მარკოზ ჭარაია და სხვ. ამ სკოლებიდან მხოლოდ ერთი იყო ორკლასიანი, ხოლო დანარჩენი ერთკლასიანი. თითო სკოლაზე საშუალოდ მოდიოდა 49 მოსწავლე. დიდი იყო აფხაზთა მისწრაფება თავიანთი შვილები მიებარებინათ სკოლებში. XIX ს. დამლევისათვის აფხაზეთში იყო სულ 100 სკოლა 3951 მოსწავლითა და 152 მასწავლებლით.[22]

მთავრობა ძალიან განიცდიდა ეკლესიათა სიმცირეს აფხაზეთში. ზოგიერთ

სოფელში სამლოცველო სახლები იყო გახსნილი. ზოგან ესენიც არ იყო. მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ყველა სოფელში ეკლესიების აშენება. ხალხი დიდ საჭიროებას გრძნობს ამ მხრივ. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ბიჭვინთისა და სიმონ კანანელის მონასტერში დიდძალი მლოცველი მოდის ნოვოროსიისკიდან და ტუაფსედან.[23]

გაზეთ „ივერიას" 1887 წ. გადმოუბეჭდია ჟურნალ „მწყემსიდან" ინფორმაცია აფხაზეთის საეპისკოპოსოზე, რომ მიტროპოლიტ ისიდორეს ეგზარქოსად ყოფნის დროს ლაპარაკი იყო აფხაზეთში საკუთარი ეპარქიის დაარსებაზე. აფხაზეთის ეპარქია 18 წლის განმავლობაში მიწერილი იყო იმერეთის ეპარქიაზე და მას ამ პერიოდში მართავდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. დეკემბრის თვეში შევიტყვეთ უმაღლესი ბრძანება არქიმანდრიტ გენადის (რუსია) ეპისკოპოსად დანიშვნისა აფხაზეთში.[24]

გაზ. „მწყემსი" 1886 წ. 10 ოქტომბერს იტყობინებოდა 26 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი მობრძანდა ძველი დრანდის კურთხევაზე. ეს ამბავი გაუკვირდა ყველას, რადგან აფხაზეთს უკვე საკუთარი ეპისკოპოსი ჰყადათ, კურთხევაზე დასწრება აქაურებს უთხოვიათ ეგზარქოს პალადისათვის, რომელსაც თავს მხრივ უთხოვია გაბრიელისათვის. კურთხევის შემდეგ გაბრიელი მივიდა სოხუმში და აქაც სწირა ეკლესიაში. მან თვალი მიმოავლო იქაურობს და სთქვა: აი ამ ეკლესიაში დღეს მე პირველად და უკანასკნელად ვსწირე: ყველა აქ მყოფს გემშვიდობებით აწ ჩემმაგიერ სხვა მღვდელმთავარი გეყოლებათ. მე მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს მადლობა გამოვუცხადო პირთ, რომელნიც შემწეობას მაძლევდნენ ჩემს მძიმე საქმის შესრულებაში. ღვთის შეწევნით მე და ჩემმა ხელის შემწყობლებმა ისეთ გზაზე დავაყენეთ ქრისტიანობის საქმე აქ რომ დღემდის თითქმის მთელი აფხაზები გაქრისტიანდნენ. მაგრამ რუს-ოსმალოს ომმა შეგვიშალა ხელი, სულ (18) თვრამეტი წელია რაც მე ამ ქვეყნის მღვდელმთავარი, მისიონერი ვარ, ამ დროის განმავლობაში დიდი შემწეობა გამომიჩინეს ჩემმა სამღვდელოებამ. განსაკუთრებით მ. დავით მაჭავარიანმა, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ ამისა, ამასთანავე მადლობას ვუძღვნი ყველა აქაურ სამღვდელოებას. ამათ შემდეგ მადლობას ვუძღვნი ჩემს ვედრებით ღვთისადმი აქაურს ძველ უფროსს, აწ უკვე განსვენებულ გენერალ გეიმანს. ეს კაცი როგორც კარგი ადმინისტრატორი იყო, ისე დიდი ღვთისმოყვარე და ქრისტიანი იყო. ის უბრალო აფხაზს, რომელსაც ტყეში ხეტიალის მეტი არაფერი ესმის ისე უყურებდა, როგორც რომელიმე განათლებულს კაცს. განსხვავება იმათში მისი სიტყვით ის იყო, რომ უსწავლელ და უმეცარს აფხაზს უფრო შებრალება და დახმარება უნდაო, ვინემ ნასწავლს და ჭკუაგონება გახსნილსო. მუდამ ჩემთან დაიარებოდა სოფელ-სოფელ და უმარტავდა ხალხს ქრისტიანობის დიდ მნიშვნელობას და ქრისტეს მოძღვრებას. თუ არ ვცდები გეიმანი ყველა აფხაზს უყვარა, როგორც თავისი კეთილისმყოფელი.

დღესაც კი დაუვიწყარია იმისი სახელი, ამ ქვეყანაში. გლოცავდეთ ღვთის წინაშე განსვენებისათვის სულისა მისისა წიაღსა შინა აბრაამისა."

1885 წელს სინოდის დადგენილებით აფხაზეთი ცალკე ეპარქიად გამოჰყვეს, რაც უთუოდ ეთანხმებოდა მეფის რუსეთის პოლიტიკის იმ კურსს, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს დანაწევრებასა და დაქუცმაცებას, მისი მცხოვრებლების გარუსების დაჩქარების მიზნით. აფხაზეთის ცალკე ეპარქიად გამოყოფის მიზნით რუსეთი ცდილობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ისტორიულად არსებული კულტურული ეკონომიკური ერთობის დარღვევას, მათ შორის შუღლის ჩამოგდებას. ამიერიდან აფხაზეთის ეპარქია, სოხუმის ეპარქიის სახელწოდებით დამოუკიდებელი ხდებოდა, რომელსაც სათავეში რუსი ეპისკოპოსები უდგებიან, რომელნიც ფარულად თუ აშკარად მტრობენ ქართველ სამღვდელოებას. ამიტომ აქ გაბრიელის თუ სხვა ქართველი სასულიერო პირების მოღვაწეობა თითქმის წყდება და იწყება აფხაზთა გარუსების პოლიტიკა. რელიგიისა და ეკლესიის საშუალებით სოხუმის ეპარქიის საქართველოს ეკლესიისაგან მოსაწყვეტად და ზღვისპირეთის ეპარქიასთან შესაერთებლად.

მიუხედავად დიდი ხარჯებისა, რასაც მთავრობა იღებდა აქ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება დამკვიდრებისათვის, საქმე მაინც მძიმედ მიდიოდა. აფხაზეთში გულგრილად ეკიდებოდნენ ქრისტიანობას და იშვიათად მიმართავდნენ მღვდელს. ისიც არა შინაგანი რწმენის, არამედ შიშის გამო რათა არ მიეცათ პასუხისგებასა და სასამართლოში ქრისტიანული დოგმების დარღვევისათვის.[26]

ამ გარემოებამ კიდევ უფროგააძლიერა აფხაზთა ლტოლვა ისლამისაკენ, რამაც აიძულა „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება" დაენიშნა სპეციალური მისიონერები სოხუმის ეპარქიისათვის. მათ შორის იყვნენ არქიმანდრიტი ამბროსი „საზოგადოების" მისიონერ-ინსპექტორი, ევტიხი მამინაშვილი და ტარასი ივანიცკი. აფხაზთა ერთი ნაწილი მტრულად უყურებდა მათ შორის რუსი სამღვდელოების მიერ ქრისტიანობის ქადაგებას და თავიანთ უკმაყოფილებას არც კი მალავდნენ. თურქი მოლები აფხაზთა შორის თურქოფილურ მისწრაფებას აღვივებდნენ, რის გამოც სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის წინაშე დააყენა საკითხი 1898 წ. აფხაზეთიდან მოლების გასახლების შესახებ. ასევე ეთხოვა ნება დაერთო სოხუმის ეპარქიისათვის დაეშალა მეჩეთი სოფ. ცხენისწყალში, სადაც მაჰმადიანური მოსახლეობის უმრავლესობამ უკვე მიიღო მართლმადიდებლური ქრისტიანობა. მეჩეთები არსებობდა აგრეთვე სოფლებში: ჯგერდასა და აცში. ამავე წელს სოფ. ცხენისწყალში, რომელიც ადრე მიწერილი იყო ტამიშის სამრევლოზე, გაიხსნა ახალი სამრევლო.[27]

მას შემდეგ, როცა „ქრ. აღმ. საზოგადოებამ" შემოიღო მისიონერის და ამავე საზოგადოების სკოლების ინსპექტორის თანამდებობა 1890 წ. 1 მარტიდან ამ

თანამდებობაზე დაინიშნა არქიმანდრიტი ამბროსი (კავკასიძე). იგი მეორე დღიდანვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. მოიარა აფხაზეთის თითქმის ყველა რაითმე შესანიშნავი დაბა-სოფელი და მონასტერი. მაგ. სოხუმი, სირხა (ახალი ათონი) გუფთა, ლიხინი (ლიხნი)სადაც სკოლა დააარსა. აფხაზეთიდან იგი გადავიდა ოჩამჩირეს გზით სამურზაყანოში, კერძოდ კი სოფელ დიხაზურგაში. აქ მან მოსწავლეები გამოკითხა და გამოირკვა რომ ისინი რუსულისა და ქართულის ცოდნაში მოიკოჭლებდნენ. მიზეზი ამისა კი იყო, ის რომ მასწავლებელნი, რასაც რუსულად აკითხებდნენ მოსწავლეთ რუსულადვე არ უხსნიდნენ თურმე, თარგმნიდნენ მხოლოდ მეგრულად და მეგრულადვე ჰკითხავდნენ მეგრულადვე ათქმევინებდნენ პასუხს. ერთი სიტყვით მოსწავლენი რუსულს ენაზედ სწავლობდენენ ისევ მეგრულს, ქართული არც კი გაიხსენებდნენ. თუმცა ამ ენას შეუდარებლივ უფრო ადვილად ითვისებდნენ მოსწავლეები ვიდრე რუსულს და სხვა ენებს. ამ ენით (ქართული ენა--ვ. წ.) უფრო ადვილია ბავშვის ჩაგონება და გახალისება. მ. ამბროსი სკოლაში ყოფნის დროს ნათლად დარწმუნდა რომ სამურზაყანოში დიდად საჭიროა ქართული ენაო, რომელსაც აქამდე არ ჰქონდა ეს ყურადღება მიქცეული.[28] სასწავლებლის დათვალიერების დროს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ ქართული აუცილებლად უნდა ისწავლოთო. მამა ამბროსიმ ჩააგონა ხალხს ერთგულად მოეკეცით სკოლის საქმეს. მთავრობა იმდენს ზრუნავს, გიგზავნით მასწავლებლებს და წიგნებს. თქვენც თქვენი მხრით შეუწყეთ ხელი თქვენის შვილების სწავლას და შენობა შეაკეთეთო, რასაც მცხოვრებნი შეპირდნენ შემდგომი სტუმრობისას აუცილებლად სკოლის შენობას დაგახვედრებთო.

„საზოგადოებამ" ამბროსის შემდეგ ინსპექტორ-მისიონერად აფხაზეთში დანიშნა ტარასი ივანიცკი, რომელიც საინგილოდან იქნა გადმოყვანილი. მას დამთავრებული ჰქონდა ყაზანის სასულიერო აკადემიის სპეციალური სამისიონერო კურსები. ტ. ივანიცკი მონდომებული და ენერგიული მისიონერი იყო. თავისი მოღვაწეობის პირველ წლებში ტ. ივანიცკიმ სოხუმის ეპარქიაში მოაქცია მაჰმადიანური სარწმუნოებიდან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ორასი აფხაზი ორივე სქესისა. მიუხედავად წაქეზება-შეგულიანებისა მოლების მხრიდან, რომლებიც თურქეთიდან მოდიოდნენ და მოსახლეობას აფრთხილებდნენ არ დაეჯერებინათ ქრისტიანი ბერებისათვის.

აი რას იტყობინებოდა გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1900 წლისათვის „სოხუმის ეპარქიის მისიონერის ტ. ივანიცკის მეცადინეობით მართლმადიდებლობას შემოუერთდა 62 კაცი. მონათლულნი არიან სოფ. ტამიშისა და ცხენისწყლის მცხოვრებნი (კოდორის ნაწილია). სოფელ ცხენისწყლის მცხოვრებლებმა დაადგინეს, თავიანთი საფასით ააგონ ეკლესია და კრებულისათვის სახლი. მამა ივანიცკიმ სოფ. აჭანდარისა და დურიფში 46 სული ზოგი ახლად

მონათლა, ზოგიც გადამდგარი იყო და კათაკმევით შემოუერთა მართლმადიდებლობას.[29]

მართალია, აფხაზთა შორის ქრისტიანობის აღსადგენად გარკვეული მუშაობა ტარდებოდა, ეკლესიები არსდებოდა და აფხაზები ინათლებოდნენ, მაგრამ 1890 -იანი წლებში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ნომინალურად ითვლებოდა მართლმადიდებელ ქრისტიანებად, ნამდვილად კი ქრისტიანობის მიმართ სავსებით ინდიფერენტულნი, ზოგჯერ კი მტრულადაც კი იყვნენ განწყობილნი. მხოლოდ ადგილობრივი სამღვდელოების დაჟინებითი ჩაგონებით და ძალისხმევით ნათლავდნენ ისინი ბაშვებს. 1898 წელს „საზოგადოებამ" საქართველოს, იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპარქიებში ქრისტიანობაზე სულ 2838 კაცი გადაიყვანა. მათ შორის აფხაზი იყო მხოლოდ 34. 1899 წ. მოინათლა 141 აფხაზი, რაც ძალზე ცოტა იყო იმ აფხაზების რაოდენობასთან შედარებით, რომლებიც ყოველწლიურად ქრისტიანდებოდნენ 1866 წლიდან მოყოლებული 1877 წლამდე რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე.

გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკი" ცდილობდა დაემტკიცებია, რომ აფხაზეთის იმ ეპარქიებში, სადაც ქართველი (მეგრელი) მოსახლეობაა, ღვთისმსახურება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. „მეგრელ მოსახლეობას წირვა-ლოცვას უტარებენ საეკლესიო ქართულ ენაზე, რუსულ მოსახლეობას საეკლესიო სლავურზე მაგრამ ის ლოცვები, რომლებიც გადათარგმნილია აფხაზურად, ტარდება მათ ენაზე (ე.ი. აფხაზურზე) რატომ უნდა ვაიძულოთ რუსები და აფხაზები ილოცონ მათთვის უცნობ საეკლესიო ენაზე.[30]

კოლონიური მიზნების განხორციელების საქმეში ეკლესია კიდევ უფრო შორს მიდიოდა და ამით ახორციელებდა საერო ხელისუფლების შორს გამიზნულ პოლიტიკას XIX ს. ბოლოსა და XX ს დასაწყისში. საქართველოს ფიზიკური მთლიანობის მოსპობისა და ქართველთა გონებიდან იმის შეგნების აღმოფხვრის მიზნით, რომ მათი სამშობლო ზღვიდან ზღვამდეა გადაჭიმული,[31] შეადგინეს პროექტი საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციისა და გადანაწილების შესახებ. ამავე დროს ეს პროექტი მიმართული იყო აგრეთვე რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგაც. საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი, თვალნათლივ გვიჩვენებს თვითმპყრობელობის ნამდვილ მიზნებს საქართველოში და საერთოდ კავკასიაში და ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი არსის მოკლედ განხილვა.

საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს საეგზარქოსოდან ერევნისა და ყარსის ოლქების გამოყოფას. აფხაზეთის ჩამოცილებას და მის შეერთებას ყუბანის ოლქთან, ცალკე ეპარქიად უნდა გამოყოფილიყო სამხრეთ ოსეთი (ე.ი. შიდა ქართლი--ვ. წ.) იმ მიზნით, რომ ის მომავალში შეერთებოდა ჩრდილო ოსეთს და შეიქმნებოდა ცალკე ეპარქია.[32]

რუსეთის ცარიზმის აგენტი—ეპისკოპოსი არსენი აფხაზეთის ცალკე ეპარქიად გამოყოფის და მის შეერთებას ყუბანთან ასაბუთებდა აფხაზეთის თბილისიდან დაშორებით, რაც ვითომ ართულებდა მის მართვა-გამგეობას და ხელმძღვანელობას. მისი განცხადებით აფხაზეთი განიცდიდა რუსეთისათვის არასასურველ ქართულ გავლენას. საქართველოს მთავარმართებელმა გოლიცინმა აღნიშნული პროექტი მოიწონა და 1901 წელს თანხმობა მისცა სინოდის ობერ-პროკურორს პობედონოსცევს მის განხორციელებაზე. გოლიცინი იზიარებდა რა არსენის აზრს აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის გამოყოფა აფხაზი და რუსი მოსახლეობის უმრავლესობით (ის რუსები, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობდნენ—ვ.წ.) სასურველი იქნებოდა არა მარტო სასულიერო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც ის საჭიროდ მიიჩნევდა აფხაზეთის სრულ იზოლაციას საქართველოდან. ასევე მსჯელობდა საქართველოს ეგზარქოსიც, რომლის აზრითაც საჭირო იყო აფხაზებს ესწრაფათ არა საქართველოსაკენ, არამედ რუსეთისაკენ. ამრიგად გადაწყვეტილი იყო სოხუმის ეპარქიის შეერთება ყუბანის ოლქთან, რადგანაც ყუბანის ოლქში, რომელიც 171645 მცხოვრებს ითვლიდა ადვილად გაითქვიფებოდა 75-ათასიანი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა. აღნიშნული პროექტი უდღეური აღმოჩნდა, რადგან საქართველოში(საერთოდ რუსეთის იმპერიაში—ვ.წ.) იფეთქა რევოლუციამ და მთავრობას აღარ ეცალა მისი განხორციელებისათვის, მით უმეტეს, რომ ის უფრო გაამწვავებდა ისედაც გართულებულ ვითარებას.[33]

თუ ადრე 1810-1885 წლებში, მეფის ხელისუფლება აფხაზეთში თავის დიდმპყრობელურ პოლიტიკას რელიგიისა და ეკლესიის სფეროში მეტნაკლებად ნიღბავდა და გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა მის გატარებაში. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ის უკვე აშკარად მოქმედებს პრინციპით: ,,გათიშე და იბატონე'' ამ დროიდან, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ რუსი სამღვდელოება ყოველნაირად ცდილობს აფხაზებს ჩამოაცილოს ქართველები და უნდობლობა და მტრობა დათესოს მათ შორის.

რუსი სამღვდელოება აფხაზეთში არ თაკილობდა არავითარ საშუალებებს საკუთარი შოვინისტური მიზნების მისაღწევად. უპირველეს ყოვლისა, მან გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ქართველი სასულიერო პირები, რომლებიც აქ ათეული წლებით მოღვაწეობდნენ და დიდი გულმოგინებით ცდილობდნენ აფხაზთა შორის ისტორიული ძნელბედობით შერყვნული ქრისტიანობის აღდგენასა და მტკიცედ დამკვიდრებას.

ბიჭვინთის ტაძარი საუკუნეების მანძილზე იყო ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანობის ძირითადი ცენტრი დასავლეთ საქართველოში. აფხაზეთის საკათოლიკოსოს რეზიდენცია XVI ს. 50-იან წლებამდე, შემდეგ აფხაზეთში მუსლიმანობის მოძალების პირობებში ის დაცარიელდა და ცენტრი საკათოლიკოსო გელათში (ქუთაისში) გადმოვიდა. უპატრონოდ და უმრევლოდ

დარჩენილი ეკლესია გავერანდა და თანდათან დაზიანდა, მაგრამ 1869 წელს ის აღდგენილ იქნა და 27 სექტ. საზეიმოდ აკურთხა გაბრიელ ეპისკოპოსმა.

მიუხედავად ამისა 1885 წ. 3 სექტემბერს ის ხელმეორედ და განსაკუთრებით საზეიმო ვითარებაში აკურთხა თბილისიდან სპეციალურად ამისთვის ჩამოსულმა საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ. ზეიმს ესწრებოდნენ კავკასიის მთავარმართებელი ა. დონდუკოვ-კორსაკოვი და მეფის მრავალი მოხელე. თბილისიდან და სოხუმიდან.[34] ასეთი ცერემონიალი აშკარად მინიშნება იყო, რომ ეს ერთ-ერთი უძველესი კერა ქართული კულტურისა ამიერიდან ხდებოდა რუსული შოვინიზმის მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი აფხაზეთში. რუსულ ყაიდაზე გადაკეთდა ეს მონასტერი და აქ რუსი ბერები ჩაასახლეს, რუსულ ყაიდაზე გადაკეთდა დრანდის მონასტერიც და იქ რუსი ბერები ჩააყენეს.[35]

რუსეთის ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკა აფხაზეთისადმი ერთმნიშვნელოვანი არ ყოფილა. თავდაპირველად XIX ს. 60-იან წლებამდე კერძოდ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამდე (1864 წ.) ის უფრო ფრთხილი და მეტნაკლებად თავშეკავებული იყო. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ეს პოლიტიკა უაღრესად მკვეთრი და შეურიგებელი გახდა. იმის გამო, რომ ამ ომში აფხაზთა ნაწილი თურქეთის მხარეზე იყო და მას ეხმარებოდა. აფხაზი ერი „დამნაშავე ერად" იქნა გამოცხადებული და სასტიკ რეპრესიებს განიცდიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფის რუსეთი მკაცრად გაუსწორდა აფხაზეთსა და აფხაზებს, მოსპო იგი როგორც რეალური პოლიტიკური ძალა და აფხაზი მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასახლდა თურქეთში, მთავრობის პოლიტიკა აფხაზეთში XIX ს. 80-90-იანი წლებიდან შედარებით ლმობიერი გახდა აფხაზებთან მიმართებაში.

ეს პოლიტიკა ახლა იქეთკენ მოიმართა, რომ გუშინდელი დამპყრობელი და მჩაგვრელი რუსი უკვე აფხაზეთისა და აფხაზების დამცველად გამოდიოდა და გულმოდგინებით იცავდა მათ „ქართველების აგრესიისაგან". დაიწყო ორი მოძმე ხალხის ერთმანეთისაგან დაშორება. აფხაზებს წაართვეს ქართული ენა, რომელზეც საუკუნის მანძილზე ლაპარაკობდა, სწავლობდა მათი არისტოკრატია. აფხაზ ხალხს ყოველნაირად ჩააგონებდნენ იმ აზრს, რომ მისი მთავარი მტერი ქართველია რომელიც თითქოს, მხოლოდ იმაზე ფიქრობს თუ როგორ გადაყლაპოს აფხაზები, წაართვას მიწები და ა. შ. მეფის რუსეთის საერო და სასულიერო მოხელეები აფხაზთა დამცველების როლში გამოდიოდნენ სასტიკად დევნიდნენ ყოველივე ქართულს.[36]

აფხაზების გულგრილი დამოკიდებულება ეკლესიისა და სამღვდელოების მიმართ გამოწვეული იყო იმ მიზეზითაც, რომ ერთიც და მეორენიც იმყოფებოდნენ ძალზე მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. ეკლესიების ნაწილი იყო ძველი შეუკეთებელი, მეორე ნაწილი ხის, უბრალო შესახედაობის სამღვდელოების წარმომადგენლები ღარიბულად ჩაცმულნი, რომლებიც არ იწვევ-

დნენ აფხაზთა სიმპათიებს. ეს იყო კიდევ ერთი მიზეზიც და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი. როგორც ზემოთ აღინიშნა, აფხაზებს მაშინ თავიანთი მღვდლები არ ჰყავდათ და იქ მღვდელმსახურებას ეწეოდნენ სამეგრელოდან და იმერეთიდან გამოსული სასულიერო პირები. მათში მხოლოდ ზოგიერთმა იცოდა აფხაზური ენა, მათი ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი სხვებმა კი არა, ამიტომაც მათი ქადაგება ყოველთვის როდი იყო გასაგები და მოსაწონი აფხაზთა გარკვეული ნაწილისათვის. გარდა ამისა, ამ მღვდელთა შორის სპეციალური სასულიერო განათლება მხოლოდ ზოგიერთს ჰქონდა, სხვებს კი _შინაური განათლება, რასაც არ შეიძლება მეტ-ნაკლებად არ შეეზღუდა მათი მოღვაწეობის ინტენსიურობა.

აფხაზთა შორის მისიონერული მოღვაწეობის წარმატების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მათი წეს-ჩვეულებათა და ტრადიციების ცოდნა და მათზე დაყრდნობა, კერძოდ აფხაზთა ისეთი დადებითი თვისებები როგორიცაა: უფროსობისადმი და სტუმრისადმი პატივისცემა, ეროვნებისა და რწმენის განურჩევლად, სურვილი განათლების მიღების, ქალისადმი პატივისცემა და მისგან რჩევის მიღების წესი და მისთ.[37]

„საზოგადოება" კავკასიაში მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის ერთგული დამცველი და გამტარებელი იყო რელიგიური ფორმითა და მეთოდებით. როგორც სრულიად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, ასევე „ეს საზოგადოებაც" ემსახურებოდა საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების ვერაგულ ზრახვებს. მაგრამ მათ საქმიანობას მაინც ჰქონდა რიგი დადებითი შედეგები, მან დიდად იღვაწა მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში დანგრეული და მიტოვებული ეკლესიების აღდგენისათვის, ახალი ტაძრების აშენებისათვის, ამზადებდა და ადგილებზე აგზავნიდა მისიონერებს და ეკლესიის მსახურებს, უწევდა მათ გარკვეულ მატერიალურ დახმარებას, მისი მცდელობით ადგილობრივი მოსახლეობის ენებზე ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა სასულიერო ლიტერატურა, ეკლესია-მონასტრებთან საქართველოს ტერიტორიაზე გაიხსნა და ამოქმედდა 67 სასწავლებელი, რომელშიც 1907 წელს სწავლობდა 2370 მოსწავლე, „საზოგადოების" საქმიანობის შედეგად გაქრისტიანდა საქართველოში მოსახლე ათასობით ადამიანი.

ყოველივე ამას გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობის სფეროს შემდგომი გაფართოება-განმტკიცებისათვის.

XIX საუკუნის მანძილზე აფხაზეთში ქართველები, ეწეოდნენ დიდად მნიშვნელოვან კონფესიონალურ და კულტურულ მოღვაწეობას. ისინი იყვნენ იმ დროის ამ მხარის მოსახლეობის გამქრისტიანებელნი და განმანათლებელნი, მთავარი კულტურული ძალა მოძმე აფხაზ ხალხში. მაშინ აფხაზებსა და ქართველებს თავიანთ ურთიერთობაში არავითარი სერიოზული პრობლემა არ ჰქონდათ. დღეს კი ყველაფერი მოხდა გარეშე ძალის მეშვეობით, რაც დასანანი

და გასათვალისწინებელი უნდა იქნას ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის წინა საუკუნეებისა და წლების გამოცდილება.

§3 საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა სამცხე-ჯავახეთში

სამწუხაროდ XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ პუბლიცისტიკაში შემოვიდა ერთი მცდარი ტერმინი ანდრიანოპოლის ზავით შემოერთებული ახალციხის საფაშოს ნაწილს, ისტორიულ სამცხე-ჯავახეთს უწოდეს მესხეთ-ჯავახეთი ე.ი. სამცხე მიჩნეულ იქნა მესხეთად, თვით სამცხე-ამოვარდა ხმარებიდან და ამ „სამცხე-მესხეთის" საპირისპიროდ მის ტოლფასოვნად დადგა ჯავახეთი და შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჯავახეთი არ იყოს „ყოველი მესხეთის" შემადგენელი ნაწილი. ამ მცდარმა ტერმინმა თანდათან ფეხი მოიკიდა მხატვრულ ლიტერატურაში და უმეტესად არასპეციალისტთა შორის.[1]

მესხეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბოლო დრომდე ყოველთვის ქართული იყო, აქვე მცირე რაოდენობით გვხვდებიან სომხები, ებრაელები, ბერძნები, ქურთები, თურქები და სხვ. პოლიტიკური ამინდის ცვალებადობის მიხედვით მოსახლეობა, ხან მცირდებოდა და ხან მომრავლებას იწყებდა.

საუკუნეების განმავლობაში სისხლისაგან დაცლილი ქვეყანა XVI საუკუნეში ოსმალეთმა დაიპყრო და ძლიერი ტრადიციების ქართულ მხარეში, „თურქული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემოღებას შეუდგა. ეს იყო მეტად მძიმე და ძნელი პროცესი (აუტანელი). მესხეთის პოლიტიკურად დამორჩილებას თურქეთმა თითქმის ერთსაუკუნოვანი ბრძოლა მოანდომა. სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ეს ბრძოლა კი სამას წელს გაგრძელდა. სარწმუნოებრივი საკითხები საადგილმამულო საკითხებს, რომ არ დაკავშირებოდა ქრისტიანული ეკლესია ბრძოლას ალბათ არ წააგებდა.[2] სამცხე-საათაბაგოს ეპისკოპოსებმა და მოძღვრებმა თავი შეაფარეს მესხეთის იმ მხარეებს სადაც თურქები ჯერ ვერ ბოგინობდნენ, ხოლო საბოლოოდ ქართლ-იმერეთში გადაიხვეწნენ. ამ მხარის საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ ადგილზე ქრისტიანი გლეხობა დარჩა, რომელსაც სულიერი მოძღვარი არ ჰყავდა. რომელმაც თურქებისაგან შევიწროებულმა თანდათან დათმო პოზიციები და აქ საბოლოოდ მაჰმადიანობამ გაიმარჯვა აქა-იქ მოსახლეობა მაინც ინახავდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას. აქა-იქ თვით საათაბაგო სახლის წევრებიც კი აშკარად თუ მალულად ქრისტიანები იყვნენ.

მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში, როგორც ვიცით, ოსმალეთი ხედავდა რუსეთ-საქართველოს ერთ-ერთ დამაკავშირებელ ფაქტორს და არავითარ შემთხვევაში არ მიიჩნევდა დასაშვებად ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე მის შეწყნარებას.

სამცხე-ჯავახეთში XVIII ს. ბოლოსათვის ზოგიერთ ადგილას მცირეოდენი

ეკლესიები მოიპოვებოდა მსახურებითურთ. უმწყემსოდ დარჩენილი მრევლის „შესავლელად" მღვდლები ფარულად გადმოდიოდნენ ქართლ-იმერეთიდან.

XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში მართლმადიდებლური ეკლესიები აქა-იქ კიდევ მოქმედებდნენ. მაგ. ართვინში, შავშეთში და შორეულ პარხალშიც კი, როცა XIX საუკუნის 70-იან წლებში პარხალი მოინახულა გ. ჯაზბეგმა. მან გამაჰმადიანებული ქართველთა გვერდით, ჯერ კიდევ ქრისტიანი ქართველებიც ნახა, რომელთაც მღვდლად ღებრაძე ჰყავდათ. ის და მისი შვილი უელიდნენ მონასტერს, რომელზეც კარგად ყოფილა შენარჩუნებული მხატვრობა.

ქართველ მაჰმადიანთა დიდ ნაწილში XIX დასაწყისში „ჯერ კიდევ ძლიერად იყო შენარჩუნებული ქრისტიანული სული".[4] მესხეთის ქართველ მაჰმადიანებში ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო წაშლილი ქრისტიანული ზნე-ჩვეულებანი. მაგ. სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებული ქართველები ქრისტიანი ქართველების მსგავსად იცავდნენ თურმე ქრისტიანულ მარხვას. მთელი XIX ს. განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის ბევრი-ქართველი მაჰმადიანი სისტემატურად დადიოდა ქრისტიანულ დღესასწაულზე. მარიამობაზე, რომელიც ვარძიაში იმართებოდა და ამის გამო ვარძიაობასაც ეძახდნენ. ვარძიაობაზე მოსული მუსულმანი ქართველები ძველი წესით სწირავდნენ მსხვერპლს და ღვთისმშობლის წინაშე დაჩოქილნი ღმერთს შესთხოვდნენ შველას.[5] ქართული წესით ნიშნავდნენ პატარძალს, ძალიან იშვიათი იყო მათში სისხლის აღრევა და ა.შ.

XIXს. დასაწყისში სამცხე-ჯავახეთში ანატოლიიდან მოლების, როგორც პოლიტიკური ემისრების დიდი ჯგუფი შემოიყვანეს. ემისრები ძალდატანებით ამაჰმადიანებდნენ უკანასკნელ ქართველ ქრისტიანებს და ხალხში თესდნენ ზიზღს, როგორც ქართველების, ისე რუსებისადმი. ამ იდეოლოგიურმა მსვლელობამ (ლაშქრობამ) გატეხა ხალხი სულიერად და ფანატიზმის ბურუსში გაახვია. ხალხმა ყოველგვარი რწმენისადმი იმედი დაკარგა.

რას აკეთებდა მართლმადიდებლური ეკლესია ამ დროს.

გვიანფეოდალურ საქართველოში ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ ისევე დაკნინება განიცადა, როგორც საქართველოს პოლიტიკურმა ცხოვრებამ. მისი მართლმადიდებლობა თურქეთისათვის შეუთავსებელი აღმოჩნდა და მოუთმენელი სხვა რელიგიებთან შედარებით. მცხეთის საკათალიკოსოს ზეგავლენა შესუსტდა მესხეთის ქართულ ეკლესიაზე ისევე, როგორც პოლიტიკურად ერთიანი საქართველოს ზეგავლენა შესუსტდა მესხეთის სამთავროზე.

თურქეთის მხრიდან ქართული მართლმადიდებლობა დევნას განიცდიდა, რუსეთის ეკლესიათან სარწმუნოებრივ ერთიანობის გამო. საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპირების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ქართული ეკლესია ფრთებს გაშლიდა და შემოერთებულ პროვინციაში მამულებს აღიდგენდა. (დაიბრუნებდა), მაგრამ მოხდა პირიქით. ცარიზმმა გააუქმა ქართული ეკლესი-

ის ავტოკეფალია.

ახალციხის შემოერთებულ მხარეში ცარიზმის მოხელეებმა მიზნად დაისახეს ქართველი მაჰმადიანების გასახლებით გაეზარდათ სახაზინო მიწების ფონდი. ასეთ ვითარებაში ქართული ეკლესია განიარაღებული აღმოჩნდა, რადგან მრევლს რომლის კვლავ გაქრისტიანებაც შეიძლებოდა მთავრობა საზღვარგარეთ ერეკებოდა. ახლა ეგზარქოსსაც არ შეეძლო მათი დაცვა-მფარველობაც. ამ დროს კი სამცხე-ჯავახეთში მრავალი „ფარული" თუ „აშკარა" ქრისტიანი ცხოვრობდა. ცარიზმის მოხელეები მაჰმადიან ქართველებს, როგორც თურქებს ისე უყურებდნენ, მათ მოუწოდებდნენ არა მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებების აღდგენისა და ქართველობისაკენ, არამედ თურქეთში გასახლებისაკენ.

1840 წელს როცა ახალციხეში გართულებული საადგილმამულო საკითხების გასარკვევად ჩამოვიდა „სტატსკი სოვეტნიკი" ბულგაკოვი, მასთან გამოცხადნენ ქვაბლიანის, ფოცხოვის, აბასთუმნის, ახალციხის სანჯაყ-ბეგები, ძველ თავადთა შთამომავალნი და განაცხადეს ჩვენი სურვილია დავუბრუნდეთ წინაპრების ძველ ქართულ ქრისტიანულ სარწმუნოებას მთელი ჩვენი მხარის მაცხოვრებლებთან ერთად, თუ მთავრობა ისეთივე პირობებს შეგვიქმნის, როგორიც ქართველ თავად-აზნაურობას აქვსო, ამას კი რუსეთის ცარიზმი ვერ დაუშვებდა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა ამ მხარეში სომხებისა და თურქული ტომების ჩამოსახლება, რომელნიც მათი თვალსაზრისით უფრო საიმედონი იყვნენ, ვიდრე ქართველი მაჰმადიანები.

ახალციხის მხარის დედა-სამშობლოსთან შეერთებამდე ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი „ფარული ქრისტიანები" იყვნენ, ახლა როცა რუსეთმა „გაანთავისუფლა" ისინი მათ მოითხოვეს მართლმადიდებელი მწყემსმთავარი. 1828 წლისათვის ამ მხარეში აშკარად მხოლოდ ახალციხის წმ. მარინეს სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია იყო მოქმედი. მოსახლეობამ დეკანოზი ი. ორბელიანი მიიწვია და მისგან მონათვლა და შეელა ითხოვა. მართლაც დეკანოზმა შემოიარა სოფლები ხალხი ყველგან დანათლა და საიდუმლო აღთქმა მიაღებინა. მაშინ ეს ამბავი ისე გახმაურებულა, რომ მას ცოტა გადაკეთებული ფორმით პეტერბურგამდე მიუღწევია.

1831 წ. 16 ოქტომბერს გრაფი ბეკენდორფი საიდუმლო პოლიციის შეფი ბარონ როზენს (საქართველოს მთავარმართებელს) სწერდა—ჩემამდე მოაღწია ცნობამ, რომელიც შეეხება მოსკოველი ვაჭრის იოანე ჩეტვერიკოვის სამაგალითო საქმიანობას, რომ მისი დახმარების შედეგად (მას ახალციხის ეკლესიისათვის შეუწირავს ერთი კანკელი) ახალციხის მხარეში 1000 კაცი კვლავ ქრისტიანობას დაბრუნებია (ვითომც ამ კანკელის სასწაულმოქმედი ძალით) გთხოვთ დამიდასტუროთ ამ ცნობის სინამდვილე, რადგან ასეთი საქციელით ვაჭარი ჩეტვერიკოვი იმსახურებს დაჯილდოვებას.[6]

როზენმა საკითხის შესწავლა დაავალა ფონ-კრონეკს, რომელმაც ადგილზე

შეისწავლა საქმე და როზენს მოახსენა საქმის ნამდვილი ვითარება. მან დაადასტურა კანკელის გაგზავნის ფაქტი. აღნიშნა, რომ იგი მიუღიათ 1830 წ. სექტემბერში, როცა ამ დროისათვის ორბელიანს უკვე 800 სულზე მეტი გაქრისტიანებული ჰყავდა. დეკანოზი ი. ორბელიანი დააჯილდოვეს წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით, დაუნიშნეს პენსია წელიწადში 150 მანეთი ვერცხლით.[7] იგი ამ საქმიანობას დაჯილდოების მერეც განაგრძობდა.

როგორც ჩანს ი. ორბელიანი თავის დამსახურებას გაზვიადებულად წარმოადგენდა. სინამდვილეში იგი აქრისტიანებდა ხალხს, რომელიც არასოდეს არ იყვნენ მაჰმადიანები გულით. რომელნიც „ცხოვრობდნენ ფანატიკოს მაჰმადიანებს შორის და აშკარად ვერ ასრულებდნენ წირვა-ლოცვას.[8] იოსებ ორბელიანმა შეიქმნა ყალბი და გაზვიადებული ავტორიტეტი, შეიძინა დიდძალი მამულები, მათ შორის ქრისტიან ქართველთა რამდენიმე სოფელიც, რომელთაც ზომაზე მეტად ახდევინებდა. მისგან შეწუხებულმა გლეხებმა მთავარმართებელთან იჩივლეს, რათა სახაზინოთ გადაერიცხათ სოფელი, რომ მისგან განთავისუფლებულიყვნენ.[9]

ახალციხის მხარის შემოერთების დროს 30-ზე მეტ სოფელში ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომელთაც 1829-1830 წლებში აშკარად დაიწყეს ქრისტიანული „ღვთისმსახურების აღსრულება; მათი საერთო რიცხვი 4000-მდე კაცს უდრიდა, როგორც მოტანილი ფაქტიდან ცხადი ხდება, ისინი არასოდეს არ გამხდარან მაჰმადიანები, იყვნენ „ფარული ქრისტიანები" 1828 წლიდან კი კვლავ გადაიქცნენ აშკარა მორწმუნე ქრისტიანებად. ყველაფერი ეს მოხდა მხოლოდ მათივე ინიციატივით, ხოლო „ოსეთის სასულიერო კომისიას" ისევე როგორც დეკანოზ ი. ორბელიანს უნდოდათ, ეს ფაქტი თავიანთ დამსახურებად ჩაეთვალათ.

რა მდგომარეობაში იყო განათლების საკითხები თვით მესხეთში? როგორც ცნობილია სკოლები არსებობდნენ ეკლესია-მონასტრებთან, ხოლო მათი გაუქმების შემდეგ მესხეთში დაეცა განათლების დონე. თითქმის არავინ სწავლობდა სკოლაში, თუ არ ჩავთვლით ახალციხის კათოლიკეთა ეკლესიებთან არსებულ სკოლას. სასკოლო ხარჯები იფარებოდა საეკლესიო მამულების შემოსავლით და სწავლის გადასახადით. სწავლება ჯერ ორი, ხოლო შემდეგ სამი წელი მიდიოდა. კათოლიკეთა ეს სასწავლებელი ყოველწლიურად უშვებდა 40-მდე ახადგაზრდას. ამას გარდა არსებობდა შინაური სწავლება, რომელთაგან ცნობილია იოანე ხუცესის (ხოჯაშვილის) სასწავლებელი, XIX საუკუნის დასაწყისში სტეფანე აბინაშვილის სასწავლებელი, ი. ხუციანოის (ხუციშვილის) სასწაულებელი, ნებიერიძის სასწავლებელი და სხვ. XIXს. I ნახევრის მრავალ დოკუმენტში დადასტურებულია ის ფაქტიც, რომ ყველა ახალციხელმა კათოლიკემ, უფრო სწორედ ითქმის მოჭალაქემ იცოდა ქართული წერა-კითხვა.

ახალციხის შემოერთების შემდეგ 1831 წელს აქ გაიხსნა ე.წ. სამაზრო სასწავლებელი, რომელიც 4 კლასისაგან შედგებოდა. 1846 წელს „სტატსკი სოვეტნიკმა" ბულგაკოვმა ახალციხის მხარის რევიზიის დროს შეამოწმა ეს სასწავლებელიც. მაშინ სასწავლებელში 93 ბავშვი სწავლობდა. 1836 წელს სომეხთა არქიეპისკოპოსის ინიციატივით გაიხსნა დიდი სასულიერო სასწავლებელი, რომლის ხარჯებს ფარავდნენ შემოსავლით. ეს სასწავლებელი ატარებდა დამაარსებლის კარაპეტ ეპისკოპოსის სახელს. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს კარაპეტის სახელობის სასწავლებელში 400-ზე მეტი ბავშვი სწავლობდა.

1865 წლისათვის მთლიანად ახალციხის მაზრაში „ქრ. აღმ. საზოგადოების სკოლებში სწავლობდა 98 მოსწავლე, რომელთაგან 11 გოგონა იყო. აღსაზრდელები წერდნენ და კითხულობდნენ. ზოგიერთ ადგილას ქართულად, ზოგ ადგილას კი რუსულად. ახალციხესა და სოფ. ვალეს გამოკლებით აღსაზრდელები განთავსებული იყვნენ მასწავლებელთა სახლებში. ახალციხეში სკოლისათვის ძველ საეკლესიო სახლში გამოჰყვეს ორი ოთახი, ხოლო სოფ. ვალეში კი ერთ-ერთმა თანასოფლელმა დაუთმო თავისი სახლის შენობა".[10]

ახალქალაქის უბანში სკოლისათვის ვარგისი შენობები ჰქონდათ სოფ. ბარალეთსა და კილდაში. ეს შენობები თვით მცხოვრებლთა მიერ იქნა აშენებული.

ახალციხეში მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა 70 ოჯახმა განაცხადა სურვილი მათთვის დაენიშნათ მასწავლებელი, ხოლო სკოლისათვის შენობას თავად ააგებდნენ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხის მაზრის მცხოვრებლები კარგად ერკვეოდნენ წიგნიერების აუცილებლობაში, რომლის მოთხოვნილება აქვთ, როგორც ქრისტიან ისე მუსულმან მოსახლეობას, რომელნიც წარმოშობით და ენით არიან ქართველები და კარგად ახსოვთ, რომ მათი წინაპრები იყვნენ მართლმადიდებლები. ამიტომ მათ სახლში ბევრი ქრისტიანული წესჩვეულება შეინარჩუნეს. იუწყებოდა „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" 1865 წლის ანგარიშის ჟურნალში."

ახალციხის მაზრაში სკოლების მოწყობა დაიწყო მხოლოდ 1865 წელს. ერთ წელში, როგორც ავღნიშნეთ შეგროვდა 38 მოსწავლე. რაც იმის მაუწყებელია, რომ მსურველები ბევრი იყო.

ამ დროისათვის თუ ოსეთის სკოლებში სწავლება მიმდინარეობდა 8 თვენახევარი, ახალციხის მხარეში სწავლება 6 თვე მიმდინარეობდა. რაც მკაცრი ზამთრის პირობებით იყო გამოწვეული. მოსწავლეები ჯერ კიდევ გაკვეთილს როდი ესწრებოდნენ. „საზოგადოების" სამმართველო წერდა იმ მდგომარეობაზეც, რომ ოსეთის სკოლებთან შედარებით რუსული ენა ახალგაზრდობამ ნაკლებად იცისო.

ახალციხეში, სოფ. ტოლოშის გამოკლებით, ყველგან ყავდათ სპეციალისტი, რომელთაგან აღნიშვნის ღირსია სოფ. ბარალეთის სკოლის მასწავლებელი გარაყანიძე და მესხიის სკოლისა პეტრიევი (პეტრიაშვილი), წინა წლებთან შედარებით ახალციხის მაზრაში, სკოლების და სწავლების საქმე გამოსწორდა, დაიწყო სკოლების რემონტი მცხოვრებთა დახმარებით. „საზოგადოების" ინსპექცია დიდი კმაყოფილებით გამოხატავს მადლიერებას ტოლოშის სკოლის მასწავლებელ ყიფიანზე. როგორც ვიცით ახალციხის მაჰმადიანები, ისევე როგორც წარმართები სხვაგან, მოლების მიერ იმართება, რომლებიც ხალხს მკურნალობენ შელოცვებით, ატყუებენ მათ სხვადასხვა ფოკუსებით. მოვიდა რა ყიფიანი აქ ამ სოფელში, მან თავისი სამედიცინო და სამასწავლებლო ცოდნა გამოიყენა მოლების წინააღმდეგ. ყიფიანმა დახმარება მიიღო ახალციხის მაზრის მთავარი ექიმ გამრეკელისაგან, რომელიც მას შეპირდა მიემართა მისთვის ნებისმიერ დროს. ორწლიანი მოსვლის შედეგად მან გასინჯა 300 ავადმყოფი. მათ შორის ადგილობრივი მოლა, რამაც მისი ავტორიტეტი მოსახლეობის თვალში გაზარდა. ყიფიანს მოუწია შეჯახება მოლა-სასწაულისმომხდენთან. მან დღესასწაულის დღეს შეკრიბა ყველანი სკოლის შენობაში და თვითონ ჩაუტარა ფოკუსები. მოლამ კი ვერ გააკეთა , რამაც კიდევ უფრო გაზარდა მისი ავტორიტეტი მოსახლეობაში. ყიფიანი იყენებდა სამასწავლებლო სასწავლებელში მიღებულ ცოდნას, რომელსაც უმატებდა შეძენილ ცოდნას მიღებულს მცხოვრებთაგან. მას გადაწყვეტილი ჰქონდა აეგო ხის სახერხი ქარხანა და შემოსული ფული დაეხარჯა სწავლა-განათლებაზე, ამგვარი საქმეებით ყიფიანი ნამდვილ სახალხო მასწავლებლის ტიპს წარმოადგენდა.[12]

ხერთვისის სკოლაში სწავლობდა 40 ბავშვი, რომელთაგან 32. მაჰმადიანი იყო. ეს დიდი წარმატება იყო, რომ მაჰმადიანებმა დაიწყეს თავიანთი შვილების შეყვანა სკოლაში. „საზოგადოება" არ ერეოდა მათ რელიგიურ სწავლებაში. რათა არ დაეკარგა ავტორიტეტი სკოლას მაჰმადიანთა შორის, მასწავლებლები ბავშვებსა და მოზარდებს არ უშლიდა სკოლაში ეარათ ჩალმებითა და ეკითხათ ყურანი. მაგრამ გაკვეთილზე როცა ქრისტიანებს უხსნიდნენ ღვთის სჯულს და უხსნიდნენ ეპიზოდებს ძველი აღთქმიდან. ზოგჯერ მაჰმადიანებიც შემოდიოდნენ გაკვეთილზე და ისმენდნენ ეპიზოდებს ძველი აღთქმიდან.

ამგვარი მაგალითებით თავდაპირველად მოსახლეობასა და ბავშვებს აჩვევდნენ არ შინებოდათ ქრისტიანებისა და რომ შეიძლებოდა ქრისტიანი და მაჰმადიანი ბავშვების ერთად სწავლება.[13]

უჭირდა რა სამისიონერო საქმიანობა მესხეთში, მეფის მთავრობამ, როგორც ვიცით შექმნა და დაარსა სკოლები, რათა ეს ყოფილიყო პირველი ნაბიჯი, ხოლო შემდეგ სკოლადამთავრებული ახალგაზრდები თავიანთ თანასოფლელებს ადვილად დაითანხმებდნენ რუსეთის სასარგებლოდ. სკოლების საქმეების გასასინჯად გაიგზავნენ 1865 წლისათვის სხვადასხვა მხარეებში დ.

ბაქრაძე და ბეს. ღოღობერიძე, რომელთაც გამოარკვიეს, რომ საქმე ისე ვერ იდგა, როგორც უნდა ყოფილიყო. ბეს. ღოღობერიძის დიდი დამსახურება იყო, ის რომ მან „დაიარა მთელი ჯავახეთი და რომელ სოფელშიაც მივიდოდა შეაგროვებდა ხალხსა და ტკბილის ენით სკოლის აშენებას და ბავშვების აღზრდას ურჩევდა. ხალხი თუმცა უარზე იყო პირველად, მაგრამ როცა მასწავლებელმა აუხსნა სკოლის მნიშვნელობა და განუმარტა მისი სარგებლიანობა მაშინ გამოაცხადა ხალხმა თანხმობა. ჩვენმა სკოლებმა ამ მაგალითით დაიმსახურეს ნდობა, მიიზიდეს ხალხი, რომელშიც აღზრულია ისეთი სურვილი, რომ ეხლა ახალქალაქის მაზრაში იხსნება 9 ახალი სასწავლებელი. დაბა ხერთვისში არსებული სკოლის გარდა ხსნიან სასწავლებელსაც თუმცა აქ სულ თათრები არიან და ყოველი ამ სკოლებს ხალხი თავისი ხარჯით ხსნის".[12]

სკოლა აშენებულ იქნა სოფ. ჩუნჩხაში, რომლის გახსნაში დიდი წვლილი მიუძღვის „საზოგადოების" სკოლების ინსპექტორს არქიმანდრიტ ამბროსის (ყავჯასიძე), რომელმაც იმოგზაურა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში. მან საჭიროდ დაინახა სკოლის აგება სოფ. ჩუნჩხაში, რომლის ახლო-მახლო გამაჰმადიანებელი ქართველები ცხოვრობდნენ. მან სოფლის მცხოვრებლებს ურჩია თავიანთი ხარჯით სკოლის აგება, მით უმეტეს „საზოგადოება" თავისი ხარჯით შეინახავდა მასწავლებელს, სოფლელებმა დაუჯერეს და მალევე ააგეს მშვენიერი შენობა, სადაც თავდაპირველად 51 მოსწავლემ დაიწყო სწავლება. მამა ამბროსიმ დალოცა ისინი.[13]

„ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების" მიერ დაარსებულ სკოლებში მრავალი ქართველი მაჰმადიანი და ქრისტიანი სწავლობდა. თუ თავდაპირველად მოსწავლეთა რაოდენობა ბევრი არ იყო ამაში დამნაშავე იყო სიმკაცრე ბუნებისა, მოსახლეობის სიდუხჭირე და მოუნდომებლობა „საზოგადოებისა", რადგან ზოგიერთი მღვდლის და მისიონერის რჩევა-დარიგებით ადგილობრივი მოსახლეობა იგებდა სკოლის აუცილებლობას და თავისი ხარჯით აგებდა, როგორც სკოლას ასევე ინახავდა მასწავლებელსაც. „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების" სკოლებში აღზრდილი თაობა თავის სოფელს, კუთხეს, მხარეს უბრუნდებოდა და ცოდნა-განათლება შეჰქონდა იქ. თავისი უარყოფითი (კოლონიური) მხარეების მიუხედავად „საზოგადოების" საქმიანობას დადებითი მხარეც ბევრი ჰქონდა ამ მხრივ.

§4 საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა საინგილოში

XIX საუკუნის დასაწყისის რუსული წყაროები ჭარ-ბელაქანის ძირძველ მოსახლეობას ინგილოებს უწოდებს „ესენი შეადგენდნენ ჭარის სამფლობელოების მოსახლეობის ერთ მესამედს და გასაოცრად შრომისმოყვარენი არიან. ინგი-

ლოები ადგილობრივი მოლების შიშით ჩუმად აღიარებენ თავიანთ მამა-პაპურ სარწმუნოებას–ქრისტიანობას. მიუხედავად იმისა, რომ გაბატონებული ლეკების მიერ ინგილოების სოფლებში დაფნებული მოლები მკაცრად ადევნებენ თვალყურს ინგილოთა მიერ მაჰმადიანური რელიგიის წეს-ჩვეულებების შესრულებას, ინგილოების ნახევარზე მეტი მაინც ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებს მალულად".[1] ამის დადასტურებაა მკვლევარ თ. პაპუაშვილის მონოგრაფია „ჭარ-ბელაქნის" შესახებ, ავტორი წერს „ჯერ კიდევ 1826 წელს ჭარ-ბელაქანში მყოფი რუსი მოხელე პოლკოვნიკი კოცებუ წერდა, რომ მიუხედავად იმ სასტიკი შევიწროებისა, რომელსაც ინგილოები ლეკთაგან განიცდიდნენ. ისინი მაინც ფარულად ქრისტიანულ სარწუნოებას აღიარებდნენო." ინგილოები ადგილობრივი მოლების შიშით ჩუმად აღიარებენ თავიანთ მამაპაპურ სარწმუნოებას––ქრისტიანობას. ინგილოები არავითარ შემთხვევაში არ ათხოვებენ ქალს თათრებსა და ლეკებზე, გინდაც ეს თათარი. ან ლეკი ძალზე მდიდარი იყოს". ეს კარგად იცოდნენ მეფის რუსეთის საეკლესიო მსახურებმა და ამიტომ ინგილოების ქრისტიანულ სარწუნოებაზე ადვილად მოქცევის იმედი ჰქონდათ. საქართველოს ეგზარქატის, „ოსეთის სასულიერო კომისიის" დავალებით საინგილოში მისიონერი მღვდელები ჩამოდიოდნენ, თბილისიდან იგზავნებოდა ქრისტიანული საეკლესიო ხასიათის ლიტერატურა. ამ ღონისძიებას გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა, ხელს უწყობდა საქართველოსაგან მოწყვეტილი ინგილო ხალხის დედა-სამშობლოსთან დაახლოებას, მაგრამ მეორე მხრივ ინგილოებს ეროვნული გადაგვარების საფრთხეც ემუქრებოდათ.

რუსეთის ცარიზმის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად, ჭარ-ბელაქანი და მასში მცხოვრები ინგილოები კვლავ ჩამოშორებულნი იყვნენ საქართველოსა და დანარჩენი ქართველებისაგან. მუსლიმანური მოსახლეობის გარემოცვაში დარჩენილ ინგილოების მიერ აშკარად და ოფიციალურად ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებას დიდი სიძნელეები ხვდებოდა. გარდა ამისა, თვით რუსეთის მთავრობა გარკვეული ხნის განმავლობაში მე-19 ს-ის 50-60-იან წლებამდე, სანამ იგი დაღისტნელი ტომების და საერთოდ კავკასიის საბოლოო დაპყრობისათვის იბრძოდა, ერიდებოდა ჭარ-ბელაქანში აქტიური სამისიონერო სამუშაოების გაშლას, რომ ამით მას არ გამოეწვია ჭარ-ბელაქანში მცხოვრები მუსლიმანური მოსახლეობის უკმაყოფილება. იგი ქრისტიანობის აშკარა პროპაგანდას ამ მხარეში ჯერჯერობით ნაადრევად თვლიდა. ქრისტიან ინგილოთა რიცხვის ზრდა შესამჩნევი ხდება მხოლოდ 1850 წლიდან.[2]

მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობა ერიდებოდა აქტიურ სამისიონერო საქმიანობას საინგილოს მხარეში, იგი მაინც ცდილობდა ქართული ეკლესიის დახმარებით აქ თავისი რელიგიური პოლიტიკის გატარებას. საქართველოს ისტორიულ არქივში დაცული მასალები სწორედ ამას მოწმობენ. როგორც

დოკუმენტებიდან ჩანს საქართველოს საეგზარქოსოს, საინგილოში მცხოვრები ხალხების სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესწავლა კახეთის სასულიერო პირებისათვის ჰქონდათ დავალებული.

1817 წლის ერთ-ერთი დოკუმენტი მოიცავს სიღნაღის და ქიზიყის მიტროპოლიტის მოხსენებას, რომელიც საქართველოს ეგზარქოსს თეოფილაქტე რუსანოვს წარუდგინა. მიტროპოლიტს, როგორც ჩანს, გულდასმით შეუსწავლია საინგილოს სარწუნოებრივი მდგომარეობის საკითხი. იგი ეგზარქოსს აწვდის ცნობებს იმის შესახებ თუ ინგილოები რამდენი კომლია, ვის ემორჩილებიან ისინი და როგორ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ინგილო გლეხები ჰარის და ელისუს ლეკ-ბეგებთან, საინგილოს რომელი ნაწილი ემორჩილება ჰარის ბეგებს და რომელი ელისუს ბეგებს. მიტროპოლიტი ურჩევს ეგზარქოსს, რომ თავდაპირველად საჭიროა ჩვენი მხრიდან (ე.ი. საქართველოს საეგზარქოსოდან) მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელება ელისუს და კაკის უბნის სოფლებში იქაური სულთანი უნდა დავარწმუნოთ, რომ მის მფლობელობაში შემავალ სოფლებში ქრისტიანობის გავრცელება სასარგებლო იქნება მისთვის. მე მგონია, რომ დასძენს მიტროპოლიტი ელისუსა და კაკის უბნის მფლობელი სულთანი არ არის მაინც და მაინც ძლიერი მფლობელი ამ მხარისა.[4] სიღნაღისა და ქიზიყის მიტროპოლიტის ვარაუდით ქრისტიანობის გავრცელებაში წინააღმდეგობა საინგილოს ენისელის უბნის სოფლებში იყო მოსალოდნელი, რადგანაც ეს სოფლები იმყოფებიან ჰარის ძლიერი ბეგების მფლობელობაში და შეიძლება მათი შიშით ინგილო გლეხებმა თავი შეიკავონ გაქრისტიანებაზე. გაქრისტიანების დროს მიტროპოლიტი იოვანე ჯარების გამოყენებასაც ურჩევდა საქართველოს ეგზარქოსს.

იოვანე მიტროპოლიტის მიერ საეგზარქოსოში 1817 წელს ამ მოხსენების წარდგენის შემდეგ დაიწყო მალულად ქრისტიანი მქადაგებლების გაგზავნა საინგილოში.[5]

საქართველოს საეგზარქოსოს პროპაგანდის შედეგი იყო ის რომ ხუთი წლის შემდეგ, 1822 წელს სოფელ კაკიდან თბილისში ჩამოვიდა ინგილოების დეპუტაცია გაქრისტიანების საკითხზე. რასაც აქტიურად გამოეხმაურნენ კიდეც, როგორც მაშინდელი უმაღლესი ხელისუფლება, ასევე საქართველოს საეგზარქოსოს მესვეურები. აღნიშნულ წელს ეგზარქოსს, მოუნათლავს სიონის ტაძარში საინგილოდან, სოფ. კახიდან ჩამოსული დელეგაცია (6 კაცი). ეგზარქოსს იმავე წელს სოფელ კაკში გაუგზავნია მღვდელი მიხეილ ნაცვლიშვილი ინგილოების მოსანათლავად. ამ მღვდელს კაკში ჩასვლისთანავე მოუნათლავს 17 კაცი.[6]

მაგრამ მეფის მთავრობის მიერ საინგილოს ქართველი მოსახლეობის მიმართ დაწყებულ ამ ქრისტიანულ პროპაგანდას წარმატება არ მოყოლია. იგივე საბუთი გვაუწყებს, რომ სოფელ კაკში მღვდელი მიხეილ ნაცვლიშვილის

ჩასვლის დღეს გამოცხადებულა კაკის სულთანის შვილი ალხაზი და ინგილოებისათვის სასტიკად აუკრძალავს მონათვლა.[7]

საინგილოში, ანუ ჭარ-ბელაქანში XIX საუკუნის 20-იან წლებში მეფის მთავრობის საეკლესიო პროპაგანდის წარუმატებლობა შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას. პირველი ის, რომ ჭარ-ბელაქნის „უბატონო" თემებში მცხოვრები ქართველობა (ინგილოები) დამორჩილებული ჰყავდათ ფანატიკოს მაჰმადიან ლეკ მებატონეებს, რომლებიც მოლების საშუალებით სასტიკად უკრძალავდნენ ინგილოებს გაქრისტიანებას. ლეკმა მებატონეებმა იცოდნენ, რომ მაჰმადიანისაგან ქრისტიანის დაბეგვრა აკრძალული იყო, რუსული ქრისტიანული საეკლესიო დებულებით. მაშასადამე, მაჰმადიანი ლეკი მებატონე ვეღარ იყოლიებდა ყმურ დამოკიდებულებაში გაქრისტიანებულ ინგილო გლეხებს. ასეთად ინგილო მაშინ დარჩებოდა ლეკი მებატონის მიმართ, თუ უკანასკნელიც გაქრისტიანდებოდა. ხოლო ფანატიკოს მაჰმადიან ლეკ მებატონეს არავითარი სურვილი არ ჰქონდათ გაქრისტიანებისა.

მეფის მთავრობის საეკლესიო პროპაგანდის წარუმატებლობის მეორე მიზეზი საგარეო ფაქტორით უნდა აიხსნას. XIX საუკუნის 20-იან წლებში ჭარ-ბელაქანი (საინგილო) ჯერ არ ითვლებოდა მეფის რუსეთის ადმინისტრაციულ ერთეულად. 1803 წლის ქვეშევრდომობის ერთ-ერთი მუხლის პირობით, რუსეთს უნდა დაეცვა ჭარ-ბელაქნის შინაგანი მმართველობის დამოუკიდებლობა. ამავე ქვეშევრდომობის მე-9 მუხლი, მართალია, ლაპარაკობს ინგილოების მიმართ სარწმუნოების აღიარების თავისუფლებაზე, მაგრამ ეს მუხლი მეფის მთავრობას იმის უფლებას არ აძლევდა, რომ საინგილოში მღვდლები ჩაეყვანა და ორგანიზაციული წესით გაექრისტიანებინა ინგილოები. ამიტომ იყო, რომ ეგზარქოსი იონა ურჩევდა მღვდელ მიხეილ ნაცვლიშვილს, საინგილოში ჩასულიყო, როგორც კერძო პირი და არა, როგორც ოფიციალური მთავრობის წარგზავნილი. ამიტომ იყო, როცა მ. ნაცვლიშვილმა ღამით დაიწყო ხალხის მონათვლა სოფელ კაკში, სულთნის შვილი ალხაზი მიმხვდარა, რომ მღვდელი ეგზარქოსის ინსტრუქციებით მოქმედებდა და აუკრძალა მას საქმიანობა და შეახსენა, რომ ელისუს სულთანსა და რუს ხელმწიფეს შორის არსებობდა 1803 წლის 17 აპრილის ქვეშევრდომობის პირობის ხელშეკრულება. ინგილოებს უფლება ჰქონდათ თავისუფლად შეასრულონ ქრისტიანული ადათწესები, მაგრამ ქვეშევრდომობის პირობა იმის უფლებას არ იძლევა, რომ ხელმწიფის მიერ გამოგზავნილმა მღვდელმა ინგილოები ჯვარზე და სახარებაზე დაფიცებით გააქრისტიანოსო.[8]

1822 წელს მთავარმართებელ ერმოლოვს გაუფრთხილებია ეგზარქოსი იონა, რომ აღარ გაეგზავნა ჭარ-ბელაქანში მღვდელი ინგილოების მოსანათლავად. ერმოლოვს ასე განუცხადებია ეგზარქოსისათვის: „სანამ ეს მხარე (საინგილო) არ არის შემოერთებული ჩვენს იმპერიასთან, მანამდე ინგილოების გაქრისტი-

ანების საქმეში ყოველთვის მარცხი მოგველისო.[9]

ჰარ-ბელაქნის ექვსივე „თავისუფალმა თემმა", რომელიც საინგილოს ტერიტორიაზე აღმოცენდა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში 1830 წელს თავისი არსებობა შეწყვიტა. რუსეთის მეფის მთავრობამ ჰარ-ბელაქნის „თავისუფალი თემების" და ელისუს სასულთნოს ტერიტორიისაგან შექმნა ახალი ოლქი და უწოდა ჰარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი, სადაც კავკასიის სხვა შემოერთებული სამთავროების მსგავსად, რუსული მმართველობა დამყარდა.

მეფის მთავრობა ჰარ-ბელაქნისათვის შექმნილი ახალი მმართველობის ერთერთ მუხლში აღნიშნავდა იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის (ინგილოების) ლეკ-აღალარებისაგან შევიწროების ამბავს და კანონის ძალით მოითხოვდა, რომ ლეკების მხრივ ინგილოების შევიწროებას ბოლო მოღებოდა. ეს აზრი სათანადო მუხლით ასეა ფიქსირებული: 1803 წელს ჰარელებთან დადებული სამშვიდობო ტრაქტატის მე-9 მუხლის მიხედვით მათ (ჰარ-ბელაქნის და ელისუს სასულთნოს ლეკ-ბეგ-აღალარებმა-ვ.წ.) სხვათა შორის იკისრეს ხელი არ შეეშალათ ქართული სოფლებისათვის (ინგილოებისათვის) ქრისტიანული რწმენისა და ღვთისმსახურების თავისუფლად აღიარებაში, მაგრამ ამისდა საწინააღმდეგოდ ჰარელებმა ინგილოებს აუკრძალეს ეკლესიების გაშენება და ქრისტიან მქადაგებელთა მიღებაც, ამგვარი შევიწროების შედეგად ინგილოები იყვნენ რა წინათ ქრისტიანები, თანდათან გამაჰმადიანდნენ. უნდა დაწესდეს მათ შორის ქრისტიანული რელიგიის რწმენის და ღვთისმსახურების თავისუფალი დაცვა და ამ საქმეზე ახლავე გამოძახებულ იქნენ თბილისში საქართველოს ეგზარქოსთან მსურველები მართლმადიდებლურად მონათვლისათვის. ამ საქმეს აღმოეჩინოს მთავრობის მხრიდან ყოველგვარი საშუალება და მფარველობა (მუხლი 6).[10]

როგორც ყოველთვის ახლაც, რუსეთის მეფის მთავრობამ საინგილოს ოკუპაციის გამართლებისათვის ოსტატურად გამოიყენა თავისი ნაცადი საეკლესიო-რელიგიური პოლიტიკა.

1831 წელს საინგილოში კვლავ გაუგზავნიათ ხუთი მისიონერი, მაგრამ იქ არსებულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ მათი მოღვაწეობა ისევ შეაფერხა. ქრისტიანობის აღდგენა საინგილოში ჩქარი ტემპით დაიწყო იმ დროიდან, როცა რუსულმა მმართველობამ ამ საქმეს მხარი დაუჭირა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ინიციატივა ინგილოებიდან მოდიოდა და არა უმაღლესი ხელისუფლებიდან.[11]

1850 წელს კახეთში ალავერდობის დღესასწაულზე რვა ინგილო ჩავიდა და ალავერდის მონასტრის ზედამხედველს მონათვლა სთხოვა, ზედამხედველმა ინგილოებს თბილისში წასვლა ურჩია.

ინგილოები თბილისში ჩავიდნენ და წარუდგნენ მეფისნაცვალ ვორონცოვს, რომელმაც ისინი პირადად მონათლა სიონის ტაძარში. ამის შემდეგ ვორონ-

ცოვი თვითონ ჩავიდა საინგილოში. ამით წახალისებული ადგილობრივი ადმინისტრაციაც ხელს უწყობდა ქრისტიანობის აღდგენის საქმეს საინგილოში. 1851 წელს კახში მღვდელიც დაინიშნა. დაიწყო ეკლესიების მშენებლობაც კახსა და ყორაღანში.[12]

1852 წელს ვორონცოვთან კვლავ ჩამოვიდა უკვე ახლად მონათლულ ინგილოთა დელეგაცია სოფელ კახის მამასახლისის იოანე ბულუღაშვილის მეთაურობით. დელეგაციამ შემდეგი მოთხოვნები წაუყენა მეფისნაცვალს: 1) ახლად მოქცეულთა განთავისუფლება ფულადი გადასახადებისაგან; 2) განთავისუფლება ნატურალური ბეგარისაგან იმ საბაბით, რომ მათ მოაქვთ მასალები კახსა და ყორაღანში ეკლესიების ასაშენებლად; 3) რადგან ელისუს ბეგები და სხვა ლეკები აიძულებენ მათ გადასახადების გადახდას იმ მიზეზით, რომ თითქოს გლეხები ლეკთა კუთვნილებაში მყოფ მიწებზე ცხოვრობენ, გამოძიებულ იქნას მათი პრეტენზიების სისწორე თუ მართალი აღმოჩნდება, რომ ეს მიწები ლეკებს ეკუთვნით, მაშინ მიეცეს მათ საზღაური და ინგილოებს ნება დართონ, რომ მათზე დაკისრებული ბეგარა ხაზინას ჩააბარონ; 4) გაქრისტიანებული ინგილოები დასახლებულ იქნან იქ, სადაც ეკლესიები შენდება კახსა და ყორაღანში; 5) დაენიშნოს ინგილოებს სათანადო ზედამხედველი ქრისტიანთაგან;

მ. ვორონცოვი დადებითად გამოეხმაურა ინგილოთა თითქმის ყველა მოთხოვნას და 1853 წლის 9 იანვარს სათანადო განკარგულებაც მისცა ჭარ-ბელაქნის უფროსს ბარონ ვრანგელს. ბეგთა მიწისმფლობელობის გამოსარკვევად ინიშნებოდა სპეციალური კომისია და ამიერიდან ბეგებსა და ქრისტიან ინგილოებს შორის ურთიერთობაში ხაზინა უნდა ჩარეულიყო.[13]

ბეგთა მიწისმფლობელობის შემსწავლელი კომისიის მუშაობა დააბრკოლა 1853 წელს დაწყებულმა რუსეთ-თურქეთის ომმა. ომის ვითარებაში კომისია ვერ ბედავდა მუშაობის დაწყებას. მთავრობას ეშინოდა, რომ მიწისმფლობელობის საკითხის შესწავლა ლეკებს ძალზე გააღიზიანებდა. რადგან ამ უკანასკნელთ მიწის საკუთრების არავითარი საბუთი არ ჰქონიათ.[14]

საბოლოოდ 1859 წლის 6 დეკემბრის სხდომამ კომისიის პროექტი დაამტკიცა რითაც ინგილო ქრისტიანები სახაზინო გლეხთა თანრიგში გადარიცხეს, საერთოდ სახაზინო გლეხთა კატეგორიაში გადარიცხვა, ბეგთა და ლეკთა ყმობასთან შედარებით, მათი მდგომარეობის საგრძნობ გაუმჯობესებას მოასწავებდა. გარდა ამისა, საერთოდ სახაზინო გლეხთაგან განსხვავებით ინგილოებს სხვა შეღავათებიც მიეცა. ისინი სახელმწიფო გადასახდისაგან გაათავისუფლეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ხოლო საერობო გადასახადისაგან—ექვსი წლის ვადით, განთავისუფლდნენ აგრეთვე მიწის შემოსავლის გადასახადებისაგან.

ასეთი დიდი პრივილეგიების მინიჭებას ქრისტიან ინგილოთათვის მთავრობა იმით ამართლებდა, რომ საჭირო იყო დანარჩენი ინგილოების (იგულისხმება

მაჰმადიანი ინგილოები––ვ.წ.) გაქრისტიანება, არ ივიწყებდნენ აღენიშნათ რომ მთავრობას მიზნად ჰქონდა ინგილოთა გათანაბრება თავისუფალ ლეკებთან.[15]

ქრისტიანი ინგილოები კონცენტრირებული იყვნენ ელისუს საბოქაულოს ხუთ სოფელში––კახში, ყორაღანში, ალიბეგლოში, მუშამბასა და ქეთუქლოში, მათ ცალკე გამგე ჰყავდათ. ეს თანამდებობა 1860 წლიდან გაუქმდა, რადგან ელისუს ბოქაულს გაუჩინეს 2 თანაშემწე, რომელთაგან ერთს, როგორც ჩანს, ქრისტიან ინგილოთა საქმეები ეკითხებოდა. 1860 წლის აგვისტოსათვის ქრისტიან ინგილოთა განთავისუფლება ლეკთა დამოკიდებულებისაგან უკვე დასრულებული იყო.

ქრისტიანული სარწმუნოების სწრაფი ტემპით აღდგენასთან დაკავშირებით გაიშალა ეკლესიების მშენებლობაც. როგორც მთავრობის ისე ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით აშენდა ეკლესიები აგრეთვე ალიბეგლოში, ყორაღანში, მუშაბმაში, ქურმუხში. ცოტა უფრო მოგვიანებით იწყება ეკლესიების შენება თასმალოში, ძაგამსა და ენგიანშიც.[16]

1860 წელს ჩამოყალიბებულმა „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ", რომელიც მთავრობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, თავისი მოღვაწეობა საინგილოზედაც გაავრცელა. ეს „საზოგადოება" აშენებდა ეკლესიებსა და სკოლებს, ხელს უწყობდა წერა-კითხვის ცოდნის გავრცელებას მოსახლეობაში და სხვ.[17] ამ „საზოგადოების" მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებში თითქმის ყოველთვის იბეჭდებოდა ცნობები საინგილოს ეკლესიებისა და სკოლების შესახებ.[18]

50-60-იან წლებში საინგილოში უკვე გამოჩდნენ ქართული ეროვნულ-კულტურული ინტერესებისათვის მებრძოლი ინგილო მოღვაწეები. უპირველესი მათ შორის იყო ი. ბულუღაშვილი, მასთან ერთად იყვნენ აგრეთვე გიორგი ჯანაშვილი (ცნობილი ისტორიკოსის მოსე ჯანაშვილის მამა), დიმიტრი ჯანაშვილი, მიხეილ ყულოშვილი, კონსტანტინე თარხნიშვილი, სიმონ პაპიაშვილი, ვიტალი ჯანაშვილი, ლევან ბაბუცაშვილი და ბევრი სხვ.[19]

საინგილოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1830 წ.) საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეში სოციალური ბრძოლები უფრო გაღრმავდა. ადგილობრივმა მოლებმა აგრეთვე თურქეთის მიერ საინგილოში შემოგზავნილმა აგენტურამ გაავრცელა ცრუ ხმები, თითქოს რუსეთის მთავრობა აპირებს ჭარ-ბელაქანში მცხოვრები ლეკების და მუღალების (აზერბაიჯანლების) ძალად გაქრისტიანებას, სარწმუნოებრივი ფანატიზმით შეპყრობილ მაჰმადიანები ადვილად აყვნენ ამ პროვოკაციულ ხმებს. ხალხი ღელავდა. ბოლოს მღელვარება აჯანყებაში გადაიზარდა. 1863 წლის აჯანყების შემდეგ იმისათვის, რომ ლეკთა ბეგ-აღალარებს აღარ აღემართათ იარაღი რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, მეფის მთავრობა შეეცადა მათ დაშოშმინებას. აჯანყების ჩახშობის შემდეგ საინგილოში ჩასულმა მეფე ალექსანდრე II-ის ძმამ მიხეილ რომანოვმა

ასეთი განცხადება გააკეთა: „მთავრობისათვის ახლა სულ ერთია ჭარ-ბელაქანში მცხოვრები ინგილოები მაჰმადიანები იქნებიან თუ ქრისტიანები, ოღონდ კი იყვნენ ერთგულნი მეფის ხელისუფლებისა."[20]

მეფის ძმის, მიხეილ რომანოვის 1863 წელს საინგილოში წარმოთქმული ვითომ სარწმუნოებრივი ნეიტრალური შინაარსის სიტყვა, სხვა არაფერი იყო თუ არა აჯანყებული ლეკი ბეგ-აღალარების წინაშე დროებითი მანევრული უკანსვლა. რუსეთის იმპერიის შიგნით, თუ მის განაპირა მხარეებში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა და გავრცელება, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მუდამ რჩებოდა ამ დიდი იმპერიის პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთ გენერალურ ხაზად.

1863 წელს აჯანყების ჩახშობის შემდეგ მეფის მთავრობამ სპეციალური კომისია შექმნა საინგილოში წოდებრივი მდგომარეობის გარკვევისათვის. კომისიას ექვსი წელი დასჭირდა, რომ სოციალური საკითხის ირგვლივ საბოლოო გადაწყვეტილება გამოეტანა: „კომისიის წევრებმა მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდნენ თუ რა უსამართლოდ ფლობდნენ ჭარელი აღალარები კახეთის მეფის ყოფილ მიწა-წყალს და ამ მიწა-წყალზე მცხოვრებ მოქეშქელე (გადასახადის მიმცემი) ინგილო გლეხებს, მათ მაინც ცნეს ჭარელ აღალარების მემამულეობა. ის მიწები, რომლებიც იმყოფებოდნენ მოქეშქელე ინგილო და მუღალი (აზერბაიჯანელი) გლეხების სარგებლობაში, მეფის მთავრობამ ჭარ-ბელაქნელი ლეკი აღალარების სრულ საკუთრებად აღიარა."[21]

ზაქათალის კომისია სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, რადგანაც იგი მეფის კარნახით მოქმედებდა. **მეფეს კი ამიერიდან აღარ, ჰირდებოდა ჭარ-ბელაქნის ქართული მოსახლეობის (ინგილოების) მხარდაჭერა ლეკი მებატონების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ახლა 1869 წლიდან იგი ჭარ-ბელაქანში (საინგილოში) ასეთ პოლიტიკას ახორციელებს, ეფერება--ყოფილ მაჰმადიან შტრებს (ლეკ-ბეგ-აღალარებს) და უხალისოდ ესარჩლება ყოფილ მოკავშირეებს--ინგილოებს.**

საინგილოში ქრისტიანობის მფარველობითა და მუსლიმანობის შევიწროებით მეფის რუსეთის მთავრობა საკუთარ მიზნებს ახორციელებდა. მართალია, ასეთმა პოლიტიკამ ქრისტიანი ინგილოების მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სამაგიეროდ საინგილოში მცხოვრები მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის შუღლი დიდად გამწვავდა. რუსეთის იმპერიის მესვეურებმა ასეთი პოლიტიკით საკუთარი საქმეები მოაგვარეს.

კავკასიის მთლიანად დაპყრობის შემდეგ (1864 წლის მაისი) რუსეთს ამ მხარის მაჰმადიანური ქვეყნის დაკარგვისა აღარ ეშინოდა, რის გამოც მეფის რუსეთმა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საინგილოს ქრისტიანობის მფარველობაზე ხელი აიღო. ხოლო მუსლიმანობას პრივილეგიებიც კი მიანიჭა. ამ დროიდან მოყოლებული რეაქციული მოლების წყალობით, საინგილოში

ქართველების, ქართული ენისა და კულტურის მდგომარეობა უაღრესად მძიმე პირობებში მოექცა. კვლავ დაიწყო ინგილოების შევიწროება და გამაჰმადიანება. ქართული ენის დაკარგვა... „მოლების ჩაგონებით 1863-1864 წლებში უარყეს ქრისტიანობა შემდეგმა სოფლებმა: სოსკანმა, ლალაფაშამ, თასმალომ, ძაგამმა, ვერხვიანმა, ალიაბადმა, ჰენგიანმა, მოსულმა, ბელაქანმა და მრავალთა სხვათა.“[22] ზემოხსენებულ სოფლებში დღესაც მაჰმადიანი ინგილოები ცხოვრობენ, ზოგიერთი სოფელში ქართული ენა მთლიანად დავიწყებულია (სოსკანი, ლალაფაშა, ფალდარო, ვერხვიანი, გოგამი, ბელაქანი და სხვ.) ზოგში ქართული მარტო მოხუცებმაღა იციან (ჰენგიანი, ქაფანახჩი), არის სოფლები, სადაც ქართული მხოლოდ ბავშვებმა იციან (ძაგამი, თასმალო) დანარჩენ სოფლებში კი დღესაც ქართულად ლაპარაკობენ (ალიაბადი, მოსული და ითითალა).[23]

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში საინგილოს ქრისტიანულმა მოსახლეობამ კვლავ შემცირება იწყო, მათი მდგომარეობა ისევ გართულდა „ჰეშმარიტად სამწუხაროა და სატირალია ასრეთი მოვლენანი. XIX საუკუნემ ბევრი ამისთანა დაღი დასდო ქართველობას. 12 ათასმა ინგილომ დაჰკარგეს ქრისტიანობა და ხალხოსნობა ზაქათლის ოლქში. 1861 წელს 20 ათასი სული იყო მონათლული, რამდენიმე წელში მათი რიცხვი 4000-მდე შემცირდა, ე.ი. 16000 ინგილო კვლავ გაამაჰმადიანეს.[24]

XIX საუკუნის 90-იან წლებში და XX საუკუნის დასაწყისში საინგილოში მეფის რუსეთის მიერ ჩატარებული საეკლესიო-მისიონერული საქმიანობა ნაწილი იყო ინგილო ხალხის გაქრისტიანების პოლიტიკისა, რომელიც მეფის მთავრობამ ინგილო ხალხის გაქრისტიანებაში მარცხი განიცადა. მაგრამ ამ პოლიტიკაზე ხელი მაინც არ აუღია.

XIX საუკუნის 90-იან წლებში მეფის მთავრობამ ახალი მეთოდებით წამოიწყო ქრისტიანულ მისიონერული პროპაგანდა მთელი კავკასიის მასშტაბით.

1894 წ. „კავკასიის მართმადიდებელი ქრისტიანების აღმდგენელმა საზოგადოებამ“ მთელი კავკასია ოთხ სამისიონერო რაიონად დაჰყო__პირველ რაიონად საინგილო იქნა გამოცხადებული.[25]

1894 წელს საინგილოში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებისა და მაჰმადიანი ინგილო მოსახლეობის გაქრისტიანებისათვის თბილისიდან გააგზავნეს სასულიერო აკადემია__დამთავრებული მღვდელი ტარასი ივანიცკი (წარმოშობით ინგილო).

ტ. ივანიცკი ხუთ წელიწადს მოღვაწეობდა საინგილოში (1894-1899 წწ) და ამ ხნის განმავლობაში იგი ისლამის საწინააღმდეგო საუბრებს ატარებდა არა მარტო სოფლებში, სადაც მაჰმადიანი ინგილოები ცხოვრობდნენ, არამედ საინგილოს აზერბაიჯანულ და ლეკურ სოფლებშიც.

1899 წელს საინგილოში მისიონერული საქმიანობა დაევალა ევტიხი მამინაიშვილს, რომელიც „ქრისტიანების აღმდგენელ საზოგადოების“ სკოლების

ინსპექტორი იყო. ევ. მამინაიშვილს უპირდა ორი საქმის, ერთად წარმართვა (იგი იყო სკოლების ინსპექტორი და მისიონერიც). მან სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოახერხა საინგილოში ჩასვლა--1899 წელს გაზაფხულზე. „საზოგადოებისადმი წარდგენილ ანგარიშში, იგი წერდა, რომ საინგილოს ბლაღოჩინი იროდიონ ოქროპირიძე მთელი ენთუზიაზმით იღწვის ქრისტიანობის გავრცელებისათვის, მაგრამ ისლამის მქადაგებლებს კარგი მუსლიმანური სასულიერო განათლება აქვთ და ამიტომ საჭიროა ქრისტიანული სარწმუნოების პროპაგანდისათვის უფრო გამოცდილი მისიონერი გამოიგზავნოსო. „ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ" ევ. მამინაიშვილის აზრი მისაღებად ჩათვალა 1902 წელს საინგილოში მისიონერად გაგზავნა აპოლონ ივანიცკი.

მიუხედავად იმისა, რომ მისიონერული „საზოგადოება" ატარებდა ცარიზმის მიერ დაკვეთილ პოლიტიკას და სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები ჰქონდა დაშვებული, საინგილოში მოქმედმა განყოფილებამ მაინც დადებითი როლი შეასრულა ამ მხარეში კულტურულ,საგანმანათლებლო საქმიანობით, რაც ხელს უწყობდა ქართველ მაჰმადიანებში ეროვნულ სულისკვეთების აღდგენასა და განმტკიცებას. ეს იყო და ეს. ამის იქით საინგილოს სამისიონერო საზოგადოების განყოფილების მოღვაწეობა არ წასულა. მაგრამ ეს კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. რადგან საამისო პირობები და ვითარება არ არსებობდა და არც შემდეგში შექმნილა. ცარიზმი ქართველ სასულიერო პირებს სამისიონერო საქმიანობაში ნაკლებად ენდობოდა მაქსიმალურად ცდილობდა ისინი რუსებით შეეცვალა (ამ გზას რუსეთი დადგა განსაკუთრებით კავკასიის საბოლოოო დაპყრობის შემდეგ 1864 წ) მათ შორის ბევრი იყო მექრთამე, მრუში და სახელგატეხილი მოხელე ჩინოვნიკი, რომლებიც თავიანთი მრევლის მორალურ-ზნეობრივ გაკეთილშობილებაზე, ცხადია, ნაკლებად ზრუნავდნენ:

აღსანიშავია ის ფაქტიც, რომ წარსულში საქართველო ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა საინგილოს, რის გამოც ლეკი ბეგები და მოლები თვითნებობდნენ და ქართველები უკიდურეს მონურ პირობებში ყავდათ ჩაფუნებული.

აღსანიშნავია, რომ ინგილო ახალგაზრდებს განათლების მიღების საქმეში მცირედი დახმარება მაინც ჰქონდათ, როგორც რუსეთის ცარიზმის, ისე საქართველოს მხრიდან. რუსეთის სახელმწიფო სტიპენდიით ინგილო ახალგაზრდები სწავლობენ სტავროპოლის კლასიკურ გიმნაზიასა და ვლადიკავკავის რეალურ სასწავლებლებში, აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხარჯზე, თბილისისა და გორის სასულიერო სასწავლებლებში. ბოდბის მონასტერთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში ინგილო ახალგაზრდებიც სწავლობდნენ.

ინგილოთა წრიდან გამოვიდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და

მეცნიერები: ივანე ბაბა ბულუღაშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი, მიხეილ ყულოშვილი, კონსტანტინე ტარტარაშვილი, პროფ. მოსე ჯანაშვილი, ბათლომე ხუციშვილი და სხვები.

§5 საქართველოს საეკლესიო სამისიონერო მოღვაწეობა თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და თიანეთში

თუშ-ფშავ-ხევსურეთი მჭიდროდ იყო ჩაბმული საქართველოსა და ჩრდ. კავკასიას შორის არსებულ კულტურულ ურთიერთობაში. საქართველოს სამეფო კარი, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელნი, ერისთავნი და მთავარნი, სხვა საშუალებებთან ერთად, თუშ-ფშავ-ხევსურეთზე დაყრდნობით ატარებდნენ თავისი გავლენის გავრცელებას ვეინახ-დიდო-ლეკებში.

თუშეთისა და ვეინახ-დიდო-ლეკების კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობა-დაახლოებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მეფეთა მიერ იმიერკავკასიაში ქრისტიანობის გავრცელება-შეტანისათვის ჩატარებულმა ღონისძიებებმა. ჩრდ. კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებას ქართველი მეფეები დიდ ამოცანებს უსახავდნენ.

აკად ივ. ჯავახიშვილი, ეხებოდა, რა XIII-XIV საუკუნეებში ქართველ განმანათლებელთა მიერ დაღესტანში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს, შენიშნავდა, რომ „მაშინაც კი, როდესაც საქართველოს მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით პოლიტიკურად დასუსტებული იყო, ქართველ ერს იმდენი კულტურული ძალა შესწევდა, რომ თავისი განმანათლებელი (სამისიონერო--ვ.წ.) მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და დაღესტანში ქრისტიანობა გაუვრცელებია. ისტორიას შენახული აქვს ცნობები, რომ XIII საუკუნის დასასრულს გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ პიმენ სალოსმა ბელაქანითგან თავისი განათლება (იგულისხმება სასულიერო განათლება--ვ.წ.) ლეკეთშიც კი გადაიტანა".[1] (ე.ი. გააქრისტიანა--ვ.წ.). გამოჩენილი მეცნიერი სხვა დროსაც შეხებია დაღესტანში ქრისტიანობის არსებობის საკითხს და შეუნიშნავს: „დაღესტანში თვით ხუნძახამდის ქართველ მქადაგებელთა წყალობით ქრისტიანობა იყო გავრცელებული, ეკლესიები და ეპისკოპოსიც იჯდა."[2]

ქრისტიანული სარწმუნოება მომდევნო საუკუნეებში იმდენად გავრცელებულა ძურძუკეთ-ღლიღვეთსა და დაღესტანში, რომ მიუხედავად შემდგომში თურქეთ-ირანის მიერ იქ მაჰმადიანობის გავრცელებისა, იგი არსებობას განაგრძობს XV-XVIII საუკუნეებამდე. XIV საუკუნეში,--წერს აკად. ს. ჯანაშია ლეკები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ.[3] რ. მაგომედოვის მიხედვით (რომელიც ჩრდ. კავკასიელი მკვლევარია--ვ.წ.) აღინიშნება, რომ დაღესტანის ზოგიერთ ადგილებში ქრისტიანობა XIX საუკუნემდე განაგრძობს არსებობას.[4] თეიმურაზ პირველის მიერ რუსეთის მეფე მიხეილ თევდორეს ძისადმი 1639 წლის 25

აპრილს მიწერილ წერილში კი საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი XVII საუკუნის 30-იან წლებში კვლავ ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა.

საქართველო თავისი მაშინდელი მოწინავე კულტურითა და ძლიერი სახელმწიფოებრივი წყობილებით საუკუნეების მანძილზე ხშირად დიდ გავლენას ახდენდა კავკასიის ხალხებზე. ამის უტყუარი საბუთია ჩრდ. კავკასიაში ქრისტიანობის შეტანა-გავრცელება და ის ფაქტი, რომ ქართული ენა ხშირად ჩრდილოეთის ტომებისათვის სახელმწიფოებრივ ენასაც კი წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ თეიმურაზ ბაგრატიონს ქისტ-ძურძუკ-ღლიღვნი თავიდანვე ქართულად მოლაპარაკე ტომებად მიაჩნდა.

XVI-XIX სს. თუშეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა კეთილმეზობლურიც იყო და პერიოდულად მტრულიც. მათ შორის ადრიდანვე არსებობდა კულტურული და ეკონომიკური კავშირი. მისიონერული მოღვაწეობის შედეგად, როგორც აღვნიშნეთ ქრისტიანობა ჩრდ. კავკასიაში საქართველოდან შედიოდა.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში თუშებსა და ვეინახებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ნაწილობრივ იცვლება. მეზობლური განწყობილებასთან ერთად შეიმჩნევა ურთიერთთავდასხმები, პირუტყვის მიტაცება. ამ ურთიერთობას ამწვავებდა მეფის რუსეთის შოვინისტური პოლიტიკა, რომელიც პატარა ტომებს ერთმანეთს უპირისპირდება და მათ შორის შუღლს თესავდა.

კეთილმეზობლური ურთიერთობის დარღვევას ხელი შეუწყო აგრეთვე, რელიგიამაც XVIII საუკუნის II ნახევრისათვის ჩეჩნებმა საბოლოოდ მიიღეს მუსლიმანობა და ამ მხრივ დაუპირისპირდნენ ქრისტიან თუშებს, საერთოდ ქრისტიან ქართველ მთიელებს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში სასულიერო საქმიანობა თუშების სამივე თემში ფართოდ გაიშალა. მეოთხე თემი (წოვები) კი ამ დროისათვის კახეთის ბარში ცხოვრობდა და მათ გვარებისა და დასახლების მიხედვით საკუთარი ეკლესიები გააჩნდა. აქ გარდა მღვდელმსახურებისა, სასულიერო პერსონალი აწარმოებდა მცხოვრებთა აღწერას. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. მოზარდ თაობას ასწავლიდნენ საღვთო რჯულს.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია-დაპყრობა. რუსეთმა გააუქმა საქართველოში არსებული სასწავლო დაწესებულებები. მაგრამ შემდეგ თვითონვე გახდა იძულებული გაეხსნა სასწავლებლები, სადაც სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. მთავრობა ცდილობდა ამ სასწავლებელ-დამთავრებულები მას დახმარებოდა ცარისტული პოლიტიკის გატარებაში.

ხელისუფლება აგრეთვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და დამკვიდრების საქმეს სასაზღვრო და სტრატეგიული მნიშვნელობის რაიონებში. როგორც ადგილობრივი ხელისუფლება ასევე პეტერბურგში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმით, რომ ფშაველები-თუშები და ხევსურები გულგრილად ეკიდებოდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას.[9] 1829 წელს მიტროპოლიტი იოანე (იონა) საქართველოს ეგზარქოსი სთხოვდა დუშეთის მაზრის უფროსს განკარგულება გაეცა ადგილობრივი მმართველობის სათანადო ორგანოებზე. რათა აეძულებინათ ფშავ-ხევსურები წმინდად შეესრულებინათ ქრისტიანული წესები.[9] ეგზარქოსმა იოანემ (იონამ) ეს საკითხი ხელმეორედ აღძრა პასკევიჩის წინაშე და მოითხოვდა ფშავ-ხევსურთა დეკანოზების დაპატიმრებას, რომლებიც მისი გაგებით, ხელს უშლიდნენ ამ რაიონებში ქრისტიანობის გავრცელებას.[10] მიუხედავად სასულიერო პირების დაჟინებითი მოთხოვნისა მთავარმართებელი ამ ღონისძიებების გატარებაზე არ დათანხმდა. მთავარმართებელს მიზანშეწონილად არ მიაჩნდა დეკანოზების დაპატიმრება, რადგანაც ეს გააღიზიანებდა მოსახლეობას და საქმეს გაართულებდა. ის შეახსენებდა ეგზარქოსს, რომ ეს ხალხი ერთგულია რუსეთის მთავრობისა, მათი დეკანოზების თბილისში ჩამოყვანა და დაპატიმრება გამოწვევდა ამ ხალხის აჯანყებას, ამიტომ ურჩევდა ამ ეტაპზე აქ ქრისტიანობის გამარჯვება და გავრცელება მინდობოდა დროს და იმ სასულიერო პირების კეთილგონიერ მოქმედებას, რომლებიც იქ ქრისტიანობას ქადაგებდნენ და აქვე მიუთითებდა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურები, საქართველოში იცავდნენ სტრატეგიული მნიშვნელობის საზღვარს დაღესტანთან და ამ მხრივაც არ იყო სასურველი მათი განაწყენება.[11]

ეს აზრი სრულიადაც არ ნიშნავდა ხელის აღებას ამ საქმეზე და ქრისტიანობის ქადაგების თვითდინებაზე მიშვებას. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაიმორჩილა კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე მოსახლე ტომები ის ანგარიშს აღარ უწევდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის გაღიზიანებას და XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახალი ენერგიით დაიწყო სამისიონერო სამუშაოების ორგანიზაცია ამ მხარეში. აქ ახლა იგზავნებოდნენ განათლებული და ენერგიული მისიონერები ინიშნებოდნენ ქართველი მღვდლები, რომლებმაც კარგად იცოდნენ აქაური ხალხის ზნე-ჩვეულებანი. თუმცა ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა მღვდლებისა და დეკანოზების შუღლს.

საერთო ჯამში როცა „ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ" დაიწყო აქ საქმიანობა დეკანოზებისა და ხევისბერთა ძალაუფლება ნელ-ნელა შესუსტდა. ამას ხელი შეუწყო სკოლების გახსნამაც. 1886 წლისათვის თიანეთის მაზრის ცენტრალურ სოფელში გაიხსნა ინტერნატი, სადაც ამ მხარის მოსახლეობის ბავშვები აღსაზრდელად მიჰყავდათ ყოველი კუთხიდან.

წერა-კითხვის გავრცელება ისე ნელა არსად არ მიდის, როგორც თიანეთის

ოლქში (მაზრაში), ვკითხულობთ „ქრისტ. აღმ. საზოგადოების" 1865 წლის ანგარიშში. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით წინააღმდეგობას „დეკანოზებისას", რომლებიც ხელს უშლიან სწავლის გავრცელებას მოსახლეობაში. რადგან არ უნდათ დაკარგონ ის ზეგავლენა, რომელიც მათ აქვთ მოსახლეობაზე. თავიანთი ცოდნის გამო ისინი ავრცელებენ ჭორს თითქოსდა მოსახლეობას მიტომ ასწავლიან წერა-კითხვას, რომ შემდგომ ჯარისკაცებად გაიყვანონო. ბევრჯერ მოსწავლეებს შეუჩივლიათ ინსპექტორისათვის, რომ მშობლები არ აძლევდნენ უფლებას რეგულარულად (სისტემატურად-ყოველდღე--ვ.წ.) ევლოთ სკოლაში. ერთი ხევსურული სოფლის, კერძოდ ახიელის მამასახლისის ბავშვი, რომელიც ძალიან მონდომებული და სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა იყო. ჩიოდა, რომ ხევსურთა ღმერთები კრძალავენ ბავშვთა განათლებას, თუკი ხევსურები მაინც მისცემდნენ თავიანთ ბავშვებს სკოლაში მაშინ მათ აუცილებლად გაიყვანდნენ ჯარისკაცებად.[12]

მთლიანად თიანეთის ოლქში 1865 წლისათვის 148 მოსწავლე სწავლობდა. აქედან თუში იყო 54, ფშაველი 64, ხოლო ხევსური 30. მოსწავლეებმა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ძალიან ცოტა იცოდნენ. მათგან საუკეთესოები ახერხებდნენ კითხვასა და წერას რუსულ-ქართულად. იცოდნენ ზოგიერთი ლოცვები ქართულ-რუსულად და ცოტაოდენი მათემატიკა. დიდმა უმრავლესობამ ძლივს იცოდა ქართულად წერა-კითხვა. ამათგან დამაკმაყოფილებლად იცოდნენ მხოლოდ ამთნისხევისა და ალვანის სკოლის მოსწავლებმა, რადგან სისტემატურად დადიოდნენ სკოლებში. ამის დადასტურებად კმარა ისიც, რომ ხშირად მშობლებს ბავშვები გაჰყავდათ სკოლიდან და სახლში სამუშაოს აძლევდნენ, რაც ზოგჯერ კვირეებისა და თვეების მანძილზე გრძელდებოდა. მოსწავლეებმა რაც იცოდნენ მას ივიწყებდნენ და ხელახლა უხდებოდათ სწავლის დაწყება.[13] თიანეთის ოლქში სკოლისათვის შენობები იყო გამოყოფილი, ოღონდ სასწავლო ნივთების ნაკლებობას განიცდიდნენ.

სულ სხვა სურათს ვხედავთ და ვკითხულობთ „საზოგადოების 1873 წლის ანგარიშში, სადაც წერია, რომ თიანეთის საბოქაულოში შეიცვალა სწავლების მდგომარეობა სასიკეთოდ. რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ მხარის ბოქაულს თავად ჩოლოყაშვილს, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და ავტორიტეტი გამოიყენა, რომ ბავშვებს ესწავლათ სკოლებში. მან ააშენა ბავშვების თავშესაფარი სკოლებთან, სადაც შორეული კუთხეებიდანაც კი მოჰყავდათ ბავშვები დასატოვებლად-სასწავლებლად.

თიანეთის სკოლებიდან საუკეთესოა ჩარგალის სკოლა, სადაც მასწავლებლობს ჯაფარიძე. რომელმაც სკოლა ნამდვილ ბაღნარად აქცია. მან აქ გააშენა ბაღჩა-ბოსტნეული, სკვერი, გაზონები--დასასვენებელი ადგილებით („სკამეიკა"). იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში, ჩარგალის სკოლის შემდეგ მოდის თიანეთის, ამთნისხევისა და არდონის სკოლები.

თიანეთის სკოლიდან 1874 წელს წავიდა მასწავლებელი თეთრაძე, რომლის შემცვლელად მოვიდა „ალექსანდრეს სახელობის ინსტიტუტის" აღზრდილი აფრასიონ ჯაფარიძე, რომელმაც მიიღო საქალაქო მასწავლებლის წოდება. მასწავლებლის ფართო განათლება და ერუდირებულობა, რომელსაც დაემატა ის, რომ 1875 წლისათვის უნდა დამთავრდეს თიანეთში ქალთა სკოლის მშენებლობა. პირობაა იმისა, რომ თიანეთი სამაზრო ცენტრად იქცეს განათლებისა ამ მხარეში.[14]

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ თიანეთის სკოლაში გაიხსნა სადურგლო განყოფილება, სადაც ბავშვებს ასწავლიდნენ ამ საქმეს, რამაც ბევრი მთიელი მიიზიდა და სწავლის ფერხულს ფეხი აუბეს.

„ქრის. აღმ. საზოგადოებას კავკასიაში", როგორც ვიცით სკოლების ხაზით ჰყავდა თავისი ინსპექტორი, რომელიც ამოწმებდა თუ როგორი მდგმარეობაში იყო სწავლა „საზოგადოების" გახსნილ სკოლებში. დიდი შრომა მიუძღვის ყოვლად-სამღვდელო ლეონიდს (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი––ვ. წ.) თუშ-ფშავ-ხევსურ-მთიელთა შორის ქრისტიანობის დამყარებასა და სწავლა-განათლების გავრცელების საქმეშიაც. იმათ შესახებ მან ფრიად საყურადღებო წერილები დასტამბა რუსულ ენაზედ. მის მიერ წარმოთქმული აზრები თუშ-ფშავ-ხევსურთა შორის ქრისტიანობის განმტკიცების შესახებ დღეს თანდათან მოდის სისრულეში. იგი სთხოვდა „მართ. ქრისტ. აღმდ. საზოგადოების საბჭოს, რათა მან ა) დაუნიშნოს იმათს მღვდლებს ჯეროვანი ჯამაგირი; ბ) დაენიშნოთ მათ საკუთარი ბლაღოჩინი, რომელიც უნდა სცხოვრობდეს ბარისახოში და რომელსაც უნდა ჰქონდეს ჯამაგირი 700 მან; გ) მოწვეულ იქნან აქ სამსახურში სემინარიელები; დ) უკეთუ მთებში დარჩებიან ექვს წელზედ მეტს, მოემატოს მათ ჯამაგირი და ერთ-ერთი შვილი „ქრის. აღმ. საზოგადოების" ხარჯით აღეზარდოთ; ე) მიეცეთ მედავითნეებს ჯამაგირად 200 მან; ვ) დაარსებულ იქმნას „საზოგადოების" ხარჯით ბარისახოს სკოლასთან თავშესაფარი 15 მთიელთა ბავშთათვის; ზ) მღვდლებს უნდა აღეკრძალოთ სამრევლოთა გარეშე ცხოვრება; თ) საჭიროა მათთვის აღშენებულ იქნეს სადგომები საზოგადოების ხარჯით (ეს აზრიც განხორციელდა ყოვლადსამღვდელო კირიონისა და ბ-ნ ევ. მამინაიშვილის ინსპექტორობის ჟამს) ი) უნდა შეკეთებულ იქნას ეკლესიები; კ) მრავლად გაიხსნას საეკლესიო სკოლები განსამტკიცებლად მთიელთა შორის ქრისტიანობისა და სხვ.[15]... როგორც სჩანს, მღვდელ მონაზონმა ლეონიდმა მტკიცედ მოკიდა ხელი თუშ-ფშავ-ხევსურთა შორის ქრისტიანობის აღდგენის და სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს.

1890 წელს ლეონიდმა იმოგზაურა ერწო-თიანეთში, სადაც მოსახლეობის წინაშე დასვა საკითხი სკოლების გახსნისა თავიანთი ხარჯით. არტანის საზოგადოება წინააღმდეგი წავიდა თავისი ხარჯით გაეხსნა სკოლა, მაგრამ მამა

ლეონიდის მიერ ახსნილი საუბრის შემდეგ თანახმანი გახდნენ თავიანთი ხარჯით გაეხსნათ სასწავლებელი. ასევე მოიქცა ლეონიდი ქვემო თიანეთში, სადაც მოსახლეობამ არტანის მსგავსად იკისრა სკოლის შესანახი ხარჯების გაღება. მამა ლეონიდის თხოვნით „საზოგადოებამ" თვითონ თავისი ხარჯით გახსნა და ააშენა სკოლა სოფ. ბარისახოში, რადგან ხევსურები ღარიბნი იყვნენ. ბარისახოში გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებელი, ხოლო არტანსა და თიანეთში ორკლასიანი სასწავლებელი.[16] თუშ-ფშავ-ხევსურეთში ქრისტიანობას დიდი ამაგი დასდო ბლაღოჩინმა ი. პერტაიამ, რომელიც ერთი უპირველესი მოღვაწეთაგანი შეიქმნა, ამ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. იგი თოვლს და ზვავებს არ უშინდება და ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადადის, რომ ყველას მონაწილეობა მიაღებინოს ხალხის წინამსვლელობის საქმეში. თავის სამრევლოშიც ბევრი რამ გაუკეთებია და თუ ასე გასტანა, ხალხი მალე ფეხზედ წარმოდგება და წელში გასწორდება__იუწყებოდა გაზეთი „ივერია" 1890 წელს.[17]

ლეონიდემ აღძრა შუამდგომლობა „ქრისტ. აღმ. საზოგადოების" წინაშე, რათა „საზოგადოებას" თავის ხარჯით განეახლებინა ლუთხუბნის სამრევლოში ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც დიდად პატივცემელია გუდამაყრელთა შორის. 1892 წელს მანვე გახსნა სკოლა პანკისისა, სადაც ცხოვრობდნენ მთებიდან გადმოსახლებული ქისტები, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს. ქისტებმა სკოლის მოსათავსებლად სახლი თავის ხარჯზედ აღაშენეს. მღვდელ-მონაზონმა ლეონიდემ სკოლის გახსნის დღეს შესაფერისი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც ურჩევდა მსმენელს შეეყვარებინათ სკოლა, როგორც გამავრცელებელი კეთილ-ზნეობისა და მთის ახალთაობის აღმზრდელი.[18]

დიდი კამათი გამოიწვია თიანეთის სკოლებში სწავლების გამო გაგზავნილმა კორესპოდენციამ, რომელიც გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე დაიბეჭდა 1895 წელს. „ქრისტ. აღმდ. საზოგადოების" მიერ დაარსებულ სკოლებში თიანეთში მღვდელ-ბლაღოჩინი კოშორიძე ასწავლიდა, რომელსაც უცნობი თიანეთელი კორესპოდენტი ბრალს დებდა იმაში, რომ იგი არ ატარებს ხსენებულ „საზოგადოების" სკოლაში გაკვეთილს და რომ სხვა ატარებს მის მაგივრად, ხელფასს კი კოშორიძე იღებსო.[19] ამ წერილს გამოეხმაურა ვინმე ჩხოკეთელი, რომელიც უარყოფდა ამ ბრალდებას „თიანეთელი კორესპოდენტისა" და იმოწმებდა სკოლებში გამოკითხულ მოსწავლეთა კარგ პასუხსა და მაზრის უფროსისა და „საზოგადოების" ინსპექტორის დასწრებას ამ სკოლაში გამოცდებზე, რომლებიც კმაყოფილნი იყვნენ მოსწავლეთა კარგი პასუხებით და სწავლით.[20] და ბოლოს რედაქციას მიმართა ლეონიდემ „საზოგადოების" ინსპექტორმა, რომელიც პირიქით მადლობას უცხადებდა კოშორიძეს. მოსწავლეთა კარგ მომზადებაში იგი იმოწმებს აგრეთვე მაზრის უფროსის პასუხს იმაზე, რომ კოშორიძეს სულ ორჯერ გაუცდენია გაკვეთილი, რომელიც „კორესპოდენტს" ხელ-

ზე დაუხვევია და 7 თვეზე აუყვანია ეს გაცდენა. მამა ლეონიდი თხოვს კორესპოდენტს პირადად მას აცნობოს ის ვინ ასწავლიდა საღვთო რჯულს კოშორიძის მაგივრად, რადგან მოსწავლეებმა ეს საგანი ასე კარგად იციან, რომ კოშორიძეს ხელქვეითებმა ასე კარგად თვითონ არ იციანო.[21] ესეც ჩვეულებრივი ქართული გაუტანლობის მაგალითი იყო.

1902 წლიდან როცა გაუქმდა ინსპექტორის თანამდებობა საერთოდ და სკოლების საქმე გადაეცა სამრევლო საეპარქიო საბჭოს. მან ზედამხედველად თიანეთის მაზრაში დანიშნა სოფ. პანკისის მღვდელი ალგუთაშვილი.

ამგვარად ცარიზმი ცდილობდა ყველგან გაეხსნა სკოლები, რომლებშიც მოამზადებდა ისეთ კადრს, რომელიც მას დაეხმარებოდა თავისი კოლონიზატორული პოლიტიკის გატარებაში. მაგრამ ამ სკოლებში აღზრდილი მოსწავლე-ახალგაზრდობა ისევე, როგორც სხვაგან თავის ნიჭსა და ენერგიას მშობლიური მხარის განათლებასა და აყვავებას ანდომებდა. მოსახლეობა გამოჰყავდა საღათას ძილისაგან, რადგან ცარიზმის მოხელეები უკვე ვეღარ ახერხებდნენ მათ მოტყუებას და დაჩაგვრას, ისე როგორც წინა წლებში.

§6. საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა სვანეთში

„ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ყურადღების ცენტრში მოექცა სვანეთი. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეფის მთავრობა სვანეთით უფრო ადრეც დაინტერესდა, როცა სცადა მისი პოლიტიკურად დამორჩილება, მაგრამ უშედეგოდ (რაზეც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი) ახლა ცარიზმმა ამ მიზნით ეკლესიის გამოყენება გადაწყვიტა.

XIX საუკუნის 30-იან წლებში მეფის რუსეთმა კავკასიის მთიანეთის საკითხი კვლავ წინა პლანზე წამოსწია. კავკასიის მთავარმართებელმა პასკევიჩმა სვანეთის დაზვერვა და სათანადო ცნობების შეგროვება დაავალა იმერეთის მმართველს გენერალ-მაიორ გესეს, რომელმაც სვანეთის მშვიდობიანი გზით დამორჩილების გეგმაც შეიმუშავა. მისი აზრით, მეფის მოხელეებს სვანეთის მფლობელები უნდა მიემხროთ, საჭიროების შემთხვევაში მათი გულის მოსაგებად თანხებიც უნდა გამოეძებნათ. მთავრობამ ბალსზემო სვანეთის შეერთების საკითხი იმჟამად ვერ მოაგვარა. დადეშქელიანთა შორის ჭიშპობა და ურთიერთ ბრძოლა მეფის მთავრობას მათ საქმეებში ჩარევისა და მედიატორის როლის შესრულებისათვის ნოყიერ ნიადაგს აძლევდა.

წყაროებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ დადეშქელიანთა მისწრაფება რუსეთის მფარველობაში შესულიყვნენ პირველ რიგში, ერთმმართველობის ხელში ჩაგდების წადილით იყო განპირობებული.[1]

სვანეთის შეერთებისათვის ცარიზმი სარწმუნოებრივ პოლიტიკასაც იყენებდა. მეფის მოხელეები ასნაირ ცრუ ვერსიებს ავრცელებდნენ სვანეთის

ქრისტიანობის ე.წ. გაქრობასა და მაჰმადიანობისადმი მიდრეკილებაზე თვით-მპყრობელობამ ქრისტიანული რელიგიის გავრცელების მოტივით სვანეთში სასულიერო დელეგაცია გაგზავნა. მოსახლეობა ჯერ კიდევ 1834 წელს მიხვდა, რომ დელეგაციის ნამდვილი მიზანი რუსეთისადმი ერთგულებაზე ხალხის დაფიცება იყო და მისი წევრები სვანეთიდან გააძევა. საქმეში ჩაერია საქართველოს მთავარმართებელი ბარონი როზენი, რომელმაც 1835 წელს ეგზარქოსს ევგენის მიმართა, შეემუშავებინა სვანეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების კონკრეტული გეგმა. ამ მიმართვის თანახმად ეგზარქოსმა იმავე წელს სვანეთში მიავლინა თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი ანდრია კულტიცკი და „ოსეთის სასულიერო კომისიის" დეკანოზი იაკობ ლომოური, მათ მივლინებას სვანეთში რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.[2] პირველი რელიგიური მისიების მარცხით დამთავრების შემდეგ, სვანეთში 1844 წელს სასულიერო პირთა დელეგაცია გაიგზავნა. მან ძველი მეთოდებით დაიწყო მუშაობა, მოსახლეობამ კვლავ გამოიცნო დელეგაციის სვანეთში ჩასვლის მიზანი და საქმე ამჯერადაც მისი (ე.ი. დელეგაციის__ვ.წ.) გაძევებით დაამთავრა. ყოველივე ამის გამო მეფის მოხელეები და ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსები სვანებს, თითქმის მუდამ აუგად მოიხსენიებდნენ, მათ ორთოდოქსალურ ქრისტიანულ მრწამს წარმართობად და მაჰმადიანობისადმი მისწრაფებად ნათლავდნენ.[3]

1847 წელს ბალსზემო სვანეთის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთს შეუერთდა, შეიქმნა „მულახ-იფარის" მცირე საბოქაულო. მის მმართველად დაინიშნა პორუჩიკი, თავადი ალექსანდრე მიქელაძე, რომელიც უშუალოდ რაჭის მაზრის უფროსს დაექვემდებარა. საბოქაულოს შტატი ბოქაულის, მისი თანაშემწის, თარჯიმნის, მწერლის და ორი დამტარებლისაგან შედგებოდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ თავი იჩინა არეულობამ, რაც მალე ახალი ადმინისტრაციისადმი აშკარა წინააღმდეგობაში გადაიზარდა. მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა 1849 წლის 23 თებერვალს, სვანეთის მცირე საბოქაულო გაეუქმებინა.[4]

"მულახ-იფარის" საბოქაულოს გაუქმებისთანავე მეფის მოხელეებმა განკარგულება გასცეს „ურჩი სვანებისათვის" საქართველოს ბართან ურთიერთობა აეკრძალა. ბარში სამუშაოდ სიარული კვლავ გაძნელდა,. ხოლო ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობა, საომარი ვითარების გამო, თითქმის გამორიცხული იყო. იზოლაციაში მოქცეულ სვანეთში შიმშილობა დაიწყო. მთავრობა კი სვანეთში სამხედრო ლაშქრობისათვის ემზადებოდა.[5] მთავრობამ, ფიზიკური განადგურების საფრთხეში ჩავარდნილ სვანებს მეზობელ კუთხეთა თავადებიც შეუჩინა. სვანეთის საბოქაულო უწინ რაჭის მაზრაზე იყო მიწერილი და ამიტომ მასთან ურთიერთობის მოგვარება თავად გრიგოლ წერეთელს დაეკისრა. ამ უკანასკნელმა ხალხის განწყობილების მოსასინჯად სვანეთში მღვდელი ს. გავაშელაშვილი გაგზავნა. მღვდელმა თავისი მისიის მიზანი

მხოლოდ უშგულში გაამხილა. იგი შეიპყრეს, მაგრამ ხვეწნა-მუდარის შემდეგ გაათავისუფლეს და „მღვდელი მისიონერიც" იძულებული იყო სოფელი დაუყოვნებლივ დაეტოვებია. თუმცა მას ამის შემდეგაც ხელი არ აუღია თავის „მისიაზე" და მალულად სხვა თემებსაც ესტუმრა. მან მესტიიდან, მულახიდან და იფარიდან, დიდი გასამრჯელოს დაპირებით, რაჭაში რამდენიმე აზნაურიც წაიყვანა. ფორმალური მოლაპარაკების შემდეგ აღნიშნული აზნაურები გრ. წერეთელმა სვანეთის დელეგაციად გაასაღა და ქუთაისში გუბერნატორთან ჩამოიყვანა. ამ უკანასკნელმა ჯელანი ბორჯომში მყოფ მეფისნაცვალ ვორონცოვთან გაგზავნა. მეფისნაცვალმა 1852 წელს „სვანეთის წარმომადგენლები" დიდი პატივით მიიღო, რამდენიმე კაცი კიდეც მონათლა და დასაჩუქრებული უკან დააბრუნა. ამ აზნაურებმა ხმები გაავრცელეს მეფისნაცვლის დიდ ჰუმანურობასა და სვანეთისადმი დიდ მზრუნველობაზე.[6]

1855 წლის აგვისტოში გენერალმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მეფისნაცვალ მურავიოვს მიართვა პატაკი, რომელშიც მოახსენებდა, რომ სვანებთან დაახლოებისა და მათი ქუთაისში მიზიდვისათვის საჭირო იყო გარკვეული თანხის გამოყოფა. ამ მიმართვაზე მეფისნაცვალს დაუწერია: „ეს თანხა გაიცეს და ამასთან ერთად თავად მუხრანსკის ეთხოვოს დაწვრილებით გვაცნობოს სვანეთში ქრისტიანობის გავრცელების წარმატების შესახებ.[7] სვანეთთან დაკავშირებით მეფის მოხელეები აქცენტს ხშირად რელიგიაზე აკეთებდნენ. ჩანს ასეთი გარემოება ცალკეულ მოხელეთა ცრუ ცნობებსა და სრულ გაუგებრობაზე იყო აგებული. ეტყობა ეს პრობლემა განგებ იმისათვის იყო მოგონებული, რომ მეფის მოხელეებს ჩრდ. კავკასიაში გაჩაღებული „საღვთო ომის" (მიურიდიზმის) წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, სვანეთის საქმეებში ჩასარევად იურიდიული უფლებამოსილება ჰქონოდათ. მეფის მოხელეთა „მზრუნველობა" სვანეთში ქრისტიანობის ე.წ. განმტკიცებისათვის ხალხისადმი ზრუნვით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ პირიქით, მათ წინააღმდეგ იყო გამოყენებული.

სვანეთის სრული და საბოლოო დამორჩილების შემდეგ ბოქაული მიქელაძე, რომელიც ხელახლა იქნა დანიშნული ამ თანამდებობაზე, თავდაპირველად ფრთხილად მოქმედებდა. ის ზოგჯერ საქმეს ისე წარმართავდა, თითქოს ხალხისათვის დაუცხრომლად ზრუნავდა. 1855 წელს სვანეთში გაიგზავნა რამდენიმე მღვდელი, რომლებიც ხალხის დაუკითხავად ეკლესიების „წესრიგში მოყვანას" შეუდგნენ. როდესაც მათ საეკლესიო ჯვარ-ხატების და სხვა ფასეულობათა შეგროვება დაიწყეს, ხალხმა გააფრთხილა ისინი შეეწყიტათ ასეთი მოქმედება. მღვდლებმა პირიქით თავიანთი საქმიანობის გაგრძელების ნებართვა მოითხოვეს და ქრისტიანული რელიგიის განმტკიცების საბაბით, ეკლესიების სიმდიდრის ძარცვაზე ხელის აღებას არ აპირებდნენ. ასეთ ვითარებაში სოფ. იფარში მღვდლები დააპატიმრეს და მხოლოდ გამოსასყიდის გადახდისა და დიდი ხვეწ-

ნა-მუდარის შემდეგ გაათავისუფლეს. უკან დაბრუნებულმა მღვდლებმა სვანებზე ჰორები გაავრცელეს თითქოს ისინი (ე.ი. სვანები) მაჰმადიანებს ეხმარებოდნენ და რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. ამას დაემატა სხვა ცრუ ხმებიც, თითქოს იფარის მოსახლეობამ თურქეთის მოლა და სხვა აგენტები მიიღო და სვანეთის ადგილმდებარეობაც კი დაათვალიერებინა. ეს ჰორები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მეფის მოხელეებს სვანების მიერ საკუთარი ეკლესიების სიმდიდრის დაცვა ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებად მოეხათლათ.

რაც შეეხება „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" საქმიანობას სვანეთში, აქ უნდა გამოიყოს გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა მიუხედავად სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობისა და ძნელად სავალი გზებისა გაბრიელ ეპისკოპოსი თითქმის ყოველთვის ადიოდა, როცა დროს გამონახავდა სვანეთში და აქ ადგილობრივ მრევლს უნერგავდა ქრისტეს და მოყვასისადმი სიყვარულს, პატივისცემას, სათნოებას. გაბრიელს მოგზაურობისას თან ახლდნენ სვანეთის ეკლესიის წარმომადგენლები და საერო ხელისუფალნი, ისინი ხშირად მოწმენი გამხდარან იმისა, თუ რა მძიმე განსაცდელში ჩავარდნილა ეპისკოპოსი გაბრიელი. 1873 წელს გაბრიელს უმოგზაურია სოფ. იფარში, ეცერში, ცხომარში, ბეჩოში, ლაილაშში, მესტიაში, მულახში, წვირმიშსა, კალასა და სხვ. ჩაუტარებია ღვთისმსახურება ამ სოფლის ეკლესიებში და შემდეგ იქვე შეკრებილი ხალხისათვის ქადაგებით მიუმართავს. გაბრიელი აღნიშნავს, რომ „სვანეთში ჩემი პირველი ჩამოსვლიდან ათი წლის მანძილზე მოსახლეობის ზნეობრივ-რელიგიურ ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები მოხდა უკეთესობისაკენ. სვანები თანდათან უარს ამბობენ თავიანთ წინანდელ ზოგიერთ ჩვეულებაზე და სულ უფრო მეტად ემორჩილებიან მართლმადიდებელი ეკლესიის წესსა და რიგს. დიდ მარხვაში ყველა სვანი მარხულობს და მღვდელმსახურებას და წირვა-ლოცვას აღასრულებენ მღვდლები და არა მახშვები, როგორც ადრე, თუმცა უნდა ითქვას, სამწუხაროდ, ისინი ჯერ კიდევ ცდილობენ ჩაერიონ საეკლესიო საქმეებში. სვანების ჩვეულებანი თანდათან რბილდებიან. მტრობა-მკვლელობა, სისხლის აღება და ა.შ. საგრძნობლად მცირდება."

უნდა აღინიშნოს, რომ „ქრისტ. აღმდ. საზოგადოება" ცდილობდა ყველგან აღედგინა დანგრეული ეკლესია-მონასტრები, დაეარსებინა სკოლები და ა.შ. სვანეთშიც დაარსებული იქნა რამდენიმე სკოლა იმ მიზნით, რომ აღზრდილიყო ადგილობრივი კადრი, რომელიც სვანეთის ათვისების საქმეში დახმარებას გაუწევდა რუსეთის მთავრობას. 1891 წელს სვანეთში სამი სკოლა იქნა აშენებული. „საზოგადოება" ყოველთვის ვერ უწევდა სკოლებს დახმარებას. ამიტომ სოფლის მოსახლეობა თვითონ კისრულობდა თავისი ხარჯით როგორც შეეძლო ისე გაემართა ხელი სკოლებისათვის, სადგომსა, შეშასა და

მოსასმახურეს ჩვენ ვიკისრებთო. სოფელ მულახელებმა იკისრეს სასწავლებლის სადგომი, მოსამსახურე და 200 მანეთი სასწავლებლის მოწყობისათვის.[10] როცა „საზოგადოებამ" სოფ მესტიაში გამოგზავნა მასწავლებელი, მესტიელებს უარი განუცხადებიათ ბლაღოჩინისათვის ნაკისრი ვალდებულების შესახებ რამეთუ მათ რიგებში გავრცელებულა ცნობა რომ ამ „საზოგადოების" სკოლები „ფარშივია" და არაფერს შევწირავთო, რაზეც ბლაღოჩინი გაბრაზებულა. მას უნდოდა მოეხსენებინა მთავრობისათვის, მაგრამ მესტიელები მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და ბლაღოჩინის პატიება სთხოვეს და სკოლაც გამართეს."

საერთოდ XIX საუკუნის საქართველოს პრესის ფურცლებზე ხშირად იმართებოდა კამათი სვანეთის სასულიერო მდგომარეობის საკითხებზე. გამოითქმებოდა გულისტკივილი იმის გამო, რომ ზოგჯერ უძველეს ქრისტიანულ მოსახლეობაში გასავალს პოულობდა ცრურწმენა და კერპთაყვანისცემა. მაგალითად თავადი ქაიხოსრო გელოვანი 1885 წელს გაზ. „დროებაში" წერდა: „რამდენს საუკუნეს გაუვლია მას შემდეგ, რაც დროთა მიმდინარეობას ვერაფერი ცვლილება ვერ მოუხდენია აქ. მაგრამ ამ შემთხვევაში მარტო ხალხი დამნაშავე არ არის; ცოტად თუ ბევრად ჩვენს სასულიერო უწყებასაც უდევს ბრალი. იქ სადაც ხალხი ჯერ კიდევ ვერ არის საკმაოდ განვითარებული ქრისტეს უმაღლეს სწავლასა და მოძღვრებაში იქ, სადაც ხალხის ტვინი ჯერ კიდევ ვერ არის გაწმენდილი ძველი კერპთაყვანისცემისაგან. შთანერგილ ცრუ რწმენისაგან, იქ, სადაც ხალხს გონებით სიბნელისაგან ჯერ კიდევ ვერ გადმოუბიჯებია—უნდა იყვნენ ისეთი სულიერი მამები დაყენებულნი, რომლებიც ზედმიწევნით არიან გაცნობილნი და განვითარებული მაცხოვრის სჯულსა და მის კანონებში, რომელთაც უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლა და განათლება დასრულებული ღვთისმეტყველებაში, რომ თვისის მაგალითებით სჯულის კანონებისა და წესების ახსნითა და განმარტებით თვისის მოძღვრებით და ხშირის ქადაგებით ხალხი გააცნოს და დააახლოვოს წმინდა ეკლესიას, რომ იმას (სასულიერო პირს—ვ.წ.) შეეძლოს შესაფერად განმარტება, ახსნა და ხალხის გასაგონ ენით გარდაცემა იმ უმაღლესის სწავლისა და მოძღვრებისა, რომელსაც გვაძლევს ჩვენ წმინდა სახარება."[11] აი ამისთანა მოძღვრებას შეუძლიან ძალიან მალე მოსპონ სვანეთში ყოველი ის ურიგო და სჯულის წინააღმდეგი ჩვეულებანი, რომელსაც დღეს ვხედავთ."[12]

ასეთივე გულისტკივილს გამოხატავს გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილი წერილი, რომელიც მღვდლების და პოლიციის ურთიერთობას ეხება. მასში ნათქვამია—„ჩვენში სამღვდელოება და პოლიცია ვერ მორიგებულან, ერთმანეთი სძულთ და სვანებსაც კიდევ ორივენი შესძულდნენ (თავიანთი ქმედებების გამო—ვ.წ.), როგორც დავრწმუნდი აი რა ყოფილა უმთავრესი მიზეზი სიძულვილისა; რაც სვანეთში სამღვდელოება შემოვიდა (იგულისხმება ცარიზმის

საეკლესიო მოხელენი__ვ.წ.) მას შემდეგ სამღვდელონივე იყვნენ სოფლის მწერლებად, მით უფრო, რომ სვანეთში ეხლაც კი, არამც თუ მაშინ ძალიან ძვირად იპოვება წიგნის მცოდნე კაცი, რასაკვირველია მწერლებს დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხში და თავიანთი სარგებლობაც შეეძლოთ, ხშირად ხდებოდა, რომ თითონ მწერლობრივ არჩევდნენ საქმეებს, მოჩივარი პირდაპირ მღვდლებთან მიდიოდა საჩივლელად და არა მოხელეებთან, მოხელეებიც სულ მუდამ საჩივარს მღვდლების სახლში არჩევდნენ. მღვდლებსავე პოლიციაც ხელში ჰყავდათ, რადგან სასოფლო კანცელარიები არ იყო სოფლებში. ვინიცობაა ბოქაული ანუ მისი თანაშემწე სოფელში წავიდოდნენ, უთუოდ მღვდლის სახლში უნდა ჩამომსხდარიყვნენ და თუ სადმე გამოსაძიებელი საქმე ჰქონდათ, როგორაც მღვდელი უჩვენებდა ისე დასწერდნენ.“[14]

როცა ეს ამბავი მაზრის უფროსმა ალშიბაიამ (ეხლანდელმა უფროსმა__ვ.წ.) გაიგო განკარგულება გასცა ყოველ „საზოგადოებაში“ სასოფლო კანცელარიისათვის სპეციალური შენობები აეგოთ. მაზრის უფროსის განკარგულება შესრულებული იქნა.[15]

მტკიცება იმისა, რომ სვანეთში ქრისტიანობა შესუსტებული იყო და საერთოდ არც ისტორიულად არსებობდა, ცხადია ცარიზმის მესვეურთა მონაჩმახსა და მტკნარ სიცრუეს წარმოადგენდა, როგორც უკვე აღინიშნა ასეთ აზრს რუსი ჩინოვნიკები ავრცელებდნენ. ნამდვილად კი სვანეთში საეკლესიო-სამონასტრო მოძრაობა, ჯერ კიდევ VIII-X საუკუნეებში იყო გაშლილი, რომლის უტყუარი დამადასტურებელია იმ დროს აგებული, საკულტო ნაგებობანი და ეკლესია-მონასტრები, აგრეთვე შესანიშნავი ხელნაწერები და უბრწყინვალესი საეკლესიო მხატვრობა.

სვანეთის საკლესიო ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს „სვანეთის საეკლესიო კრებათა პირველი და მეორე მატიანეები“, აგრეთვე სვანეთის საისტორიო ძეგლები და სხვადასხვა სახის წარწერები თუ მინაწერები.

ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლის და იმერეთის სამეფოსაგან საბოლოო გამოყოფის შემდეგ სვანეთის ეკლესია-მონასტრების სასულიერო ისე როგორც საერთოდ, საერო-საზოგადოებრივი ცხოვრება დაქვეითდა. თანდათან შემცირდა საეკლესიო ყმა-მამულები, შენელდა ქვეყნის განვითარებულ ცენტრებთან ასევე იერუსალიმის ქართულ სამონასტრო კერებთან კავშირ-ურთიერთობა. სასულიერო დარგის განათლებულ მსახურთა და მწიგნობართა რიცხვი თანდათანობით შემცირდა ჟამთა სიავის გამო, სვანეთის სასულიერო მოღვაწეებს არა თუ ერთმორწმუნე უცხოეთთან გაუწყვეტია კავშირი, არამედ, ხშირად, საქართველოს ცენტრებთან ურთიერთობაც კი გაძნელებიათ. XVII საუკუნის უცხოელი მისიონერები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სვანეთი

ქრისტიანული ქვეყანაა, მაგრამ ხაზს უსვამდნენ აქაური საეკლესიო წეს-წყობილების დაქვეითებას და გადასხვაფერებას. სვანეთის ცხოვრების საერთო დაქვეითებამ თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკლესიის ცხოვრებაზე, მაგრამ მოსახლეობის ქრისტიანული რწმენა აქ მძიმე (XVII-XVIII საუკუნეებშიც) ხანაშიც კი არ შერყეულა, რასაც ნათლად მოწმობს არა მარტო ეკლესიებისა და მთელი მათი სიმდიდრის დაცვა, არამედ წერილობითი წყაროც „სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე".[16]

მაშ რაშია საქმე, რატომ ავრცელებენ ხმებს ცარიზმის მოხელენი (როგორც საერო ისე სასულიერო) და ისტორიკოსები თითქოს სვანეთში საჭირო იყო ქრისტიანობის შეტანა და გავრცელება წინააღმდეგ შემთხვევაში იქ მაჰმადიანობა გაიმარჯვებსო და ა.შ. ჩვენი აზრით ყველაფერი ეს სვანეთში ცარიზმის კოლონიურ-დაპყრობით მიზნებს ემსახურებოდა. ამ პოლიტიკას, ცხადია ჭირდებოდა ნიადაგი-საფუძველი, რომელიც როგორც ქვეყნის შიგნით (თუნდაც ქართველებში) ასევე ქვეყნის გარეთ (მაჰმადიანური ქვეყნების და არა მარტო მაჰმადიანური) გაამართლებდა მის საეკლესიო პოლიტიკას. მას უნდა შეენიღბა ცარიზმის მისწრაფება, რაც შეიძლება მალე „აეთვისებინა" ეს მხარე და მოეხდინა მისი მოსახლეობის ასიმილაცია. ამ მიზნით შეიქმნა „ოსეთის სასულიერო კომისია" და მის ბაზაზე „ქრისტ. აღმდ. საზოგადოება" კავკასიაში", რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ცარიზმს. „საზოგადოების" მიერ გახსნილი სკოლები, მართალია, ერთი მხრივ ამზადებდნენ ცარიზმის ერთგულ მსახურებს, მაგრამ მეორე მხრივ ისინი ამ მხარეში განათლების, კულტურის, ქრისტიანული რელიგიის, ცოდნის ამაღლებისა და განვითარების საქმესაც უწყობდნენ ხელს. ამ სკოლა დამთავრებული კადრების გარკვეული ნაწილი შემდეგ დგებოდა მხარის და ქვეყნის სამსახურში და თავის ენერგიას და ცოდნას ახმარდა მშობლიურ მხარეში განათლებისა და კულტურის საქმეს.

§7. საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა აჭარაში

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც აჭარა დედა-სამშობლოს შემოუერთდა (დაუბრუნდა) ბუნებრივია ქრისტიანობის ეს ძველი მხარე „ქრისტ. აღმდ. საზოგადოების" ყურადღების გარეშე ვერ დარჩებოდა.

მეფის რუსეთის მიერ 1878-1917 წლებში აჭარაში ჩატარებული სარწმუნოებრივი საქმიანობა ნაწილია იმ საეკლესიო პოლიტიკისა, რომელსაც ცარიზმი საუკუნეების მანძილზე ეწეოდა იმპერიაში შემავალი მცირე ერების თუ ეთნიკური ჯგუფების მიმართ. ამ პოლიტიკის მიზანი იყო რუსული მართლმადიდებლური სარწმუნოება გაევრცელებინა ყველა იმ ხალხებში, რომელიც სხვა სარწმუნოებას აღიარებდა. ამ გზით ე.ი. სხვა ხალხების რუსეთის ოფიციალურ

სარწმუნოებაზე მოქცევით მეფის რუსეთი უფრო წარმატებით ახორციელებდა თავის კოლონიურ პოლიტიკას[1].

მედგარი წინააღმდეგობა რომ არა, აჭარლებიც დაკარგავდნენ მშობლიურ ენას, ადათ-წესებს, მიივიწყებდნენ თავიანთ წარმოშობას. დედა-სამშობლო საქართველოს და ცხადია გადაგვარდებოდნენ. ასე არ მოხდა იმიტომაც, რომ აჭარა განთავისუფლდა და დედა-სამშობლოს დაუბრუნდა. მაგრამ, სამწუხაროდ აქ უფრო მეტი მეჩეთი და მედრესე სწორედ ამ დროს აიგო. რამაც კულტის მსახურთა საქმიანობა მნიშვნელოვნად გააქტიურა. მეფის ხელისუფლებას რა თქმა უნდა, უფრო ის სურდა, რომ მოსახლეობა ჩამორჩენილი და ისლამის ფანატიზმით შეპყრობილი ყოფილიყო. მით უმეტეს იმხანად აჭარლებს ქართველებად არ თვლიდნენ. ასე რომ „გათიშე და იბატონეს" პოლიტიკა ხელს აძლევდა ცარიზმს. ამიტომაც იყო, რომ მეფის რუსეთს არ მოუნდომებია აჭარლების გაქრისტიანება. სხვათა შორის, არც კავკასიის, ვოლგისპირეთის ყაზახეთისა და შუა აზიის მუსლიმანი მოსახლეობის გაქრისტიანება უცდია[2].

რუსეთის ცარიზმს, რომ მართლაც არ სურდა აჭარაში ქრისტიანობის აღდგენა, ამას ცხადყოფს ასეთი ფაქტი: 1888 წელს საქართველოს ეგზარქოსს პალადის განკარგულებით ბათუმ-ართვინის მაჰმადიან მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების არსებობის გამოსაკვლევად იქ იმოგზაურა არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა) იგი მოსახლეობაში სრულიად სხვა განწყობილების მოწამე გახდა. გამოირკვა რომ ბათუმისა და ართვინის ოლქებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი, ჩუმად კიდეც ლოცულობენ და მამა-პაპურ ადათ-წესებსაც არ ივიწყებენ. არქიმანდრიტი არწმუნებდა ეგზარქოსს, რომ თუ მოინდომებენ, შემოერთებული მაჰმადიანური ქართველების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაბრუნება დიდ სიძნელესთან არ იქნებოდა დაკავშირებული. მაგრამ არც ეგზარქოს პალადის და არც კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას"--წერს მკვლევარი შ. ლომსაძე--არაფერი გაუკეთებიათ ამ მიმართულებით, პირიქით, რუსეთის მეფის პოლიტიკა შეგნებულად აბრკოლებდა შემოერთებულთა თვითგამორკვევასა და ცდილობდა ფანატიზმის ამავე დონეზე დატოვებს, ვიდრე არ მომზადდებოდა პირობები მათი გათქვეფისათვის[3].

მეფის მთავრობას აჭარის შემოერთებისთანავე არ დაუწყია მაჰმადიანი ქართველების (აჭარლების) გაქრისტიანების პროპაგანდა. მათ იცოდნენ, რომ აჭარაში ძლიერად არის გამჯდარი მუსლიმანური ფანატიზმი და მისიონერთა მიერ ქრისტიანობის პროპაგანდა უფრო დააფრთხობდა ხალხს.

აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ როდესაც დამთავრდა მაჰმადიანი ქართველთა თურქეთში ნებით გადასახლების ვადა (1882 წ.), რომელიც ბერლინის ტრაქტატით იყო გათვალისწინებული და როცა 1886 წელს ჩაიკეტა რუსეთ-თურქეთის საზღვარი. რუსეთმაც აამოქმედა თავისი

საეკლესიო პოლიტიკა ბათუმის ოლქში (აჭარაში) მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების გასაქრისტიანებლად. სამისიონერო საქმიანობის დაწყებამდე 1885 წ. მთავრობამ ბათუმში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ინიციატივით ააშენა ეკლესია, რომელიც ალექსანდრე ნეველის სახელზე აკურთხეს. გუბერნატორის აზრით ეს ეკლესია იყო ცარიზმის მიერ საქართველოს დამორჩილების სიმბოლო. მთავრობის აზრით, აღნიშნული ეკლესია აშენებული იყო არა ბათუმის მოქალაქეთა სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არამედ იქ მცხოვრები რუსი და სხვა არაქართველი მოსახლეობის გაქართველების საწინააღმდეგო საშუალებად. მალე ამ ეკლესიაში აიკრძალა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე და გადაეცა სამხედრო უწყებას.[4]

მას შემდეგ რაც პოლიტიკურად მომწიფდა ამინდი და რუსეთი აშკარად ძალის პოლიტიკაზე გადავიდა თურქეთთან დამოკიდებულებაში—ქალაქი ბათუმი პორტო-ფრანკოდან უშუალოდ რუსულ მმართველობას დაუმორჩილა და თურქეთის პროტესტებს არაფრად აგდებდა. ცარიზმმა შეცვალა თავისი ე.წ. ლოიალური გზა მისიონერობისა და პირდაპირ, ღიად დაიწყო აჭარაში ქრისტიანი მისიონერების გაგზავნა და პროპაგანდა. ამ მიზნით 1889 წ. ბათუმში დაარსდა „კავკასიაში მართლმადიდებელ-ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების აჭარის (ბათუმის) განყოფილება. მას სათავეში ედგა „განსაკუთრებული კომიტეტი", რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: „ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე თავადი ერისთავი, გენერალ-მაიორი თავადი გრიგოლ გურიელი, ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწე თავადი ლორთქიფანიძე, არქიმანდრიტები ვენიამინი და ამბროსი, ბათუმის ეკლესიის დეკანოზი სიმონ ქიქოძე და აზნაური ი. მეუნარგია".

ეგზარქოს პალადის მითითება იყო, რომ განსაკუთრებული კომიტეტი დაკომპლექტებულიყო ქართველებით რადგანაც მათ იციან რა თავიანთი ენა და სულიერი განწყობილება, მისიონერული საქმიანობაც შედარებით ნაყოფიერი იქნებაო.

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი ვ. ტარტარაშვილი ამ კომიტეტის მუშაობას აჭარაში (ბათუმი, ართვინის ოლქები) უნაყოფოდ თვლის. კომიტეტმა ერთი აჭარელიც კი ვერ გააქრისტიანა და „საზოგადოების" მიერ გაწეული უამრავი ხარჯი უქმად გადაიყარაო. საქართველოს ეგზარქოსი პალადი წმინდა სუბიექტური მიზეზებით ხსნიდა აჭარის მაჰმადიან ქართველებში ქრისტიანულ-მისიონერული საქმიანობის ჩაშლას, ეგზარქოსი წერდა, რომ გარდაიცვალა ამ საქმის (მისიონერული მუშაობის) სულისჩამდგმელი თავადი გურიელი, კომიტეტის მეორე ენერგიული წევრი ვიცე-გუბერნატორი თავადი ერისთავი გადადგა, ხოლო კომიტეტის სხვა წევრები ბათუმში არ ცხოვრობდნენო.[5]

სამისიონერო განყოფილების საქმიანობის შესახებ საკმაოდ ნათლად მიგვანიშნებს 1890 წლის 21 თებერვლის სხდომა, რომლის თითქმის ყველა მონა-

წილე ამ განყოფილების დაარსების საჭირო და დროულ საქმედ თვლიდა. მაგრამ ამავე დროს ფრთხილ და წინდახედულ მოქმედებას მოითხოვდა. მათ არც ის თავისებურება რჩებოდათ გაუთვალისწინებელი, რომ „ოსმალთა მიერ მიტაცებული ქართული რეგიონებიდან აჭარის მოსახლეობამ ჯერ-ზე კარგად შემოინახა და შეინარჩუნა ქართული ენა, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები. მაგრამ დროთა ვითარების გამო მამაპაპურ სჯულზე დაბრუნება დიდ სიძნელეებს უკავშირდებოდა. ამდენად მისიონერთა ყოველ დაუფიქრებელ, გაუფრთხილებელ ნაბიჯს შეეძლო მეტად რთული ვითარება შეექმნა. ამის გამო სხდომამ სავსებით სწორად გადაწყვიტა დროებით უარი ეთქვა სამისიონერო პროგრამის განხორციელებაზე და წინა პლანზე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი წამოეწია. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ სხდომამ დაასკვნა, რომ ბათუმის და ართვინის ოლქებში გაეგზავნათ ორ-ორი წარმომადგენელი ერთი სასულიერო და ერთიც საერო, რომლებიც ადგილზე შეისწავლიდნენ ვითარებას წინასწარ შედგენილი ინსტრუქციის მიხედვით: 1) აღეწერათ ყველა ქრისტიანული ძეგლი, რომელიც სამოღვაწეო ადგილებში იყო და აღერიცხათ ის ეკლესიები, ტაძრები და მონასტრები, რომელთა აღდგენა შესაძლებელი იყო; 2) მიეთითებინათ ის დასახლებული ადგილები, სადაც შესაძლებელი და აუცილებელი იყო სკოლების გახსნა; 3) განესაზღვრათ ის პუნქტები, სადაც მისიონერებს მოსახლეობა კეთილად მიიღებდა; 4) შეესწავლათ თავიანთი სამოღვაწეო ასპარეზზე თუ რამდენად შემორჩა ადგილებზე ძველი ქრისტიანული ადათჩვევები.[6]

ამ დადგენილებით 1890 წ. ივნისსა და ივლისში, ყოვლად სამღვდელოს მინდობილობით ხსენებულს ოლქებში გაემგზავრნენ, ოზურგეთის მაზრის მღვდელი ექვთიმე თალაკვაძე და გურია-სამეგრელოს სამისიონერო განყოფილების წევრი და საქმის მწარმოებელი აზნაური იონა მეუნარგია. ჟურნალი „მწყემსი" წერდა__ამ პირების დანახვა არა თუ საწყენათ არ დაურჩა ამ ადგილების გამაჰმადიანებელ მკვიდრთ. პირიქით ისინი დიდ პატივს სცემდნენ მათ, როგორც მოწმობს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად ნამყოფი აწ განსვენებული გროსმანი. ერთ საზოგადოებაში იმდენად პატივი სცეს ხსენებულ პირთ, რომ რადგან ხეირიანი ბინა ვერ უშოვნეს მათ ღამის გასათევად, თვითონ მეჩეთში მოუსვენეს სტუმრებს ერთი ღამე.

მღ. ექ. თალაკვაძემ და ბ-ნმა ი. მეუნარგიამ იწყეს მოგზაურობა ქობულეთიდან სოფელ ზემოხინოში. მათ დაათვალიერეს ხინოწმიდის ძველი საკრებულო ტაძრის ნანგრევები. აქ მღვდელმა თალაკვაძემ შეასრულა პარაკლისი, რომელზედაც დაესწრო მრავალი მაჰმადიანი, აქედან მისიონერნი გაემგზავრნენ აჭარისაკენ და მთელი ეს მხარე დაიარეს და დაათვალიერეს, რაც კი შესანიშნავი ნაშთები იყო არქეოლოგიის მხრივ. ყველა ძველ ტაძრებში მღ. თალაკვაძე იხდიდა სამადლობელ პარაკლისებს, რომელზედაც მრავალი მაჰმადიანი ესწრებოდა.[7]

„კომიტეტის მიერ გონიერი და გეგმაზომიერი მოქმედების საფუძველზე შესაძლებელი გახდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურული აღორძინების ვრცელი პროგრამის შემუშავება: 1) დაწყებითი სკოლების გახსნა ქობულეთში, ხულოში, ქედაში, მარადიდში და მურღულში, ამათგან პირველი ორი დიდი სოფელი იყო, მოსახლეობით და ადგილობრივ ხელისუფლების ცენტრებს წარმოადგენდნენ. სკოლების გახსნას კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან ისინი ხელს შეუწყობდნენ ხალხში ზოგიერთი მივიწყებული ეროვნული კულტურის ჩვევების აღდგენას; 2) სამკურნალო დაწესებულებების გახსნა ტბეთის ცნობილ ტაძართან (ართვინის ოლქი) და ქედაში (ბათუმის ოლქი); 3) აღნიშნულ ადგილებში სასულიერო პირთა გაგზავნა, რომლებიც მედიცინაშიც იყვნენ გათვიცნობიერებული და ხელსაყრელ პირობებში ძველ ტაძრებსა და ოჯახებშიც საეკლესიო რიტუალებს განახორციელებდნენ.[8]

საქართველოს ეგზარქოსმა, რომელიც მეფის ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდა, აჭარიდან გაანთავისუფლა ქართველი მისიონერები, რომლებიც, მისი აზრით, ხელს უწყობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული სულის აღორძინებას. მათ ადგილზე კი გაამწესა ბერძენი და რუსი სასულიერო პირები, თუმცა მათი სამრევლოები აჭარაში იყო. აქამდე აქ მღვდლებისა და მისიონერების დანიშვნა იმერეთის ეპისკოპოსის ფუნქციებში შედიოდა. ეგზარქოსმა მას ეს უფლება ჩამოართვა და ახლა თვითონ ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. კიდევ მეტი, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა მოითხოვა მღვდელ ლუკა ხუნდაძის სხვაგან გადაყვანა, რადგან ის იყო აჭარაში ქართული საქმის ერთ-ერთი თავდადებული მებრძოლი.[9] 1902 წელს უწმინდესმა სინოდმა თავის გადაწყვეტილებით აჭარაში ჩამოსახლებული რუსი მოსახლეობისათვის ააშენა ქვის ეკლესიები. მთავრობა ზრუნავდა რუსი სასულიერო პირების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.[10]

მიუხედავად იმისა, რომ „საზოგადოება" ატარებდა ცარიზმის მიერ დაკვეთილ პოლიტიკას და სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა. მისმა აჭარის განყოფილებამ, რადგან იგი ქართველებით იყო დაკომპლექტებული მაინც დადებითი როლი შეასრულა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, რაც ხელს უწყობდა ქართველ მაჰმადიანებში ეროვნული სულისკვეთების აღდგენასა და განმტკიცებას. ეს იყო და ეს. ამის იქით ბათუმის სამისიონერო განყოფილების მოღვაწეობა არ წასულა. მაგრამ ეს კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მაშინ საამისო პირობები და ვითარება არ არსებობდა და არც შემდგომში შექმნილა. ცარიზმი ქართველ სასულიერო პირებს სამისიონერო საქმიანობაში ნაკლებად

ენდობოდა. მაქსიმალურად ცდილობდა ისინი რუსებით შეეცვალათ. მათ შორის ბევრი იყო მეჩრთამე მრუში და სახელგატეხილი მოხელე-ჩინოვნიკი, რომლებიც თავიანთ მრევლის მორალურ-ზნეობრივ გაკეთილშობილებაზე, ნაკლებად ზრუნავდნენ.

§8. „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" საიმისიონერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა

„გაქრისტიანების საბაბით, როგორც კავკასიის სხვა ნაწილში, ისე ოსეთშიც დაიწყო ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის განხორციელება.

მეფის თვითმპყრობელობას კოლონიალური მიზნების განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" და მისი წინამორბედი „ოსეთის სასულიერო კომისია".

მეფის თვითმპყრობელობა ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის გავრცელებით ცდილობდა მთელი კავკასიისა და მათ შორის__ოსეთის· თავის გავლენის ქვეშ მოქცევას. როგორც წინა თავებიდან ვიცით რუსეთის მეფის ხელისუფლებამ „ოსეთის გაქრისტიანებისათვის" შექმნა მისიონერული კომისია, რომლის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ ჩვენ წინა თავებში ვისაუბრეთ. ახლა კი შევეცდებით ვისაუბროთ XIX საუკუნის მეორე ნახევარში რა გააკეთა ამ თვალსაზრისით საქართველოს საეგზარქოსომ უშუალოდ „ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ კავკასიაში".

კავკასიის კოლონიზაციის დაჩქარებისათვის მეფის თვითმპყრობელობა სკოლებსა და ეკლესიების ქსელის გაშლას აჩქარებდა. კავკასიის ხალხთა დაპყრობის პოლიტიკა ამ ხალხთა ზედაფენებზე დაყრდნობით (სკოლების გამოყენების გზით) ხორციელდებოდა.

ოსეთში 1864-1866 წლებში ჩამოყალიბდა ვაჟთა და ქალთა ორკლასიანი სკოლები. მათ შორის ვლადიკავკავის ქალთა ორკლასიანი რეორგანიზებული (1865 წ) სასწავლებელი. 1880 წლის 13 მაისს ვლადიკავკავის ოს ქალთა სკოლის მთელ მუშაობას გაეცნო კავკასიის მეფისნაცვალი, რომელმაც მოიწონა იგი. რაც დრო გადიოდა ოსეთში ბევრი იყო მსურველი სწავლისა, რაც მოითხოვდა სკოლების გახსნას.

ოსეთში 1862 და 1863 წლებში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" სამოქმედო ტერიტორია დაყოფილი იყო: 1) ვლადიკავკაზის (ბლაღოჩინი დეკანოზი კოლიევი) 2) არდონის (მიხეილ სუხიევი); 3) დიგორის (ალექსი ალადჯიკოვი); 4) ჯავის (პეტრე კონჩუევი); 5) ორტევის (სოლომონ კანდელაკი) საბლაღოჩინოებად და ცალკე „საკრებულოებად". „ვლადიკავკავის საბლაღოჩინოში" 12 სამრევლო საზოგადოებიდან საეკლესიო-

სამრევლო სკოლები არსებობდა მხოლოდ 6 სამრევლოში, მათ შორის: ვლადიკავკავის (ქალთა სკოლა, რომელსაც თვით კოლიევი ხელმძღვანელობდა), დალაკაუსკის (ღურბელაძე), ბატაკო-იურტოვსკის (ხარებოვი), კადგერონის (ბედიევი) დარგკოხის (მარკოზოვი) და საუდაღსკის (ჯანუევი) სამრევლოებში.[2]

არდონის „საბლაღოჩინოს" 10 სამრევლოდან სკოლები მოქმედებდა 3-ში, მათ შორის, არდონსა, ნარსა და სადონში (აქ ქართველი მღვდლები ემსახურებოდნენ: ღოლაძე, ბალაძე, ხატისკაცი, სამარგულიანი და სხვ.)

დიგორის 7 საზოგადოებიდან სკოლები იყო მხოლოდ ვოლნოხრისტიანოვსკის, გალოცკის, მიზერის და მეხჩინის სამრევლოებში. სადაც ცნობილი სემინარიელი მოღვაწის ალაჯიკოვის გარდა საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ მღვდლები: აღლაძე, სურგულაძე, გიუნაშვილი, და სხვები.

ჯავის „საბლაღოჩინოს" 13 საზოგადოებიდან სკოლა მხოლოდ ორტევის, ბესტავაანთსოფლის, კუცოეთის და წინასოფლის სამრევლოებს ემსახურებოდა. (აქ იყვნენ კანდელაკი, ლომოური, ელიაშვილი, ცხვედაძე, ოქროპირიძე, პაპიაშვილი და სხვ.)

1862 წლის 1 იანვრისათვის „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" შემოსავალი სულ 407593 მან და 18 1/2 კაპიკს შეადგენდა, ხოლო გასავალი 26358 მან. და 27 1/2 კაპიკს. აქედან სკოლებსა და მოსწავლეთა შენახვაზე მხოლოდ 2956 მან. და 3 კაპ.[3] ეს ციფრები ნათლად მეტყველებენ „საზოგადოების" მხრივ სკოლებისა და ხალხის განათლების საქმეებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და ეკლესიის მსახურთა უპირატესი მდგომარეობის შესახებ.

სკოლების უმთავრესი მიზანი ოსეთში (ისევე, როგორც სხვაგან) იმდენად მთიელთა კულტურის ამაღლება როდი იყო, რამდენადაც ხალხში ქრისტიანობის გავრცელება, მართლმადიდებლური სარწმუნოების დანერგვა და რუსეთის მეფის--იმპერატორის ერთგულების რწმენის გაძლიერება.

„საზოგადოების" ხელმძღვანელობა თავისი მისიონერული მიზნების განხორციელებისათვის ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. საქართველოს ეგზარქოსის--ევგენის გამოთქმით, ეკლესიებისა და სკოლებისათვის შერჩეული უნდა ყოფილიყო ისეთი პირები, რომლებიც „აღზრდილნი არიან მშობლიურ სასულიერო სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში... აქვს რა მიზნად ღვთისადმი ერთგულება და სამსახური, მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელება პოლიტიკურ მიზანსაც უნდა შეიცავდეს".[4]

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა კორესპონდენციები ოსეთიდან, რომელსაც ხელს აწერდა „ქართველი ოსებში" (ფსევდონიმია)--ნ. ბაკურაძე, რომელიც ჩრდ. ოსეთში მღვდლად მუშაობდა. მისი კორესპონდენციები შეეხებოდა ოსეთში მიმდინარე ყოველდღიურ მოვლენებს და ქართველ მკითხველ საზოგადოებას საშუალებას

აძლევდნენ ამ მოვლენების საქმის კურსში ყოფილიყვნენ. ბევრს წერდა იგი ოსთა რელიგიურ ზნე-ჩვეულებებზე ჟურნალ „მწყემსის" ფურცლებზე. 1891 წლის გაზეთ „ივერიაში" ვკითხულობთ მის წერილს, რომელიც ეხება სოფელ ბესლანში სკოლის გახსნის თაობაზე: „სოფ. ბესლანის მცხოვრებნი 40 წლის წინათ გადმოსახლებულან მთის სხვადასხვა ადგილიდან, სადაც რამდენიმე ოჯახს ქრისტიანს მოუპყრია თავი, მაგრამ მაჰმადიანთა შიშით ვერარ გაუბედიათ აშკარად ქრისტიანული წეს-ჩვეულებების ჩატარება, რადგან მღვდელი არ ჰყავდათ, მაგრამ გამოჩნდა ვინმე გაკა გუთიევი, რომელიც არ შეუშინდა მაჰმადიანებს და „საზოგადოების" ინსპექტორს მამა ლეონიდს (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს—ვ.წ.) დახვდა სოფ. ოლგინსკოშივე და სთხოვა მათ სოფელშიც მობრძანებულიყო და სკოლის გახსნა ეშუამდგომლა „საზოგადოების" წინაშე. ხოლო სკოლისათვის შენობას სოფელი იკისრებდა, ხოლო მასწავლებლის ხელფასი „საზოგადოებას" გაელო. რასაც ლეონიდი დასთანხმდა და კიდეც შეასრულა, მაჰმადიანებს პირი მიეცათ ერთმანეთისათვის, რომ ბავშვები არ მიეცათ სკოლაში, მაგრამ შემდეგ, რომ არავინ შეეხვეწა—წერს „ქართველ ოსებში"—თვითონ მიიყვანეს ბავშვები სასწავლებლად. ასევე მონდომებით შედგომია გ. გუთიევი სოფ. ბესლანში ეკლესიის მშენებლობას. პირადად მას 20 თუმანი ნაღდი და ეკლესიისათვის საჭირო აგური მიუზიდნია. ხოლო დანარჩენს „საზოგადოებიდან" ითხოვდა, როცა „საზოგადოებიდან" ფულადი შემწეობა არ მოსულა ახლა დახმარება მას უთხოვია კავკავის ეპისკოპოს პეტრესათვის, რომელიც მალევე გადაუყვანიათ სხვაგან, ხოლო მისი შემცვლელი იოანიკე დაპირებია შემწეობას.[5]

ასეთივე ხასიათისა იყო მღვდელ გიორგი საძაგლიშვილის საქმიანობა, რომელიც 80-იან წლებში ფართოდ თანამშრომლობდა ჟურნალ „მწყემსში" „ლიახველი გიორგის" ფსევდონიმით იგი წერდა ქრისტიანული რელიგიის მდგომარეობაზე, ოსურ ენაზე წირვა-ლოცვის შესრულების აუცილებლობაზე, ეკლესიის ნაშთებზე, ამხელდა ოსურ მავნე-ჩვეულებებს და მიესალმებოდა მათ გაუქმება-შესუსტებას. მას ჩაწერილი და გამოქვეყნებული აქვს ზოგიერთი ოსური ლეგენდა.[6]

გ. საძაგლიშვილი მაღალი აზრისა იყო ი. იაღლუზიძის მიერ შედგენილი ოსურ ანბანზე, რომელიც ქართული შრიფტის საფუძველზე იყო შედგენილი. ა. შეგრენის მიერ რუსული გრაფემის საფუძველზე შექმნილ ანბანს ის ოსურისათვის უვარგისად თვლიდა, რადგან მან წერა-კითხვა შეაფერხა ოსეთში, ქართული გრაფემა უკეთესია ამ მიზნით.[7]

ქართველი სასულიერო პირები XIX ს მეორე ნახევარში აქტიურად მოღვაწეობდნენ ოსეთში „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" ხაზით სასულიერო განათლების ასპარეზზე. იმერეთის ეპისკოპოსი, „საზოგადოების" მისიონერი და სკოლათა ინსპექტორი

ლეონიდი. 80-იან წლებში აქტიურად იღწვოდა ოსებს შორის სამისიონერო სკოლების ქსელის გაფართოებისა და ოსთა შორის განათლებისაკენ ლტოლვის გამტკიცებისათვის. ოსეთში თავის სარევიზიო მოგზაურობების დროს. იგი ოსებს უქადაგებდა განათლების დიდ მნიშვნელობას და ამან სათანადო ნაყოფიც გამოიღო. ლეონიდმა დაარსა სკოლები ოსთა შორის შემდეგს სოფლებში: როკასა, ედისსა, კოშკსა, ხუმალაგასა, ბერდანსა, მაჩხესსა და გალიათში.[8] აი რას წერდა გაზეთ „ივერიის" კორესპოდენტი ლეონიდის შესახებ. „ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ჩრდ. ოსეთში სულ 10-15 სკოლა მოიპოვებოდა და ისიც „კავკასიაში ქრისტ. აღმდგ. საზოგადოების" ხარჯით აშენებული. მაშინდელი ოსები დიდი ხალისით კი არ აგზავნიდნენ თავიანთ შვილებს სკოლებში, არამედ თითქმის საყვედურით. მაგრამ ჩრდილოეთის ოსებმა სწავლის მნიშვნელობა მალე შეიგნეს, მომეტებულად მას დღეს აქეთ, რაც ჩრდ. ოსეთის ინსპექტორად დაინიშნა პატივცემული ეხლანდელი იმერეთის ეპისკოპოსი, ყოველად სამღვდელო ლეონიდი, მაშინ ისევ მღვდელ-მონაზონი, მათი მეუფება მობრძანდებოდა თუ არა აქაურს სკოლებში მაშინვე სოფლის ყრილობას ახდენდა და მცხოვრებთ ტკბილის მოძღვრებით ესაუბრებოდა თუ სწავლა-განათლებას რა დიდი მნიშვნელობა აქვს --ეს რჩევა-დარიგება უნაყოფოდ არ დარჩა...დღეს კი აქ სკოლაში ბავშვებს კენჭის ყრით იღებენ. დღეს ჩრდილოეთ ოსეთის ყველა სამრევლოში არსებობს სკოლა."

XIX საუკუნის უკანასკნელ წლებში ვლადიკავკავის ქალთა თავშესაფარ სასწავლებელს განაგებდა დეკანოზი მამაცევი (იგივე მამაცაშვილი--ვ.წ.) ეს სასწავლებელიც „ქრისტ. აღმდგენელ საზოგადოებას" ეკუთვნოდა და დიდი როლი ითამაშა ოს ქალთა განათლების საქმეში. ვლადიკავკაზის ქალთა გიმნაზიის გეოგრაფიის მასწავლებლად 1880 წლიდან 20 წლის მანძილზე, მუშაობდა იმავე გიმნაზიის კურსდამთავრებული ალექსანდრა ნიკოლოზის ასული ჩხეიძე.[10]

არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს ნიკოლოზ გიორგის-ძე ბერძენოვის (იგივე ბერძენიშვილი--ვ.წ.) დიდი ღვაწლი ქართველი და ოსი ხალხის კულტურული ურთიერთობის განვითარებაში. იგი დაიბადა სოფ. არდონში ქართველი მღვდლის ოჯახში 1831 წელს. მამამისი სამისიონერო საზოგადოების ხაზით მუშაობდა ოსეთში. ნიკოლოზმა ჯერ ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარია.

ნ. ბერძენოვი მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ვ. ცორაევთან, დანიელ ჭონქაძესთან. შემთხვევით არაა, რომ დ. ჭონქაძემ ბერძენოვს დაუტოვა დაუმთავრებელი ეთნოგრაფიული ჩანაწერები (записки о куртатинцах) ფოლკლორული და ლექსიკოლოგიური მასალა. ამ უკანასკნელმა კი იგი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას გაუგზავნა.

აღნიშნულ ეპოქაში თბილისში დაარსდა ვაჟთა სპეციალური სასწავლებელიც.

ეს იყო თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი.

ინსტიტუტი დაარსდა 1866 წელს „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მიერ. „საზოგადოების" მიზანს შეადგენდა მასწავლებელთა კადრების მომზადება მთიანი რაიონების სკოლებისათვის. ეს სკოლები განზრახული იყო ორივე სქესის ბავშვებისათვის და შეიცავდნენ ორ, ზოგან სამ კლასს და ამის მიხედვით 2-3 წლიანი სწავლების კურს შეიცავდა. აქ ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, რუსულს და ქართულ (მშობლიურ) ენებს, ანგარიშს, გალობას. „ქრისტიანობის აღმდგენელ, საზოგადოების" სკოლების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. 1865 წლისათვის მას კავკასიაში ჰქონდა 58 დაწყებითი სკოლა, აქედან 32 საქართველოს განაპირა კუთხეებსა და სამხრეთ ოსეთში (ე.ი. სამაჩაბლოში—ვ.წ.). სწავლება უმთავრესად რუსულ ენაზე წარმოებდა. მოწაფეთა რიცხვი აღნიშნულ სკოლებში ამ დროისათვის 1007 აღწევდა. „საზოგადოებისათვის" უკვე ნათელი იყო, რომ სკოლების რიცხვის შემდგომი ზრდა ძალიან ფერხდებოდა მასწავლებელთა სიმცირის გამო. განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენდა რუსულ ენაზე მოლაპარაკე პედაგოგიური კადრები. ამ გარემოებამ გამოიწვია თბილისში სამასწავლებლო სკოლის დაარსება. სკოლა გაიხსნა 1866 წლის დეკემბერში (როგორც ზემოთ ავღნიშნეთ) თბილისის განაპირა უბანში ნავთლუღში. მას ეწოდა მეფე ალექსანდრე მეორის სახელი."

ნავთლუღში სკოლა გაიხსნა იმ მიზნით, რათა მომავალი მასწავლებლები შორს მდგარიყვნენ საქალაქო ცხოვრებისაგან და თავიდანვე შეჩვეოდნენ იმ პირობებს, რომლებშიც მათ შემდგომ მოუხდებოდათ მოღვაწეობა.

თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა საფინანსო-სამეურნეო დარგში ექვემდებარებოდა „ქრისტიანობის აღმდგენელ საზგადოებას", ხოლო სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის დარგში—კავკასიის სასწავლებელთა სამმართველოს მთავარ ინსპექტორს (1867 წლიდან კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს). მისი მიზანი იყო მასწავლებელთა მომზადება დაწყებითი სკოლებისათვის. თავდაპირველად თბილისის სამასწავლებლო სკოლა შეიცავდა 3 კლასს, სწავლების 3-წლიანი კურსით. მოწაფეებს ღებულობნენ არა უმცირეს 16 წლის ასაკისას, რომლებსაც უნდა ჰქონოდათ დამთავრებული დაწყებითი სკოლა ანდა ამავე სკოლის პროგრამით უნდა ჩაებარებინათ გამოცდები: 1. საღვთო სჯულში (მოკლე კატეხიზმო და საღვთო ისტორია); 2. რუსულ ენაში (რუსული წერა-კითხვა ადგილობრივ მკვიდრთა ბავშვებს); 3) არითმეტიკაში (ოთხი მოქმედება მთელ რიცხვებზე).

სამასწავლებლო სკოლის გახსნას დიდი ინტერესით შეხვდა თბილისის ახალგაზრდობა. გახსნის მომენტშივე იქნა შევსებული 1-ლი კლასის წინასწარ განზრახული კონტინგენტი 23 კაცის რაოდენობით (მათ შორის 16 ქართველი), მაგრამ ამ სკოლაში შესვლის მსურველთა დიდი რიცხვის გამო, ადმინისტრაცია იძულებული იყო კონტინგენტი გაედიდებინა 40 კაცამდე. მოსწავლეები

მოდიოდნენ თბილისის სხვადასხვა სასწავლებლიდან, ხშირად საშუალო სასწავლებელთა ზედა კლასებიდანაც კი.

სკოლასთან არსებობდა პანსიონი სახელმწიფო ხარჯზე, მოწაფეთა უმრავლესობა პანსიონში ცხოვრობდა. ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო სკოლა იზიდავდა ახალგაზრდობას იმით, რომ იგი უმზადებდა არა მარტო „ქრისტ. აღმდ. საზ.", არამედ, საერთოდ საქართველოს ყველა დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს, წარმოადგენდა საერო ტიპის სასწავლებელს, რომელიც თავისუფალი უნდა ყოფილიყო სასულიერო სასწავლებელთა და გიმნაზიებში გამეფებული სქოლასტიკურ-დოგმატიკური მეთოდებისა და ადამიანის ღირსების დამამცირებელი რეჟიმისაგან. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ **თბილისის სამასწავლებლო სკოლა იყო სრულიად ახალი ტიპის პედაგოგიური სასწავლებელი (მეორე მთელს რუსეთის იმპერიაში**, ეს იყო პროტოტიპი რუსეთში ახალი სამასწავლებლო სემინარიებისა, რომლებიც 1870 წლის დებულების მიხედვით იქმნენ დაარსებული)[13] მართლაც, თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა მისი გახსნის პირველი წლიდანვე პერიოდულ პრესაში და ფართო საზოგადოებაში ყოველთვის სემინარიად იწოდებოდა. კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი თავის ანგარიშებში 1867-1868 წლისათვის წერდა, რომ თბილისის სამასწავლებლო სკოლას მისი ადმინისტრაცია, მხოლოდ თავდამბლობით უწოდებს სკოლას, არსებითად იგი არის სამასწავლებლო სემინარია.[14]

თბილისის სამასწავლებლო სკოლის დაარსებიდან, ერთი წლის შემდეგ, წესდების თანახმად, მასთან გაიხსნა პირველდაწყებითი სასწავლებელი. „სამასწავლებლო სკოლის მოსწავლეთა პრაქტიკული ვარჯიშისათვის (წესდება მე-3) მუხლი) ეს სასწავლებელი იყო ორწლიანი. აქ ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, რუსულ ენას, არითმეტიკას, სუფთა წერას, გალობას.

მართალია, ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო სკოლაში პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების სწავლება არ იყო დაფუძნებული სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ, სამაგიეროდ, კარგად იყო მოგვარებული მოსწავლეთა პრაქტიკულ-მეთოდიკური მომზადება.

მოსწავლეები მესამე კლასში იწყებდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას, საცდელ გაკვეთილებს აძლევდნენ სამასწავლებლო სკოლასთან არსებულ პირველდაწყებით სასწავლებელში. ამ გაკვეთილებს ესწრებოდნენ საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები და თავისუფალი პრაქტიკანტები. გადაცემული გაკვეთილის შემდეგ წარმოებდა მისი გარჩევა აღნიშნულ პირთა შემადგენლობაში.

ქართული ენა თბილისის სამასწავლებლო სკოლაში (სემინარიაში) არ ითვლებოდა სავალდებულო საგნად და ამის გამო არც ცხრილში შედიოდა. სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს, უმთავრესად საქართველოს სკოლებისათვის, ქართველი ტომის მოსწავლეთა აბსოლიტური უმრავ-

ლესობით, არ თვლიდა საჭიროდ ქართული ენის შემოღებას. სკოლის დირექტორი ზახაროვი, როგორც მეფის კოლონიური პოლიტიკის ერთგული მიმდევარი და რუსიფიკატორი, სასტიკად სდევნიდა ქართულ ენას, თუმცა იმას ფორმალურად არ ამცღავნებდა. ის არ უწევდა ანგარიშს იმ ფაქტს, რომ „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებას" და საერთოდ დაწყებით სკოლებში, რომელთათვისაც ამზადებდა იგი მასწავლებლებს, ქართული ენა სავალდებულო საგანი იყო და მაშასადამე, საჭირო იყო ამ საგნის მასწავლებელთა მომზადებაც. ეს გარემოებაც არ გამოპარვია მხედველობიდან სამოციანელი ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს, მაგალითად გიორგი წერეთელს. იგი წერდა 1887 წელს თბილისის სამასწავლებლო სკოლის (სემინარიის) გამო კირ. ლორთქიფანიძეს. „ზემოხსენებული მასწავლებლების სემინარიას უნდა ეწოდოს „учительская семинария" ამ სასწავლებელში ქართული ენა არ უნდა იყოს. როდესაც ამ სასწავლებელში შეასრულებენ სწავლას ყმაწვილები, შემდეგ იმათ გაგზავნიან მასწავლებლებად „სასოფლო სკოლებში", სადაც იმათ გლეხების ყმაწვილებს უნდა ასწავლონ რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი, ქართული კი არასგზით არ უნდა ასწავლონ. ასე ამრიგად, მთელი ხალხობა უნდათ გაარუსონ... ვერიდოთ ძმაო, რომ მყობადში დედ-მამის მკვლელი არ დაგვიძახონ".[15]

1869 წელს თბილისის სამასწავლებლო სკოლამ ზეიმით აღნიშნა თავის მოსწავლეთა პირველი გამოშვება 13 კვალიფიციური პედაგოგის რაოდენობით.

1870 წელს დაისვა საკითხი ალექსანდრეს სამასწავლებლო სემინარიის კავკასიის სასწავლო ოლქის განკარგულებაში გადაცემის და მისი სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ.

1870 წლის 19 ივლისს „ქრისტიანობის აღმდგ. საზოგადოების" საბჭომ გაუგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს მოხსენება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ის ხარჯი, რომელიც სჭირდება სამასწავლებლო ინსტიტუტის შენახვას, აღემატება „საზოგადოების" შესაძლებლობებს. გარდა ამისა სამასწავლებლო სკოლა თავისი მოცულობით და ხასიათით გასცდა იმ დანიშნულებას, რომელსაც მას „ქრისტ. აღმ. საზოგადოება" ანიჭებდა. აღნიშნულ „საზოგადოებას" შეეძლო მხოლოდ 50-60 სკოლის გამართვა, კავკასიის მთიან რაიონებში, სკოლამ კი ამ დროისათვის უკვე გამოუშვა 29 მასწავლებელი და 3-4 წლის შემდეგ მთლიანად დააკმაყოფილებდა საზოგადოების სკოლების საჭიროებას. ამის შემდეგ კი სკოლა საზოგადოების ინტერესებისათვის უსარგებლო ხდება.[16]

„ქრისტ აღმ. საზ." ამ თხოვნას დაემთხვა ის ფაქტი, რომ 1870 წელს იმპერიის სახალხო განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა თითო სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსება ყოველ სასწავლო ოლქში.

კავკასიის სასწავლო ოლქს ეძლეოდა შემთხვევა ახალი ინსტიტუტის დაარ-

სების ნაცვლად მიეღო უსასყიდლოდ, როგორც მას სთავაზობდა „საზოგადოების" საბჭო, თავის სრულ განკარგულებაში არსებული სამასწავლებლო სკოლა, მისი შესანახი ხარჯები დაკისრებოდა ხაზინას იმ პირობით, რომ „საზოგადოება" შეინარჩუნებდა სამასწავლებლო ინსტიტუტში 18 პანსიონერის შენახვის უფლებას.[17]

ბოლოს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა გადაკეთდა სამასწავლებლო ინსტიტუტად, ხოლო არსებული პირველდაწყებითი სასწავლებელი—ორკლასიან საქალაქო სასწავლებლად.

1872 წლის 12 მაისს იმპერატორმა დაამტკიცა ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის წესდება.

ახალი წესდებით სამასწავლებლო ინსტიტუტის ფუნქციები ფართოვდება. მის მიზანს ახლა შეადგენდა პედაგოგთა მომზადება საქალაქო ორკლასიანი სასოფლო დაწყებითი სკოლებისათვის. ინსტიტუტი შედგებოდა 4 კლასისაგან, სწავლების 4-წლიანი კურსით, ინსტიტუტი და მასთან არსებული საქალაქო სასწავლებელი გადადიოდა კავკასიის სასწავლო ოლქის განკარგულებაში. გაფართოებული იყო ინსტიტუტის სასწავლო კურსიც. პანსიონერები, რომლებიც სწავლობდნენ ინსტიტუტში სახელმწიფო ხარჯზე, ვალდებულნი იყვნენ ემსახურათ 6 წლის განმავლობაში მასწავლებლის თანამდებობაზე. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის დანიშვნის მიხედვით, ვინც არ ისურვებდა სასწავლო უწყებაში სამსახურს, ვალდებულ იყო დაებრუნებინა ის ხარჯები, რომლებიც მასზე იყო გაწეული ინსტიტუტში სწავლების პერიოდში.[18]

1872 წელს ინსტიტუტში სწავლობდა 48 მოსწავლე, მასთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში 36. 1873 წ. ივლისში მეფისნაცვლის ნებართვით ინსტიტუტი ნავთლუღიდან გადმოიტანეს ქალაქის ცენტრში.

1879 წელი იყო სამასწავლებლო ინსტიტუტის მე-7 გამოშვება. ინსტიტუტი დაასრულა 31 ახალგაზრდამ. მათ შორის 17 კურსდამთავრებულმა მიიღო ქალაქის და 14-მა სოფლის მასწავლებლის წოდება. მთლიანად არსებობის დღიდან ინსტიტუტი დაამთავრა 112 ახალგაზრდამ. 1884 წელს მოსწავლეთა რაოდენობამ ინსტიტუტში მიაღწია 105.[19] **თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი უძველესი პედაგოგიური დაწესებულება იყო მთელს იმპერიაში. იგი იყო აგრეთვე პირველი პედაგოგიური სასწავლებელი მე-19 საუკუნის საქართველოში.**

არ უნდა დავივიწყოთ, რომ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტს ახასიათებდა ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც გააჩნდა ცარიზმის მიერ საქართველოში დაარსებულ ყველა სასწავლებელს, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მოსახლეობის ფართო მასების განათლების საქმეში.

მთავრობას ჰქონდა დაარსებული აგრეთვე ნოვგოროდის გუბერნიის სოფელ გრუზინოში ინსტიტუტი, რომელიც ამზადებდა მისიონერებს სახელმწიფო ხარჯზე. აქ თავს უყრიდნენ სხვადასხვა სასწავლებლიდან მოსწავლეებს, რომლებიც ნიჭიერებით გამოირჩეოდნენ და მთავრობის ერთგულნი იქნებოდნენ. ამასთან ერთად მღვდლის ობოლ ბავშვებსაც ზრდიდნენ ყოველი ეპარქიის უფროსს სინოდი ავალებდა ასეთი ბავშვების გაგზავნას ხსენებულ ინსტიტუტში.[20]

ასეთივე სამისიონერო აკადემია არსებობდა ყაზანში, სადაც სპეციალურად მუსლიმანთა საწინააღმდეგოდ ამზადებდნენ მისიონერებს. ეს აკადემია დაამთავრა მისიონერმა ტ. ივანიცკიმ.

შორეული წარსულიდანვე აფხაზეთი შედიოდა საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში, როგორც მისი ეროვნული ნაწილი.

აფხაზებს ძველად არ ჰქონიათ საკუთარი დამწერლობა; მწიგნობრობისა და ეკლესიის ენა აფხაზეთის სამთავროში ყოფილა ქართული ეს როლი ქართულ ენას ან დაუკარგავს მაშინაც კი, როდესაც საქართველოს სამეფოს დარღვევის შემდეგ წარმოიშვა აფხაზეთის სამთავრო. განსაკუთრებული პოლიტიკური ცხოვრების მატარებელი.

XIX საუკუნის აფხაზეთის მთავრის კანცელარია ქართულ ენაზე მუშაობდა. ქართული ოფიციალური ცნობებითაც უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე კავკასიის მმართველობას და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივ ქართულად მიმართავდა.[21]

XIX საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთში არც ერთი სკოლა არ არსებობდა. მხოლოდ 1851 წელს გაუხსნია საქართველოს ეგზარქოსს სამურზაყანოში (დღევანდელი გალის რაიონში), სოფელ ოქუმში ე.წ. სამისიონერო სკოლა მისიონერ დ. მაჭავარიანის თაოსნობით. ამავე ეგზარქოსის ბრძანებით მეორე სკოლა გაუხსნიათ გალის რაიონის სოფ. დიხაზურგაში 1856 წ. ისევ დ. მაჭავარიანს გაუხსნია სკოლა. ამრიგად სანამ „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება" დაიწყებდა თავის მოქმედებას, აფხაზეთში (ყოფილი სოხუმის ოლქი) უკვე გახსნილი იყო ორი სამისიონერო სკოლა.[22]

„ქრისტ-აღმდ. საზოგადოების" საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ბავშვებისათვის სკოლების გახსნა და მათთვის ჰეშმარიტი ქრისტიანული განათლების მიწოდება. ამისათვის საჭირო იყო ეკლესიებთან სამრევლო სკოლების გახსნა და იქ არაქრისტიანი ბავშვების მიზიდვა, რათა ისინი აღეზარდათ ქრისტიანული მორალის პრინციპებზე. ასეთი ახალგაზრდები შემდეგში თვითონ იქნებოდნენ ქრისტიანობის გამავრცელებელნი და დამამაკვიდრებელნი ადგილობრივ მოსახლეობაში.

მეფის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ამ საზოგადოების" მიერ გახსნილ სკოლებში ბავშვების რელიგიურად აღზრდის საქმეს და მის-

თვის საკმაოდ მოზრდილ თანხებს აძლევდა „საზოგადოებას“. თვით იმპერატორი და მისი ოჯახის წევრები პირადად ეცნობოდნენ ასეთი სკოლების მუშაობას, მათ საჭიროებას, სწირავდნენ გარკვეულ თანხებს, აჯილდოებდნენ მასწავლებლებსა და სკოლის სხვა მუშაკებს, ზოგჯერ თვითონაც ღებულობდნენ მონაწილეობას გამოცდებსა და სასკოლო ღონისძიებებში.

საეკლესიო სამრევლო სკოლების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო იყო არა მარტო სათანადო კადრები, არამედ სათანადო სახელმძღვანელოები და საღვთისმეტყველო ლიტერატურაც. თავდაპირველად მეფის ხელისუფლება დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ასეთ სკოლებში არაქრისტიანი ბავშვების მიზიდვის საქმეს. საჭირო იყო სათანადო მოქნილობა და ტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან მიმართებაში, რომ ისინი არ დამფრთხალიყვნენ და ასეთ სკოლებში თავიანთი ბავშვების სწავლებაზე უარი არ ეთქვათ, მათი გარუსების შიშით. ამ მიზნით „საზოგადოებამ“ გადაწყვიტა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლება პირველ ხანებში ყოფილიყო ძირითადად მშობლიურ ენაზე. ამისათვის კი საჭირო იყო იმ ხალხთა ენაზე დამწერლობის შექმნა, რომლებსაც ის ჯერ კიდევ არ ჰქონდათ, მაგრამ ეს უნდა გაკეთებულიყო რუსული ალფაბეტის საფუძველზე, რათა შემდეგში გაადვილებულიყო მოწაფეთა სწავლება რუსულ ენაზე. ამ მიზნით საზოგადოებასთან“ შეიქმნა სპეციალური, ახალი დამწერლობის შემქმნელი კომისია, თავმჯდომარე იყო ცნობილი ლინგვისტი, გენერალ-მაიორი ბარტოლომეი, ხოლო ერთ-ერთი წევრი, ასევე ლინგვისტი და გენერალ-მაიორი უსლარი.

„საზოგადოების“ აღნიშნულმა კომისიამ რუსული შრიფტის საფუძველზე შეადგინა და 1885 წელს გამოსცა აფხაზური ანბანი და სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემული იყო ქრისტიანობის ძირითადი პრინციპები__მცნებები. 1866 წლიდან აფხაზ ბავშვებს სკოლებში ასწავლიდნენ ამ ანბანით. 1868 წ. კომისიამ აფხაზური ენა იმდენად ახალგაზრდად და განუვითარებლად მიიჩნია, რომ მასზე წმინდა წერილის-გადათარგმნა შეწყვეტილ იქნა. მაგრამ 1899 წელს „საზოგადოება“ კვლავ უბრუნდება აფხაზური დამწერლობის საკითხს. ამ ენაზე გადაითარგმნა ზოგიერთი ლოცვა. 1906-1907 წლებში აფხაზურად ითარგმნა და 2000 ეგზემპლარად დაიბეჭდა იოანე ოქროპირის ლიტურგია და კურთხევანი, ასევე-ქორწინებისა და მარხვის ქრისტიანული წესები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ერთად იქმნებოდა სხვადასხვა სახის პროფტექნიკური (სახელოსნო) და საოსტატო სასწავლებლები. სამურზაყანოს მოსახლეობა 1892 წელს მთავრობას მიმართავს თხოვნით სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების გახსნის შესახებ. „დაბა ოქუმში ჩატარდა სამურზაყანოს მკვიდრთა მიერ ამორჩეული დეპუტატთა კრება. დეპუტატებმა შეადგინეს თხოვნა, რომელიც შეეხება სამურზაყანოში ოთხკლასიანი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნას“.[23] წერდა ოქუმელი ვანო (ივანე გეგია).

„საზოგადოების" მიერ სამურზაყანოში აშენდა ორკლასიანი სასწავლებელი—სამრევლო სკოლა.[24] 1896 წელს გალის, 1898 წელს ფოქვეშის საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომლებშიც მასწავლებლობდნენ იოსებ ლაკირბაია, ანტიფო ბაბილუა, იესე ჟორდანია, მარკოზ ჭარაია და სხვ. ამ სკოლებიდან ერთი იყო ორკლასიანი, ხოლო დანარჩენი—ერთკლასიანი. თითო სკოლაზე მხოლოდ 49 მოსწავლე მოდიოდა.[25]

1893 წელს გაზეთი „ივერია" ბეჭდავს ა. ენგურელის (ა. გოგოხია) წერილს, მკითხველ საზოგადოებას აცნობს სამურზაყანოში შექმნილ საგანგებო მდგომარეობას სწავლა-განათლების დარგში. „სწავლის საქმე ძალზე ცუდად არის დაყენებული სამურზაყანოში. შეგირდებს ასწავლიან რუსულად. შემდეგ კი უხსნიან მეგრულად, უაზროდ, გაუგებრად. აზეპირებინებდნენ მათთვის უცნობ მასალას. აქეთ „აშორდიზმი" იკიდებს ფეხს. დროა ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ მიჰხედოს სამურზაყანოელებს „თორემ ლამის არის ეს მხარე მოწყდეს საქართველოს, ლამის გადარჯულდეს და ქართული ენის ხსენებაც კი აღმოიფხვრას.[26]

აფხაზეთში „აშორდიზმის" პრობლემას გვერდს ვერ უვლის გაზეთი „კვალი" „ამ ბოლო დროს აქ გავრცელდნენ „აშორდისტები", რომლებიც ავრცელებენ, რომ სამეგრელო და აფხაზეთი ძმები არიან და არავითარი კავშირი არ აქვთ საქართველოსთან. ერთ-ერთი მათგანი გაიძახის აშორდიას მე ვჯობივარ ნამდვილი ძველებური ანბანი მოვიგონე და ვაგზავნი დასაბეჭდათო."[27]

გულისტკივილით შენიშნავს ვანო ოქუმელი (ივანე გეგია) სამურზაყანოს სკოლებში დედა-ენის უსწავლელობას. სამეგრელოში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც წინააღმდეგი არიან ქართულის სწავლისა ეს სენი უნდა გადასდონ სამურზაყანო-აფხაზეთსაც.

კოროსპოდენტ ჰამუთ-ბეის (ნიკო ჯანაშია) ინფორმაციით ვგებულობთ, რომ „ქუთაისის გუბერნატორმა გენერალმა შალიკოვმა გამოაგზავნა ინსპექტორი დიმიტროვი გუდაუთში სკოლის გახსნის თაობაზე, მაგრამ მოსახლეობამ სიღარიბისა და ერთი ვაჟბატონის დამსახურებით (არ არის მითითებული თუ ვინ ვაჟბატონია) უარი უთხრეს ინსპექტორს. საეპარქიო სამასწავლებლო საბჭომ გახსნა რვა სამრევლო სკოლა. გადაწყვეტილია სასულიერო სამასწავლებლო სემინარიის დაარსება.[28]

ამ ინფორმაციიდან აშკარაა, რომ ადგილზე იყვნენ ძალები, რომელთაც არ აწყობდათ საგანმანათლებლო საქმიანობის აქტიურობა და მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგიც კი მიდიოდნენ.
